К 822

სრულიად
საქართველოს
საპატრიარქო

საღვთისმეტყველო კრებული

4

თბილისი
1986

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიდასაეკლესიო მოხმარებისათვის

სრულიად საქართველოს საპატრიარქო

ს ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო

კ რ ე ბ უ ლ ი

№ 4

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ი ლ ი ა II-ის ღვაწლითა და ლოცვა-
კურთხევით

თ ბ ი ლ ი ს ი
1986

P

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთა გამოცხადებანი და სპირიტიზმი წმ. მართლმადიდებლური რწმენის შუქზე

წინასიტყვაობა

ჩვენი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ბოლო დროს საგანგაშო მოვლენებმა იჩინეს თავი: ნაცვლად ჭეშმარიტი რწმენისა, რომელსაც ქადაგებს ჩვენი დედა-ეკლესია, მოსახლეობის ერთი ნაწილი გატაცებულია სხვა, «მოდური» რელიგიებით (ხშირად მათი დამახინჯებული ფორმით) და სხვადასხვაგვარი ცრურწმენებით. თბილისურ ინტელიგენციაში ესაა გატაცება ინდუიზმით, ნეობუდიზმით[X], სპირიტიზმით და სხვა «იზმებით». სამწუხაროდ, პირადად შევხვედრივარ ქართველ კაცს, რომელიც ერთხანს «სატანისტური» სექტის წევრი იყო.

F/13904

რაც შეეხება ჩვენს რაიონებს, იქაც ამ მხრივ სავალალო მდგომარეობაა. კულტურის სამინისტროში მუშაობის ჟამს, ვეცნობოდით რა საქართველოს კულტურის ძეგლებს, ჩვენი თვალით ვნახეთ, მაგ., კახეთში, გურჯაანთან მდებარე «ყველაწმინდას» გაუქმებული ეკლესიის ეზოში, როგორ ლოცულობდნენ ქალები «იავნანაზე»(ე.ი. ქრისტიანული ლოცვის ადგილი მათთან დაიკავა «იავნანას» ჰანგმა და სიტყვებმა). დასავლეთ საქართველოში, ზუგდიდთან მდებარე «ყულის»

X ამ დროს ეს რელიგია უარყოფს იმას, რასაც მოხუცი კანტი ყველა რელიგიის კუთვნილებად მიიჩნევდა და ურომლისოდაც მას ვერ წარმოედგინა შექმნილიყო მოძღვრება ზნეობის შესახებ. ესენია: ღვთის არსებობა, სულის უკვდავება და ნებისყოფის თავისუფლება. ინდუიზმით გატაცებულ ერთ ებრაელს ვკითხე, სინაგოგაში თუ დადიხართ-მეთქი. -რასაკვირველიაო, მიპასუხა, მე რამდენი წიგნიც მომეწონება, იმდენჯერ მამა-პაპათა რწმენა თუ უარვყავი, რაღა გვეშველებაო! ჩვენში კი, სამწუხაროდ, ბევრს არა აქვს ასეთი შეგნება.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუქმებულ ეკლესიაში ვიხილეთ: «მლოცველ» სოფლელებს შესაწირავი ღორი დაებათ ეკლესიაში, კანკელის ახლოს.

წინამდებარე წერილი მიმართულია სპირიტიზმით გატაცებულთა გასაფრთხილებლად. მისგან საბოლოო თავის დაღწევა მოხდება წმ.მართლმადიდებლური რწმენის აღიარებით.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

რამდენიმე მოსაზრება სულის უკვდავებასთან დაკავშირებით

მწამს, მარად მიწამებია
მუდმივ სიცოცხლე სულისა.
ვაჟა-ფშაველა

მე ეჭვი არ მეპარება ჩვენი არსებობის გაგრძელებაში. ყოველი ენტელექია ზიარებულია მარადისობას, და ის რამდენიმე წელი,რომლის მანძილზეც იგი დაკავშირებულია მიწიერ სხეულთან,მას არ აბეერებს.

გოეთე

ბევრ ცნობარსა თუ ენციკლოპედიაში სულის არსებობაზე და მისი უკვდავების რწმენის ჩასახვაზე დამკვიდრებულია ჯერ კიდევ ლ უ კ რ ე ც ი უ ს ი დ ა ნ მომდინარე ა ზ რ ი, რომელიც ახალ დროში განავითარეს ე.ტეილორმა და ჰ.სპენსერმა და რომელიც ცნობილია ა ნ ი მ ი ზ მ ი ს სახელწოდებით. ანიმიზმის მიხედვით

ყოველი რელიგიური წარმოდგენა და იდეა მომდინარეობს ს უ ლ ი ს არსებობის რწმენიდან. ეს რწმენა, თავის მხრივ, ჩნდება ა ნ თ რ ო პ ო - ბ ი ო ლ ო გ ი უ რ მოვლენათაგან (სიზმარი, ჰალიუცინაცია, ლეტარგია, საკუთარი და სხვისი ჩრდილის ხილვა და სხვ.). პირველყოფილი ადამიანი ხედავდა სიზრმრებს: მაშინ, როცა მისი სხეული ერთ ადგილას განისვენებდა, მეორე მისი «მე» სხვაგან იყო - ნადირობდა, ლაპარაკობდა და სხვა. ამგვარმა წარმოდგენებმა პირველყოფილ ადამიანს გამოუმუშავა შეხედულება მისი «მე»-ს ორადობაზე, რომელთაგანაც შემდგომ ერთ-ერთმა «მე»-მ ს უ ლ ი ს სახელწოდება მიიღო. სიკვდილის შემდეგ ეს სული ტოვებდა სხეულს და აგრძელებდა სიცოცხლეს. ასეთი სულების კრებული შემდეგ ქმნიდა სულთა სამეფოს, საიდანაც სულებს შეეძლოთ სხვა საგნებში განსხეულება. აქედან წარმოდგება რწმენა მთელი სამყაროს გასულიერებისა და აქედანვე მომდინარეობს თაყვანისცემა ცალკეული საგნებისა (ფეტიშიზმი) და ბუნების მოვლენებისა (ნატურიზმი). შემდგომ ამავე ნიადაგიდან წარმოიშვა რწმენა ღმერთებზე, ღმერთზე და რელიგიის მთელ ძირითად სისტემებზე.

ანიმიზმის ამ შეხედულებამ, სხვათა შორის, მძაფრი კრიტიკოსი პოვა ემილ დიურკჰეიმში[x]. მას მიაჩნია, რომ ს უ ლ ზ ე წარმოდგენათა აღმოცენება ისეთი მოვლენებიდან, როგორიცაა ს ი ზ მ ა რ ი და სხვა, არც ისე ბუნებრივია და ნათელი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მართლაც, იმის მაგივრად, რომ შეექმნა წარმოდგენა »ორეულზე», პირველყოფილი ადამიანი ამ შემთხვევაში უმაღ შეიქმნიდა წარმოდგენას, რომ მას ძილის დროს ძალუძს შორი მან-

---

x - E. Durkheim, Les formes élémentaires de la vie religieuse, Paris. Alcan. 1912. ბ. П.А. Сорокин (Pitirim Sorokin), Эмиль Дюркгейм о религии, „Нов. идеи в соц., сб. 4, СПБ 1914, стр. 62-65.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიღების ჭვრეტა. ამავე დროს, როგორც ვიცით, სიზმრებში ხშირად ჩვენი წარსული აღდგება ხოლმე და წარმოდგენა «ორეულზე» ვერაფ-რით ვერ ხსნის ასეთ სიზმართა იდუმაღებას. მაგრამ, ამის გარდა ანიმისტური თვალსაზრისი სრულიად აუხსნელს ტოვებს თვით პრობლე-მის არსს: რატომ სურდა პირველყოფილ ადამიანს ისეთი ფაქტების ახსნა, როგორიცაა სიზმარი? ჩვენს ირგვლივ ბევრი ისეთი ფაქტი ხდება, რომელიც არ აღძრავს ჩვენს ცნობისმოყვარეობას და მით უფ-რო საკვირველია, რომ პირველყოფილი ადამიანი, რომელსაც სავსებით არ გააჩნია სპეკულატური მოთხოვნილებანი, ასე უეცრად და ერთბა-შად დაინტერესდა სიზმრით და მასში გარკვევა მოინდომა. რას წარ-მოადგენს სიზმარი ჩვენს ცხოვრებაში? განა უფრო სარწმუნო არაა, რომ პირველყოფილი ადამიანი უფრო სიცოცხლის გარკვევას მოინდო-მებდა, ვიდრე სიკვდილისას? მისთვის უფრო მნიშვნელოვანი არ იყო ფხიზელი მდგომარეობა, ვიდრე ძილი? ამიტომ, სულზე წარმოდგენათა აღმოცენება წმინდა ბიოლოგიურ მოვლენათაგან (სიზმრიდან, ლეტარ-გიიდან და ა.შ.) უარყოფილ უნდა იქნეს. სულზე წარმოდგენის გა-ჩენა მათგან შეუძლებელია. მხოლოდ იქ, განაგრძობს ე.დიურკჰეიმი, სადაც უკვე არსებობს სულზე წარმოდგენები, სიზმარს შეუძლია ესა თუ ის როლი ითამაშოს, მაგრამ თავად იგი არაა საკმარისი სულზე წარმოდგენის აღმოცენებისათვის.

დაახლოებით ამასვე ამტკიცებს ცნობილი რუსი ფილოსოფოსი სერ-გეი ტრუბეცკოი, როცა ამბობს, რომ «ჩვენ ვერ ვხედავთ უბრალო სიზ-მრებში ს უ ლ თ ა ან უხორცო აჩრდილთა რ ე ა ლ უ რ ი ა რ-ს ე ბ ო ბ ი ს რწმენის არა მხოლოდ ლოგიკურ, არამედ ფსიქოლო-გიურ ახსნასაც კი. ვისაც ეს სწამს, მისთვის განსხვავება გარ-დაცვლილთა აჩრდილებსა და უბრალო სიზმრებს შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აჩრდილები არ წარმოადგენენ უბრალო სიზმრებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ისინი ცხადლივ გვეცხადებიან და მაშინაც კი, როცა სულები სიზმარში გვევლინებიან, ისინი ტოვებენ შთაბეჭდილებას რაღაც რეალური ფსიქიკური ძალისას, ადამიანისაგან განსხვავებულისას, რომელიც ურთიერთობას ამყარებს მასთან»[X].

ამგვარად, აზრთა ამ მსვლელობებიდან ლოგიკურად ის გამომდინარეობს, რომ პირველყოფილი ადამიანი რეალურად მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა ს იქ ხედავდა, სადაც იგი მას ე ჩ ვ ე ნ ე ბ ო დ ა. ყველაზე მარტივი და ბუნებრივი «ახსნა» ამ ფენომენისა მხოლოდ ასე შეიძლება. რაც შეეხება ამ მოვლენის «ჭეშმარიტებას», ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზემოთქმულს კვლავ ემილ დიურკჰეიმის აზრი გვინდა დავუმატოთ: ანიმიზმის კონსტრუქციის მიხედვით, გამოუცნობ ამოცანად რჩება რელიგიურ მოვლენათა ფაქტი ყველგან და ყველა დროში. ანიმისტური თვალსაზრისის მიხედვით რელიგია წარმოადგენს მხოლოდ ჰალუცინაციათა, ილუზიათა და შეცდომათა ერთობლიობას, რომელსაც არ გააჩნია არავითარი საზოგადო ფასეულობა. მაშინ, როგორღა ავხსნათ ის გარემოება, რომ ამ აშკარად ფუჭმა და უნაყოფო მოვლენამ ასე დიდხანს გაძლო და ასეთი უზარმაზარი როლი ითამაშა კაცობრიობის ისტორიაში? ნუთუ ბუნებრივმა შერჩევამ ამ ხნის მანძილზე ვერ ჩამოიშორა სიცრუის, შეცდომათა და ილუზიათა ეს სისტემა? რასაკვირველია, ანიმიზმი ამ კითხვებს უპასუხოდ ტოვებს; მაგრამ პასუხი ამ კითხვებზე ყველა ობიექტური მკითხველისათვის აუცილებელია.

X Собр. соч. Кн. Сергея Николаевича Трубецкого, т. II, Философския статьи, Москва 1908, стр. 351, 358.

X X

X

თუკი სიზმარი და ჰალუცინაცია არაფერ შუაშია სულის უკვდავების რწმენის წარმოშობასთან, მაშინ იქნებ ადამიანში დაბუდებული ეგოიზმის გრძნობაა ამ რწმენის წყარო, იქნებ საკუთარი მეობის არდაკარგვის დაუძლეველმა ეგოისტურმა სურვილმა აღმოაცენა მითი სულის უკვდავებაზე, როგორც ამას ამტკიცებენ სკეპტიკოსები და ათეისტები?! მაგრამ ეს რომ ასე არაა, ჩანს უძველესი ანტიკური მითიდან ორფეოსის შესახებ. გავიხსენოთ ეს იდუმალებითა და მშვენიერებით აღსავსე თქმულება:

"ორფეოსი, შვილი ეაგრისა და მუზა კალიოპასი, ჯადოსნური მომღერალია. არა მარტო ველურ მხეცებს აჯადოებს მისი სიმღერა, არამედ მცენარეებსა და ხეებსაც დაუტოვებიათ თავიანთი ადგილსამყოფელი და თან მიჰყოლიან ორფეოსს მისი სიმღერის დროს. თავისი სიმღერით იგი დაიპყრობს ნიმფა ევრიდიკეს გულსაც, მაგრამ ქორწილის ჟამს ევრიდიკეს გველი დაგესლავს და იგი გარდაიცვლება. უზარმაზარია ორფეოსის სევდა და წუხილი, და ბოლოს, თავისი ჩანგით იგი ჩაეშვება ქვესკნელში, რათა იქაურ მბრძანებელს შეყვარებულის სული გამოსთხოვოს. ქვესკნელის მცველი და ერინიები, მისი სიმღერით მოხიბლულნი, დაუბრკოლებლად ატარებენ მას. ქვესკნელის მბრძანებელთა - აიდისა და პერსეფონეს გულიც გალღვება მისი ჰანგების მოსმენისას და ისინი უფლებას აძლევენ ევრიდიკეს სულს, რათა გაჰყვეს თავის შეყვარებულს სამზეოზე.

ასეთია ნაწილი ორფეოსის მითისა. იგი ბევრი რამის მაუწყებელია. ერთი მხრივ მისი სახელის ფუძე ὀρφ (აქედან ὀρφνη- - «წყვდიადი») ადასტურებს ორფეოსის ნათესაობას ქვესკნელთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის საიდუმლოებებთან[X]. მეორე მხრივ, ამ მითოსით ნათლად ჩანს მაღალი ხელოვნების ძალა, როგორც გზა მიღმურთან თანაზიარობისა; მაგრამ ძირითადი და მთავარი ამ მითისა მაინც ის არის, რომ მამოძრავებელ გრძნობად სულის უკვდავების აღიარებისა აქ პიროვნული არსებობის გახანგრძლივებისადმი სწრაფვა კი არაა, არამედ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი და წყურვილი საყვარელ არსებასთან გაერთიანებისა სიკვდილის მიჯნის მიღმა. ეს ანიჭებს ამ მითს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ხდის მას ანტიკური რელიგიის ყველაზე წმინდა მითად. მითის ეს მნიშვნელობა გვაფიქრებინებს, რომ იდეური იგივეობა არსებობს ორფეოსს, როგორც მითიურ გმირსა და ორფეოსს, როგორც ორფიზმის დამაარსებელს შორის[XX]. ამგვარად, სიყვარულია აქ ის ძირითადი, რაც გადალახავს და ამსხვრევს სიკვდილის საზღვრებს[XXX].

X -იხ. « Нов. Энцкл. Словарь », XXIX т., П. 1916, стр. 729.

XX - იქვე, გვ. 729.

XXX - თქმულებას ორფეოსზე ამ მხრივ არ უპირისპირდება გილგამეშის ეპოსი. მართალია, ზოგიერთი ამ ეპოსში ხედავს ადამიანის ყოფიერების იმ დრამატიზმის წარმოჩენას, რომელიც განსაზღვრულია სიკვდილის გარდუვალობით (ასეთია, მაგ., ი.დიაკონოვის აზრი. იხ. Эпос о Гильгамеше, пер. И.Д. Дьяконова, М. 1961). მაგრამ ეს უძველესი ეპოსი ზუსტად ასევე გვიჩვენებს, რომ გარკვეულ არსებებს ღმერთების დახმარების გარეშე ძალუძთ უკვდავების მიღწევა იმ პირობით, თუ ისინი ძლევამოსილად დაძლევენ ინიციაციის გამოცდათა რიგს. აქედან დანახული გილგამეშის ეპოსი უფრო დრამატიზმით აღსავსე ისტორიაა, მარცხით დამთავრებული ინიციაციისა.- იხ. M. Eliade, Histoire des croyances et des idées religieuses I. De l'age de la pierre aux mystéres d'Eleusis, Paris 1976.

მითი ორფეოსზე საუკუნეთა მანძილზე არ ასვენებდა და აღძრავდა ხელოვანთ მის უკვდავსაყოფად. მის ასახვას ვხვდებით პლასტიკაში: უძველესი რელიეფიდან (მე-5 ს. ქრისტემდე) მოყოლებული ოგიუსტ როდენის ჩათვლით; მხატვრობაში: ტინტორეტო, ბრეიგელი (უფროსი), რუბენსი, ტიეპოლო და სხვები; მუსიკაში: სხვა მრავალთაგან მონტევერდი, გლუკი (რომელმაც განსაკუთრებულ მომაჯადოებელ ჰანგებში გადმოსცა ეს მომხიბლავი მითოსი), ჰაიდნი, სტრავინსკი; პოეზიაში, მრავალთაგან რილკეს ხსენებაც საკმარისია, რომელმაც თავისი სონეტების ცენტრში ჩააყენა მითიური ორფეოსი. რილკეს ერთი კომენტატორის თქმით, «მსგავსად ვირგილიუსისა, რომელიც დანტეს აცილებს ჯოჯოხეთიდან სამოთხემდე, ასევე თან მიჰყვება ღვთაებრივი მომღერალი პოეტს სიცოცხლის ფართო სამეუფოში იქამდე, სადაც სიცოცხლე სიკვდილსა და გარდაცვალებაში გადადის»[X].

ორფეოსის მითი გვაუწყებს, რომ სწორედ ხელოვნება და სიყვარული ის ხიდი, რომელიც იმქვეყნიურთან გვაკავშირებს; რომ მხოლოდ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ს ძალუძს გაგვაბედინოს ქვესკნელში ჩასვლა საყვარელ სულთან. და პირიქით: სიყვარულია ის ძალა, რომელიც სასურველ სულებს მოგვაახლოვებს ჩვენ საიქიოდან. პოეტური გენია და ინტუიცია კარგად გრძნობს იდუმალ კავშირს სიყვარულსა და სიკვდილს შორის. დიდი გერმანელი პოეტი ფრიდრიხ ჰებბელი (1813-1863) მძაფრად განიცდის ამას თავის «რექვიემში»:

X Rainer Maria Rilke, Die Sonette an Orpheus, Mit erläuterungen von Katharina Kippenberg, Zürich 1951, s. 259.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სულო, ნუ დაივიწყებ,
ნუ დაივიწყებ გარდაცვალებულთ!

ო, ვით გელტვიან ისინი,
ათრთოლებულნი, მიტოვებულნი,
წმიდათაწმიდა მხურვალებაში,
რომელთაც ბედშავთ სიყვარული აღუვლენს,
თბებიან ისინი და იშვებენ
და განიცდიან უკანასკნელად
სიტკბოს მიმქრალი ცხოვრებისას.

სულო, ნუ დაივიწყებ,
ნუ დაივიწყებ გარდაცვალებულთ!

ო, ვით გელტვიან ისინი,
ათრთოლებულნი, მიტოვებულნი,
და თუ შენ გულის გამყინვარებით,
მიუკარები, მათ ზურგს შეაქცევ,
ძრწოლა აიტანს მათ ზარდამცემი.
და წარიტაცებს გრიგალი ღამის,
უსიყვარულოდ შთენილ-განწირულთ,
და გააქროლებს უსასტიკეს თავდავიწყებით
მათ უსასრულო უდაბნოსაკენ,
სად აღარ სუფევს სიცოცხლე და ოდენ ბრძოლაა
აწყვეტილ ძალთა
განახლებულ არსობისათვის.

სულო, ნუ დაივიწყებ!
გარდაცვალებულთ ნუ დაივიწყებ!»

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ორფეოსის გამოსახულებას ეხვდებით გვიანდელ რომაულ მოზაიკებში, ქრისტიანული კატაკომბების მხატვრობაში[X]. აქ ორფეოსი გამოსახულია მხეცებს შორის, რომელთაც იგი თავისი ჯადოსნური სიმღერით ატყვევებს. ხშირად ამ სურათებში მხეცები შეცვლილია კრავებით, რის შედეგადაც ორფეოსის ტიპი მიახლოებულია «კეთილი მწყემსის» ტიპთან. თუ რატომ ჩარიცხა ქრისტიანობამ ორფეოსი თავის სიმბოლოთა რიგში, ამბობს ანტიკური რელიგიის მკვლევარი ფ. ზელინსკი, ამაზე შეიძლება მხოლოდ ვარაუდები წამოვაყენოთ[XX]. თავი რომ დავანებოთ გნოსტიკურ მოძღვრებებს, რომელთაც ამ ფაქტის ასახსნელად გვთავაზობს აღნიშნული მკვლევარი, აქ ერთი პარადოქსი ივლება ორფეოსის მითსა და ჩვენი რელიგიის დამაარსებელს შორის. ისევე როგორც ს ი ყ ვ ა რ უ ლ მ ა ჩაიყვანა ორფეოსი ქვესკნელში, ასევე ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ა ის განმსაზღვრელი, რამაც მაცხოვარი, უკვე მთელი კაცობრიობის სახსნელად, ღვთაებრივი ნათელის სიკაშკაშიდან ჩამოიყვანა «კაცთა და დემონთა შორის» (ქრ. მორგენშტერნი)[XXX]. ეს იყო ვეებერთელა მსხვერპლი, განუმეორებელი, უცხო ყველა სხვა რელიგიათათვის, სიყვარულით გაღებული. და ეს ჩვენთვის

X Фаррар, Жизнь и труды св. отцов и учителей церкви, СПБ 1890, стр. 12.

XX „Нов. Энц. Словарь", т. XXIX, П. 1916, стр. 730.

XXX რამდენადაც ვიცი, დიდ მწერალთაგან მხოლოდ კალდერონის პოეტურმა გენიამ გააიგივა ორფეოსი ქრისტესთან თავის აუტოში «El divino Orfeo».

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარც უნდა იყოს გასაკვირი იოანე მახარობლის სიტყვების შემდეგ, რომელიც გვაუწყებს, რომ ღმერთი თავად სიყვარულია.

«რომელსა არა უყუარდეს, მან არა იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს. ამით გამოცხადნა სიყუარული ღმრთისაჲ ჩუენ შორის, რამეთუ ძე თჳსი მხოლოდ შობილი მოავლინა ღმერთმან სოფლად, რაჲთა ვცხოვნდეთ მის მიერ. და ესე არს სიყუარული, არა რამეთუ ჩუენ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ რამეთუ მან ჩუენ შემიყუარნა და მოავლინა ძე თჳსი მღხინებელად ცოდვათა ჩუენთა. საყუარელნო, უკუეთუ ღმერთმან ესრეთ შემიყუარნა, ჩუენცა თანა-გუაც ურთიერთას სიყუარული. ღმერთი არასადა ვის უხილავს. უკუეთუ ვიყუარებოდით ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგიეს და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ არს. ამით უწყით, რამეთუ მის თანა ვჰგიეთ და იგი ჩუენ შორის, რამეთუ სულისა მისისაგან მომცა ჩუენ. და ჩუენ ვიხილეთ და ვწამებთ, რამეთუ მამამან მოავლინა ძე მაცხოვრად სოფლისა ... და ჩუენ ვცანთ და გურწმენა სიყვარული, რომელი აქუს ღმერთსა ჩუენდა მომართ. ღმერთი სიყუარული არს და რომელი ეგოს სიყუარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰგიეს და იგი ღმრთისა თანა» (I იოანე 4,8-14,16).

სიყვარულია ის ძალა, რომელიც სიკვდილს გადალახავს და ქვესკნელის შიშს უკუაგდებს: «შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე განდევნის შიში» (I იოანე,4,18). იესო ქრისტე ღვთის სიყუარულის მაუწყებელია კაცთადმი და ამავე დროს იგი საუკუნო ს ი ც ო ც ხ ლ ი ს მაუწყებელიცაა, მ ა ც ხ ო ვ ა რ ი ა. «რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ» (იოანე 3,16).

ძნელია სხვაგან მოიძებნოს ისეთი განდიდება სიყვარულისა, რომელიც საუკუნო ცხოვრების საწინდარია, როგორც ეს ქრისტიანობაშია.

«ენათა-ღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ჴმობედ. და მაქუნდეს ღათუ წინასწარმეტყველებაჲ და უწყოდი ყოველი საიდუმლოჲ და ყოველი მეცნიერებაჲ, მაქუნდეს ღათუ ყოველივე სარწმუნოებაჲ ვიდრე მთათაცა ცვალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაჲ ვარ. და შე-ღათუ-ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე პორცნი ჩემნი დასაწუველად და სიყუარული არა მაქუნდეს, არარაჲვე სარგებელ არს ჩემდა. სიყუარული სულ-გრძელ არს და ტკბილ; სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა მაღლოინ, არა განლაღნის, არა სარცხჳნელ იქმნის, არა ეძიებნ თავისასა, არა განრისხნის, არად შეჰრაცხის ბოროტი, არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა. ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ. სიყუარული არასადა დავარდების, გინათუ წინასწარმეტყველებანი განქარდენ, ანუ თუ ენანი და-ვე-სცხრენ, გინათუ მეცნიერებანი განქარდენ ... ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს» (I კორინთელთა მიმართ I3,I-8, I3).

ჩვენში უჩუმრად ღვივის რწმენა უკვდავებისა, რის გამოც ასე ვეგუებით ს ა ყ ვ ა რ ე ლ არსებათა სიკვდილს . ამ რწმენის გარეშე სიცოცხლე დაკარგავდა ყოველგვარ ზნეობრივ ფასეულობას.

X X

X

პიროვნული უკვდავების იდეა მჭიდროდაა დაკავშირებული სულის უკვდავების იდეასთან. დღევანდელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში როგორც სულის უკვდავების იდეა, ისე თვითონ სულის ცნებაც საკმაოდ მიჩქმალულია და ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ «სულის» ადგილი ადამიანთა ცნობიერებაში დაიკავა ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოდან ზერელედ ამოკითხულმა «ფსიქიკურმა პროცესებმა», ცნებამ, რომელსაც სავსებით კანონიერი ადგილი უჭირავს ექსპერიმენტულ ფსიქოლოგიაში და რომელიც გულისხმობს, რომ ექსპერიმენტის საგანი შეიძლება გახდეს სულიერი პროცესი და მისი სხეულებრივი გარეგამოვლენა, მაგრამ არა სული, რომლის გაზომვა და გამოთვლა საერთოდ შეუძლებელია.

ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის აღმოცენებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. დაგროვილ იქნა უამრავი ფაქტი, გამოვლინდა სულიერი ცხოვრების უამრავი თავისებურება, მიკვლეულ იქნა ამ ცხოვრების ერთგვარი მართვის გზებიც კი და ამას ხშირად იმას უმადლოდნენ, რომ ფსიქოლოგიამ თავიდან მოიშორა «სულის» არამეცნიერული და მეტაფიზიკური ცნება. ასე იქცა ფსიქოლოგია, მეცნიერება «სულის შესახებ», ფრ.ა.ლანგეს (0828-1875) ცნობილი გამოთქმით, «უსულო ფსიქოლოგიად» («Psychologie ohne Seele»).

ახლა ისმის კითხვა, თუ რამდენად სამართლიანია ასეთი მიდგომა სულის მიმართ?რამდენად «მეცნიერულია» იგი? ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1872 წ., ქ.ლაიფციგში, ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრების წინაშე, თავის სიტყვაში «ბუნების შემეცნების საზღვართა შესახებ», სახელგანთქმულმა გერმანელმა ფიზიოლოგმა ემილ დიუბუა-რეიმონმა ზღვარი დაუდო ადამიანის შემეცნების

უნარს ორ უმთავრეს საკითხში: რა არის ცნობიერება?რას წარმოადგენს მატერიის არსი? მან თავისი გამოსვლა დაამთავრა ლათინური სიტყვით *Ignorabimus!* ე.ი. ჩვენ არა მარტო ახლა არ გვესმის აღნიშნული საიდუმლოებანი, არამედ მათ ვერც ვერასოდეს გავიგებთ *Ignoramus et ignorabimus!* დიუბუა-რეიმონის ამ სიტყვამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია მაშინ. მატერიალიზმის მოდით გამსჭვალულ წრეებში მას ფანატიზმი და ობსკურანტიზმიც დასწამეს, მაგრამ ამას არ დაუშლია იმისათვის, რომ დიუბუა-რეიმონის დასკვნა დღესაც ურყევ ჭეშმარიტებად დარჩენილიყო[X]. განვიხილოთ მოკლედ დიუბუა-რეიმონის მოსაზრებანი ცნობიერების შესახებ[XX]. წარმოვიდგინოთ, ამბობს დიუბუა, რომ ჩვენ გაგვაჩნია აბსოლუტური ცოდნა თავის ტვინის შესახებ, რომ ჩვენ ვიცით მისი მატერიის უმცირესი ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება და მათი განლაგება; რომ ჩვენ შეგვიძლია მათი მოძრაობის დაყვანა მათემატიკურ ფორმულამდე და ჩვენი ცოდნა ისევე ზუსტია მის მიმართ, როგორც ასტრონომისა პლანეტების სისტემათა მიმართ. ასეთი ცოდნა ფიზიოლოგიური პროცესებისა ნერვებსა და ტვინში იქნებოდა უდიდესი მეცნიერული მონაპოვარი, მეცნიერების ტრიუმფი, მაგრამ თვით ასეთი ცოდნაც უმწეო აღმოჩნდებოდა იმ საკითხის წინაშე, თუ როგორ გარდაიქმნება ნერვული პროცესი ჩვენში შეგრძნებად? რა გარდაქმნის გარკვეულ ფიზიოლოგიურ პროცესს, ტვინში და ნერვებში ატომთა გადანაცვლებას,- სიამოვნებისა და ტკივილის შეგრძნებად? უარყოფდა რა ცნობიერების ამ ელემენტარული ფაქტების შემეცნების შესაძლებლობას, დიუბუა-

---

X E. Du Bois Reymond, Ueber die Grenzen des Naturerkennens, 3 Aufl.
ამ საკითხის ირგვლივ არსებობს ზღვა ლიტერატურა, იხ. მათგან მაგ. Ф.А.Ланге, История материализма, Т.2.Киев 1900, стр.87-105 B.Bavink, Ergebnisse u. Probl. der Naturwiss., 1949 s.280 u.f.; E.Schrödinger, Meine Weltansicht, Hamburg 1963, s.79 u.f.f. etc.

XX რაც შეეხება დიუბუას მიერ წამოჭრილ მეორე საკითხს, თუ რას წარმოადგენს მატერიის არსი, იხ. ამაზე ჩვენი შრომა „რწმენის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეიმონი მით უფრო შეუძლებლად თვლიდა ფსიქიკის უმაღლესი პროცესების -აზროვნების, მეხსიერების, წარმოსახვის და ა.შ. ტვინისა და ნერვების მექანიზმიდან გაგებას[X]. ეს საკითხი, დიუბუას თქმით, ტრანსცენდენტურია, ე.ი. აღემატება გონების უნარს საერთოდ და მას ვერასოდეს შევიმეცნებთ. ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, თუ რად იწვევს ტვინში და ნერვებში მიმდინარე პროცესები მათგან თვისობრივად მთლიანად განსხვავებულ შეგრძნებებს. აქ ჩვენ ვდგავართ ფსიქოფიზიკური პრობლემის წინაშე - სულიერი პროცესების სრული შეუდარებლობა ფიზიოლოგიურთან.

დიუბუა-რეიმონის სიტყვის სენსაციურობა გასაგები იყო იმ დროს, რადგან მის გამოსვლამდე, გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში, თუ არ ჩავთვლით შოპენჰაუერის ფილოსოფიას, მომძლავრებული იყო ე.წ. «ვულგარული მატერიალიზმი» ფოგტის, ბიუხნერისა და მო-

F/13904

წანამძღვრები».ნაწ.I -«ქრისტიანობა და ბუნების მეცნიერება» (საღვთისმეტყველო კრებული №2, თბ., 1985წ.)

X არსებითად დიუბუა-რეიმონის აზრები ახალს არაფერს შეიცავდნენ, რაც ცნობილი არ იყო უკვე ფილოსოფიაში. ჯერ კიდევ დიდი ლაიბნიცი აღნიშნავდა: «თუ ჩვენ წარმოვისახავთ ისეთ მანქანას, რომლის შენობა იწვევს აზროვნებას, გრძნობას, პერცეპციათა ქონებას, ჩვენ შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ ეს მანქანა იმავე პროპორციის შენარჩუნებით გაედიდებინათ ისე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო შიგ შესვლა, როგორც წისქვილში. ეს რომ დაშვებული იქნეს, ჩვენ, როდესაც შევიდოდით ასეთ მანქანაში, ვიპოვიდით შიგ მხოლოდ მანქანის ნაწილებს, რომლებიც ერთიმეორეს ბიძგს აძლევენ და ვერასოდეს ვერ ვიპოვიდით იმას, რითაც შეიძლებოდა პერცეპცია აგვეხსნა». (იხ. ლაიბნიცი, მონადოლოგია, §17, თარგმ. ს. დანელიასი, თბილისი, 1940, გვ. 25-26).

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეშოტის სახით. კულმინაცია ამ შეხედულებისა გამოიხატა კარლ ფოგტის სიტყვებში, რომელმაც ფსიქიკური მხარე მატერიალურ-ნივთიერთან გააიგივა და განაცხადა, რომ ტვინი იმდაგვარივე წესით წარმოშობს აზრებს, მისწრაფებებსა და გრძნობებს, როგორადაც თირკმელი გამოყოფს შარდს[X]! ცხადია, ამაზე უკვე მაშინ ღრმააზროვანმა ლ ო ტ ც ე მ აუღელვებლად გასცა მას პასუხი: თუკი სულიერი ისეთი რამაა, რაც ტვინისაგან გ ა მ ო ი ყ ო ფ ა, მაშინ აშკარაა, იგი იქნებოდა ჯერ კიდევ იქ, სანამ გამოიყოფოდა. თუკი იგი იქ უკვე ფსიქიკური ბუნებისა იყო, მაშინ იგი მხოლოდ გამოყოფით ვერ წარმოიშობოდა, ხოლო თუ იგი ფიზიკური ბუნებისა გახლდათ, მაშინ გაუგებარია, როგორ იქცა იგი გამოყოფის პროცესით ფსიქიკური.[XX]

მაგრამ ფსიქიკური ბუნების ახსნაში, ცნობიერების არსებობასა და მის აღმოცენებასთან დაკავშირებით, ვერც ის მოსაზრება აღწევს მიზანს, რომლის მიხედვითაც «რაოდენობრიობა თვისობრიობაში» გადადის, ე.წ. «დიალექტიკური ნახტომით». მაგ. წყლის გაცხელება 100^0-ზე იწვევს მის ორთქლად გადაქცევას და ამგვარად, მატერიალურ სიდიდეთა გარკვეული მატებითა და კომპლიკაციით, თითქოსდა ნახტომისებურად აღმოცენდება ახალი თვისობრიობა.

ეს მოსაზრება, რომელიც ამ მაგალითის მიხედვით მატერიის

X K. Vogt, Physiolog. Briefe für Gebildete aller Stände. Gieben 1847, s. 204. Kählerglaube u. Wissenschaft, 3. Aufl. s. 32

XX R. H. Lotze, Medizinische Psychologie, Leipzig 1852, s. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარების დროს უეცრად აღმოცენებულ «სიცოცხლისა» და «ცნობიერების» თვისობრიობას განმარტავს როგორც «რაოდენობრივობიდან თვისობრიობაში გადასვლას», შეცდომას ემყარება. ამ მოსაზრებათა შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ რაოდენობრივი და თვისობრივი დაკვირვების არე ერთმანეთში ირევა. წყლის დუღილის დროს რაოდენობრივის მხრიდან არავითარ შემთხვევაში არ ხდება ნახტომი ახალი თვისობრიობისაკენ, არამედ ხდება მხოლოდ სხვანაირი რაოდენობრივი განაწილება ნაწილაკთა: მათი სიმკვრივე სივრცეში იცვლება. მაგრამ თვისობრიობის მხრიდან კი, კერძოდ, ცნობიერების მხრიდან რომელიც ამ პროცესს აღიქვამს, ეს სახეცვლილი სიმკვრივე ჩანს როგორც ორთქლი. ადრე უფრო დიდი სიმკვრივე ჩანდა როგორც სითხე. «თვისობრიობა», გრძნობადი მოვლენის სახე, რომლითაც ჩვენი ცნობიერება წყლის მდგომარეობას განიცდის, არის თუმცა ამ მდგომარეობით ნაკარნახევი, მაგრამ საბოლოო ჯამში იგი თვით ცნობიერების პროდუქტს წარმოადგენს. ცნობიერება არის, მაშასადამე, წინაპირობა, რომლის შემწეობითაც მატერიის სხვადასხვა რაოდენობრივი მდგომარეობა სხვადასხვა თვისობრივი მოვლენის სახეს ღებულობს. ამიტომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ თ ვ ი თ რაოდენობრივი მდგომარეობანი თვისობრივში გადადიან: რაოდენობრივობა იქცევა სხვა რაოდენობრივობად ობიექტში, თვისობრივობა იქცევა სხვა თვისობრივობად სუბიექტში. მაშასადამე, ცნობიერების აღმოცენება როგორც «ახალი თვისობრიობისა» ამით და მსგავსი მაგალითებით არ აიხსნება. აქ ჩვენ საქმე გვაქვს აზრობრივ შეცდომასთან *petitio principii*, რომლის დროსაც ამხსნელი დებულება, რასაც არგუმენტი ემყარება, თვით თხოულობს ახსნას»[X].

[X] *A. Neuhäusler, Grundbegriffe der philosopischen Sprache, München 1963, S. 130-131*

არსებობსაგრეთვე სხვა მოსაზრება, რომელსაც ფსიქიკური სურს ახსნას როგორც მდგომარეობა, რომელშიაც აღმოჩნდება ხოლმე მატერია დროდადრო. მაგრამ ასეთი ახსნა სულიერს ჩააყენებდა ისეთ მოვლენათა რიგში, როგორიცაა სითბო, ელექტრობა, მოძრაობა, რომელნიც მატერიას არა ყოველთვის, არამედ გარკვეულ პირობებში ახასიათებს. მაგრამ ამის საპასუხოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მოვლენები ისევ და ისევ მატერიის მოვლენებია, ასე რომ ფსიქიკურსა და მათ შორის ვერავითარი ანალოგია ვერ გაივლება. მითუმეტეს წარმოუდგენელი იქნება, აზროვნებას მოძრაობა ვუწოდოთ, რადგან მოძრაობა ისევ და ისევ მატერიის განსაზღვრულობაა. «აზროვნება არის მოძრაობა» – ეს იგივეა, რომ ვთქვათ «ხის რკინა», რაც აშკარა Contradictio in adjecto-ს წარმოადგენს[X].

ეს ფაქტი – სრული სხვაობა ფსიქიკურ, სულიერ ბუნებასა და მატერიას შორის, მათი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი თ ვ ი ს ო ბ რ ი ვ ი განსხვავება, სავსებით უგულებელყოფილია ევოლუციის თეორიაში. სწორედ სულიერის თვისობრივი სხვაობაა მატერიისაგან, რაც განაპირობებს მის ევოლუციისაგან დამოუკიდებლობას. თანამედროვე ბუნებისმეტყველის სიტყვებით თუ ვიტყვით, ეს გარემოება ჯეროვნად «არ ფასდება, როდესაც ადამიანს, როგორც მთლიანობას, ბუნებისმეტყველება განვითარების საფეხურზე აყენებს[XX].

ამ წინააღმდეგობებსა და ჩავარდნებს ითვალისწინებს დღევანდელი ფილოსოფიური აზრი. «ფიზიკალიზმი» ორ პრობლემასთან დაკავშირებით აწყდება გადაულახავ წინააღმდეგობებს: პირველი არის პრობლემა ორგანული სიცოცხლისა, ეგრეთწოდებული აპორია ვი-

---

X L. Busse, Geist und Körper, Seele und Leib, Leipzig 1903, s. 26.

XX M. Grison, Geheimnis der Schöpfung, München 1960, s. 166-167.

ტალიზმისა და მექანიციზმისა. მეორე პრობლემა, რასაც ვერ წყვეტს ფიზიკალიზმი ესაა ადამიანი, და აქ მისი უმწეობა თავს იჩენს ორ საკითხში: პირველ ყოვლისა, ცნობიერების მიმართ, რომელიც ფიზიკალურად არასოდეს აიხსნება; მეორე რიგში, თავისუფლებაა ის გადაულახავი ჯებირი, რომელსაც ვერასოდეს ახსნის ფიზიკალური კვლევა[X]. ამგვარად, ჩვენი საუკუნის ბუნების ფილოსოფოს ბავინკთან ერთად შეგვიძლია დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ «დუალიზმი მატერიასა და სულიერ ცხოვრებას შორის დღესაც ისევე გადაულახავია, როგორც წინათ[XX].

როცა ვლაპარაკობთ ფსიქო-ფიზიკურ დუალიზმზე, ჩვენ არ გვავიწყდება ის ფაქტები, რომლებიც დადგენილია მედიცინური კვლევის შედეგად, პირველ ყოვლისა ფიზიოლოგიის, ფსიქიატრიისა და ფარმაკოლოგიის მონაცემები. დადგენილია, რომ I. როდესაც ტვინი სხვადასხვა მიზეზის გამო არ ფუნქციონირებს, მაშინ ყოველგვარი ცნობიერი ფსიქიკური ხდომილებაც წყდება; 2. გარკვეული ფსიქიკური უნარები (მხედველობა, სმენა და სხვა) ტვინის გარკვეულ სფეროებთან არიან დაკავშირებულნი; 3. ფსიქიკური განვითარება ძირითადად შეესაბამება ტვინის განვითარებას. ვიმეორებთ, ყოველივე ეს საკმაოდ ცნობილი ფაქტებია, მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ ფსიქო-ფიზიკურ დუალიზმზე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სული იყენებს სხეულს

X Hans-Dieter Klein, Vernunft und Wirklichkeit, Bd. 1, München 1973, s. 14. სიტყვა «ფიზიკალიზმი», ავტორის გამოთქმით ე.წ. «მეტაფიზიკური ფიზიკალიზმი», აქ იხმარება მატერიალიზმის მნიშვნელობით.

XX B. Bavink, Ergebnisse und Probleme der Naturwissenschaft 1949, s. 284.

როგორც ი ნ ს ტ რ უ მ ე ნ ტ ს, და რაც უფრო სრულყოფილია ეს უკანასკნელი, მით უფრო სრულყოფილად მუღავნდება პირველი. თუმცა აქვე აღიძვრის პრობლემა: ფსიქიკურისა და ფიზიკურის თვისობრივი განსხვავებისას, როდესაც ფსიქიკური აბსოლუტურად ვერ დაიყვანება მატერიალურ ფაქტორზე, ფიზიკურ სხეულზე, როგორ ძალუძს მას ზ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ამ უკანასკნელზე? მაგრამ იმასაც რომ თავი დავანებოთ, რომ ტვინის ყველა პროცესს თან არ ახლავს ცნობიერება[X], ერთი რამ მაინც უდავოა: ს ხ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი და ფ ს ი ქ ი კ უ რ ი პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ უ ლ ნ ი ა რ ი ა ნ. მატერიალურის სფეროში ვერსად ვპოვებთ იმას, რაც ფსიქიკურთან ოდნავ მსგავსებას მაინც გამოამჟღავნებდა: ატომებსა და მოლეკულებს ტვინში შეუძლიათ ურთულესი მოძრაობანი შეასრულონ, მაგრამ არასოდეს მოხდება, რომ ატომს უხაროდეს ან მოლეკულა დამწუხრებული იყოს. არავითარი მატერია არ აზროვნებს და სურვილით არაა შეპყრობილი, იგი არაფერს არ გრძნობს და არ გააჩნია მეხსიერება. მკითხველის ტვინი კი არ კითხულობს ამ სტრიქონებს და აღიქვამს დაწერილი სიტყვების აზრს, არამედ მკითხველი, როგორც მთლიანი ცოცხალი ადამიანი; არა მისი განგლიის უჯრედები არიან დარწმუნებულნი ამა თუ იმ აზრის სისწორეში, არამედ თვით იგი. არსად მატერიაში არ მოიპოვება ისეთი მოვლენები ჩვენში რომ ვპოულობთ, , როგორც ფსიქიკურ ხდომილებას, ანუ, , როგორც ცნობიერ განცდას. საიდან ვიცით ჩვენი მატერიალური მხარის, ჩვენი სხეულის შესახებ? მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიკურ ხდომილებათაგან, კერძოდ, ჩვენი აღქმებისაგან: ჩვენ ვხედავთ სხეულს, ჩვენ შეგვიძლია მას ხელი მოვავლოთ და შევიგრძნოთ,

---

X E. Schrödinger, Meine Weltansicht, Hamburg 1963, S. 68.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იგი ან რბილია და ან მაგარი, თბილი ან ცივი. ეს ძალაშია არა მარტო ჩვენს ირგვლივ მყოფ სხეულთა მიმართ, არამედ თვით ჩვენი საკუთარი სხეულის მიმართ – ჩვენი ფეხები და ხელები, ჩვენი გამოსახულება სარკეში აღმოცენდება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ფსიქიკური პროცესების შედეგად, ჩვენი მხედველობით, შეხებისა და შეგრძნების გზით. და თვითონ ადამიანის ტვინის შესწავლაც , ისევ და ისევ ფსიქიკური პროცესის მეშვეობით ხორციელდება. თვით საკუთარი ტვინის აღქმა (რენტგენის სურათის მეშვეობით) ასევე ფსიქიკურ პროცესს წარმოადგენს. როდესაც ვაკვირდებით ჩვენი აღქმის ორგანოებს, ურთულეს ნერვულ წნულებსა და უჯრედთა სისტემებს, ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: საიდან ვიცით, რომ ჩვენს გარეთ მყოფი საგნები მართლაც ისეთები არიან, როგორადაც ჩვენ მათ ვხედავთ? სინამდვილეში განა მათ არ შეუძლიათ სულ სხვაგვარად ყოფნა და განა არ შეიძლება, რომ ისინი ჩვენ გვევლინებოდნენ ასეთად მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ მათ აღვიქვამთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გრძნობათა ორგანოების ორგანიზაციის წყალობით? საკსებით შესაძლებელია, რომ ჩვენგან დამოუკიდებელი სინამდვილე სულ სხვაგვარადაა მოწყობილი, ვიდრე ამას ჩვენ ჩვენი გრძნობათა ორგანოებით აღვიქვამთ. მაგრამ მაშინ შესაძლებელია დავსვათ კითხვა, რომ ის, რასაც ჩვენ «მატერიას» ვუწოდებთ, ნამდვილად მატერიაა თუ არა? აქედან კი ერთი ნაბიჯია დაშვებამდე: რაც ჩვენ «მატერიად» გვევლინება, არის მხოლოდ მ ო ვ ლ ე ნ ა და სახელდობრ რაღაც სულიერის, არამატერიალურის მოვლენა, რის შესახებაც ჩვენ უშუალოდ ჩვენი შინაგანი გამოცდილებიდან მტკიცე ცოდნა გაგვაჩნია. რამდენადაც ცხადია, რომ ჩვენ ვგრძნობთ, გვსურს და ვაზროვნებთ, ე.ი. რამდენადაც ცხადია ჩვენი ფსიქიკური მხარე ჩვენთვის, ამდენადვე გაურკვეველია, სწორედ ისეთია თუ არა ჩვენი სხეული, როგორადაც ჩვენ მას ვხედავთ და შე-

ვიგრძნობთ? შესაძლებელია, იგი წარმოადგენს მხოლოდ ჩვენი გრძნობათა ორგანოებ-ით განპირობებულ მოვლენას ჩვენი მშვინვიერ-სულიერი არსებისას. ამ პრობლემის წამოყენებით ჩვენ შევედით შემეცნების თეორიის (გნოსეოლოგიის) სფეროში[X].

რაც ამ სფეროში მატერიალიზმს უპირისპირდება, არის ფუნდამენტალური პრინციპი ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს ა: მატერია ჩვენთვის არსებობს მხოლოდ როგორც ჩვენი ცნობიერების შინაარსი, იგი ჩვენი ცნობიერებისათვის მოცემულია მხოლოდ როგორც მოვლენა, მაშასადამე, იგი წინასწარვე ვარაუდობს ცნობიერების არსებობას. აქ სწორედ კანტის ფილოსოფია, მისი ტრანსცენდენტალური იდეალიზმი «ქმნის იმ კლდეს, რომელზედაც იმსხვრევა მატერიალიზმის ტალღები»[XX]. სწორედ კანტზე დაყრდნობით ახორციელებს შოპენჰაუერი მატერიალიზმის ცნობილ კრიტიკას, რომლიდანაც ჩვენ, მისი რელიეფურობის გამო, რამდენიმე ციტატას მოვიყვანთ. შოპენჰაუერი წარმოგვიდგენს დიალოგს მატერიასა და სუბიექტს (სულს) შორის. მატერია აცხადებს: «მე ვარსებობ და ჩემს იქით არაფერი არ არის, რადგან სამყარო ჩემი წარმავალი ფორმაა. შენ (აქ მატერია მიმართავს სუბიექტ- სულს ანუ ცნობიერებას. ვ. რ.) ამ ფორმის ნაწილის მხოლოდ შედეგი ხარ და სავსებით შემთხვევითი». ამაზე სუბიექტი პასუხობს: «უჩემოდ არც შენ და არც შენი ფორმა არ იქნებოდა»: თქვენ ჩემითა ხართ განპირობებული ... თ ქ ვ ე ნ ა რ ს ე ბ ო ბ თ - ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თქვენ - ჩემი წარმოდგენა ხართ. ჩემი წარმოდგენა არის თქვენი არსებობის ადგილსამყოფელი[XXX]». სხვა ადგილას შოპენჰაუერი ამბობს, რომ მატერიალიზ-

---

X H. Rohracher, Einführung in die Psychologie, Wien 1958, s. 16-17.
XX L. Busse, Geist und Körper, Seele und Leib, Leipzig 1903, s. 15.
XXX Arthur Schopenhauer, Die Welt als Wille und Vorstellung, zweiter Band, Leipzig 1892, s. 26.

მი «ცდილობს აღმოაჩინოს პირველადი, უბრალო მდგომარეობა მატერიისა და შემდგომ მისგან განავითაროს ყველა დანარჩენი აღმავალი გზით უბრალო მექანიზმიდან ქიმიზმისაკენ, პოლარულობისაკენ, ვეგეტაციურობისაკენ, ანიმალურობისაკენ: თუ დავუშვებთ, რომ ეს გამოვიდა, მაშინ ჯაჭვის ბოლო რგოლი იქნებოდა ცხოველური მგრძნობელობა, შ ე მ ე ც ნ ე ბ ა, რომელიც ამგვარად იქნებოდა მხოლოდ სახეცვლილება მატერიისა, კაუზალობით გამოწვეული მატერიის მდგომარეობა. თუ ამდაგვარად გავყვებოდით ჩვენ მატერიალიზმის მსჯელობას, მაშინ მივაღწევდით რა მის საბოლოო წერტილს, უეცრად ვიგრძნობდით ოლიმპიური სიცილის დაუოკებელ მოძალებას, აღმოვაჩენდით რა თითქოს ძილისაგან გამოფხიზლებულნი, რომ მატერიალიზმის მიერ ასე ძნელად მოპოვებული რეზულტატი შ ე მ ე ც ნ ე ბ ა, უკვე ნავარაუდევი იყო, როგორც აუცილებელი პირობა სულ თავდაპირველ ამოსავალ წერტილში უბრალო მატერიასთან. და თუმცა ჩვენ მასთან ერთად წარმოგვედგინა, რომ ვიაზრებდით მატერიას, მაგრამ სინამდვილეში ვგულისხმობდით სხვას არაფერს, თუ არა მატერიის წარმომდგენ სუბიექტს, თვალს, რომელიც მას ხედავს, ხელს, რომელიც მას შეიგრძნობს, განსჯას, რომელიც მას შეიმეცნებს. ამგვარად, მოულოდნელად გადაიხსნებოდა ვეებერთელა *petitio principii*: რადგან უკანასკნელი რგოლი უეცრად აღმოჩნდებოდა იმ საყრდენ წერტილად, რომელზედაც უკვე დაკიდებული იყო პირველი, და ამგვარად, ჯაჭვი გადაიქცეოდა წრედ; და მატერიალისტი დაემსგავსებოდა ბარონ მიუნჰაუზენს, რომელიც ცხენზე ამხედრებული მიცურავს რა წყალში, ცხენს ფეხებს მოუჭერს, საკუთარ წინგადმოგდებულ ნაწნავს ხელს ჩასჭიდებს და ასწევს თავისთავს ცხენიანად ზევით»[X].

[X] *ibidem*, Bd. I, s. 62.

ამით შოპენჰაუერს იმის თქმა სურს, რომ როგორც კი მატერიალისტი აღიარებს მატერიის არსებობასა და მის პირველადობას, იქვე იგი ძალაუნებურად უშვებს ს უ ლ ი ს არსებობასაც, ურომლისოდაც ვერ იარსებებს მატერია, რადგან ეს უკანასკნელი მხოლოდ სუბიექტის წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა შ ი ა და ამით მის არსებობასაც განაპირობებს.

იდეალიზმის ზემოთმოყვანილი მსჯელობა, რითაც იგი მატერიალიზმს უპირისპირდება, არაა ერთადერთი გზა ამ უკანასკნელის უარსაყოფად. თანაც იგი ჩვეულებრივ მკითხველს ნაკლებად არწმუნებს, რადგან მისი გაგებისა და გამოყენებისათვის მოითხოვება საკმაო ფილოსოფიური დონე და გნოსეოლოგიური განსჯის უნარი. როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ[X], ზემოთმოყვანილი არგუმენტები ჩვეულებრივ მკითხველს და აგრეთვე იმ ბუნებისმეტყველს, რომელიც არაა მიჩვეული ფილოსოფიურ აზროვნებას, მხოლოდ მცირე ხნით აფიქრებენ ან აჯერებენ. არ ძალუძს რა ზემოთმოყვანილი არგუმენტები ლოგიკურად უკუაგდოს, შეშფოთებული მათი პარადოქსულობით, ასეთი მკითხველი გაოცებული კითხულობს: როგორ, განა შეიძლება, პალეონტოლოგიური, გეოლოგიური და ასტრონომიული კვლევა-ძიება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ? როგორ შეიძლება, სამყარო მხოლოდ ჩემი წარმოდგენა იყოს? რა თქმა უნდა, ასეთი და მსგავსი შეპასუხებანი კრიტიკას ვერ უძლებენ და იდეალისტურ ფილოსოფიას გააჩნია საშუალებანი, რომ ასეთ დასმულ კითხვებს სრულყოფილად უპასუხოს და ეს ორი დაპირისპირებულობა (ჩემს გარეთ არსებული სამყარო და სამყარო - ჩემი წარმოდგენა) გააერთიანოს, მაგრამ საამისოდ, როგორც აღვნიშნეთ, მოითხოვება საკმაოდ რთული მსჯელობა, რაც ერთგვარი სისუს-

---

X Fr. Paulsen, Einleitung in die Philosophie, 1907, s.79; L. Busse, Geist u. Körper, Seele u. Leib, Leipzig 1903, s. 18.

ტეა ამგვარი არგუმენტისა[X]. ამიტომ, დროებით თავი დავანებოთ შემეცნების თეორიას და ისევ დავუბრუნდეთ მეტაფიზიკურ-ფსიქოლოგიურ

X L. Busse, გვ. 19-20; ჯერ კიდევ 1829 წელს გოეთეს ისე ბუნებრივად ეჩვენებოდა მატერიალიზმისა და ათეიზმის სრული უსაფუძვლობა, რომ როდესაც ეკერმანმა ამცნო მას ჰეგელის ლექციების შესახებ ღვთის არსებობის მტკიცებებზე, მან ჩათვალა, რომ ასეთი ლექციები «არათანადროულია», რადგან «ეჭვის პერიოდმა ჩაიარა. ახლანდელ დროში ისევე ნაკლებად ეპარებათ ეჭვი საკუთარ არსებობაში, როგორც ღვთის არსებობაში». - იხ. J. P. Eckermann, Gespräche mit Goethe, Leipzig 1868, s. 336 ; მაგრამ, როგორც ჩვენი აწმყო გვიმტკიცებს, მატერიალიზმი არათუ არ გამქრალა, არამედ შეტევაზეცაა გადმოსული. მატერიალიზმის წარუვალობის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევენ იმას, რომ იგი, როგორც კვლევის პრინციპი, აუცილებელია ბუნებისმეცნიერებისათვის; ხოლო მატერიალისტური კვლევის პრინციპი უკვე ლატენტურად შეიცავს მატერიალისტურ მსოფლმხედველობასაც. (იხ. L. Busse, დასახ. ნაშრომი, გვ. 60-61); მაგრამ უკვე ბოლოდროინდელი ბუნებისმეცნიერება (მისი დიდი წარმომადგენლები: ჰაიზენბერგი, შრედინგერი, ჯორდანი და სხვები) თავისი დასკვნებით თეიზმის პოზიციებზე გადმოვიდა და ბ. ბავინკის თქმით «ბუნებისმეტყველება რელიგიისაკენ მიემართება». (იხ. ამ საკითხებზე ჩვენი შრომა «რწმენის წანამძღვრები»: ნაწ. I - «ქრისტიანობა და ბუნებისმეცნიერება», საღვთისმეტყველო კრებული №2, თბ., 1985 წ.). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ლოტცეს ის დაუვიწყარი სიტყვები, რომელიც მან მატერიალიზმის აბსურდულობის შესახებ განაცხადა: «ადამიანური სულის ყველა ცდომილებათაგან ის მეჩვენება ყველაზე უცნაურად, რომ მას შეეძლო იქამდის მისული-

გზას, რომელსაც ამ თავის დასაწყისში მივმართეთ. აქ ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელიც თავისთავად საკმარისია, რომ შეუძლებელი გახადოს ყოველგვარი მატერიალიზმი. საქმე ეხება ცნობიერების ერთიანობის ფაქტს. რა გვესმის ცნობიერების ერთიანობაში? „თუკი ჩვენ, მაგალითად, ერთმანეთს ვადარებთ ორ წარმოდგენას, A-სა და B-ს, მაშინ ცნობიერებაში ერთდროულად უნდა გვქონდეს მოცემული ორივე ეს წარმოდგენა. სხვაგვარად შედარება არ განხორციელდება. მაშასადამე, უნდა იყოს რაღაც ისეთი, რაც აერთიანებს ამ წარმოდგენებს ერთ მთლიანობაში. ეს რაღაც, ერთ მთლიანობაში გამაერთიანებელი, არის სული. შედარების პროცესის დროს ხომ საჭიროა, რომ ორივე წარმოდგენა ერთდროულად იაზრებოდეს, რომ ორივე ერთდროულად იმყოფებოდეს ჩვენს ცნობიერებაში. აი, ეს მაკომბინირებელი არის სწორედ ის, რასაც ფილოსოფოსები სულს უწოდებენ»[X]. ამგვარად, ცნობიერების ერთიანობა წარმოადგენს ჩვენი სულის დამახასიათებელ მიღწევას[XX], ჩვენი შინაგანი გამოცდილების დადგენილ ფაქტს. ახლა

ყო, რომ საკუთარი არსება, ერთადერთი, რომელსაც იგი უშუალოდ განიცდის, ეჭვქვეშ დაეყენებინა, ანდა იგი, როგორც ქმნილება, გარეგუნების საჩუქრად ჩაეთვალა, მაშინ, როცა ჩვენ მას მხოლოდ მეორე ხელიდან მხოლოდ იმ სულის შუამავალი ცოდნით ვიცნობთ, რომელსაც ჩვენ უარვყოფდით». (იხ. მისი Mikrokosmos Bd. I, 3 Aufl., S. 296).

X Г. Челпанов, Мозг и душа, Москва 1918, стр. 302-303.

XX სწორედ რომ მიღწევას, რადგან სული არა ყოველთვის და არა ერთნაირ ხარისხში ახორციელებს მას. მაგ. ქვეცნობიერი ფსიქიკური პროცესების დროს სულს აკლია ცნობიერებასთან ერთად, ცხადია, მისი ერთიანობის ნიშანიც (თუმცა ზოგიერთი ფსიქოლოგი, იხ. მაგ., Rohracher, დასახ. ნაშრომი, გვ. 6, ქვეცნობიერს ჰ ი პ ო -

ახლა საკითხავია, თუ ჩვენი ტვინის რომელ ნაწილთა ურთიერთქმედების შედეგადაა აღმოცენებული ცნობიერების ერთიანობა? უკვე ასეთი კითხვაც აბსურდული გვეჩვენება და მასზე მართლაც რომ შეუძლებელია პასუხის გაცემა. ჩვენი ცნობიერების ერთიანობა წარმოადგენს სწორედ იმ სპეციფიკურ თავისებურებას, რითაც ჩვენი სულიერი არსება ასე მკვეთრად განსხვავდება ყოველი სხეულებრივისაგან, ნივთიერისაგან. ასე რომ, შეუძლებელია იგი აღმოცენდეს მატერიის ნებისმიერი კომბინირების შედეგად. ჰერმან ლოტცე, ღრმააზროვანი ფილოსოფოსი, ბრწყინვალედ ავითარებს ზემოთმოყვანილ აზრებს ცნობიერების ერთიანობის შესახებ თავის «მიკროკოსმოსში»[X]. ის ცნობიერების ერთიანობას უკავშირებს სულის სუბსტანციალობას და აღიარებს, რომ პირველის არსებობის ფაქტი უკვე აღმნიშვნელია სუბსტანციის არსებობის ფაქტისა. მისი აზრით, სუბსტანცია არის ის, რასაც შეუძლია მოქმედება, ძალუძს განიცადოს რაიმეს ზემოქმედება, განიცადოს სხვადასხვაგვარი მდგომარეობანი და მათ ცვალებადობაში შეინარჩუნოს ერთიანობა. ყოველივე ეს კი ესადაგება სულს. ლოტცეს განსაზღვრებით,სული არის ის,რითაც იგი ვლინდება:ერთიანობა, რომელიც ცოცხლობს გარკვეულ გრძნობებსა და მისწრაფებებში[XX].

ცნობიერების ერთიანობის ფაქტიდან შორს არაა «მე»-ს, პიროვნების იგივეობის ფაქტი. მართლაც, ვიხსენებ რა ჩემს ბავშვობას, მე მესმის, რომ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ბევრი რამ

თ ე ზ ა თ ა რიგში ათავსებს.

X H. Lotze, Medicinische Psychologie oder Psychologie der Seele 1852; System der Philosophie 1884, § 233. იხ. Челпанов, დასახ. ნაშრომი, გვ. 316.

XX H. Lotze, Mikrokosmos, Bd. I, 3 Aufl., s. 170 f.

შეიცვალა, გარდა ერთისა: ჩემი ამჟამინდელი «მე» ი გ ი ვ ე ა, რაც ჩემი წარსულის «მე», ჩემი ახლანდელი «პიროვნება» იდენტურია ჩემი წარსული «პიროვნებისა». ამიტომაა, რომ ჩვენ პასუხს ვაგებთ ჩვენი წარსული მოქმედებების გამო. ამგვარად, ჩვენი «მე» არის ის სუბიექტი, რასაც ჩვენ ჩვენი ცნობიერი სულიერი ცხოვრების მრავალგვაროვან და მრავალფეროვან შინაარსებს ვუკავშირებთ, სწორედ «მე» არის ის, რომელმაც უწყის ამ შინაარსების შესახებ და მათ ერთმანეთს უკავშირებს. ამიტომაა, რომ «მე»-ს განიხილავენ სულად, სულიერ სუბსტანციად. ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ ზემოხსენებული ფაქტები შეუძლებელს ხდიან სულიერი ავხსნათ როგორც მატერიალური პროცესებიდან მიღებული შედეგი. მაგრამ, ამავე დროს, ს უ ლ ი ე რ ი სუბსტანცია არ იგივდება ჩვენს სულიერ მდგომარეობებთან, ჩვენს გრძნობებთან, სურვილებთან, აზრებთან. იგი დგას მათ მიღმა და მათ ერთ მთლიანობად აკავშირებს.

დ.იუმიდან (1711-1776) მოყოლებული «მე»-ს ასეთ გაგებას ეწინააღმდეგება ის აზრი, რომელიც განიხილავს მას როგორც წარმოდგენათა და იდეათა ერთობლიობას, რომელიც «მე»-ს აიგივებს «წარმოდგენათა კონასთან», უარყოფს რა მათ მიღმა მყოფ ყოველგვარ სუბსტანციალობას. ასევე «მე»-სა და პიროვნების ერთიანობას ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რაც ფსიქიატრიაში ცნობილია «პიროვნების გაორების» სახელით. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, პიროვნების გაორებას, თვით სულის სუბსტანციალობის არმცნობი, ცნობილი ვ.ჯემსი ადასტურებს: «ამგვარ შემთხვევებში (საუბარია პიროვნების გაორებაზე, ვ.ტ.), როგორც ჩანს, «მე» რჩება უცვლელი: იცვლება მხოლოდ პიროვნება, სხვა სიტყვებით, პაციენტი აწმყოში მოიცავს მარტოდენ აზრით როგორც უწინდელ, ასევე ახლანდელ პიროვნებას, რამდენადაც

მას არ ღალატობს მეხსიერება»[X]. «მე»ს სუბსტანციალობის უარყოფასთან დაკავშირებით კი საკმარისია ვახსენოთ თვით იუმის მიმდევარი ინგლისური ფილოსოფიის კლასიკური ემპირიზმის გამგრძელებელი, გასული საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი ჯონ სტიუარტ მილი, რომელიც აცხადებდა, რომ შეუძლებელია სულის დაყვანა სულიერ მდგომარეობათა უბრალო ერთობლიობაზე, რომ სული არის რაღაც აუხსნელი, რომელიც ამ მდგომარეობათა მიღმა დგას. «როგორც ნივთიერებაა ს ა ი დ უ მ ლ ო რ ა ღ ა ც – ამბობს მილი – ასევე სული არის საიდუმლო რაღაც, რომელიც გრძნობს და ფიქრობს ... არსებობს რ ა ღ ა ც, რასაც მე ვუწოდებ ჩემს «მეს», ან, სხვა სიტყვებით, ჩემს სულს, და რასაც მე ვაღიარებ ამ შეგრძნებათა, აზრთა და სხვათაგან განსხვავებულად, რაღაც, რასაც მე ვაღიარებ არა აზრებად, არამედ ა რ ს ე ბ ა დ, რომელსაც გააჩნია ეს აზრები, და რომელიც შემიძლია წარმოვიდგინო მარად არსებულად მშვიდ მდგომარეობაში, ყოველგვარი აზრების გარეშე ... სული შეიძლება ვაღიაროთ ყველა გრძნობის შემგრძნებელ სუბიექტად, იმად, რასაც გააჩნია ეს გრძნობები და რაც მათ განიცდის». სხვა ადგილას მილი განაგრძობს: «თქვენ დაგყავთ «მე» ცნობიერების რიგ მდგომარეობებამდე, მაგრამ აუცილებელია, რომ მათ ერთმანეთს შორის რაღაც აკავშირებდეთ. თუ თქვენ გამოაძრობთ ძაფს თქვენი მარგალიტის ყელსაბამიდან, რა დარჩება? ცალკეული მარგალიტები, მაგრამ არა ყელსაბამი»[XX].

X У.Джемс, Психология, пер. с англ., П. 1916, стр.174

ზოგ შემთხვევაში «პიროვნების გაორებას» შეიძლება სულ სხვა სფეროდან მივუდგეთ, კერძოდ, ეგზორციზმის პრაქტიკიდან, რაზედაც ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი.

XX Миллъ, "Система логики", Кн.I, гл.3, §8, "Изследование

ასეთივე აზრისაა ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჰერბერტ სპენსერი, რომელიც ამბობს: «თუმცა თითოეული ცალკე შთაბეჭდილება ან იდეა შეიძლება სახეზე არ იმყოფებოდეს, მაგრამ ის, რაც აკავშირებს ერთად შთაბეჭდილებებსა და იდეებს, ყოველთვის სახეზეა, და მის განუწყვეტელ სახეზე ყოფნას თავის აუცილებელ შედეგად ახლავს ან სულაც თავისი თავით უბრალოდ შეადგენს ჩვენს ცნებას რომელიღაც აქ მყოფ განუწყვეტელ არსებობაზე, ან რეალობაზე. არსებობა სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა სახეზე ყოფნას და ყოფნის გაგრძელებას, და ამიტომ ის, რაც სულში განაგრძობს ყოფნას, ყოველგვარ ცვლილებათა მიუხედავად, და ინარჩუნებს აგრეგატის ერთიანობას, წინააღმდეგ მისი გაყოფის ყველა ცდისა, არის ის, რისი არსებობაც შესაძლებელია მტკიცდებოდეს ამ სიტყვის სრული გაგებით, და რასაც ჩვენ უნდა ვუწოდოთ სულის სუბსტანცია, განსხვავებით მრავალგვაროვან ფორმათაგან, რომელსაც იგი ღებულობს»[X].

რაც შეეხება ცნობილ ფეხნერს (ჩვენს ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოებში «ვებერ-ფეხნერის კანონით» ცნობილს), მას მიაჩნია, რომ რადგან ინდივიდუალურ ცნობიერებაში ცალკეული გამოცდილებანი არ ქრებიან, არამედ როგორც ყოველდღიური დაკვირვება გვიჩვენებს, მათ კვლავდაბრუნება ძალუძთ, ამიტომ ინდივიდუალური სულისთვისაც უნდა არსებობდეს უკვდავება[XX].

философии Гамильтона", гл.XII ციტირებულია : Челпанов, დასახ.ნაშრომი, გვ.311.

X Г. Спенсер, Основания псих. §59; Основаныя Нач. §20, ციტირებულია : Челпанов, დასახ.ნაშრომი, გვ. 311-312

XX G.T. Fechner, Vom Leben nach dem Tode, 5. Aufl., 1903.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდეგ გვსურს გადავიდეთ იმ არგუმენტებზე, რომლებიც მოჰყავს ბერგსონს სულის უკვდავების სასარგებლოდ. ამ მიზნით კი დავესესხებით ფრანკ გრანჟანს, რომლის წიგნშიც რეზიუმირებულია ბერგსონის ფილოსოფია და რომლის გადმოცემის მანერამაც თვით ბერგსონის მოწონება დაიმსახურა[X].

«სხეულისა და სულის დამოკიდებულების ანტიკური პრობლემის გადასაწყვეტად« - ამბობს ფ.გრანჟანი- «ბერგსონმა საფუძვლიანად შეისწავლა მეხსიერების ფუნქცია და ბუნება. მართლაც, მეხსიერების შესწავლამ შეიძლება ყველაზე უკეთ გააშუქოს საკითხი სხეულისა და სამშვინველის, ნივთიერებისა და სულის ურთიერთდაქვემდებარებულების შესახებ. გონების ყველა უნართაგან, ყოველთვის მხოლოდ მეხსიერება იყო ტვინში ლოკალიზებული და განიხილებოდა როგორც ისეთი რამ, რაც სრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ტვინის ნივთიერებისაგან. მეხსიერება ყოველთვის ითვლებოდა გონების ყველაზე უფრო მატერიალურ უნარად. თუ მოხერხდებოდა იმის დამტკიცება, რომ მეხსიერება არაა დამოკიდებული ტვინზე, რომ იგი მისგან სავსებით გამოყოფადია, მაშინ საკითხი სამშვინველისა და სხეულის, ნივთიერებისა და სულის შესახებ გადაწყდებოდა სპირიტუალიზმის სულისკვეთებით». და აი, ბერგსონი ღებულობს ამ გამოწვევას და შეუპოვრად იღწვის დაამტკიცოს სულის სრული დამოუკიდებლობა ტვინისაგან, კერძოდ, დაამტკიცოს მეხსიერების, როგორც ყველაზე უფრო ლოკალიზირე-

---

X Франк Гранжан, Революция в философии (Учение Анри Бергсона), перев. с франц., Москва 1913, стр.77-82.

ბულის, სრული დამოუკიდებლობა ტვინის ნივთიერებისაგან. «რომ ეს მტკიცება საცსებით სარწმუნო ყოფილიყო» განაგრძობს ფრ. გრანჟანი, «უნდა შესწავლილიყო მეხსიერება მის ყველაზე უფრო ლოკალიზირებულ ქმედებაში, სიტყვების დამახსოვრებაში, ან, უფრო ზუსტად, სიტყვათა ბგერების დამახსოვრებაში. ამასთანავე, საჭირო გახდა მეხსიერების შესწავლა თვით მის პათოლოგიურ გამოვლინებებში, რომელთა მეშვეობითაცაა მხოლოდ შესაძლებელი რომელიმე უნარის ქმედების განხილვა მთელი სიგრძე-სიგანით. ამიტომ ბერგსონი შეუდგა იმ ავადმყოფობის კეთილსინდისიერ შესწავლას, რომელიც ცნობილია აფაზიის (*aphasie*) სახელწოდებით და ხუთ წელიწადში განიხილა ამ საკითხთან დაკავშირებული მთელი არსებული სამედიცინო ლიტერატურა». შემდეგ გრანჟანს მოჰყავს ის ციტატა ბერგსონიდან, სადაც ამ კვლევა-ძიების შედეგია წარმოდგენილი[X]. «დამახსოვრებანი - ამბობს ბერგსონი - ნამდვილად ტვინში რომ ყოფილიყვნენ განლაგებულნი, მაშინ სრულ დავიწყებებს შეესაბამებოდა ტვინის დამახასიათებელი დაზიანებები. სინამდვილეში კი, ამნეზიის დროს, როდესაც, მაგალითად, ჩვენი არსებობის მთელი წარსული პერიოდი მკვეთრად და რადიკალურადაა ამოგლეჯილი მეხსიერებიდან, არ შეიმჩნევა ტვინის გარკვეული დაზიანება; და პირიქით, მეხსიერების დაბნელებისას, რომლის დროსაც ტვინისმიერი ლოკალიზირება აშკარაა და უეჭველი, ე.ი. მხედველობითი და სმენითი ცნობების სხვადასხვაგვარ აფაზიათა და ავადმყოფობათა დროს, არა ესა თუ ის გარკვეული მოგონებები არიან თითქოსდა ამოგლეჯილნი მათზე მიწერილი ადგილიდან, არამედ, პირიქით, მთელი გამომხმობი უნარი მეტად თუ ნაკლებად დასუსტებულია თავის ცხოველუნარიანობაში, თითქოს სუბიექტს მეტად თუ ნაკლებად გაუჭირდა თავისი მოგონებების დაკავ-

---

X «*Materie et Mémoire*» (მატერია და მეხსიერება). დასკვნა, 33. 265.

შირება ახლანდელ მდგომარეობასთან». მაშინ რა როლი განეკუთვნება ტვინს მეხსიერების ქმედებაში? «ტვინი – აგრძელებს ფრ. გრანუანი ბერგსონის აზრს – მოქმედების იარაღია. მეხსიერების მოქმედებისას მისი როლი დაიყვანება დამახსოვრებულის გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა ზ ე, მის მოქმედებად, მოძრაობად გარდაქმნაზე. ისევე, როგორადაც იგი გარეშე აღქმებს გადაამუშავებს რეაქციის მოქმედებაში, იგი ასევე გარდაქმნის მოგონებებს სასარგებლო მოქმედებებში». სხვათა შორის, ბერგსონის მიხედვით, ამას ამტკიცებს ისევ «პროგრესული აფაზიის დროს პირველ ყოვლისა იკარგება საკუთარი სახელები, შემდეგ საზოგადო სახელები, ზედსართავები, და ბოლოს ზმნები»[X]. «ზმნათა დამახსოვრების გამძლეობა აიხსნება იმით, – განაგრძობს ფრ. გრანუანი – რომ ზმნები გამოხატავენ მოქმედებებს და რომ ტვინში მათი წარმოდგენა დაუყოვნებლივ იწვევს მოძრაობის ცდას». ბერგსონის აზრით, ტვინი არის მოძრაობის ორგანო, «ორგანო პანტომიმისა»[XX]. «მისი როლი დაიყვანება – ამბობს იგი – სულის სიცოცხლის მიმირებაზე, გარეშე მდგომარეობათა აქტიურ ასახვაზე, რომელთაც სული უნდა შეეგუოს. ის, რაც ტვინში ხდება, ეხება ცნობიერი სიცოცხლის ერთობლიობას ისე, როგორც დირიჟორის ჯოხი – სიმფონიას. სიმფონია ყოველმხრივ მეტია მისი მმართველი ჯოხის მოძრაობებზე; სულის სიცოცხლე ამდაგვარადვე სცილდება ტვინის სიცოცხლეს»[XXX]. მაგრამ ტვინი, სწორედ იმიტომ, რომ მოქმედების იარაღია, შუამავალია მოძრაობისა და აზრთა აღმძვრელია, სწორედ იმიტომ, რომ იგი სულიდან მოიპოვებს ყოველივე იმას, რასაც იგი შეიცავს «გამომსახველობითს», «განმასხვეულებელს» და გამომხატველს, – «წარმოადგენს წერტილს სულის დამკვიდრებისას მატერი-

---

X Henri Bergson, L'Ame et le Corps, „Foi et Vie", 5.1.1913.
XX Ibid. 20.XII.1912.
XXX Ibid. 5.1.1913.

აში, აგუებს სულს გარეშოებებს და მხარს უჭერს მის შეხებას სი-
ნამდვილესთან. მაშასადამე, ტვინი არ წარმოადგენს აზრის, გრძნ-
ობისა და ცნობიერების ორგანოს, არამედ იგი არის ის, რაც ცნობი-
ერებას, გრძნობასა და აზრს აჯაჭვებს ნამდვილ სიცოცხლეს, აიძუ-
ლებს მათ ყური დაუგდონ უშუალო გაჭირვებებს და ხდის მათ უნარი-
ანად სასარგებლო ქმედებისადმი. ტვინი საკუთრივ არის ორგანო ყუ-
რადღებისა სიცოცხლისადმი, სინამდვილესთან შემგუებლობისადმი»[X].
ამ დებულებას ადასტურებს შეშლილობის ფაქტი. «რა არის შეშლილ-
ობა – კითხულობს გრანუანი ბერგსონის კვალდაკვალ – თუ არ განსჯა
და გაგაზრება სინამდვილის ირგვლივ, მაგრამ ამ სინამდვილის გა-
რეთ? შეშლილობა აღმოცენდება ტვინის ნივთიერების მოწამვლისაგან.
ხოლო შხამი ხომ არ ეძებს განსჯას ტვინის ამა თუ იმ უჯრედში.
მთელი ტვინია დაზიანებული. ტვინის მთელი ნივთიერების ცვლილებაა
იმის მიზეზი, რომ გონება წყვეტს შეხებას მატერიალური ნივთების
ერთობლიობასთან, გრძნობს, თუ როგორ უსხლტება მას ხელიდან სი-
ნამდვილე, ირყევა და თავბრუ ესხმის»[XX]. შეშლილობა იწყება თავ-
ბრუდახვევიდან. «ავადმყოფი დაბნეულია. ნივთებმა მისთვის დაკარ-
გეს უწინდელი მდგრადობა, რელიეფი, რეალობა»[XXX]. რეალობის გრძ-
ნობის ეს დაკარგვა, დაკარგვა აწმყოსი, ამჟამინდელობისა, რითაც
ხასიათდება შეშლილობა, საკვლევით ამტკიცებს, რომ ტ ვ ი ნ ი ს
ფ უ ნ ქ ც ი ა ა ზ რ ი კ ი ა რ ა ა, ა რ ა მ ე დ – ა ზ-
რ ი ს დ ა ნ ე რ გ ვ ა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი. მაგრამ
თუ ტვინი აზრის ორგანო არაა, თუკი იგი მისი მხოლოდ საშუალებაა

X Henri Bergson, l'Ame et le Corps, „Foi et Vie", 5.XII.1912.
XX Ibid., 5.I.1913.
XXX დასახ. ნაშრომი, 5.I.1913.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძრაობისა და იარაღია გამორკვევისა, მაშინ , განა არ უნდა დავასკვნათ, რომ სული ტვინის ნივთიერების ზღვრებს შორს სცილდება, რომ «იგი მას ჭადალახავს ყოველმხრივ» და რომ «ტვინისმიერი მოღვაწეობა შეესაბამება მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს სულიერი მოღვაწეობისას[X] და რომ, განსაკუთრებით «სულის სიცოცხლე არ შეიძლება წარმოადგენდეს სხეულის სიცოცხლის პროდუქტს, რომ, პირიქით, ყველაფერი ისე ხდება, თითქოს სხეული უბრალოდ გამოიყენება სულის მიერ და რომ ამიერიდან ჩვენ არ უნდა გაგვაჩნდეს საფუძველი იმ ვარაუდისათვის, რომლის მიხედვითაც სხეული და სული განუყრელადაა დაკავშირებული ერთურთთან? მაგრამ თუკი სულიერი სიცოცხლე გადალახავს ტვინისმიერი სიცოცხლის ზღვრებს, თუკი ტვინი იფარგლება მოძრაობებში გადაცემით იმის ნაწილისა, რაც ხდება ცნობიერებაში, მაშინ სიიქით ცხოვრება ხდება იმდენად შესაძლებელი, რომ მისი დამტკიცება ეკისრება მას, ვინც მას უარყოფს და არა იმას, ვინც მას ადასტურებს»[XX].

ამგვარად, სულის უკვდავება ბერგსონის მიერ გამოიყვანება შემდეგი დასკვნებიდან: სული გაცილებით ფართოა ტვინზე; ტვინისმიერი სიცოცხლე განეკუთვნება ფსიქიკურს ისე, როგორც ნაწილი - მთელს და მაშასადამე, ტვინი კი არ შეიცავს სულს, არამედ, პირიქით, სული შეიცავს ტვინს. აზროვნებასა და ტვინს შორის ვერ დაისმება იგივეობის ნიშანი. მათ შორის არსებობს მხოლოდ ს ო ლ ი დ ა რ ო ბ ა . იმ ფაქტიდან, რომ გონებასა და ტვინს შორის არსებობს სოლიდარობა, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ყოველი ნაწილი თითო-

---

X დასახ.ნაშრომი,5.I.1913

XX დასახ.ნაშრომი, I-1913

ეულისა ემთხვევა გარკვეულ ნაწილს მეორისას. ხრახნიც სოლიდარულია მანქანასთან, მაგრამ აქედან ვერ დავასკვნით, რომ «ხრახნი მანქანის ექვივალენტურია»[x].

---

x Henri Bergson, La Paralogisme psychophysiologique. Revue de Metaphysique et de Morale, 1904, T. 12, p. 280.

ციტირებულია: ф. Гранжан, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

დაინტერესებულ მკითხველს გარდა ჩვენს ტექსტში ციტირებული შრომებისა შეუძლია აგრეთვე რუსულ ენაზე იხილოს ცნობილი ფილოსოფოსის ნ. ლოსკის სტატია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც იგი შემეცნების თეორიის მხრიდან განიხილავს (იხ. "Идея бессмертия души, как проблема теории знания" კრებულში: Основные вопросы гносеологии, Петроград, 1919);

ხოლო კანტიანელებისა და კანტის მოყვარულთა საყურადღებოდ გვინდა განვაცხადოთ, რომ არსებობს კანტის სიკვდილის შემდეგ გამოცემული (მის კ რ ი ტ ი კ უ ლ პერიოდში შექმნილი!) ძალზე ნაკლებად ცნობილი ლექციები, სადაც კენიგსბერგელი ფილოსოფოსი ყოველგვარი ეჭვის გარეშე აყენებს სულთა უკვდავების ფაქტს. აზრი, რომ სიკვდილი «ადამიანის აღსასრულია და არა სულის სიცოცხლისა» წითელი ზოლივით გასდევს ამ ლექციებს (იხ. Immanuel Kants Vorlesungen über die Metaphysik, herausg. von K.H.L. Poelitz, Erfurt 1821; Kants Vorlesungen über Psychologie, hrsg. von Du Prel 1889.

რაც შეეხება იმ უცნაურობას, რამაც გამოიწვია აღნიშნული ლექციების არშეტანა ფილოსოფოსის თხზულებათა კრებულებში, იხ. მათი გამომცემლის ნაშრომი: Karl Du Prel, Das Rätsel des Menschen, Leipzig 1892, S. 54-55.

სულის უკვდავებასთან დაკავშირებულ მოსაზრებათა განხილვის შემდეგ, მოგვყავს ნიმუში თანამედროვე ფილოსოფიიდან. მხედველობაში გვყავს, კერძოდ, თეისტური ფილოსოფიის წარმომადგენელი ა. ბრუნერი, რომლის წიგნი «ფილოსოფიის ძირითადი საკითხები» გამოვიდა ფრაიბურგში 1956 წელს[X].

§1. სამშვინველ-სულიერი სუბსტანცია. სიმარტივე და სუბსტანციალობა. ადამიანი სულისა და სხეულის ორი განსხვავებული არსებითი ელემენტისაგან შედგება. შევეცადოთ მათი ბუნების უფრო ახლო აღწერას. სულს ჩვენ განვიცდით აზროვნებასა და ნდომაში. ამ აქტებს, სხეულის საპირისპიროდ, არავითარი განფენილობა ან ფორმა არ გააჩნიათ. ამავე დროს, აზრობრივი აქტის არც სიდიდესა და სიმძიმეზე შეიძლება ნამდვილი გაგებით საუბარი. უკვე ამით შეიძლება ამ აქტების დახასიათება როგორც მატერიისაგან შინაგანად განსხვავებული ყოფიერების სახისა. აზროვნებაში, განსაკუთრებით შედარებით მსჯელობებში, ერთსა და იმავე ცნობიერებისათვის განსხვავებული საგნები უნდა იყვნენ სახეზე. ამ ცნობიერებას განფენილობა რომ გააჩნდეს, მაშინ მისი ერთი ნაწილი აღარ იქნებოდა მეორე; რაც ერთ ნაწილს ეცოდინებოდა, იგი მეორისათვის უცნობი დარჩებოდა. წერტილის ფორმის მქონე განფენილობა რეალობას აუქმებს, რადგან განფენილობის არმქონე წერტილის არსებობა, როგორც ასეთის, არ შეიძლება, იგი მხოლოდ ზღვრადი ცნებაა. ამგვარად, რჩება მხოლოდ ის, რომ განმსჯელი პრინციპი, «მე», რომელიც განუფენელ აქ-

---

X A. Brunner, Die Grundfragen der Philosophie, Freiburg 1956, S. 114-124.

ტებს ასრულებს, თვითონაც განუფენელია, ნაწილთაგან არ შედგება და აგრეთვე არც წერტილის ფორმა აქვს, არამედ მატერიის ყოფიერების განფენილური საშუალების ტრანსცენდენტურია თავისი ყოფიერების სიმარტივით. ამით იგი წარმოადგენს ყოფიერების საშუალებას, რომელიც ნებას იძლევა მთლიანად ყველგან ყოფნისას და არა ცალკეული ნაწილებით განსხვავებულ ადგილებზე ყოფნას. ხოლო, რასაც ნაწილები არ გააჩნია, იგი განუყოფელია და ამიტომ მარტივი. ამიტომ შეუძლებელია ნაწილებად დაშლით მისი განადგურება, არამედ მხოლოდ თვით მისი არსებობის გაუქმებით, მოსპობით.

სულის ამ სიმარტივიდან აიხსნება აგრეთვე ისიც, რომ ადამიანში მთლიანობას «მე»-საგან გააჩნია თავისი მთლიანობა. ყოველივე გაცნობიერებული ერთიდაიმავე «მე»-საგანაა განმსჭვალული და ერთ მთლიანობად გაერთიანებული. მაშინ, როდესაც არაორგანულში არის მხოლოდ თანაარსებობა, აქ სულიერი ურთიერთშიმყოფობა არსებობს, რომელიც თვითშეგნების საფუძველს წარმოადგენს.

აქ, რომ საქმე ეხება სუბსტანციას, უკვე ადრევე იქნა განმარტებული. ნებისყოფის თავისუფლებაში სულიერი «მეს» თვითმყოფობა გასაგებად გვევლინება. ეს «მე» არის მოქმედების საბოლოო პრინციპი; აქტები მისგან მომდინარეობენ და მასვე განეკუთვნებიან მთელი თავიანთი ყოფიერებით. მაგრამ თვით «მე» თავის თავში დგას, არავის განეკუთვნება, არ წარმოადგენს გამოხატულებას რომელიმე შორს, მის მიღმა მდგომი ყოფიერებისას, რომლისადმიც იგი იქნებოდა განკუთვნილი. როგორც სუბიექტი, იგი ყველა სხვათა საპირისპიროდ დგას. ამგვარად, იგი არის მარტივი, არაგანფენილი, მატერიისაგან განსხვავებული და არასაგნობრივი სუბსტანცია.

ა რ ა მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ო ბ ა. შემდგომ, მეტყველებისაგან ვღებულობთ, რომ ჩვენი აზროვნება თუმცა სხეულებრივზეა დაკავშირე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბული, მაგრამ ეს დაკავშირება არაა ცხადად დეტერმინირებული,სხეულებრივი კომპონენტი ერთსა და იმავე შინაარსთან ძალზე განსხვავებული შეიძლება იყოს: სურათი,მოძრაობა,შეხების გრძნობა, ბგერა,ბეჭდური გამოსახულება. ამასთანავე მოცემულია, რომ ეს სხეულებრივი კომპონენტი გააზრებულის შინაარსს არ ამოწურავს, არამედ მხოლოდ მიანიშნებს. აზრი კონსტიტუირდება და განისაზღვრება სულიერი აქტისაგან. სხეულებრივი კომპონენტი არ შედის, როგორც არსის შემადგენელი ნაწილი, აზროვნების შინაარსში. ეს იმიტომაა შეუძლებელი, რომ სხეულებრივ კომპონენტს ყოველთვის გარკვეული ფორმა გააჩნია, ხოლო ამდაგვარი რამ აკლიათ ზოგად ცნებებს;ისინი აბსტრაჰირებენ საბოლოო კონკრეტული განსაზღვრულობიდან. სხეულებრივი კომპონენტი აზროვნებაში რომ შედიოდეს როგორც შინაგანი ნაწილი, მაშინ ყოველი ცნება სავსებით გარკვეულ ფორმასთან დარჩებოდა მჭიდროდ დაკავშირებული და აღარ იქნებოდა არავითარი ზოგადი ცნებები. ამგვარად, სხეულებრივი კომპონენტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგანი პირობა სულიერის ფუნქციონირებისა. თავის აქტებში სული დამოუკიდებელია მატერიისაგან; მაგრამ რაკი მოქმედება ყოფიერებას შეესაბამება და მას ააშკარავებს, ამიტომ სულის ყოფიერება სხეულისაგან შინაგანად დამოუკიდებელია. ამდაგვარ მარტივ, განუყოფელ, მატერიისაგან დამოუკიდებელ სუბსტანციას ჩვენ სულს ვუწოდებთ. ადამიანურ ურთიერთობაში ჩვენ უშუალოდ ვგებულობთ, რომ არსებობს ყოფიერების ამდაგვარი სახეობა.

<u>სხვადასხვა გამოხატულება სულიერი სუბსტანციისათვის. მატერიალიზმი.</u> შეიძლება თვალში საცემი იყოს ის გარემოება, რომ ჩვენ სულს ნეგატიური გამოთქმებით ვახასიათებთ : განუყოფელი, არაგანფენილი, მატერიაზე არადამოკიდებული. ეს ჩვეულებრივ არ

ხდება.იქ, სადაც უშუალო მოცემულობაა სახეზე. მაგ., ჩვენ არასოდეს არ ვლაპარაკობთ ფერებზე, როგორც არაბგერებზე. ეს ნეგატიური, მატერიისაგან გადმოღებული გამოთქმის მანერა, შეიძლება აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზი იყოს იმისა, თუ საერთოდ რატომ შეიძლებოდა ვინმეს მისაღებად მოსჩვენებოდა მატერიალისტური შეხედულება, რომელიც ასკვნის,რომ სამშვინველი არის მარტოდენ სხეულის, მატერიის თანამდევი მოვლენა და სული - მხოლოდ ილუზია. უკვე ის გარემოება, რომ მატერიალისტურ სისტემას წამოაყენებენ, ნამდვილი დაცინვაა ამ თეორიისა. არსებობს მატერია და სხვა არაფერი. მაგრამ სადაც სისტემებს წამოაყენებენ, სადაც წარმოადგენენ მატერიალიზმს, როგორც დოქტრინას, არსებობს თვითშეგნება, რომელსაც თავის თავში გარკვევა სურს და ამგვარად, აღარ შეუძლია იყოს მატერია მის ყრუ მყოფობაში. აგრეთვე მატერიის თანამდევ მოვლენას არ შეიძლება გააჩნდეს თვისებანი, რომელნიც მატერიის პირდაპირ საწინააღმდეგონი იქნებოდნენ: თვისებანი ყოველთვის შეესაბამებიან თავიანთ სუბსტანციას. მატერიალიზმი, როგორც ფილოსოფია, წარმოადგენს უცნაურ ცდას, რომ სულის დახმარებით სულის არარსებობა დაამტკიცონ.

საფუძველი იმისა, რომ სულიერი სუბსტანციის აღწერილობა უნდა დაკმაყოფილდეს სხეულებრივი და მატერიალური თვისებების უარყოფით, არის ის, რომ ეს სუბსტანცია სულიერ აქტებში ყოველთვის განიცდება მხოლოდ როგორც მათი სუბიექტი. არასოდეს არ იქცევა იგი პირდაპირ საგნად. გააზრებისას აქტი საგანი კი არაა, არამედ - გახსენება, რომელიც უწინარეს ყოვლისა მისდევს თავის კონკრეტულ შინაარსს, იმანენტურ ობიექტს. მეტყველების ყველა გამოხატულება კი აღებულია საგნობრივი სამყაროდან, მაშასადამე, სხეულებრივი და ნივთიერი სამყაროდან. აქტებში, რომელნიც სამყაროზე არიან მიმართულნი (და რომლის ნივთები არა მარტო ერთის-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვის, არამედ ბევრისთვის განსახილველ საგნად შეიძლება იქცეს), სულიერი განიცდება სწორედ მხოლოდ სუბიექტად. სულიერის პირდაპირ გამოთქმა კი მას გაასაგნობრივებდა, ისე, რომ იგი შეწყვეტდა სულიერად ყოფნას; რადგან რაიმეს უწყებას, როგორც მთლიანი ადამიანის ქმედებას, აუცილებლად გააჩნია სხეულებრივი ელემენტი, ამიტომ იგი ძევს ზღვარზე სულიერის არასაგნობრიობისა და ნივთთა საგნობრიობას შორის. ამიტომ სულიერი მასში არაპირდაპირაა მოცემული როგორც მნიშვნელობა მეტყველების ბგერებში, რომლის გაგება მხოლოდ მათ თანაგანხორციელებაში ხდება. როგორც დამწერლობას, აგრეთვე ნივთებსაც შეუძლიათ აიღონ ეს შუამავლობა თავიანთ თავზე სხეულის მეშვეობით. ამ გზით სულიერი უშუალოდ, მაგრამ არაპირდაპირ გაიგება იმად, რაც უწყებაში და ადამიანის მიერ შექმნილ კულტურის საგნებში არანივთიერია და არასაგნობრივი; მაშასადამე, ეს გაგება ხდება უარყოფითი გზით. ამ დროს აღქმული შინაარსი კი, ამის საპირისპიროდ, არის რაღაც მთლიანად პოზიტიური და ცნობიერ მოღვაწეობაში ხანიერად განცდილი.

ადამიანის სუბსტანციალური ერთიანობა. ადამიანი შედგება ორი ძირითადი ელემენტისაგან: სულისა და სხეულისაგან. სული რომ სულიერი სუბსტანციაა, უკვე იქნა ნაჩვენები. მატერია, რომლისაგანაც სხეული შედგება, სუბსტანციათა სიმრავლეს რომ წარმოადგენს, ისედაც ცხადია. აღიძვრის კითხვა, თუ როგორ ურთიერთმიმართებაში არიან ეს ელემენტები. ამ კითხვის პირველი პასუხია ფსიქოფიზიკური პარალელიზმი.

ფსიქოფიზიკური პარალელიზმი ამოდის, რა თქმა უნდა, სხვა დაშვებებიდან, ვიდრე ჩვენ. იგი უარყოფს სულის სუბსტანციალობას;

იგი ცნობიერებაში ხედავს მხოლოდ აქტების თანამიმდევრობას; რომ ისინი მათი შემნახველი «მეს» ცნობიერებით ერთიანობად არიან გადაჯაჭვულნი, იგი ამას ვერ ამჩნევს. სხეულებრივისა და სულიერის დამოკიდებულებას იგი ხსნის ისეთი მსგავსი ერთად ყოფნიდან, პარალელური მსვლელობიდან, როგორიც არსებობს ცარიელი სფეროს ჩაზნექილსა და ამოზნექილ გვერდს შორის. თუ ერთი მხარე ჩაზნექილია, მაშინ მეორე ამოზნექილი იქნება. ასევე, სულიერი და სხეულებრივი პროცესები იქნებოდა მხოლოდ ორი მხარე ერთი და იმავე რეალობისა, ფსიქიკური და ფიზიკური – მხოლოდ პარალელური მოვლენები. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიას ფენომენთა ახსნის ნაცვლად მხოლოდ უცხო სიტყვა შემოაქვს; რადგან, ორივე მომენტი რომ ყოველთვის ერთად არის, ეს უკვე დადგენილი ფაქტია, რომელიც სწორად ახსნას მოითხოვს. ან: ამ თეორიის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უარყოფს ყოფიერებით სხვაობას სულიერსა და სხეულებრივს შორის. მაშინ მიდიან მეტაფიზიკურად შეუძლებელ დაყვნებამდე – ან მატერიალიზმამდე, ან იდეალიზმამდე. თითოეულ შემთხვევაში უნდა იქნას დაშვებული, რომ ერთსა და იმავე სუბსტანციას არსობრივად განსხვავებული აქციდენციები გააჩნია. გარდა ამისა, სხეულებრივ კომპონენტთა გამოცვლას, როგორც ეს ხდება რამდენიმე წლის განმავლობაში ნივთიერებათა ცვლით, აგრეთვე სულიერის შეცვლაც უნდა მოჰყვეს შედეგად, რადგან ორივენი იდენტურნი არიან; ამით იდენტურობის შეგნება დროთა განმავლობაში უნდა გამქრალიყო.

მარტოოდენ გარეგნული ერთიანობა. სხვა თეორიები, ისევე როგორც ჩვენ, ორ სუბსტანციალურ ელემენტს უშვებენ. მაგრამ მათ დამოკიდებულებას ისინი ხსნიან სივრცული ურთიერთობის ანალოგით. სული, მათი მიხედვით, სხეულში ცხოვრობს, როგორც სახლში ან

როგორც ციხეში; იგი იმყოფება გემზე, როგორც მესაჭე. პლატონი და მისი სკოლა ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ; ახალ დროში კი, სხვა გზით, ამავეს ამტკიცებს დეკარტი. ჩვეულებისამებრ, ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს შეხედულება მატერიის არსის შესახებ, რომელიც მას აუფასურებს, ხდის მას ბოროტებად, ან, ყოველ შემთხვევაში, სულისადმი დაპირისპირებულობად, მის წინააღმდეგობად (დეკარტი). ამგვარად, სივრცულ სურათს, რომელიც აქ გამოიყენება, მაინც არ ძალუძს ფაქტებს ჯეროვანი მიუზღოს. მარტოოდენ სივრცულ იმანენტურობას შედეგად არ ახლავს არავითარი ერთიანობა, როგორც ეს ადამიანებშია სახეზე. სული და სხეული, ამ თეორიის თანახმად, რჩება ორ დამოუკიდებელ არსებად მარტოოდენ გარეგნული ურთიერთობით. ამიტომ ეს ახსნა არ შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

სუბსტანციალური ერთიანობა. თვალში საცემია სწორედ ის გარემოება, რომ ადამიანი, პირველ ყოვლისა, არის ერთეული. ეს გარემოება ყოველთვის იყო ცნობილი, მაშინ როდესაც სულისა და სხეულის განსხვავება ყოველთვის არ იყო ასე ცხადი. ადამიანი მოქმედებს როგორც ერთეული და როგორც მთლიანი. თუკი იგი მოქმედებს როგორც ადამიანი და მას წმინდა პასიურად არ განვიხილავთ მხოლოდ როგორც მატერიას, მაშინ შეუძლებელია, რომ მან, მხოლოდ როგორც სულმა, უფრო ნაკლებად კი, მხოლოდ როგორც სხეულმა, იმოქმედოს. მაშასადამე, საქმე იმდაგვარადაა მოწყობილი, რომ ორივე ნაწილი ერთურთს უკავშირდება, და ამ შეკავშირების შედეგად ადამიანი ხდება არსება, ადამიანური სუბსტანცია. ამგვარად, იგი ხდება არა გარეგნული, აქციდენციური ერთიანობა, არამედ ერთიანობა სუბსტანციალურში, *unio substantialis*. ეს ნიშნავს, რომ სული და სხეული

არა მხოლოდ გარეგნულად ქმედობენ ყოველთვის ერთად და პარალელურად მიდიან, არამედ ისინი, უკვე როგორც მოქმედების პრინციპი, ერთნი არიან. შემდეგ, აქედან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ყოველი ადამიანური, სწორედ ადამიანური, ყოველთვის არის ერთიანობა ორადობიდან, რომ ყოველი კონკრეტული აქტი უკვე ყოველთვისაა სამშვინველ-სხეულებრივი, სულიერ-გრძნობადი. სულიერობა და გრძნობადობა რეალურად განსხვავებულნი არიან, მაგრამ არასოდეს არ არიან ისინი დაცილებულნი. აქტი ერთდროულადაა სულიერი და გრძნობადი, იგი ადამიანურია. ასევე შემეცნებაც ყოველთვის სულიერია და გრძნობადი. წმინდა გრძნობადი შემეცნებანი ადამიანში არ არსებობს; გრძნობადობა თანამდევი მოვლენაა შემეცნების სულიერი აქტისა თავისთავად.

ეს შემდგომ ნიშნავს იმას, რომ სხეულსა და სულს შორის არ არსებობს კაუზალური დამოკიდებულება, როგორც ეს არის ორ საგანს შორის; სხეულში უკვე ყოველთვის აწყდებიან სულს, რადგან, სადაც სხეულია, იქ სულიცაა. სულის ცვლილებები აგრეთვე სხეულის ცვლილებებიცაა, როგორც ეს აშკარად ჩანს ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში. ადამიანი იცვლება. სხეულებრივ ან სულიერ ცვლილებებად მიჩნეულია ცვლილებანი ან იმის მიხედვით, რაც პირველადად განიცდის ამას: სხეული ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, სული იმმატერიალურის; ან იმის მიხედვით, რაც უფრო ძლიერ ჩანს: სხეულებრივი კომპონენტები თუ სულიერნი.

მაგრამ ამ ერთიანობაში სულია ის, რაც სიცოცხლეს იძლევა, რაც ადამიანს ადამიანად ხდის, რაც გადამწყვეტია და უპირატესად განმსაზღვრელი. ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩანს სიკვდილის ფაქტში და გვამზე. ამიტომ, აქ არ არის თანასწორი წყობა, არამედ - იერარქიული. სულია უმაღლესი ყოფიერება და თვით მატერიისათვის წყარო

უფრო მაღალი ყოფიერების საშუალებისა, რომელიც სიცოცხლესთან კავშირში მიიღება.

ეს ერთიანობა ადამიანზე დგინდება. იგი შესაძლებლობას არ იძლევა მისი რაიმესთან ადეკვატური შედარებისას, რასაც არსებულ ურთიერთობებზე აღმოვაჩენთ გარე სამყაროში. ამიტომ ყველა ცდა წარუმატებლად უნდა დამთავრებულიყო, რომელიც მის ახსნას ამდაგვარი ურთიერთობებიდან აღებული სურათებით ცდილობდა. ასევე, ცხოველურ და მცენარეულ სამყაროში ნამდვილად არსებობს ფენომენები, რომელნიც მეტაფიზიკურად ძნელად აიხსნებიან სხვაგვარად, თუ არ მატერიასა და სხვა სუბსტანციურ პრინციპს შორის ისეთივე დამოკიდებულებით, როგორიც არსებობს სხეულსა და სულს შორის.

სამშვინველ-სული, როგორც სხეულებრივი სიცოცხლის პრინციპი.

ცნობიერ სიცოცხლეს რომ მხოლოდ ერთი პრინციპი უნდა გააჩნდეს, სწორედ ახლა იქნა ნაჩვენები. სხვაგვარად სულიერი სიცოცხლე დაიშლებოდა ურთიერთმიმართ უცხო, ერთმანეთის გვერდით მიმდინარე პროცესებად. სხვანაირადაა საქმე სხეულებრივი სიცოცხლის შეუცნობელ პროცესებთან. მათ თუ იგივე სულიერი სამშვინველი გააჩნიათ პრინციპად, ეს პირდაპირ ცხადი არაა. ყოველ სიცოცხლეს მატერიის გვერდით მასზე ზეაღმატებული პრინციპი რომ უნდა გააჩნდეს, ამ სიცოცხლის გამოკვლევიდან მიიღება. გარკვეულ დროს იყვნენ ფილოსოფოსნი, რომელნიც ადამიანში პრინციპთა სიმრავლეს ვარაუდობდნენ: შესაბამისად სამსაფეხურიანი სიცოცხლისას სამს - ვეგეტატურს, ვიტალურსა და სულიერს, ან ორს - სხეულებრივი და სულიერი სიცოცხლისათვის. მაგრამ სავსებით სხვა მნიშვნელობა გააჩნია იმას, როდესაც პრიმიტიული ხალხები სულთა სიმრავლეს (შვიდამდე)

უშვებენ. სულის ამ ცნებას ჩვენს ცნებასთან ცოტა რამა აქვს საერთო; იგი წარმოადგენს გამომხატველობის უმწეო სახეობას ცალკეულ ორგანოთა უნარებისა და ძალთათვის, რომელნიც თავისუფალი ნებისაგან გარკვეული დამოუკიდებლობით ქმედობენ და არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავენ და არ განმარტავენ ფაქტებს, რომელთაც ჩვენ სიტყვა «სულით» აღვნიშნავთ.

ადამიანში სულიერ პრინციპთა სიმრავლის ამ ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მაინც ის ფაქტი, რომ ცალკეული შრეები ერთიმეორეზე ძლიერ ზემოქმედებენ. დროდადრო სულიერი მოღვაწეობა ქანცავს და აფერხებს ბიოლოგიურ სიცოცხლეს. ცუდად ყოფნა ან სხეულებრივი დაღლა აძნელებს სულიერ მოღვაწეობას ან სავსებით შეუძლებელს ხდის მას. სულიერი დარღვევები, უწინარეს ყოვლისა, ამგვარად იძლევიან შესაძლებლობას, რომ ძალდაუტანებლად ავხსნათ ისინი როგორც სხეულებრივი დაავადებანი. სულს, როგორც სუბსტანციას, ნამდვილი გაგებით დაავადება არ შეუძლია, რადგან ავადმყოფობა აღმნიშვნელია ცალკეულ ნაწილთა ისეთი ცვლილებისა, რომ მისგან მთლიანობა თავის ფუნქციებში ბრკოლდება. სული შეიძლება ცდებოდეს და ტყუვდებოდეს, მაგრამ მასში ფიზიკური პროცესები შეუძლებელია. ამის საპირისპიროდ, სავსებით გასაგებია, რომ იგი სხეულებრივ მდგომარეობათაგან თავის ფუნქციაში ფერხდება, სახელდობრ, თუკი ნაწილნი – რომელნიც, როგორც სხეულებრივი სუბსტრატი, სულიერ აქტთა განხორციელებისათვის აუცილებელნი არიან – ავადმყოფობისაგან შეიცვალნენ. მაგრამ ამით არ უნდა უარვყოთ შესაძლებლობა, რომ ავადმყოფური სხეულებრივი ცვლილებანი სულისაგან არიან გამოწვეულნი (სევდისაგან, საზრუნავისაგან და სხვ.), რომ სულიერი დაავადება, ამგვარად, ფსიქოგენური ხასიათისაა. მაგრამ ასევე არ შეიძლება გამოვრიცხოთ საპირისპირო შესაძლებლობა, რომ პირველადნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან სხეულებრივი ავადმყოფური ცვლილებანი. ამის გადაწყვეტა ცალკეული შემთხვევის მიმართ ხშირად შეუძლებელია. სახეზე რომ რამდენიმე პრინციპი იყოს, მაშინ ვერ გავიგებდით, თუ რატომ არ შეეძლებოდათ ცალკეულ შრეებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ფუნქციონირება. სხვა მხრივ არავითარი შეუძლებლობა არაა იმაში, რომ უმაღლესი პრინციპი თან აგრეთვე დაბალის ფუნქციებს ღებულობს თავის თავზე. მაშასადამე, ერთი მხრივ ერთიანობას არაფერი არ უდგას წინ, მეორე მხრივ, ფაქტებით, არა სიმრავლე, არამედ ერთიანობა მოითხოვება. ამგვარად, ადამიანში სულიერ პრინციპთა სიმრავლის დაშვება თვითნებური იქნებოდა.

სულის უკვდავება. კაცობრიობაში ოდითგანვე არსებობს რწმენა, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ არ წყვეტს არსებობას, რომ იგი როგორღაც კვლავ აგრძელებს სიცოცხლეს. რაც უფრო მეტად იქნა შეგნებული განსხვავება სხეულსა და სულს შორის, მით უფრო მტკიცე გახდა ეს რწმენა, მით უფრო მეტად იქცა იგი მარადიული უკვდავების რწმენად. შესაძლებელია ფილოსოფიურად ამ საკითხის მოგვარება?

ნაწილებად დაშლის შეუძლებლობა. უკვდავების სასარგებლოდ ლაპარაკობს, უწინარეს ყოვლისა, სულის სიმარტივე. ყოველი გაქრობა, როგორც ცნობილია, არის ნაწილებად დაშლა; თვით ნაწილები არსებობას განაგრძობენ და ახალ შენაერთებში შედიან. მაგრამ ამგვარი დაშლით სულს არ შეუძლია თავისი არსებობის შეწყვეტა, რადგან, როგორც მარტივს, მას არ გააჩნია ნაწილები, რომლებადაც მას დაშლა შეეძლებოდა. მაშასადამე, მას, უბრალოდ უნდა შეეწყვიტა არსებობა,

თვით მის ეგზისტენციას უნდა შეხებოდა განადგურება. მაგრამ ეს რომ შეუძლებელია, რა თქმა უნდა, პირდაპირ ცხადი არაა: ეს შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ სული აბსოლუტური ყოფიერება იქნებოდა.

სხეული - სულის ერთიანობა სპირისპირო არგუმენტს არ წარმოადგენს. უკვდავების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ის გარემოება, რომ სული თავის მოქმედებაში სხეულზეა მიჯაჭვული. სხეულის მონაწილეობის გარეშე სულს არავითარი აქტის განხორციელება არ შეუძლია. ეს აუცილებლობა თვით სულის არსში რომ ყოფილიყო დაფუძნებული, მაშინ იგი სხეულის გარეშე სრული უმოქმედობისათვის იქნებოდა განწირული და ამგვარ მყოფობას არავითარი აზრი არ ექნებოდა. მაგრამ, როგორც უკვე იქნა დადგენილი, ადამიანში უფრო მეტად ქმედითია პიროვნება, სულიერი-ის, რასაც თავისი თავიდან ახალი საწყისის დაფუძნება, ინიციატივის ხელში აღება ძალუძს. მის საპირისპიროდ, სხეული უფრო პასიურია; თავის სპონტანურ მოძრაობათა სტიმულებს იგი სულიერიდან ღებულობს, ხოლო დანარჩენი სხეულებრივი ხდომილება ბუნებრივ მსვლელობას წარმოადგენს. გარდა ამისა, უკვე გარკვეულ იქნა გრძნობისმიერი განსხვავება და შინაგანი დამოუკიდებლობა სულისა სხეულისაგან. ცხენს, რომელიც მაგრადაა ეტლზე მიბმული, ისე არ შეუძლია გადაადგილდეს, რომ ეტლიც თან არ წაიყოლოს. თუ ეტლი სადმე გაეჩხირა, აღარც ცხენს შეუძლია ადგილიდან დაძვრა. აქედან არავინ დაასკვნის, რომ მოძრაობის დასასრული ეტლზეა დამოკიდებული და რომ ცხენი ვეღარ იმოძრავებდა ისე, თუ იგი ეტლში არ იქნებოდა შებმული. ცხადია, სულსა და სხეულს შორის კავშირი უფრო მჭიდროა და უფრო ყოველმხრივი, ვიდრე ცხენსა და ეტლს შორის. ამიტომაც, სწნამ ისინი შეკავშირებულნი არი-

ან, არ არსებობს არავითარი ადამიანური მოქმედება, რომელშიაც ორივე არ მონაწილეობდეს. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ სული, სხეულისაგან ერთხელ ჩამოშორებული, მოკლებულია მოქმედების ყოველგვარ უნარს. მას არ ძალუძს იმოქმედოს მხოლოდ ამქვეყნიურ საგნებზე, რადგან მოქმედება სხეულის მეშვეობით ხდება. მაგრამ რჩება შესაძლებლობა წმინდა სულიერი მოღვაწეობისა. ამიტომ, თუ სხვა მოსაზრებებით სულის უკვდავება დამტკიცდება, მაშინ ეს სიძნელე მისთვის არ არსებობს.

მტკიცება ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან. ხოლო ეს სხვა მოსაზრებანი ეხება პიროვნული, ზნეობრივი პასუხისმგებლობის ბუნებას. მორალურ კანონს ის თავისებურება გააჩნია, რომ მისი ვალდებულება გარკვეულ აუცილებლობას შეიცავს: იგი დაცული უნდა იყოს თვით საკუთარი სიცოცხლის ფასად. თუ უკვდავება არ არსებობს, მაშინ პიროვნება, რომელიც მორალური კანონის აღსრულებისას იღუპება, მარტოდენ საშუალებად იქცევა; ეს კი ეწინააღმდეგება მორალის ყოფიერებას. სამყაროში თუ გონიერება სუფევს, ანუ, რაც იგივეა - თუ არსებობს პიროვნული ღმერთი, მაშინ ამდაგვარი რამ შეუძლებელია. ამგვარად, შესაძლებელი უნდა იყოს სულის უკვდავება. სულის შემდგომი სიცოცხლის პირობებს, მაშასადამე, ღმერთი განახორციელებს და მხოლოდ მას შეეძლებოდა მისი მოსპობა, რადგან მხოლოდ მას ძალუძს მისი შექმნა.

სიკვდილის შემდგომი სიცოცხლისა და ღვთის წარმოდგენის ერთიერთშესაბამისობა. უნდა ვაღიაროთ, რომ პიროვნული ღმერთის რწმენის გარეშე პიროვნული უკვდავების რწმენის დაცვა ძალზე ძნელია ან სულაც არ შეიძლება. თუკი აბსოლუტური ყოფიერება უპიროვნოა,

მაშინ მასთან შეკავშირება შეიძლება მხოლოდ გაუპიროვნების, მაშასადამე, სწორედ ინდივიდუალური სულის დასასრულის აღმნიშვნელი იყოს. სინამდვილეში პიროვნული ღმერთის მყოფობისა და პიროვნების უკვდავების რწმენა ისტორიულადაც პარალელურად არსებობენ, რაც მათ ურთიერთდამოკიდებულებაზე მიანიშნებს. ვინაიდან უკვდავების რწმენა სულის ყოფიერებას შეესაბამება, ამიტომ იქ, სადაც მას უარყოფენ, იგი სახეს იცვლის და გამოხატულებას პოულობს რწმენის სუროგატში, როგორიცაა მაგ. სიცოცხლის განგრძობა დიდებასა და სახელში, ან შთამომავლობასა და ქმნილებებში. ყოველივე ეს, თითოეულ შემთხვევაში, ბუნებრივია, ილუზიას წარმოადგენს, იმის მიუხედავად, იქნება სული უკვდავი თუ არა. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ბაბილონელისათვის იმას, რომ დღეს ჩვენ მასზე ვსაუბრობთ, თუ მისგან აღარაფერი დარჩა ისეთი, რაც ამ საუბარს გაიგებდა და მით გაიხარებდა? ყოველთვის მაინც უკვდავებაზე, პიროვნულ უკვდავებაზე ფიქრობენ, როდესაც ყალბ უკვდავებაზე ლაპარაკობენ.

ნათქვამიდან ცხადად გამომდინარეობს, თუ რა ცოტა რამეს ნიშნავს უკვდავების რწმენის ახსნა ადამიანის სიამაყით ან მისი ნატვრით. ადამიანის ზნეობრივ წესრიგთან და მისი ქცევის პიროვნულ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული უკვდავება წარმოადგენს არა ორაზროვან სიკეთეს, არამედ იგი არის უმაღლესი ადამიანური სიკეთე ან უცუდესი ბოროტება იმის მიხედვით, თუ რას წარმოადგენს თვით ადამიანი. ხოლო ზნეობრივი სიკეთის ბუნება გამორიცხავს იმას, რომ ადამიანმა სიამაყისა და კადნიერების გამო პრეტენზია განაცხადოს იმ მდგომარეობაზე, რომელშიაც უკვდავება სიკეთეს უიგივდება. უკვდავება შეიძლება ეგრეთვე ისეთი მტანჯველი, შემაშფოთებელი ფენომენი იყოს, რომლის სინამდვილისადმი არავითარ სურვილს არ განიცდიან; მაგრამ ამგვარ სურვილთა გამო სინამდვი-

ღე არ იცვლება. უკვდავება არსებობს – არსებობს მაშინაც კი, როცა ადამიანი მისი თავიდან აცილების მოსურნეა, რადგან ყოველი კაცი, როგორც კეთილი, ასევე ბოროტი, ზნეობრივადაა პასუხისმგებელი.

§2. ქრისტიანული დოგმატი სულის უკვდავების შესახებ. ქრისტიანული დოგმატის თანახმად «სიკვდილი წარმოადგენს სულის დაშორებას სხეულისაგან», რის მ ე რ ე ც ს უ ლ ი ა გ რ ძ ე ლ ე ბ ს ს ი ც ო ც ხ ლ ე ს , ხოლო სხეული იშლება და იხრწნება. ამის დამადასტურებელი ადგილები მრავლადაა როგორც ძველ აღთქმაში, ისე ახალში. მაგ., ეკლესიასტე (12,7) ამბობს: «მიიქცეს მიწა ქუეყანასა შინა ვითარცა იყო და სული მიიქცეს ღუთისა მიმართ, რომელმან მისცა იგი». ძველი აღთქმიდანვე ღმერთი უცხადებს ადამიანებს, რომ იგი არის «ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა», ხოლო ასეთი განცხადება უაზრო იქნებოდა, თუ იგი იგულისხმებდა აბრაამის, ისააკის და იაკობის მხოლოდ ფერფლსა და ნეშტს. ამიტომ გვაუწყებს ახალი აღთქმა: «არა არს ღმერთი მკუდართაი, არამედ ღმერთი ცხოველთაჲ. ხოლო თქუენ ფრიად სცთებით» (მარკოზ 12,27). როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში სიცოცხლის პრინციპად მიჩნეულია ღვთისაგან ნაბოძები სული (იხ. გამოცხადება იოანესი 11,11; 13, 15; შდრ. საქმე წმ. მოციქულთ 17,25). მკვდარ სხეულს სული თუ დაუბრუნდება, იგი კვლავ იცოცხლებს (ლუკა 8,55). სულის გარეშე სხეული მკვდარია (იაკობ 2,26; შდრ. მათე 2,20; 16,25; 20,28; მარკოზ 3,4; იოანე 10,11; 15,17; 13,37; I იოანე 3,16 და სხვა). სხეულისა და სულის გამიჯვნაა მაცხოვრის ამ ნათქვამშიც: «ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყჳდნენ პორცნი, ხოლო სულისა ვერ პელ-

ეწიფების მოკლვად» (მათე, 10,28).

ამგვარად, სული უკვდავია და სხეულის სიკვდილის შემდეგ იგი ინარჩუნებს თავის ცნობიერებასა და პიროვნულობას. იმქვეყნიური სიცოცხლე წარმოადგენს ამქვეყნიურის გაგრძელებას, მაგრამ ახალ პირობებში. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ დადგება ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამი და საშინელი სამსჯავრო (ამაზე იხ. ქვემოთ).

ადამიანის აგებულება წმ. მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრების მიხედვით[X]. ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით ადამიანი შედგება მატერიალური სხეულისაგან და არამატერიალური, გონიერი სულისაგან. თავის მხრივ, ეს უკანასკნელი იყოფა ორად: ს ა მ შ ვ ი ნ ვ ე ლ ა დ (რუს. Душа, ბერძნ. Ψυχή, ლათ. Anima, გერმ. Seele) და ს უ ლ ა დ (რუს. Дух, ბერძნ. Πνεῦμα, ლათ. Spiritus, გერმ. Geist). ადამიანის არამატერიალური ნაწილის სამშვინველად და სულად დაყოფას ბიბლიის მრავალი ადგილი ადასტურებს. მაგ., «რამეთუ ცხოველ არს სიტყუაჲ ღმრთისაჲ და ძლიერ, და უმკუეთელეს უფროჲს ყოველისა მახვილისა ორპირისა: და მისწუთების იგივე განსაყოფელამდე სამშვინველისა და სულისა» (ებრაელთა 4,12). არსებობს კიდევ მეოთხე ელემენტი ადამიანის შემადგენელ ნაწილთა შორის. იგი წარმოადგენს ო რ გ ა ნ უ ლ ანუ ს ი ც ო ც ხ ლ ი-ს ე უ ლ ს ა წ ყ ი ს ს, რომელიც ვლინდება ადამიანის სხეულში სავსებით დამოუკიდებლად სამშვინველ-სულისაგან. სხეულისაგან დამოუკიდებელი არამატერიალური ნაწილი ადამიანისა მარტივი, თავისუფალი და უკვდავია. სულის გამოკლებით (რომელიც ადამიანის არა-მატერიალური

X იხ. ვ. რცხილაძე, ღმერთი, ადამიანი და სულიერი სამყარო. წმ. მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრების მიხედვით, «საღვთისმეტყველო კრებული», №4, თბ., 1984; აქვეა მოყვანილი შესაბა-

ნაწილის უმაღლესი, გონიერი ნაწილია), ცხოველებს ყველა ეს ნაწილი გააჩნიათ სამშვინველის ჩათვლით (იხ.ლევიტ.I7,I0-I4), რომელიც წარმოადგენს ქვენა, სხეულებრივი ნდომიდან ამოსულ გრძნობათა და აზრთა ორგანოს. ამიტომ, ადამიანის მიზანს უნდა შეადგენდეს სამშვინველზე სულის გაბატონება, რათა ამ უკანასკნელში დამკვიდრდეს სულიწმიდას მადლი.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

პარაფსიქოლოგია, სპირიტიზმი და თანამედროვე სტატისტიკა სულთა გამოცხადებების შესახებ

სულთა სამეუფოარ არის კარდახშული ...

გ ო ე თ ე

დავიწყოთ თანამედროვე სტატისტიკით. ჩვენს ხელთაა მასალა, რომელიც I957 წელს შეკრიბა შვეიცარიის ჟურნალმა «Schweizerischer Beobachter»მა და რომელიც წარმოადგენს შვეიცარიის მოსახლეობიდან მიღებულ პასუხებს ჟურნალში გამოქვეყნებულ ანკეტაზე. ჟურნალი თხოვნით მიმართავდა მოსახლეობას აღეწერათ პირადად განცდილი ფაქტები «ოკკულტური» სფეროდან, როგორიცაა წინასწარმეტყველური ნიშნები და სულთა გამოცხადებების ხილვა. ჟურნალმა მიიღო დაახლოებით I200 წერილობითი პასუხი გერმანულ და ფრანგულ ენებზე, სადაც ასეთი ფაქტების I500 შემთხვევაა აღწერილი. მთელი ეს მასა-

---

მისი ბიბლიოგრაფია.

ლა ჟურნალმა გაუგზავნა საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერს, ფსიქიატრსა და ფსიქოთერაპევტს კარლ გუსტავ იუნგს, რომელმაც მასალის წანხილვაში ჩართო თავისი ასისტენტი ანიელა იაფფე. 1958 წელს გამოვიდა წიგნი ა.იაფფეს ავტორობითა და კ.გ. იუნგის წინასიტყვაობით[X], სადაც ამ ფაქტების ფსიქოლოგიური ახსნის ცდაა მოცემული, როგორც იუნგი აღნიშნავს, მსგავსი მოვლენები უხვადაა დადასტურებული არა მარტო შეიცარიაში, არამედ მაგ., ინგლისსა და ირლანდიაშიც.(ჩვენი აზრით, ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, ოღონდ ესაა, რომ ჩვენში ამდაგვარი ფაქტების სტატისტიკური შესწავლა არასოდეს ჩატარებულა). ვფიქრობთ, მკითხველისათვის არ იქნება ინტერესს მოკლებული დასახელებულ წიგნში მოტანილი მასალის გაცნობა.

როგორც ამ წერილებიდან ირკვევა, ავტორებს ეძნელებოდათ მათი გამოგზავნა, რადგან შიშობდნენ, არ შერქმეოდათ «ფანტასტისა» და «მატყუარას» სახელი. ამიტომ ხშირია თხოვნა, რომ წერილის გამოქვეყნებისას ავტორის სახელი არ გამჟღავნდეს. ამავე დროს, წერილებში იგრძნობა ერთგვარი რიდი და მოწიწება განცდილი «ოკკულტური» ფაქტისადმი. ამით აიხსნება, ალბათ, ის გარემოება, რომ წერილთა ავტორები თვით ახლობლებსაც არაფერს ეუბნებოდნენ ამ ფაქტებზე და უფრო ხშირად მიმართავდნენ მღვდელს, რაც იმის დადასტურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ისინი «ოკკულტურ» განცდებს რელიგიურის სფეროს უკავშირებენ. წერილები მიღებულია მოსახლეობის ყველა ფენიდან:

X. Aniela Jaffé, Geistererscheinungen und Vorzeichen, (Eine psychologische Deutung), Mit einem Vorwort von C. G. Jung, Zürich und Stuttgart, 1958.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხების, მუშების, მოსამსახურეთაგან. როგორც ა.იაფფეს მიაჩნია თავისი უშუალობითა და განცდილის ბუნებრიობით სწორედ «ხალხიდან» მიღებული წერილები გამოირჩევა და არა «ინტელექტუალებისა», რომელნიც ხშირად საკუთარ განცდილს ზავიანთივე კრიტიკული მსჯელობით აბუნდოვანებენ.

რაც შეეხება ამ წერილების შინაარსის ჭეშმარიტებას, აქ უნდა განვაცხადოთ შემდეგი. ვინც მცირეოდენად მაინც იცნობს ლიტერატურას ოკკულტურ ფენომენებზე, მისთვის ეს წერილები ახალს არაფერს შეიცავენ. ისეთი მოვლენები, როგორიცაა სულთა გამოცხადებები ან მათ მიერ გამოწვეული კაკუნი, ნაბიჯების ხმა და სხვა ამგვარი, აგრეთვე წინასწარმეტყველური სიზმრები და სხვადასხვაგვარი ნათელხილვანი, აღწერილია უძველეს გადმოცემებში და გავრცელებულია ყველა ხალხში და ყველა დროში. სწორედ ამ ფაქტიდან ამოდიოდა თავის დროზე შოპენჰაუერი, რომელიც სულთა გამოცხადებებზე უწყებებს არ მიიჩნევდა გამოგონილად მათი «სრული ურთიერთმსგავსების» გამო[X]. ასეთივე აზრისაა ანრი ბერგსონიც. იგი აცხადებს: «... თუკი გავითვალისწინებ შემთხვევათა უზარმაზარ რიცხვს და განსაკუთრებით მათ ურთიერთმსგავსებას, მათ ნათესაურ მსგავსებას, შესატყვისობას ასე მრავალ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ მოწმობებისას, რომლებიც ყველა გაანალიზებული, შემოწმებული და გარჩეულია, მაშინ მე ჩემი მხრივ ვთვლი, რომ უნდა მჯეროდეს ტელეპატიისა ისევე, როგორც, მაგ., მჯერა უძლეველი არმადის დამარცხება. რასაკვირველია, ეს არაა ისეთივე მათემატიკური უეჭველობა, როგორსაც მე მანიჭებს პითაგორას თეორემის დამტკიცება; ეს არ არის აგრეთვე ფიზიკალური სახის უეჭველობა, რასაც მე მაძლევს გალილეის კანონების შემოწმება. მაგრამ ეს მაინც უეჭველობაა, რომელიც შეიძლება

X იხ.დასახ.ნაშრომი, გვ.21

გვქონდეს ისტორიისა ან იურისდიქციის სფეროში...»[X].

საინტერესოა ამ მხრივ თვით იუნგის აზრი. მისთვის ეს ფენომენები პირველყოვლისა წარმოადგენენ ფ ს ი ქ ი კ უ რ ფ ა ქ - ტ ე ბ ს. მათი ჭეშმარიტების პრობლემა, ე.ი. ის, თუ რამდენად შეესაბამება ეს ფაქტები ფსიქიკისაგან დამოუკიდებელ მოვლენას, მისთვის უკანა პლანზე დგას; იუნგს აინტერესებს კითხვები: ვინ განიცდის მოჩვენებას, რა ფსიქიკურ პირობებში განიცდის, რისი აღმნიშვნელია იგი, თუკი მას შინაარსობრივად, ე.ი. როგორც სიმბოლოს განვიხილავთ. ამავე დროს, თვითონ ამ ფაქტების არსებობის ჭეშმარიტებაში მას მცირეოდენი ეჭვიც არ შეაქვს და მიაჩნია, რომ ასეთი ფენომენები დამტკიცებულია «ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი პარალელური მონაყოლებით»[XX]. ამიტომ, მისი აზრით, ვინმემ ტყუილი ინფორმაციის მოწოდება რომ განიზრახოს, ეს ძნელად თუ გამოუვა, რადგან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოთხრობილმა ამ ისტორიებმა შექმნეს ერთი ტიპი, და მატყუარამ უკვე უნდა იცოდეს ამის შესახებ, რათა თავისი მონაყოლი მას შეუსაბამოს. საბოლოოდ, იუნგი ცდილობს ამ ყველა დროიდან და ყველა ხალხიდან მომდინარე შ ე ს ა ტ ყ ვ ი ს ო ბ ა ს მიუსადაგოს თავისი ცნობილი ა რ ქ ე ტ ი პ ი ს თეორია.

საინტერესოა თვითონ წიგნის ავტორის ა.იაფფეს პოზიცია ზემოთქმულთან დაკავშირებით. ის ერთი მხრივ აღიარებს იუნგის არქეტიპის

X H. Bergson, Die seelische Energie, Jena 1928; რაც შეეხება კერძოდ ტელეპატიას, მკითხველს შესაძლებლობა აქვს იხილოს ამისი ჩინებული დემონსტრირება ბ-ნ ა.ლომსაძის საჯარო გამოსვლებზე.

XX იხ.იუნგის წინასიტყვაობა დასახ.ნაშრომში, გვ.10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიას და მეორე მხრივ შეუძლებლად მიიჩნევს ცნობილი ჰ.დრიშის[X] მოთხოვნას, მეცნიერულად ყოფილიყო ვერიფიცირებული ყველა პარაფსიქოლოგიური ფენომენი (წინათგრძნობა, ნათელხილვა, წინასწარმეტყველური სიზმრები და სხვა), რისთვისაც იგი აუცილებლად თვლიდა ამ განცდათა წერილობით ფიქსირებას. ა.იაფფეს მიხედვით, ასეთი მოთხოვნა შეუსრულებადია: თავი რომ დავანებოთ იმას, რომ იმ დროს ის, ვინც ამ მოჩვენებებს განიცდის, გარკვეულ კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება (შიში, ცნობიერების დაბინდულობა, სიკვდილის წინა განცდები და სხვ.). აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ წერილის ავტორთაგან თითქმის არცერთი საგანგებოდ არ «იწვევდა» სულებს (ვთქვათ, სპირიტისტულ სეანსზე) და ამიტომ, სუპრანატურალური პოზიციიდან თუ ვიტყვით, ამ სულთა გამოცხადება უმეტეს შემთხვევაში სპონტანური ხასიათისაა, ე.ი. როგორც ჩანს, ეს გამოცხადებები თვით ამ უკანასკნელთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება ა.იაფფეს პოზიციას სულთა «ჭეშმარიტების» საკითხში, იგი, ჩვენი აზრით, საკმაოდ უცნაური და ორჭოფული ხასიათისაა და აიხსნება იმით, რომ მას ერთი მხრივ არ სურს დათმოს ე.წ. ა ნ ი მ ი ს ტ უ რ ი თ ე ო რ ი ა, რომლის მიხედვითაც სულთა გამოცხადებები სხვა არა არის რა, თუ არა ხილვადად ქცეული ჩვენი ფსიქიკის შინაარსის პროეცირება ფსიქიკის გარეთ, ე.ი. ჰალუცინაცია. მეორე მხრივ, ამ უზარმაზარი ფაქტობრივი მასალის წინაშე განიარაღებული (სხვათაშორის, არცერთი წ ე რ ი ლ ი ს ავტორს სულთა კონკრეტულ რეალობაში ეჭვი არ შეაქვს), ა.იაფფე აღიარებს ს პ ი რ ი ტ ი ს ტ უ ლ თ ე ო რ ი ა ს, რომლის მიხედვითაც სულები წარმოადგენენ თავისთავად და ადამიანის ფსიქიკის გარეშე მყოფ

X H. Driesch, Parapsychologie, die Wissenschaft von den „okkulten" Erscheinungen. Methodik und Theorie, 3 Aufl. Zürich 1952

არსებებს. მისი აზრით, აქ საქმე უნდა ეხებოდეს იმ „ზღვრულ სფეროს, რომელშიაც ფენომენები, როგორც თანამედროვე მეცნიერებამ დაადგინა, აღარ ექვემდებარებიან ერთმნიშვნელოვან ახსნას. ეს ძალაშია როგორც უსასრულოდ მცირეს, ატომის სამყაროს, ზღვრული სფეროსათვის, ასევე, უსასრულოდ დიდის სამყაროსათვის, კოსმოსისათვის. აუცილებელი ორმხრივი ახსნის უბრალო და ცნობილ მაგალითს წარმოადგენს სინათლის ბუნება, რომელიც ერთხელ შეიძლება აიხსნას როგორც ნაწილაკი, ხოლო მეორედ როგორც ტალღა. ორივე შეხედულება სწორია, ორივე გამორიცხავს ერთურთს და ორივე ავსებს ერთმანეთს გარკვეული აზრით. დამკვირვებელი თავისუფალია: მას შეუძლია ექსპერიმენტი როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ წარმართოს. მაგრამ მან უნდა უწყოდეს, რომ ერთი გზის არჩევით იგი, იმავე დროს, მეორეს გამორიცხავს და „სპობს". ასეთივე ზღვრულ სფეროდ შეგვიძლია აღვიქვათ პარაფსიქოლოგიაც. მასში ისევე როგორც ატომურ სიდიდეთა სფეროში, არ ხორციელდება დროის, სივრცისა და კაუზალობის კანონები. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ასევე პარაფსიქოლოგიური მოვლენებისათვისაც არასაკმარისი აღმოჩნდება ერთმნიშვნელოვანი ახსნები. რა თქმა უნდა, თეორიის შექმნის სიძნელე იმაშია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ახალ მეცნიერებასთან, რომლის კანონზომიერებანი და ფენომენები ჯერ კიდევ იმ სრულყოფილებით არ არიან გამოკვლეული, როგორც ფიზიკისა ან ასტრონომიისა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გამოაშკარავდეს, რომ ორივე თეორია და ახსნის შესაძლებლობა ერთმანეთს ზუსტად ისევე ავსებს (და ერთმანეთს ისევე გამორიცხავს), როგორც სინათლის ტალღური და ნაწილაკური ბუნება[X].

პარაფსიქოლოგიური ლიტერატურა ჩვენში ძალზე ღარიბია[XX]. ერთი-

X იხ.დასახ.ნაშრომი, გვ.94.

XX ვგულისხმობთ ლიტერატურას რუსულ ენაზე, თორემ ქართულად ამდა-

ორი ბროშურის გარდა არსებობს მხოლოდ ბოლო დროს თარგმნილი ამერიკელი ავტორის შედარებით სქელტანიანი წიგნი ამ თემაზე[X], რომლის მეცნიერული ღირებულება ძალზე დაბალია, რადგან იგი გამოირჩევა წარმოუდგენელი ტენდენციურობით. უკვე წიგნის შესავალიდანვე (გვ.7) «დადგენილად ცხადდება, რომ მეცნიერების წინსვლა «ყოველთვის» გამოიწვევს «პარა-მეცნიერების» ჩავარდნებს, და რომ მთელი ეს წიგნი ემსახურება ერთადერთ მიზანს - გადმოსცეს ექსტრასენსორულ აღქმათა (ესა) ჩ ა ვ ა რ დ ნ ე ბ ი ს ისტორია. ასეთი ნეგატიური მიმართება ხასიათდება გარკვეული ნეგატიური აზროვნებით, რომელიც სხვა ადგილას ასე მოსწრებულად დაახასიათა კ.გ. იუნგმა: «მისი *habitus*-ი (აქ: თავისებურება. ვ.რ.) ყველაზე უკეთ ხასიათდება სიტყვებით «სხვა არაფერი თუ არ». გ ო ე თ ე მ ეს აზროვნება მეფისტოფელის სახეში განასახიერა. პირველ ყოვლისა იგი ავლენს ტენდენციას დაიყვანოს მსჯელობის საგანი რომელიმე უხამსობამდე და ჩამოართვას მას საკუთარი თავისთავადი მნიშვნელობა. ეს ხდება იმის წყალობით, რომ მას გამოსახავენ როგორც დამოკიდებულს მეორე განალობაზე. მაგ., თუ ორ მამაკაცს შორის კონფლიქტი წარმოიშვა, რომელიც, როგორც ჩანს, ობიექტური ხასიათისაა, მაშინ ნეგატური აზროვნება ამბობს: « *Cherchez la femme* » («ეძებეთ ქალი»). თუ ვინმე იცავს ან ავრცელებს რაიმე ფაქტს, მაშინ ნეგატური აზროვნება კითხულობს არა ამ ფაქტის მნიშვნელობის შესახებ, არამედ - «რამდენს უხდიან მას ამისათვის». მ ო ლ ე შ ოტისადმი მიწერილი სიტყვები: «ადამიანი არის ის, რასაც იგი ჭამს», ისევე განეკუთვნება ამ ჯგუფს, როგორც სხვა ბევრი გამონათქვამი და შეხედულება, რომელთა სიტყვა-სიტყვით მოყვა-

---

გვარი რამ, რამდენადაც ვიცით, საერთოდ არ გამოქვეყნებულა.

X Ч. Хензел, Парапсихология, пер. с англ., М., 1970.

ნა არაა აუცილებელი»[X].

გაცილებით წინ გადადგმული ნაბიჯია ამერიკელი ავტორის წიგნთან შედარებით დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის (მე-3 გამოცემა) პოზიცია ამ საკითხში. მის მე-19 ტომში[XX], სტატიის «პარაფსიქოლოგია» ავტორები მოკლედ გადმოსცემენ ამ მეცნიერების არსსა და ისტორიას და აღნიშნავენ, რომ 1970 წლისათვის მსოფლიოს 30 ქვეყანაში არსებობდა 240 პარაფსიქოლოგიური ლაბორატორია და საზოგადოება. სტატიის დასასრულს ისინი ასხვავებენ პარაფსიქოლოგიაში არსებულ ყალბ ფენომენებს იმ «მოვლენებიდან, რომლებიც მასში რეალურად არსებობენ» და რომლებიც ელოდებიან თავიანთ მეცნიერულ ახსნას.

ჩვენი თხრობა, ცხადია, ეხება მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც ბრასოდეს არავის არ უმხელია როგორც სიყალბე[XXX]. ზემოხსენებული წერილების კლასიფიცირება ეყრდნობოდა მათ სტერეოტიპულ მონაცემებს. ესენია: სულები, რომლებიც სინათლეს ასხივებენ, სულები, რომლებიც თეთრი ფერისანი არიან და იშვიათად ნაცრისფერს ან შავ ფერს ატარებენ; შემდეგ სულები, რომლებიც დაფრინავენ, რომლებიც გამჭვირვალენი არიან და რომლებიც თავიანთ ფორმას კარგავენ. სხვა ჯგუფი წერილებისა მოგვითხრობს უთავო ან უფეხო სულებზე და სხვა. ამგვარად, ამ ტიპიური მონაცემების მიხედვითაა დახარისხებული ეს წერილები ა.იაფფეს მიერ, რომელთაგან ჩვენ რამდენიმეს თუ მოვიყვანთ თითოეული ფენომენის საილუსტრაციოდ. მასალის (წერილების)

X К.Г.Юнг, Психологические типы, М.,1924, стр.35.

XX БСЭ, т.19, М.,1975, стр.564-566

XXX როდესაც ვლაპარაკობთ «სიყალბეზე» პარაფსიქოლოგიაში, პირველყოვლისა მხედველობაში გვაქვს შეგნებული ტყუილი ექსტრასენსმედიუმთა მხრიდან, რომლის მიზეზია ანგარება, პატივმოყვარეობა, დაკარგული უნარის შენარჩუნების სურვილი და სხვა. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოდგენის შემდეგ ჩვენ შევეცდებით მათ კომენტირებას. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ სულთა ეს გამოცხადებები ხდებოდა როგორც ცხადში, ასევე სიზმარში, და მასაღის სიდიდის გამო ჩვენ უფრო პირველ შემთხვევებს შევეხებით.

ა. ს ი ნ ა თ ლ ი ს ს უ ლ ე ბ ი . პირველ ყოვლისა შევეხოთ „სინათლის სულებს". ეს ფენომენები ხშირად აღიწერება გარდაცვლილთა სულების სახისა და სხეულის გასხივოსნებით, მათგან გამომავალი სინათლით. ხშირად მარტო სინათლეზეა საუბარი ყოველგვარი სხეულის გარეშე, რომელიც მაინც გარდაცვლილის იქ ყოფნას გვამცნობს. ხშირად ლაპარაკობენ ამ სულთა წარმოუდგენელ სიდამაზეზე. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთი სინათლის სულებად წერილების ავტორთა უმრავლესობას ევლინებათ მხოლოდ საპატივცემულო, ახლობელ და საყვარელ გარდაცვლილთა სულები, მაშინ როდესაც უცხო და უცნობი სულები (მოჩვენებები) მათ ევლინებიან ნაცრისფერ და შავ ფერებში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ერთი მანდილოსანი იწერება: „ბეათე წელში ვიყავი, როდესაც მამა გარდამეცვალა. ძალზე განვიცადე ეს და მრავალი წლის განმავლობაში მივტიროდი მას... ეს მოხდა შობის ღამეს. მე ვიწექი, მაგრამ ვაპირებდი ეკლესიაში წასვლას. როდესაც წამოდგომა დავაპირე, მკვეთრი ტკივილები ვიგრძენი მუცელში და განვაგრძე წოლა. რამდენიმე ხნის მერე შემიწყდა ტკივილები, მაგრამ ეკლესიაში წასვლა უკვე გვიანი იყო. ასე გან-

---

რამ სწორედ მათ გამომჟღავნებას ემსახურება პარაფსიქოლოგიის მეცნიერული მეთოდები. რაც შეეხება ზემოხსენებულ წერილებს, მათი სუბიექტური და ობიექტური ჭეშმარიტების მხარეს, ამაზე უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი.

ვაგრძობდი წოლას, როდესაც მომესმა კარების გაღებისა და ჩუმი ნაბიჯების ხმა, რომელსაც თან ახლდა თავისებური კაკუნი. მე მარტო ვიყავი შინ და მეშინოდა. შემდეგ მოხდა საოცარი რამ. შემოვიდა და მომიახლოვდა ჩემი გარდაცვლილი მამა, რომელიც ძალზე ღ ა მ ა ზ ი იყო, ო ქ რ ო ს ფ რ ა დ ასხივებდა და ამასთანავე იყო გამჭვირვალე, როგორც ღრუბელი; იგი გამოიყურებოდა ისე, როგორც ყოველთვის იყო, მე შემეძლო ზუსტად გამერჩია მისი ნაკვთები. შემდეგ იგი შეჩერდა ჩემს საწოლთან, მიყურებდა ძალზე კეთილად და იღიმებოდა. ჩემში დაისადგურა ღრმა სიმშვიდემ და ვიყავი ისე ბედნიერი, როგორც არასდროს. შემდეგ იგი წავიდა ...»[X].

ასეთი ტიპის წერილები მრავლადაა. ახლა მოვიყვანთ ისეთ მაგალითს, სადაც სინათლე დაცილებულია თვით სულის მოვლენისაგან. ამ წერილის ავტორი მუშაობდა გამზრდელად ბ.-ს ოჯახში: « ერთ ღამეს გამომეღვიძა უ ჩ ვ ე უ ლ ო ს ი კ ა შ კ ა შ ი ს ა გ ა ნ და დავინახე ფიგურა ჩემი საწოლის წინ. მას ჰქონდა მამაჩემის სახის ნაკვთები. მე მომესმა სიტყვები, რომელსაც იგი ამბობდა: « მე მოვედი, რათა გაგაფრთხილო, რომ შენ გემუქრება საფრთხე აქ მყოფ ადამიანთაგან». დ ა ი გ ი კ ვ ლ ა ვ გ ა ქ რ ა და კ ვ ლ ა ვ წ ყ ვ დ ი ა დ მ ა დ ა ი ს ა დ გ უ რ ა» (შემდეგ ამ წერილის ავტორი აღწერს იმას, თუ როგორ მიატოვა აღნიშნული ოჯახი და მაღე როგორ გაიგო, რომ ქ-ნი ბ. თაღლითობისა და ქურდობისათვის გაასამართლეს. სასამართლოზე იგი მიწვეული იყო როგორც მოწმე).

შემდგომი წერილი ასახავს მომაკვდავის გამოცხადებას სინათლის შუქში. «ერთ ღამეს გამომეღვიძა დერეფნიდან მომავალი ნაბიჯების ხმისაგან. მე წამოვჯექი საწოლში და ისე ვუსმენდი. უკუნი ღამე

X აქ და შემდეგ წერილების თარგმნისას შევეცადეთ დაგვეცვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იყო. ის იყო დარეკა 2 საათმა. უეცრად დავინახე უ ც ნ ა ურ
ს ი ნ ა თ ლ ე შ ი , თუ როგორ გაიღო ოთახის კარები და როგორ
შემოვიდა ქ-ნი X-ი, ჩემი მეგობარი Vevey-დან. მას ეცვა თეთრი
ღამის პერანგი, ზემოდან თეთრი მოქარგული ჟაკეტი და ასევე ეხურა
არშიებით ნაკეთი თავსაბურავი... ჩემი მეგობარი მომეჩვენა ისე-
თი - გარდა მისი უცნაური ჩაცმულობისა - როგორსაც მე მას ვიცნობ-
დი და მენახა. მხოლოდ სინათლის ნათება იყო რაღაც არარეალური.
იმ წამს მე სულ არ ვფიქრობდი იმაზე, თუ საიდან შეიძლებოდა იქ
სინათლე შემოსულიყო ... (როდესაც მოვლენა გაქრა), ოთახი ისე
დაბნელდა, როგორც უწინ იყო. მე ავანთე ნათურა. არავინ არ იყო
ოთახში. კარები დაკეტილი იყო. ეს ნამდვილად არ იყო სიზმარი. მე
სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ გამომეღვიძა დერეფნიდან მომავა-
ლი ფეხის ხმისაგან და ამის შემდეგ სრულიად გამოვფხიზლდი. ასევე
შემიძლია ვთქვა, რომ იმწამსვე ვიცოდი დანამდვილებით, რომ ჩემმა
მეგობარმა თავისი გამოცხადებით თავისი სიკვდილი შემატყობინა»
(ქ-ნი X-ი მართლაც იმ დროს გარდაიცვალა. აგრეთვე ჩაცმულიც იმ-
დაგვარადვე იყო).

შემდეგ არის რიგი წერილებისა, სადაც საკუთრივ «სულები» კი
არ გამოდიან, არამედ მხოლოდ ს ი ნ ა თ ლ ე, მაგრამ რომელიც
ნიშანია ახლობელთა გარდაცვალებისა.

ახლა მოვიყვანთ ერთ ისტორიულად დადასტურებულ შემთხვევას, რო-
მელიც ციტირებულია დანტეს «ღვთაებრივი კომედიის» Vindelin de
Spiera-ს წინასიტყვაობიდან (გამოიცა ვენეციაში 1477 წელს[X]).
აქ ვკითხულობთ: « დანტეს გარდაცვალების შემდეგ შეამჩნიეს, რომ
«ღვთაებრივ კომედიას» აკლდა მე-13 სიმღერა. ოსტატმა იგი ნამდ-
ვილად დაასრულა; მაგრამ მიუხედავად დიდი გარჯისა, იგი ვეღარსად

ავტორთა სტილი.

X ციტირებულია: „Geisterseher", Sammlung seltsamer Er-

ჰპოვეს. რვა თვის მერე დანტეს გარდაცვალებიდან მივიდა მისი შვილი იაკობ ალიგიერი პიეტრო ჯარდინოსთან, რომელიც წლების მანძილზე დანტეს მოწაფე იყო. როდესაც ისინი ერთად ისხდნენ ერთ მყუდრო ოთახში, იაკობმა მოუთხრო ჯარდინოს, თუ როგორ გამოეცხადა მას მამამისი გ ა ნ ა თ ე ბ უ ლ ი სახით ...» (მან მიასწავლა ადგილი, სადაც შემდეგ მართლაც იპოვეს ხელნაწერი).

ამჯერად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს სულების ჩვენებებისას, სადაც ასევე ფიგურირებს სინათლე, რომელიც მხილველში იწვევს არა შვებას, განათლებასა და სულიერ სიმშვიდეს, როგორც ზემოთ აღწერილ შემთხვევებში, არამედ შიშსა და განგაშს, რადგან იგი გამოდის ბოროტი და დაუხსნელი სულებიდან. ამასთან დაკავშირებით მოვუსმინოთ ერთი მამაკაცის მონათხრობს, რომლის მონაყოლი, აღბათ, ბევრ მოგონებას აღძრავს იმ მკითხველში, რომელსაც საქართველოს რომელიმე სოფელში თუნდაც ერთი ზაფხული გაუტარებია. აი ისიც: «დაახლოებით 55 წლის წინათ, როდესაც 20 წლის ვიყავი, ვმუშაობდი რძის გამყიდველთან. ყოველდღე 1000 ლიტრზე მეტი რძე სოფლიდან ქალაქში უნდა ჩამეტანა. რძე დილის 8 საათზე მაინც უნდა მიგვეწოდებინა ვაჭრებისათვის. ამიტომ, სამუშაო შუა ღამისას უნდა დაგვეწყო, რძე და კარაქი ოთხთვალაზე უნდა დაგვეღაგებინა და ცხენებისათვის გვეჭმია ... სოფელში ყვებოდნენ, რომ სოფლის ქვემოთ მდებარე წისქვილში ადრე ცხოვრობდნენ და რომ იქ ქალმა თავისი ბავშვი მოკლა; გარკვეულ დროს, ღამით, შეიძლებოდა იმის დანახვა, თუ ბავშვით ხელში როგორ ჩაუვლიდა იგი წისქვილს. ბუნებრივია, ამან გამოიწვია ჩემი ცნობისმოყვარეობა. ყოველთვის, როდესაც

-lebnisse berühmter Persönlichkeiten in Selbstzeugnissen und zeitgenössischen Berichten, München 1952.

იქით ჩავივლიდი, წისქვილისაკენ ვიყურებოდი. და მართლაც, ერთ ღამეს, მთელი ჩემი ოთხთვალათი უეცრად აღმოვჩნდი ძ ლ ი ე რ ი, უ ზ ა რ მ ა ზ ა რ ი ს ი კ ა შ კ ა შ ი ს, ს ი ნ ა თ ლ ი ს კ ო ნ უ ს შ ი. ამ კონუსის გულს უშუალოდ ცხენების უკან, მიწაზე ვხედავდი. ეს მძაფრი ნათება, აღბათ, სულ 5 წამს გაგრძელდა. სამივე ცხენი ყალყზე დადგა (სხვა პირობებში ძალზე ღამაზი სურათი). როგორც სწრაფად მოხდა ეს ყველაფერი, ასე სწრაფადვე გაქრა იგი. უკუნი ღამე გამეფდა ჩემს ირგვლივ. თვით ოთხთვალას საანათურებიც ჩაქრა. ცხენები კი გიჟურად გაიჭრნენ წინ . . . საბედნიეროდ აღვირებმა არ მიმტყუნეს...».

ერთი მანდილოსანი იწერება: «მე მაშინ ზუსტად თორმეტი წლისა ვიყავი. ერთ საღამოს სამზარეულო უნდა დამელაგებინა. როგორც ეს ძველ სახლებშია ხშირად, სამზარეულოს სარკმელი კიბისაკენ იმზირებოდა. იმხანად იქ არ იყო ელექტრობა გაყვანილი და ღამით ნავთის ლამპა ანათებდა. როდესაც ასე ვმუშაობდი სამზარეულოში, კიბიდან სარკმელში გამოანათა კ ა შ კ ა შ ა ს ი ნ ა თ ლ ე მ. მე ავიხედე და რა დავინახე? ქალის ფიგურა გრძელ თეთრ პერანგში, თეთრი თავსაბურით ჩამოდიოდა კიბეებზე. ხელში მას ეჭირა ლამპა. მე გავაღე ფანჯარა. მან მე შემომხედა, მაგრამ მისი თვალები თითქოს შუშისა იყო. იგი თითქოს ჩასრიალდა კიბეებზე მთავარ გასასვლელთან, დაუწყო საფოსტო ყუთს წვალება ისე, რომ ყუთმა ხმამაღლა დაიწყო რახუნი. მე, რასაკვირველია, შევვარდი ოთახში გადაფითრებული და ყველაფერი მოვყევი. – ჩვენ – ჩემმა მშობლებმა და ჩემმა ძმამ – ეს ფიგურა კიდევ ხშირად ვნახეთ , დიახ, ჩვენ მას თითქმის შევეჩვიეთ კიდევაც. იგი აღარ წარმოადგენდა ჩვენთვის საშინელებას. მაგრამ რა იყო იმის მიზეზი, რომ ეს ქალბატონი ვერ ისვენებდა?»

მამაკაცის წერილი: « ის, რასაც გიამბობთ, დედაჩემის თანხლებით შემემთხვა. ჩვენ შინ ვბრუნდებოდით ავადმყოფის ნახვის შემდეგ. იყო ღამე, ხოლო ჩვენ მივდიოდით ტყეზე გამავალი გზით, რომლის გვერდით ნაკადული მიედინებოდა. უეცრად, იქ, სადაც ნაკადული გუბდებოდა, ჩვენ შევნიშნეთ ს ა ნ თ ლ ი ს ა ლ ი, რომელიც დიდდებოდა რა სულ უფრო და უფრო, ი ს ე თ დ ი დ ს ი ნ ა თ ლ ე შ ი გ ა დ ა ვ ი დ ა, რ ო მ მ თ ე ლ ი ა რ ე მ ა რ ე ი რ გ ვ ლ ი ვ დ ღ ე ს ა ვ ი თ გ ა ა ნ ა თ ა. ნაკადულთან, ამ სინათლის კონუსის ცენტრში, ჩვენ დავინახეთ ბუნებრივი სიდიდის, მამაკაცისა და ქალის მსხდომარე ფიგურები, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთს ჩახუტებულნი. მოტოციკლისტმა, რომელიც ამ დროს გზაზე მიდიოდა, გააჩერა მოტოციკლი და ჩვენთან ერთად უყურებდა ამ სასწაულს. თუ რისი მაუწყებელი იყო ყოველივე ეს, ამის თქმა მე გარკვეულად არ შემიძლია. ვიცი მხოლოდ, რომ ადრეულ წლებში, იმ მიდამოში, ერთმა ქალიშვილმა სიყვარულის დრამის გამო წყალში თავი დაიხრჩო».

ბ. თეთრი სულები. ამდაგვარი წერილების მერე მოდის წერილების სერია, სადაც ს ი ნ ა თ ლ ი ს სულების მაგივრად ფიგურირებენ თ ე თ რ ი სულები, რომლებიც წერილთა ავტორებს ევლინებიან ხანცხადად და ხან ს ი ზ მ ა რ შ ი და რომელნიც წარმოადგენენ ან თავად გარდაცვლილთ, ანდა წინასწარმეტყველებენ იმათ სიკვდილს, ვის სახესაც ღებულობენ ისინი. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

ამერიკაში ყოფნისას ერთმა ქლ-მა განიცადა შემდეგი: «მე ძაღზე ვიტანჯებოდი ნოსტალგიით, განსაკუთრებით მამისადმი, და დავიძინე დამძიმებული გულით. უეცრად მომესმა კარების გაღების ხმა და ჩემი საწოლის წინ დავინახე მამაჩემი თ ე თ რ ს ა ზ ა ფ ხ უ ლ ო კ ო ს ტ ი უ მ შ ი, თ ე თ რ ი ქ უ დ ი თ ა და

ტროსტით. «მე მსურს შენ «მშვიდობით» გითხრა, რადგან დიდი ხნის მანძილზე ვეღარ გნახავ ...». ათი დღის შემდეგ მე მივიღე ცნობა, რომ მამაჩემი სწორედ იმ ღამეს და ზუსტად იმ დროს გულის ინფარქტით გარდაიცვალა».

სხვა მაგალითი: »დამესიზმრა დიდი ხნის გარდაცვლილი და (მე მას არ ვიცნობდი, რადგან მხოლოდ 2 წლის ვიყავი, როდესაც ის გარდაიცვალა). იგი მომევლინა ს უ ლ თ ე თ რ შ ი გ ა მ ო-წ ყ ო ბ ი ლ ი, მაღალი და მოხდენილი. იგი შემოვიდა ოთახში და თქვა: მოვედი დედის წასაყვანად. შემდეგ იგი ჩუმად დაჯდა და იცდიდა». ზუსტად ორი თვის მერე გარდაიცვალა დედა.

სხვა წერილში ვკითხულობთ: «დილის 2 საათზე დედაჩემმა სახელით დამიძახა. მე გამეღვიძა და საწოლიდან წამოვხტი. დედაჩემი იდგა აქ, მაგრამ ჩვეულებისამებრ ა რ ა შ ა ვ ე ბ შ ი, ა რ ა მ ე დ თ ე თ რ ა დ გ ა მ ო წ ყ ო ბ ი ლ ი. იგი გადამეხვია და გამომეთხოვა. თუმცა მე მაშინ 31 წლისა ვიყავი, მაინც კანკალმა ამიტანა და აღარ დამეძინა, რადგან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ დედის ამ გამომშვიდობებას რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა». - მართლაც, მოკლე ხანში დედა გარდაიცვლება.

ერთი მანდილოსანი წერს: «ჩემი პატარა ძ მა ძალზე ავად იყო. იმ ღამეს, რომელიც მისთვის საბოლოო გამოდგა, მე შემემთხვა რაღაც იშვიათი რამ. მე უეცრად გამომეღვიძა და თვალი მოვავლე ღამპით განათებულ ოთახს. ჩემი მზერა მიიპყრო სავარძელში მჯდომმა თ ე თ რ ე ბ შ ი ჩ ა ც მ უ ლ მ ა ქალმა, რომელსაც გრძელი თმები მხრებზე გადმოსდიოდა. როდესაც მას ასე ვაკვირდებოდი, იგი ადგა და წამოვიდა ჩემი საწოლისაკენ. მე შიშმა შემიპყრო და საბნის ქვეშ დავიმალე. როდესაც საბანი მოვიშორე, იგი ისევ იმავე ადგილას იჯდა. იმწამსვე იგი კვლავ ადგა და ისევ ჩემს წინ აღი-

მართა. ეს განმეორდა სამგზის. მესამეჯერ გაჩერდა იგი ჩემი საწოლის წინ. ახლა კი აღმომხდა ყვირილი. ამაზე დედაჩემს გაეღვიძა და სწრაფად მოვიდა ჩემთან. იმწამსვე ის ქალიც გაუჩინარდა. დედას მოვუყევი ამის შესახებ და მან დამამშვიდა და მაღე ღრმა ძილმა მომიცვა. დილას, როდესაც გამეღვიძა, ჩემი ძმა უკვე გარდაცვლილიყო».

გ. «თეთრი ქალის» მოჩვენება . ამის შემდეგ მოდის მრავალი წერილი «თეთრი ქალის» მოჩვენებაზე. მოგვყავს მამაკაცის წერილი: « ეს იყო მთვარით განათებული, მარტის ცივი ღამე. როგორც ეს ჩვენ ჩვეულებად გვქონდა, უკვე 9 საათზე საწოლში ვიყავით. მე და ჩემს ძმას ერთ ოთახში, ერთ საწოლში გვეძინა. მამა და დედა «შუა ოთახში» იწვნენ. მამაჩემს ჩვეულად ჰქონდა ღამით, ერთსა და იმავე დროს ადგომა ... მე ყოველთვის მეღვიძებოდა მის ადგომაზე, ხოლო ჩემს ძმას უფრო ღრმად ეძინა. გავიგე რა მამის ნაცნობი ნაბიჯების ხმა, მე მინდოდა ძილი განმეგრძო, მაგრამ უეცრად შევნიშნე, რომ მამაჩემი თავისი «მარშის» დროს შეჩერდა. ეს იყო რაღაც უჩვეულო. შიში და მისი მსგავსი მამაჩემმა არ იცოდა, მაგრამ რაც ახლა მომესმა , მან ყურები დამაცქვეტინა. «ბიჭებო»,- დაიძახა მან - «ბიჭებო, ეხლავე მოდით!» ჩვენ ვიყავით კუნთმაგარი, 16-17 წლის ბიჭები. ელვის სისწრაფით წამოვხტით ლოგინიდან, რაღაც გადავიცვით და გარეთ გამოვვარდით. აქ იდგა მამაჩვენი და ხელით გვიჩვენებდა რაღაცას. მას მეტის თქმა აღარ დასჭირვებია, ჩვენ საკუთარი თვალებით დავინახეთ ეს. ხეზე მსუბუქად მიყრდნობილი იდგა ქ ა ღ ი , თ ე თ რ შ ი ჩ ა ც მ უ ლ ი , რომელსაც ნაწნავებად დაწნული თმები თავისუფლად ეკიდა. მამამ გვიბრძანა: « მიდით და დაიჭირეთ, შეიძლება იგი საიდანმე გამოქცეულია».

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე და ჩემმა ძმამ სწრაფად მივირბინეთ ხესთან და ერთი მეტრის სიშორიდან მე მას ენერგიულად შევეკითხე, თუ რას აკეთებდა აქ. რაც შემდეგ მოხდა, მე არასოდეს დამავიწყდება. ორმა ბნელმა თვალმა მომაპყრო მზერა. ნაღვლიანად და საყვედურით აღსავსე მიმზერდნენ ისინი, თითქოს მთხოვდნენ, რომ მისთვის ხელი არ შეგვეშალა. კვლავ გაისმა მამაჩემის ენერგიული ბრძანება, რათა იგი შეგვეპყრო. როგორც კი დავაპირე მისთვის ხელის ჩავლება, ასევე ჩემმა ძმამაც, ხელში არაფერი შეგვრჩა[X]. სუსტი, შემნდობი ღიმილით გაგვისხლტა იგი ხელიდან, რათა უახლოეს ხეს, თითქოს საფარველს ეძებსო, მიყრდნობოდა. ახლა უკვე მთელი სისწრაფით გადავხტით მისკენ და ნამდვილად უნდა დაგვეჭირა, რომ არ მომხდარიყო რაღაც საოცარი: თითქოს უხილავმა ძალამ აიყვანა იგი ხელში, უსწრაფესად გასრიალდა ჩვენგან და იმწამსვე, თითქოს მიწამ პირი უყოო, გაუჩინარდა» (ამის შემდეგ ტელეფონით დაუკავშირდებიან შორიახლო მდებარე ფსიქ.საავადმყოფოს დირექციას და შეეკითხებიან, რომ ხომ არ გაქცევიათ მათ რომელიმე პაციენტი, რაზედაც უარყოფით პასუხს მიიღებენ. ამის მერე მდვდელს მიმართავენ).

დ. მიცვალებულთა გამცილებელი და ქონდრისკაცის მოჩვენება. ამ «თეთრი ქალის» გარდა წერილები კიდევ გვამცნობენ «მიცვალებულთა გამცილებლებზე» და »ქონდრისკაც-სულზე».

წერილი ერთი მანდილოსნისა მოგვითხრობს: «მამაჩემი. რომლის

X აქ ძალაუნებურად გვახსენდება დანტეს Purgatorio (მე-2 სიმღერა), სადაც იგი ხვდება მომღერალ გაზელას სულს, რომელსაც სამჯერ ეხვევა დანტე, მაგრამ სამჯერვე მისი ხელები მისსავე მკერდზე ეშვება სულის «სხეულის» გამტარობის გამო.

საყვარელი შვილი მე გახლდით ჩემს და-ძმებში, უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც ავადმყოფობდა, მაგრამ არავინ ფიქრობდა მის უეცარ გარდაცვალებას. მაშინ მე და ჩემი მეუღლე დასასვენებლად ვიყავით წასული. დილას, 15 აპრილს, უეცრად გამეღვიძა. მე თითქოს ვიგრძენი ცივი ჰაერის ნაკადის შემოჭრა ჩვენს დასაძინებელ ოთახში და სიცივემ ამიტანა. შორიდან მოისმა საათის რეკვა, რომელმაც ღამის სამი საათი გვამცნო. ჩემს მეუღლეს მაგრად ეძინა ჩემს გვერდით, მაგრამ მე სავსებით გამოფხიზლებული ვიყავი. განვაგრძობდი რა ასე წოლას, უეცრად ჩვენი საწოლების პირისპირ კედელზე დაკიდებულ სარკეში შევამჩნიე პატარა მრგვალი წერტილი. და რა საოცარია: ეს წერტილი სულ უფრო და უფრო გადიდდა და მიიღო ადამიანის ფორმა, რომელიც სარკიდან გადმოვიდა. ეს იყო მამაჩემი. მე მას ძალზე გარკვევით ვხედავდი, მის არწივისებურ ცხვირს, მის ულვაშებს - ყველაფერი ძალზე მკაფიოდ შევიცანი. მე შიშისაგან თითქოს პარალიზირებული ვიყავი და განძრევა არ შემეძლო. იგი დინჯად მომიახლოვდა, მაგრამ იგი მარტო არ იყო. იგი მოჰყავდა დ ი დ უ ც ხ ო მამაკაცს შავი ქუდით. მამაჩემი დაიხარა ჩემს საწოლზე და მითხრა ჩუმი, ნაღვლიანი ხმით: «მშვიდობით, ბერთელი, მე უნდა წავიდე. რუდისთანაც მინდოდა გამომშვიდობება, მაგრამ მას სძინავს!» მე ვიყავი გახევებული და სიტყვას ვერ ვძრავდი. მაშინ ჩასჭიდა მას ხელი იმ მეორემ და უთხრა: «წამოდი, ახლა ჩვენ უნდა წავიდეთ». შემდეგ ორივენი ისევ სარკესთან მივიდნენ, სულ უფრო და უფრო დაპატარავდნენ და შემდეგ მასში გაუჩინარდნენ ... დილის 9 საათზე დარეკა ტელეფონმა. რეკდა დედაჩემი, რომელმაც მითხრა, რომ დილის 3 საათზე გარდაიცვალა მამაჩემი თავში სისხლის ჩაქცევისაგან».

მამაკაცის წერილი: «1940 წელს დაიღუპა ჩემი საუკეთესო მეგობარი. 21 წლის ასაკში. როდესაც მისი სიკვდილის შესახებ შევიტყვეს კვლავ გამახსენდა ჩვენს შორის 3 წლის წინათ დადებული პირობა.

იგი შემდეგში მდგომარეობდა: ვინც ჩვენში პირველი მოკვდებოდა, იგი, იმის ნიშნად, რომ სიკვდილის შემდეგ სიცოცხლე არსებობს, ორ კვირაში უნდა მოვლენოდა ცოცხალს და მისთვის ხელი გაეწვდინა.

ის აზრი, რომ მკვდარს ხელი უნდა ჩამოერთვა ჩემთვის, მაინცადამაინც კარგ გუნებაზე არ მაყენებდა. სამმა კვირამ გაიარა და არაფერიც არ მომხდარა. თუმცა მე ძალზე მიხაროდა , მკვდარმა რომ ხელი არ ჩამომართვა, მაგრამ აღმეძრა ეჭვი მარადისობის არსებობის შესახებ. ეს პირობაც მალე დამავიწყდა.

ეს იყო კვირას, ზუსტად 6 კვირის შემდეგ ჩემი მეგობრის გარდაცვალებიდან, დაახლოებით დილის 7 საათზე. გარეთ უკვე მზე ანათებდა, დღის სინათლე იჭრებოდა საძინებელ ოთახში და მე კარგად შემეძლო იქ ყოველი საგნის გარჩევა. მე კვლავ ჩამეძინა. უეცრად დავინახე ჩემი საწოლის წინ (მის ბოლოს) მდგარი ჩ ე მ თ ვ ი ს ს რ უ ლ ი ა დ უ ც ნ ო ბ ი მ ა მ ა კ ა ც ი , რომელიც გაღიმებული დაჟინებით მიცქერდა. მე ძალზე შემეშინდა და იმწამსვე გამოვფხიზლდი. მაგრამ მამაკაცი კვლავ იდგა იმავე ადგილზე და კვლავ მიცინოდა. თვალში საცემი იყო მისი პირისახის ჯანმრთელი ფერი და ბედნიერი თვალები. მისი ამ კეთილი გამოხედვის შედეგად მე ყოველგვარი შიში გამიქრა და კვლავ დავიმორჩილე ჩემი თავი. უეცრად ეს კაცი პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა. იგი ჩვეულებრივი ძეხორციელი რომ ყოფილიყო, მას ამ მიმართულებით ჩემს საწოლზე უნდა გადმოეცლო. მაგრამ იგი ისე წამოვიდა ჩემსკენ, თითქოს არავითარი საწოლი არ არსებობდა და უსიტყვოდ ჩაიარა ჩემს მარჯვნივ და კედელში გაქრა. როდესაც მე კვლავ საწოლის ბოლოსაკენ გავიხედე, უფრო დიდმა გაოცებამ შემიპყრო, რადგან დავინახე ჩემი გარდაცვლილი მეგობარი. იგი არ იცინოდა, მხოლოდ სერიოზული თვალებით დიდხანს მიმზერდა და შემდეგ მანაც ისევე ჩამიარა და კედელში გაქრა. ეხლა ვიცი, რომ ჩვენ-

ვის, ადამიანებისათვის, სიკვდილი არ არსებობს».

ამის შემდეგ არის რიგი წერილებისა, რომლებიც აღწერენ «ქონდრისკაც-სულს» და რომლის მაგალითებს ჩვენ არ მოვიყვანთ, რადგან ეს აღწერილი აქვს ლევ ტოლსტოის თავის ცნობილ რომანში «ანა კარენინა» (ანას სიზმარი). მაგრამ აქ მოვიხსენიებთ იმ ლეგენდას ნაპოლეონზე, სადაც ასეთი «კაცუნა» ფიგურირებს: «ნაპოლეონ ბონაპარტეს, ზოგიერთივით, თავისი თავი მიაჩნდა განგების იარაღად. მას სჯეროდა, რომ მას არაფრის არ უნდა შინებოდა იქამდე, სანამ განგება იყენებდა მას თავისი მიზნებისათვის. ასევე სწამდა, რომ მას იცავდა *spiritus familiaris*, რომ მას დემონი მართავდა, რომელიც გარკვეულ მომენტებში ანთებული სფეროს ფორმას ღებულობდა, რომელსაც იგი თავის ვარსკვლავს უწოდებდა, ანდა, იგი მას ეცხადებოდა წითლად გამოწყობილი კაცუნას სახით, რომელიც მას აფრთხილებდა...»[X].

ე. დაუხსნელი სულები. წერილების შემდგომი სერია ეთმობა დაუხსნელ ან მომნანიებელ სულებს. აქ იგულისხმება სულები, რომლებსაც ცოდვა აქვთ ჩადენილი ამქვეყნად და რომელიც მათ საიქიოსაც არ ასვენებთ. აქვე არიან ის სულები, რომელთაც მიწიერი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრეს. მოვიყვანოთ ამის ერთი მაგალითი:

მანდილოსანი იწერება: «მრავალი წლის განმავლობაში ვცხოვრობდი ერთ ქრისტიანულ საერთო საცხოვრებელში მარტოხელა ქალებისა და ქალიშვილებისათვის. იქ წლების მანძილზე შემოდგომის რამდენიმე კვირას, სულის გამოვლინებებს ჰქონდა ადგილი. ხან ჩუმი, ხან ხმამაღალი კაკუნი ისმოდა კედლებზე, მაგრამ ყოველთვის ოთხსართულიანი

X Geisterseher. Eine Sammlung seltsamer Erlebnisse berühmter Persönlichkeiten ...., München 1952.

სახლის პირველ სართულზე. თუკი საღამოს 10 საათზე იქ დერეფანში გაივლიდი, დროდადრო იგრძნობდი ყინვასავით ცივი ჰაერის[X] მობერვას სახეზე, რომელსაც თან ახლდა ხოლმე შიშინისებური ხმაური. სახლის უფროსს (ქალს), რომლის ოთახშიც ხმაური ყველაზე გარკვევით ისმოდა, ჯერ მიაჩნდა, რომ გვერდითა სახლში გვიან საღამოს ოთახებს ალაგებდნენ და სურათებს ადგილს უცვლიდნენ. მაგრამ გამოირკვა, მოპირდაპირე სახლში პირიქით ეგონათ და ჩივილსაც კი აპირებდნენ. ორივე სახლში ეს ხმაური წლების მანძილზე ისმოდა შემოდგომისას. რაც შეეხება ცივი ჰაერის ნაკადსა და შიშინს – ეს მხოლოდ ჩვენს სახლში ხდებოდა. შემდეგ, ჩვენ «შემთხვევით» გავიგეთ, რომ მრავალი წლის წინ, სანამ ეს სახლი საერთო საცხოვრებელს კი არა, არამედ გასაქირავებელ სახლს წარმოადგენდა, სწორედ სახლის უფროსის ოთახში ახალგაზრდა მამაკაცმა შუბლში ტყვია იხალა. მხოლოდ მრავალგზისი საერთო ლოცვის შემდეგ მოჩვენება გაქრა საცსებით და შემდეგ წლებშიც აღარ გამოჩენილა».

კიდევ ერთი მაგალითი. მანდილოსნის წერილი: «ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა მე დანიშნული ვიყავი. ოთხი თვის შემდეგ უნდა დავქორწინებულიყავით. მაგრამ უთანხმოებებისა და სიძნელეების გამო ეს ჩაიშალა. მე შევეცადე ეს დამევიწყებინა, რაც მოვახერხე კიდევაც, რადგან ღრმად მჯეროდა, რომ ამ კაცთან მე ბედნიერი ვერ გავხდებოდი. მას შემდეგ ექვსმა წელმა განვლო და მე უკვე დიდიხანია, რაც ეს ისტორია მივიწყებული მქონდა, რომ ერთ მშვენიერ კვირა დღეს

X ცივი ჰაერის ნაკადი ან ქროლვა განეკუთვნება იმ იშვიათობებს, რომელსაც ყოველთვის უკავშირებენ მოჩვენებებისა ან სულების გამოცხადებას. ბერძნულად *psychein* ნიშნავს სუნთქვას, *psychros* ცივს და *psychos* გრილს! საკუთრივ *Psyche*, როგორც სიტყვა გვამ-

არ მომხდარიყო შემდეგი:

ნაშუადღევს მე ისევ სამზარეულოში ვიყავი დასაქმებული, იქაურობას ვალაგებდი, რომ უეცრად რაღაც თავისებური მოუსვენრობა დამეუფლა. რაც შემდეგ მოხდა დღეს ეს ჩემთვის ისევ გაუგებარია, რადგან მე ვმოქმედებდი არა ჩემი ნებით, არამედ რაღაც უხილავი იძულებით. ამ ჩემმა მოუსვენრობამ რაღაც ციებცხელებით მიბიძგა, რომ ჩემი სამუშაო რაც შეიძლება სწრაფად დამესრულებინა. როდესაც იგი დავამთავრე, მე ავიღე სხვენზე მყოფი ოთახის გასაღები, გავაღე იგი და ჯარი მოვიხურე. ეს იყო ოთახი, სადაც მხოლოდ ძველი ჩემოდნები ინახებოდა. მე გავაღე ერთ-ერთი მათგანი და ამოვიღე პატარა ყუთი, სადაც იყო წერილები ჩემი ყოფილი დანიშნულისა. ეს წერილები იქ 6 წლის წინ დავმარხე წყენით აღსავსემ. მე ჩამოვჯექი ჩემოდანზე და დავიწყე ამ წერილების კითხვა. თანდათან მომერია უფრო მეტი მოუსვენრობა და უეცრივ დავიწყე ტირილი, ისე შემებრალა ეს ადამიანი, რომელიც თავის წერილებში სიყვარულს მეფიცებოდა. ასე ვიყავი გრძნობაარეული რამოდენიმე ხანს. უეცრად, ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ თითქოს ოთახში კიდევ ვიღაც უნდა ყოფილიყო. შეშინებულმა ზე ავიხედე და დავინახე ჩემი უწინდელი დანიშნული. იგი იდგა ჩემს წინ, წყნარად მიყურებდა, მაგრამ თითქმის გამომწვევად და მითხრა ისე, რომ მისი სახის ნაკვთები არც შერხეულა: «შენ უნდა ყველაფერი მაპატიო, რაც მე შენ გაგიკეთე. მე ვიყავი საწყალი ადამიანი». მე მას შევცქეროდი, როგორც ჰიპნოტიზირებული, და ვთქვი ხმამაღლა: «მე შენ ყველაფერი გაპატიე. შენ იყავი საწყალი ადამიანი». როდესაც ჩემი სიტყვები დავასრულე, არარაობად იქცა მისი ფიგურა. ჯერ მეგონა, რომ ეს დამესიზმრა, მაგრამ გარეთ იყო ზაფხუ-

---

ცნობს, არის «გრილი ქროლვა». (ა.იაფფეს შენიშვნა)

ლის უმშვენიერესი დღე და მე ვიცოდი, რომ არ მძინებია. ძალზე გულდამძიმებული ჩავწექი იმ საღამოს საწოლში, მტკიცედ დარწმუნებული, რომ ჩემი ნერვები რიგზე ვერ არის, თორემ დღისით-მზისით ასეთი ამბები არ დამემართებოდა.

მეორე დღეს, გაზეთში, ჩემი დანიშნულის გარდაცვალების განცხადება წავიკითხე. როგორც შემდეგ მომიყვნენ, იგი გარდაცვლილა ნაშუადღევს, სწორედ იმ ნაშუადღევს, როდესაც მან მე სხვენზე მაიძულა, რომ მისთვის ყველაფერი მეპატიებინა...».

ვ. უთავო და უსახო სულები. ასეთ სულებსაც «დაუხსნელ სულებს» მიაწერენ ხოლმე წერილების ავტორნი უმეტესად. მოგვყავს ორი მაგალითი.

წერილი შეიცავს ბავშვობაში განცდილის გახსენებას: «მე და ჩემს ძმას ცალკე ოთახში გვეძინა ხოლმე. მაშინ მთვარიანი ღამე იყო. სავსე მთვარე ოთახის შუაგულში ასხივებდა და ანათებდა მას. აქ მოხდა რაღაც ენით აღუწერელი. ფანჯრის ფარდის უკან, რომელიც იატაკამდე ეშვებოდა, იდგა მამაკაცის გრძელი ფიგურა, რომლის ნაწილს ფარდა ვერ ფარავდა. იგი ნელა წამოვიდა ჩვენი საწოლისაკენ, გარშემოუარა მაგიდას, რომელიც ოთახის შუაგულში იდგა და მოვიდა ჩემი საწოლის კიდესთან. მე ვიგრძენი გულმკერდზე ჩემი ძმის ცივი ხელი, რომელიც ასევე უყურებდა ამ მოჩვენებას. მაგრამ ყველაზე საშინელი ის გახლდათ, რომ ფ ი გ უ რ ა უ თ ა ვ ო ი ყ ო. საკუთარი თავი მას მარცხენა ხელში ეჭირა, რომელიც ჩვენ მოგვშტერებოდა. ჩვენ შევძელით მისი სახის ნაკვთების გარჩევა, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ. მაშინ მე ვიყავი დაახლოებით 6 წლის. როგორც კი ფიგურა ასევე დინჯად გაბრუნდა უკან და ფარდის უკან გაუჩინარდა, ჩვენ მაშინვე გადმოვცვივდით საწოლიდან და

ავირბინეთ კიბეზე დედის ოთახში, საშინლად ზარდაცემულნი და სიტყვა დაკარგულნი. საბოლოოდ, ქვითინისა და კანკალის მერე ჩვენ ძლივს ვუამბეთ მშობლებს მომხდარის შესახებ. იმ ღამეს, როგორც უმცროსი, დედამ ჩამიწვინა ლოგინში, ხოლო ჩემი ძმა - მამამ. მას მერე არავის დაუძინია იმ საშინელ ოთახში.

მაგრამ ეხლა იწყება რალაც უცნაური. დაახლოებით 14 წლის შემდგომ ამ შემთხვევიდან, მამაჩვენი ქექავდა ძველ ქაღალდებსა და ფოტოებს და ჩვენ, მე და ჩემი ძმა, ამას ვუყურებდით. უეცრად ძმას ყვირილი აღმოხდა და ძალზე აღელდა. შემდეგ მან მიჩვენა ერთი ფოტო: და მართლაც, მეც ასევე შევშინდი, რადგან შევიცანით სახის ნაკვთები იმ ღამის მოჩვენებისა. დიდი ხნის დაფიქრების მერე მამამ გვიამბო ისტორია იმ კაცისა, რომელიც ჩვენ გვეჩვენა. ამ კაცს დიდი გაფლანგვის მერე სხვა გამოსავალი ვერ უპოვია და თავი ჩამოუხრჩვია ს წ ო რ ე დ ი მ ო თ ა ხ შ ი».

კვლავ მამაკაცის წერილი: «დილაადრიან უეცრად გამომეღვიძა, მაგრამ შეძრწუნებული საწოლს მივეჯაჭვე. ერთი ფიგურა იდგა ჩემს საწოლთან. ცალკეულ წვრილმანამდე შეიძლებოდა მისი ჩაცმულობის, ხელებისა და თავის გარჩევა. მაგრამ ზარდაცემულმა ამავე დროს შევნიშნე, რომ თ ვ ა ლ ე ბ ი ს, ც ხ ვ ი რ ი ს ა და პ ი რ ი ს ა დ გ ი ლ ა ს ი ყ ო მ ხ ო ლ ო დ ს ი ბ რ ტ ყ ე, თ ი თ ქ ო ს ბ ა მ ბ ი ს ა გ ა ნ წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ლ ი. მთელი ფიგურა კი შედგებოდა მყარი, არაგამჭვირვალე მასალისაგან, რომელიც შექმნილი იყო თითქოს ნაცრისფერ-თეთრი მყარი ნისლისაგან».

ზ. შეუსრულებელი დაპირება. შეუსრულებელი დაპირება ასევე წარმოადგენს საფუძველს სულთა მოვლინებისათვის. წერილების შემდგომი

სერია ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც გარდაცვლილთა სულებს სიკვდილის მერე სურთ იმის შესრულება, რაც მათ ვერ გააკეთეს ამქვეყნად ყოფნისას.

ერთი ქალი იწერება: «1939 წელს, როდესაც ომი დაიწყო, ჩემი მშობლები ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენ. 1940 წელს გარდაიცვალა დედაჩემი, რაც მე მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გავიგე. ამან მე ძალზე დამტანჯა, მითუმეტეს, რომ 1934 წლიდან, რაც მე და ჩემი ქმარი ამ სახლში ვცხოვრობდით, მიუხედავად მრავალი მოპატიჟებისა, ჩემს მშობლებს ერთხელაც არ ვუნახივართ. ამის შესახებ წერილებში შევჩივლე მამას და მან მომწერა, რომ დავწყნარებულიყავი და როგორც კი ომი დამთავრდებოდა, იგი მომინახულებდა.

ეს მოხდა 1944 წლის ივლისში, საშინელი დაბომბვის ერთი დღის მერე: ჩემი ქმარი სამსახურში იყო და მე მარტო ვიყავი შინ. უეცრად მამაკაცის ხმამ კიბის ქვემოდან დამიძახა: «ლინა, მე აქა ვარ!» მე ვუპასუხე: «ჰო, ეხლავე მოვდივარ». ამის შემდეგ რამდენ ჯერმე დავიძახე, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. უეცრად ტანში გამაცივა შიშისაგან. მე დავხედე საათს, საღამოს 6 საათი იყო. მთელი სახლი დავიარე ზემოდან ქვემოთ, ცხადია, გულის ბაგა-ბუგით, მაგრამ არავინ იყო აქ. მაშინ ძალიან შევშინდი ჩემს ქმარზე, ვიფიქრე, რამე ხომ არ დაემართა მეთქი. მთელი საათი გავატარე ტრამვაის გაჩერებასთან და ამოვისუნთქე, როდესაც ბოლოს ის გამოჩნდა. იგი ძალზე განცვიფრდა, როდესაც დამინახა და მე მას მოვუყევი ჩემი განცდილი. რადგან ჩვენ ეს შემთხვევა ვერაფრით ავხსენით, მაღე დაგვავიწყდა იგი. მხოლოდ მაშინ, როდესაც მამაჩემის გარდაცვალების ცნობა მივიღეთ, ეს შემთხვევა კვლავ გაგვახსენდა. ეს იყო მამაჩემის გარდაცვალების დღე. მ ა ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ს მ ე რ ე ს უ რ დ ა დ ა პ ი რ ე ბ ი ს

შ ე ს რ უ ლ ე ბ ა».

ეხლა მოვიყვანოთ იმის მაგალითი, რომ არა მარტო თავიანთი დაბირების შესრულებას ღამობენ გარდაცვლილთა სულები, არამედ ამქვეყნად მყოფთაგან იმავეს მოითხოვენ. ქალის წერილი: «რაც უფრო ერეოდა ავადმყოფობა ჩემს ქმარს, მით უფრო ეჭვიანი ხდებოდა იგი. იგი ელოდა სიკვდილს, მაგრამ მძაფრი ეჭვიანობა მას ნამდვილად ანიჭებდა ფარულ ძალებს უფრო დიდხანს გაეძლო. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, მან საზეიმოდ ჩამომართვა პ ი რ ო ბ ა , რ ო მ ა რ ა ს ო დ ე ს ს ხ ვ ა მ ა მ ა კ ა ც ი ს ა ა რ გ ა ვ ხ დ ე ბ ო დ ი . მე ეს დაუფიქრებლად დავპირდი მას, იმ იმედით, რომ იგი მენუგეშებინა. გაიარა წლებმა. მე ვცხოვრობდი ძალზე გარიყულად, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი. უკვე მერვე წელი იყო ჩემი ქმრის გარდაცვალებიდან, რომ დედაჩემმა და დეიდამ ახალგაზრდა დურგალი გამაცნეს, რომელსაც თურმე მოვწონებოდი და უნდოდა ცოლად შევერთე. ენაწყლიანი დეიდისა და დედაჩემის წაბიძგებით მე კვლავ ცხოვრებისეულ სიხარულს ვუბრუნდებოდი, მითუმეტეს, რომ არც მე ვუყურებდი დურგალს გულგრილად. ნიშნობა ჩვენ დავთქვით აღდგომის კვირას. საზეიმო სუფრას ვიწრო წრე ვუსხედით, მხოლოდ ხუთი პიროვნება. მას შემდეგ, რაც ლოცვა წარვთქვით, ჩვენ ავწიეთ თეთრი ღვინით სავსე ჭიქები ერთმანეთის დასალოცად. და მაშინ მოხდა ეს: როდესაც ჭიქა მაგიდაზე დავდგი, იგი ისე დაიმსხვრა, რომ მხოლოდ ყუნწი შემრჩა ხელში. ასევე დაემართა ჩემი დანიშნულისა და დედაჩემის ჭიქას. საბოლოოდ 5 ჭიქიდან 4 ნ ა მ ს ხ ვ რ ე ვ ე ბ ა დ ე ყ ა რ ა მ ა გ ი დ ა ზ ე . სიტყვა არავის დაუძრავს. შპალერიან კედელზე დაიგრუხუნა ძალზე ხმამაღლა. უეცრად, ავტომატურად, სიტყვები წამომცდა: «ჩემი ქმარი – რობერტი!» ყველაზე მეტად მე შემეშინდა ამისა. ოთახში გამეფდა მტკივნეული დაძაბულობა. მონუსხულივით წამოვიჭერი მაგიდიდან და ოთა-

ხიდან გავიქეცი. ნიშნობა ჩაიშალა. ამ გაფრთხილების მერე მე არ მეყო გამბედაობა დამერღვია პირობა, რომელიც გარდმცვლილ ქმარს აღვუთქვი».

თ. ორეულები. წერილებში არიან ისეთებიც, რომლებიც აღწერენ «ორეულების» ფენომენს. რა იგულისხმება ამ ფენომენში? ესაა ადამიანებში, როგორც ჩანს, არცთუ ისე იშვიათად გავრცელებული მოვლენა «სულის გამოსვლისა» - «სულის ექსტერიორიზაცია». ამ შემთხვევაში სხეული აღიქვამს თავის «სულიერ სხეულს», როგორც მის გარეთ მყოფს, ან, უფრო ხშირად, ეს «სულიერი სხეულია» რომელიც აღიქვამს და ხედავს მის მიერ დატოვებულ სხეულს.[X] ამ უკანასკნელი შემთხვევის მაგალითი მოიყვანა იუნგმა თავის ნაშრომში[XX], როდესაც აღწერა გულწასული პაციენტის მდგომარეობა. იუნგმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ტვინისა და გრძნობათა ორგანოებიდან «მოცილებული სული» («losgelöste Seele») თავისი აღქმის უნარით არაფრით ჩამოუვარდება საკუთრივ გრძნობათა ორგანოების აღქმის უნარს. ჯერჯოდ, აღნიშნული პაციენტი გაცნობიერებულად აღიქვამდა, რომ თითქოს იმყოფებოდა საავადმყოფოს პალატის ჭერზე, აღიქვამდა ოთახში მომხდარ ყოველ შემთხვევას, მაშინ, როცა მისი სხეული თვალდახუჭული იწვა საწოლზე.

შემდეგი წერილი აღწერს იმ შემთხვევას, როდესაც სხეული აღიქვამს თავის გარეთ მყოფ «სულიერ სხეულს» («Geistleib»): «ეს

X დაახლოებით ამდაგვარი რამ გგნიცადა ამ სიტყვების ავტორმა 7-8 წლის ასაკში.

XX ციტირებულია: ა.იაფფე, დასახ.ნაშრომი, გვ.181

ისტორია შემემთხვა რამდენიმე წლის წინათ ერთ სასტუმროში. იდგა ზაფხული. დაახლოებით შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც ჩემს ოთახში შევედი. რადგანაც ცოტა ადრე იყო ვახშმობამდე, პირაღმა გავიშოტე ლოგინზე, თავი გადავწიე ოდნავ მარჯვნივ (ვინაიდან კუბის ნერვულ ტკივილებს ვუჩივოდი, ამიტომ ჩვეულებად მქონდა ჭამის წინ რამდენიმე წუთი დამესვენა); რამდენიმე წუთი ვიყავი ასე, ნახევრად ბურანში. როდესაც უეცრივ გამეღვიძა, მქონდა კომიკური შეგრძნება შინაგანად დაცარიელებულად ყოფნისა. მსურდა წამოწევა, მაგრამ ვერ შევძელი. უბრალო მოძრაობაც ვერ შევძელი. არათუ თავის მოტრიალება, თითის განძრევაც არ შემეძლო. ჩემი თავი მკაფიოდ მუშაობდა და მეუბნებოდა, რომ მე მოვკვდი, რადგან ჩემი სხეულის შეგრძნება აღარ ძალმიძდა. დამწუხრებული არ ვიყავი ჩემდა გასაკვირად. იმაზე ვფიქრობდი, თუ ჩემი სული, ჩემი ჯერ კიდევ ნათელი გონება მკვდარ სხეულს როგორ მოშორებოდა. როდესაც მე ასე განუძრევლად ვიწექი და ჩემი თავი ამგვარი ფიქრებით იყო დაკავებული, მოხდა რაღაც უცნაური. ჩემგან მარჯვნივ ჩემსკენ დინჯად მონავარდობდა ბნელი ჩრდილი. ეს ჩრდილი თავისუფლად დაკიდებული იწვა ჰორიზონტალურად ჰაერში და ჰქონდა ზ უ ს ტ ი მ ო ხ ა ზ უ ლ ო ბ ა და ს ი დ ი დ ე ჩ ე მ ი ს ხ ე უ ლ ი ს ა (ოთახი განათებული იყო და მე ყველაფერს მკაფიოდ ვხედავდი). ჩრდილი მოძრაობდა ჩემსავე სიმაღლეზე (ჩვენ ვიყავით ახლა როგორც ტყუპისცალნი ერთურთის გვერდით) და მან ნელა გაიარა ჩემში. ეს ჩემს შიგნით ჩასრიალება ჩემი მეორე მესი გრძელდებოდა ხუთიდან ათ წამამდე. მე ეს ყველაფერი სხეულებრივად ისე ვიგრძენი, როგორც დაახლოებით ვგრძნობთ ხოლმე მარჯვენა და მარცხენა ხელის ერთმანეთზე მიხახუნებას. იმწამსვე კვლავ ვიგრძენი თანდათანობით მარჯვნიდან მარცხნისაკენ ჩემი სხეულის სითბო და ასე შევძელი აგრეთვე

ჯერ ჩემი მარჯვენა ხელის ამოძრავება იმ დროს, როდესაც მარცხენა ჯერ კიდევ გაშეშებული იდო».

შემდგომი წერილი კიდევ უფრო უცნაურად ჟღერს. მაგრამ სანამ მას მოვიყვანდეთ (და სანამ კომენტარებზე გადავალთ), მკითხველს გავახსენებთ, რომ ისტორიამ მრავლად უწყის ამდაგვარი მოვლენა. ფართოდაა ცნობილი, მაგ., რომანტიკოსების დამოკიდებულება ორეულთან. ეს მოტივი ხშირად დომინირებს მათ შემოქმედებაში. ამიტომ ისინი თვლიან, რომ არიან «მოგზაურნი ორ სამყაროს შორის». ირრაციონალური, «ბუნების ღამეული მხარე» აგრძნობინებს მათ ამ ორეულს. ისინი გრძნობენ, რომ «ხან მიწისანი არიან და ხან ცისა». რაც შეეხება ორეულის «ღამეულ მხარეს», აქ ჰოფმანის «ძმა მედარდუსის» გახსენებაც კმარა მისი «ელიქსირიდან». თავის ორეულთან შეხვედრას ადასტურებს თვით გოეთე, რომლის აღწერასაც დაინტერესებული მკითხველი იპოვის მის «პოეზიასა და სიმართლეში» (მე-2 ნაწ., წიგნი XI).

დავუბრუნდეთ წერილებს. მამაკაცი, რომელსაც თირკმელი აწუხებდა, გვაუწყებს: «ამინდი იყო მშვენიერი და მზიანი. მე მქონდა ხეთი საშინელი ტკივილები, რომ თავს ვუთხარი: შენ როგორმე ვნდა დატოვო თავი შენი და მაშინ ტკივილებიც მოგშორდება. უეცრივ ჩემს წინ დავინახე კაცი, რომელიც ბაღის გასასვლელისაკენ მიაბიჯებდა. მან გააღო ალაყაფის კარი და ქუჩაში გავიდა. მე მას მონუსხულივით ვადევნებდი თვალს, სანამ ცნობიერებაში აზრმა არ გამიელვა: ეს თვითონ შენა ხარ! მე წამოვხტი ერთადერთი სურვილით – როგორმე დავწეოდი ამ კაცს. მან უკვე გაუხვია ერთერთ ქუჩაზე და ჩემს თვალთაგან გაქრა. მაშინ ამიტანა წარმოუდგენელმა შიშმა. მე სირბილს ვუმატე და გიჟივით დავედევნე მას, დავეწიე, როგორც ჩანს, დავიბირე და ყველაფერი მოგვარდა, თუ როგორ – ამის ახსნა მე არ შემიძლია. აგრეთვე ტკივილები, რომელთაგანაც განვ-

თავისუფლდი ამ ხნის განმავლობაში, კვლავ დამიბრუნდა. უჩვეულო სირბილისაგან ქანცგაწყვეტილი ჩემი სახლის წინ მდგომ სკამზე ჩამოვჯექი. მაღე ჩემი ცოლი გამოვიდა სახლიდან და მითხრა: «ქ-მა დ-მ და ბ-მა კ-მ ამწუთას დამირეკეს და შემეკითხნენ, თუ რა გჭირს შენ. შენ შეპყრობილივით დარბოდი ქუჩებში» (ამ ხალხმა, როგორც ჩანს, მე დამინახეს, თუ როგორ მივრბოდი და არა ჩემი მ ე ო რ ე მ ე , რომელსაც მივსდევდი. ამიტომ წარმოვადგენდი მათთვის უცნაურ სანახაობას)».

ორეულის ნახვა ხშირად სიკვდილის მაუწყებელია. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ე რ თ ი მანდილოსნის წერილს: « დაახლოებით 20 წლის წინ მყავდა ოცდაექვსი წლის ქალიშვილი, რომელიც პიანისტი იყო. ერთ საღამოს, როდესაც იგი ფორტეპიანოსთან იჯდა და ვარჯიშობდა, მე შევნიშნე, ჩემდა გასაოცრად, რომ მის მარცხენა მხარეს იჯდა ისევ ჩემი ქალიშვილი, ზუსტად ისევე ჩაცმული, მაგრამ სრულიად გამჭვირვალე. მე არაფერი ვუთხარი ჩემს ქალიშვილს. ნახევარი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა ტრაგიკულ გარემოებებში. როდესაც დასაფლავებიდან დავბრუნდით და მე კარი გავაღე სასადილო ოთახში შესასვლელად, დავინახე ი გ ი , ზუსტად ჩვეულებისამებრ ჩაცმული, ოღონდ გამჭვირვალე; მან გვერდით ჩამიარა და მერე აღარასოდეს აღარ მიხილავს».

როგორც ჩანს, აღნიშნული მანდილოსანი დაჯილდოებულია გარკვეული ნათელხილვის უნარით, რადგან იგი ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ს ი ტ უ ა ც ი ა შ ი დ ა ა რ ა ე რ თ გ ზ ი ს ხ ე დ ა ვ ს ს უ ლ ე ბ ს , მაშინ, როცა სხვა წერილთა ავტორებს ისინი ეცლინებიან მხოლოდ ერთხელ და ისიც განსაკუთრებულ სიტუაციაში. იგივე მანდილოსანი აგვიწერს სხვა შემთხვევას: « ბოლო გაზაფხულზე ჩემი და სტუმრობდა ჩემთან. ჩვენ მოვემზადეთ ქალაქ-

ში გასასვლელად. მე მას ვუთხარი: «შენ ჩადი და დამელოდე სახლის წინ, მე ეხლავე მოვალ». ჩემს დას ეცვა მუქი მწვანე კაბა და ეხურა თეთრი ქუდი. როდესაც ოთახი დავტოვე და გასასვლელისაკენ გავემართე, დავინახე ჩემი და ამ გასასვლელში ჩემგან ექვსი ნაბიჯით დაშორებული. იგი იდგა, მაგრამ თავისი ჩაცმულობბით მთლიანად გამჭვირვალე ი ყ ო , რ ო გ ო რ ც მ ი ნ ა . მე მას თვალი მოვაშორე და კვლავ შევხედე, იგი კიდევ იქ იდგა. მეორედ გავიმეორე ეს და მაშინ მისი ფიგურა გაქრა. მე მოვუყევი მას ამის შესახებ, მაგრამ იგი მეჩხუბა და სისულელე უწოდა ამას. მე კი გავიფიქრე: «ჩემი და ნამდვილად დიდხანს აღარ იცოცხლებს». დაახლოებით ნახევარი წლის შემდეგ, ზაფხულის ბოლოს, მან მხოლოდ სამი დღე იავადმყოფა და გარდაიცვალა».

ი. <u>სულები, რომელთა ფორმას ცოცხლებიდან ვერ ანსხვავებენ</u>. დასასრულ გვინდა მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი იმ წერილების სერიიდან, სადაც აღწერენ სულთა ისეთ გამოცხადებას, რომ მათ ვერ ანსხვავებენ ცოცხალთაგან და მხოლოდ მერე დგინდება, რომ ისინი ხულები იყვნენ.

«ჩემმა ქმარმა»,- იუწყება ერთი მანდილოსანი - «უკიდურესად ფხიზელი გონებისამ, რომელიც სულთა ყოველგვარი გამოცხადების მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი, თავად გამოსცადა ის, რამაც ძალზე დააფიქრა და შეაცვლევინა უხილავი საგნებისადმი დამოკიდებულება.

რამდენიმე წლის წინ, როდესაც საღამო ხანს ქუჩაში მიდიოდა, მან უკვე შორიდან დაინახა წარმოსადეგი ფიგურა თავისი პოლკოვნიკისა, რომელიც ჩქარი ნაბიჯით უახლოვდებოდა მას. ჩემს ქმარს, მისი პოლკის ყოფილ ოფიცერს, ძალზე უყვარდა თავისი პოლკოვნიკი

და მასთან შეხვედრა ყოველთვის სიხარულს გვრიდა. როდესაც რამდენიმე ნაბიჯიღა დარჩა მათ შორის და ჩემმა ქმარმა ჩვეული მისალმებისათვის ქუდთან ხელი მიიტანა, პოლკოვნიკმა მას უცხოდ შეხედა, უეცრივ მარჯვნივ გადაუხვია და ქუჩა გადაჭრა. მთელი საღამო კლუბში ყოფნისას და შემდეგ შინ, სადაც ჩემმა მეუღლემ ყველაფერი დაწვრილებით მიამბო, იტანჯებოდა იგი ამის გამო, იგი ამბობდა, რომ პოლკოვნიკს არ სურდა მას მისალმებოდა, დემონსტრაციულად აარიდა თავი მასთან შეხვედრას, რომლის დროსაც მისი ტუჩები დამცინავად იყო აპრეხილი და მთელი მისი სახე უცხოდ, სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე უწინ. მე ყოველი ღონე ვიხმარე ჩემი ქმრის დასამშვიდებლად. მეორე დილას, როდესაც იგი საუზმობდა და გაზეთს ათვალიერებდა, მომესმა მისი მუშტის დარტყმა მაგიდაზე და რაღაც წამოძახილი. როდესაც სამზარეულოდან გამოვქანდი, დავინახე თუ როგორ დაჰყურებდა იგი გაფითრებული გაზეთში დიდი ფორმატის სამგლოვიარო განცხადებას: განცხადება იუწყებოდა, რომ პოლკოვნიკი გარდაიცვალა კვირას ტვინში სისხლის ჩაქცევისაგან. ჩემმა ქმარმა დაბნეულად შემომხედა და თქვა: «ასე, რომ ეხლა იგი მკვდარია და გუშინ ჩემი მისალმება არ უნდოდა!...».

მე მას ვთხოვე, რომ ეს განცხადება მას კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაეკითხა. როდესაც იგი მიხვდა, რომ პოლკოვნიკი განცხადების თანახმად უკვე ორი დღის გარდაცვლილი იყო და მას გუშინ ვერ შეხვდებოდა, იგი, ამ გაუგებრობის გასარკვევად, დაუყოვნებლივ გაემართა იქ, სადაც მიცვალებული ესვენა. პოლკოვნიკი უკვე მრავალი წლის ქვრივი იყო და მისმა ერთადერთმა ვაჟმა და ხანშიშესულმა დამ ჩემს ქმარს უთხრეს, რომ პოლკოვნიკს აქეთ მომავალ მატარებელში დაეშმართა ეს და სადგურიდან იგი პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც იგი კვირა საღამოს გარდაიცვალა. ასე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ განცხადება სწორი იყო».

ახლა მოვიყვანთ ერთი მამაკაცის წერილს, რომლის მიხედვითაც მიცვალებულის სული ერთდროულად რამდენიმე ადგილზე ჩნდება: « ეს იყო 1940 წლის 18 ოქტომბერი. მე მივდიოდი, დაახლოებით 13.40-ზე, ჩემი ჩვეულებრივი გზით სამსახურში. როდესაც დაახ.13.45-ი გახდა, მე უეცრად შემხვდა მამაჩემი. საოცარია, მამაჩემი ხომ უკვე 14 დღეა, რაც სხვა ქალაქში იმყოფება და ასე უცებ როგორ გაჩნდა ჩვენთან? მე ავაჩქარე ნაბიჯები და დავუძახე მას: «ჰეი, მამა». როგორც კი ესა ვთქვი, იგი იმწამსვე გაქრა. მე ყველა მხარეს გავიხედე და აღარ ვიცოდი: ცხადში ვიყავი თუ სიზმარში. მამაჩემი აღარსად ჩანდა. ასე განვაგრძე გზა სამსახურისაკენ ფიქრებში წასულმა. როგორც კი მივედი სამსახურში, ნათესავმა დამირეკა და შემატყობინა, რომ მამაჩემი დამბლით გარდაცვლილა წინა საღამოს. მე იმწამსვე დავურეკე ჩემს დას და შევატყობინე რაც მოხდა, თან ის უჩვეულო შემთხვევაც მოვუყევი. და რა გავიგონე მისგან? მე ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი. ზუსტად იმ დროს სადგურზე მამაჩემი მასაც შეხვედრია და გამქრალა. ერთი რამ გახდა ჩემთვის ცხადი. მამაჩვენს, რომელსაც ჩვენ ძალიან ვუყვარდით, სურდა ერთხელ კიდევ გვჩვენებოდა ისე, როგორიც იყო სიცოცხლეში. ეს იყო მისი დამშვიდობება».

ახლა ჩვენს მკითხველს გვსურს მოვუთხროთ ერთი ფაქტი ჩვენი, ქართული სინამდვილედან, რომელიც საკმაოდ გახმაურდა თავის დროზე. ეს მოხდა 30-იან წლებში, თბილისში. ცნობილ ფსიქიატრთან, პროფ. მიხეილ ასათიანთან მივიდა უცნობი ახალგაზრდა და სთხოვა, რომ პროფესორი მისულიყო ერთ მისამართზე, სადაც ავადმყოფს დახმარება სჭირდებოდა. პროფესორი არ დაზარდა ამას, ნახა ავადმყოფი და როდესაც გაკვირვებულმა ოჯახის წევრებმა ჰკითხეს, თუ ვინ მო-

ასწავლა მათთან გზა, მან კედელზე დაკიდებულ სერიათს მიამცირა თი-
თი, რომელიც იმ ახალგაზრდას გამოსახავდა. მაგ-
რამ აღმოჩნდა, რომ ის ახალგაზრდა კარგა ხნის გარდაცვლილი ყოფილა.
როგორც ცნობილია, ამის ნიადაგზე დაეწყო მ.ასათიანს ფსიქიური აშ-
ლილობა და ერთ წელიწადში გარდაიცვალა კიდეც.

ეს შემთხვევა ზემომოყვანილი წერილების სერიათა მსგავსია. თვით
ის ფაქტი, რომ ამის შემდეგ პროფ. მ.ასათიანი ცოტა ხნის შემდეგ
გარდაიცვალა, ეხმაურება იმ წერილებს, რომლებიდანაც მტკიცდება, რომ
სულებთან შეხვედრა მაღლე გარდაცვალების მომასწავებელია[X]. ცნობი-
ლია, რომ სულთა «გამტარი» მედიუმები მაღლე ავადდებიან და შედარე-
ბით ხანმოკლე სიცოცხლე აქვთ[XX]. ა.იაფფეს დასახელებულ ნაშრომში
მოიპოვება ერთი საინტერესო წერილი რუსეთში მცხოვრები შვეიცარი-
ელისა, რომელსაც მოვიყვანთ ამის საილუსტრაციოდ. ეს შვეიცარიელი
იტყობინება, რომ ერთ ღამეს მისი თოთხმეტი წლის ბიჭი მეგობართან
ერთად ახლომდებარე პატარა მდინარესთან წავიდა კიბორჩხალების და-
საჭერად. იქ მათ «უეცრად გაურკვეველი ხმები მოესმათ», რომელიც შემ-
დეგ აშკარად გამოიკვეთა როგორც საეკლესიო გუნდის ხმა. «შემდეგ
ჩვენ უეცრივ თვით სიმღერის შუაგულში აღმოვჩნდით ისე, რომ შეუძლე-
ბელი იყო იმის დადგენა, ხმები ქვემოდან, გვერდიდან თუ ზემოდან მო-
დიოდა. რამდენიმე ხნის მერე ძალზე მკაფიოდ გაისმა მღვდლის ხმა,
რომელსაც ისევ გუნდმა უპასუხა. ეს გრძელდებოდა დიდხანს, მუდმივი
შენაცვლებით, როგორც ეს რუსულ ეკლესიაშია დადგენილი». მამის კით-
ხვაზე, თუ მთელი ამ ხნის მანძილზე რას აკეთებდნენ ორივენი, შვილ-
მა უპასუხა: «რა უნდა გაგვეკეთებინა, ჩვენ ვლოცულობდით». მამა ასე
ამთავრებს თავის წერილს: «ორივე ბავშვი მაღლე გარდაიცვალა».

X დიდი გერმანელი კომპოზიტორი რ.შუმანი გარდაცვალებამდე ცოტა
ხნით აღრე, სანამ მას ფსიქ.აშლილობა დაეწყებოდა, ამტკიცებდა, რომ
მას ეცხადებოდნენ შუბერტისა და მენდელსონის სულები, რომლებიც
პირდაპირ კარნახობდნენ მას მუსიკალურ თემას.

XX M. Bouisson, Ein seltsamer Beruf, Autobiographie, hrsg. v. Prof. G. Frei, Luzern 1957.

თუკი სულებთან შეხვედრა ჩქარი სიკვდილის მომასწავებელია, მეორე მხრივ, სასიკვდილოდ განწირულთ და სულთმობრძავთ ხშირად ეხსნებათ უნარი სულთამხილაობისა. პარაფსიქოლოგიაში დადგენილი ფაქტია ე.წ. «სასიკვდილო- სარეცლის-ფენომენები». («Sterbebettphänomene»)[x], რომლის დროსაც მასზე მიჯაჭვული ენიჭებათ არა მარტო უნარი სულთამხილაობისა, არამედ გარკვეული ნათელხილვისაც. მომაკვდავთაგან ასეთი სულთამხილაობის საილუსტრაციოდ ჩვენ ამჯერად წერილებს არ მივმართავთ, არამედ მკითხველს გავაცნობთ სამიოდე მაგალითს უშუალოდ ჩვენი ცხოვრებისეული დაკვირვებიდან.

პირველი ასეთი შემთხვევა, რომელსაც მე შევესწარი, გახლდათ ჩემი ძალზე ახლო ნათესავის სიკვდილისწინა განცდები. ეს იყო 1969 წლის 27 აგვისტო. საავადმყოფოს პალატაში ავადმყოფთან მარტოდ-მარტო ვიყავი. დანიშნული ოპერაცია მესამე დღეს უნდა გაკეთებულიყო, რომლის წარმატების შემთხვევაში ავადმყოფი გადარჩებოდა, ე.ი. იმ დღეს ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი მისი ბედი.(ავადმყოფმა ოპერაცია ვერ გადაიტანა). მაგრამ სწორედ იმ დღეს - საღამო ხანი იყო - სხვა დროს ძალზე საღად მოაზროვნე მამაკაცს, შევატყვე გაფითრება და როდესაც ამის მიზეზი ვკითხე, მან ჩუმად დამისახელა გარდაცვლილი საერთო ნაცნობი, რომელიც მან დაინახა პალატაში მოსიარულე.

მეორე შემთხვევა ეხება ჩემს ახლო მეგობარს, აწ უკვე ცნობილ პოეტ შოთა ჩანტლაძეს. მისი გარდაცვალების წინა დღეს ასევე მარტოდ-მარტო აღმოვჩნდი მასთან პალატაში. საღამოვდებოდა. პოეტი ბურანში იყო წასული. უეცრად იგი გამოერკვა, სიცხისაგან დაბინდული თვალები მომაპყრო და მითხრა: «ახლახან საიქიოში ვიყავი. თუ გადავრჩი, ყველაფერს გიამბობ». ამავე დროს , აღსანიშნავია, რომ იგი სულაც არ იყო რელიგიური.

---

x P. Ringger, Parapsychologie, Zürich 1957, s. 103.

მესამე შემთხვევა საილუსტრაციოდ გამოდგება იმ ფენომენისათ-ვის, როდესაც სულის გამოცხადება სწრაფი სიკვდილის მაუწყებელია. ეს იყო 1975 წლის აგვისტოს მიწურულს. ჩემთან მაშინ ხშირად სტუმრობდა შ.მ-ძე, ყოფილი სამხედრო. კარგმა მოსაუბრემ ბევრი რამ უწყოდა ისტორიულად საინტერესო, ბევრი რამ თვითონაც გადახდენოდა თავს. ამ საუბრებით გატაცებული, მახსოვს, მაშინ ღამეებს ვათენებდი. ერთ ასეთ ღამეს, იქნებოდა დაახლოებით დილის 3 საათი, ჩემს პირდაპირ სავარძელში მჯდომ გენერალს მზერა გაუშტერდა და ჩემს ზურგს უკან რაღაცას მიაჩერდა. იგი გაფითრდა. როდესაც ამაზე ჩემი შეშფოთება გამოვთქვი, მან ხმამადაბლა მითხრა: «ყმაწვილო, ახლახან გამომეცხადა გ.ფ-ს სისხლიანი ლანდი». ამის შემდეგ გენერალს დიდხანს აღარ უცოცხლია, იგი მომდევნო წელს გარდაიცვალა.

კ. სულთა ზემოქმედებანი ცხოველებზე, ფრინველებზე, მცენარეებსა და არაცოცხალ ბუნებაზე. ეხლა მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს წერილების იმ სერიიდან, სადაც შენიშნულია სულთა ზემოქმედებანი არა მარტო ადამიანებზე, არამედ სხვა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე. ამ მხრივ პირველ ყოვლისა ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი იქცევენ ყურადღებას და წერილების უმრავლესობა სწორედ მათ ეთმობათ. ამ წერილებში აღწერილია სხვადასხვაგვარ ფრინველთა ქცევები, რომლებიც წერილების ავტორთ როგორღაც მიანიშნებენ მოსალოდნელ უბედურებას ან რაღაცას წინასწარმეტყველებენ და ყოველივე ეს მჭიდრო კავშირშია გარდაცვლილთა სულებთან. ამის საილუსტრაციოდ ეხლა მივმართავთ არა უცხოურ წერილებს, არამედ პირდაპირ მოვიყვანთ ამონაწერს ხობის რაიონული გაზეთიდან «კომუნიზმის მშენებელი» (1984 წ. 29 ოქტომბრისა, № 180):

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ამბავი სიყვარულისა»

ნამდვილი ამბავი

რამდენია ამბავი სიყვარულისა და რამდენი გულის მომკვლელი, ბაგეთაგან მოუთხრობელი ... და მითუმეტეს ამბავი სიყვარულისა, თუ იგი ადამიანსა და სხვა ცოცხალ არსებას შორის წარმოიშვება. ასეთ შემთხვევას, როგორც ფაქტის თვითმხილველი, პირდაპირ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე მოგითხრობთ.

ხაკაიას რაიონის სოფელ სახარბედიოს მკვიდრი, ოცი წლის ჭაბუკი ზაზა გულადის ძე ეჯიბია მოსკოვში გარდაიცვალა ამა წლის აპრილში, სადაც ის მკურნალობდა გულის მანკის დაავადებაზე. გულგანგმირულმა მშობლიურ სოფელში ჩამოასვენეს მიცვალებული, ერთი საათიც არ იყო გასული, რომ ოთახში შავი მტრედი შემოფრინდა და ჭერს მიაწყდა. იქ მყოფთაგან ამას მხოლოდ მეზობლებმა მიაქციეს ყურადღება და როცა მტრედი ვერაფრით ვერ გადევნეს ოთახიდან, ამას თვალი ჰკიდა მოზარე დედამაც. იმდენად დიდი და თავზარდამცემი იყო მისთვის ამის ხილვა, რომ გაბმული გლოვა გაოცებად თუ გაოგნებად შეეცვალა დედას. მან ამ ყორანივით შავ ფრინველში ამოიცნო ის მტრედი, რომელსაც დედა-შვილი საკენკს უყრიდა იქ მოსკოვში და რომელიც სხვა მტრედთაგან ფერითაც გამორჩეული, შეჩვეული და მინდობილი იყო მათზე. მტრედი უმეტეს დროს ავადმყოფი ჭაბუკის პალატაში ან პალატის ფანჯრებთან ატარებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ, ახლომახლო მტრედები საერთოდ არ არიან.

მტრედი დღეობით იჯდა გვერდითი ოთახის ფანჯარასთან, ფარდისმიღმა, საიდანაც გარკვევით ჩანდა მიცვალებული. დიღით, როცა ოთახში არავინ იყო ჭირისუფალთაგან, მტრედი დააკრინდებოდა მიცვალებულს. და სახეზე ეალერსებოდა ფრთებით, ნისკარტით. ასევე უალერსებდა მიცვალებულის ოჯახის სხვა წევრებს - დედას, მეუღლეს და

შვილს. მიცვალებულის დედის ლუიზა თვაიოვის დაძახებაზე (იგი მტრედს შვილის სახელს ეძახის), ის კენკავდა საჭმელს იქვე, მისთვის მოწყობილი ჯამებიდან, რომლებშიც ყოველნაირი საჭმელი იდო. შემდეგ უბრუნდებოდა თავის წინანდელ სამყოფელს. დღეში ის რამდენიმეჯერ მიმოფრინავდა სახლსა და, იმ სასაფლაოს შორის, სადაც უბედურ ჭაბუკს უმზადებდნენ საფლავს. მტრედი მიფრინდებოდა იმ ადგილთან, სადაც საფლავი უნდა გათხრილიყო და იმ ადგილებთან, სადაც ჭაბუკს უყვარდა სიარული, სადაც ჯდებოდა ხოლმე, იმ ადგილს უნისკარტებდა გამალებით, და მერე კვლავ ოთახში მობრუნებული, გარინდებული, მწუხარე, ფრთებჩამოყრილი იჯდა. მოთქმისას კი ისე შეფრთხიალდებოდა და ეხლებოდა ფანჯრის მინებს, რომ თითქოს სადაცაა მოკვდება და ძირს დაენარცხებაო. მთელ დამეს ისევ ფანჯარასთან ან მიცვალებულის შვილის სასთუმალთან ატარებდა. ასე მეორდებოდა ყოველდღე ვიდრე არ დაასაფლავეს ჭაბუკი.

ამის შემდეგ მტრედმა თითქოს სიცოცხლისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა - დამეებს ათევს სასაფლაოზე, დღისით კი საოცრად მობუზული ზის მიცვალებულის დიდი, გარეთა სურათის კიდეზე და მაშინღა თუ მოეგება გონს, როცა მას, როგორც ოჯახის წევრს, სადილზე მიუხმობენ «ზაზა, ზაზას» ძახილით.

ერთხელ გარდაცვლილის მეუღლე ბავშვითურთ თავის სახლში წავიდა. შუადამისას მას მოესმა ფანჯარაზე კაკუნისმაგვარი ხმა, თურმე მტრედს ბავშვი სახლში რომ ვერ დაუნახავს, მათ კვალს გამოჰყოლია. მტრედი ჩვეულებისამებრ ბავშვის სასთუმალთან ჩამოფრინდა და ასე დაჰყო მთელი ის დამე.

მტრედი განსაკუთრებით ნერვიულად რეაგირებს ყოველგვარ ხმამაღალ წალაპარაკებაზე ოჯახში, მიაფრინდება და ნისკარტით ტანსაცმელს უწიწკნის მოჩხუბარს.

ამ გაუბედურებული ოჯახის მთელი იმედები ამ მტრედზეა, რომელმაც იკისრა და შეასრულა უკეთილშობილესი მისია: უზომოდ დამწუხრებულთა ყურადღება გადაიტანა თავის თავზე და ამით განუზომლად შეანელა ის დიდი ფსიქოლოგიური სტრესი, რაც თან ახლავს ამგვარ ტრაგედიებს.

დასასრულ, აუცილებლად ვთვლი, მადლიერებით მოვიხსენიო ჩხოროწყუს რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ბატონი ჯემალ ადამია, რომლის მეოხებითაც ჯერ გავიგე და შემდეგ კი გავხდი ამ ამბის თვითმხილველი.

მერაბ ხუბუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტი, საზოგადოება «ცოდნის» ლექტორი

ფრინველების გარდა, როგორც ვთქვით, საკმაო წერილებია ცხოველებზე, უფრო მეტად ძაღლებზე, რომლებიც «გრძნობენ» და «ხედავენ» გარდაცვლილთა სულებს, რაც შემდგომ პირდაპირ თუ ირიბად დასტურდება. ერთი მაგალითი (ვეტერინარის წერილი): «რამდენიმე წლის წინ ერთი ქ-ნი, თავისი ფოქსტერიერით (ქმრის საყვარელი ძაღლით), ქუჩაში მიდიოდა საყიდლებზე. უეცრად, შუა გზაზე, ძაღლმა დაიწყო წკმუტუნი და ყმუილი ყოველგვარი მიზეზის გარეშე. სახლში მისვლისთანავე ცოლმა დაინახა თავისი მეუღლე იატაკზე დაგდებული.

იგი, როგორც ეტყობოდა, გარდაცვლილა სწორედ მაშინ, როდესაც ძაღლმა ყმუილი დაიწყო. ამდაგვარი წერილების გარდა არის კიდევ წერილები, სადაც ძაღლი და მისი პატრონი ერთდროულად ხედავენ სულებს და სხვა.

წერილები ხშირად იუწყებიან აგრეთვე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ადამიანის სიკვდილი ემთხვევა მცენარის გახმობას. ერთი წერილის ავტორი გვამცნობს: «როდესაც ჩემი და, იგი 9 წლისა იყო, სულ უფრო და უფრო ცუდად გახდა და საწოლს ვეღარ ტოვებდა, მაშინ მეზობლის ქალმა მას აჩუქა ოთახის ყვავილი. და გარდაიცვალა 3 აგვისტოს. იმწამსვე ყვავილმაც დაიწყო ჭკნობა და რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად გახმა».

წერილების შემდეგი სერია ეხება სულთა კავშირს არაცოცხალ ბუნებასთან. მოვიყვანოთ ამისი მაგალითიც. ერთი მანდილოსანი იწერება: «ეს შემთხვევა დიდი ხნის წინათ მოხდა. მაშინ უმცროსი კლასის მოწაფე ვიყავი და შეიძლება ამიტომაც მოახდინა მან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება.

საკმაოდ ცივი საღამო იყო, ახალი წლის სიახლოვე. დედაჩემი ლამფის შუქზე კერავდა, მე კი გაკვეთილებს ვამზადებდი. მამაჩემი საჯინიბოში იყო, მაგრამ მალე გაისმა მისი ფეხის ხმა. ჩვენდა გასაოცრად მას თან შემოჰყვა ახალგაზრდა გლეხი მეზობელი სოფლიდან. ამ ახალგაზრდას შეუნიშნავს სინათლე ჩვენს საჯინიბოში და შესულა გასათბობად და თან გულის მოსაოხებლად, რადგან მას სწორედ იმ დღეს დაეწვინა ცოლი საავადმყოფოში სამშობიაროდ, რომელიც თავის პირველ ბავშვს ელოდებოდა და რომელსაც, როგორც ჩანს, საქმე რიგზე ვერ მისდიოდა. მე სამზარეულოში გამაგზავნეს ყავის მოსადუღებლად. როდესაც ოთახში დავბრუნდი, საუბარმა სხვა მიმართულება მიიღო. საბოლოოდ, როდესაც სტუმარმა გამომშვიდობება დააპირა, უეცრად დაიწყო ლამფის პატრუქმა ციმციმი – ოთახში უმცირესი ნიავის გარეშე. ჩვენ ყველამ დავინახეთ, თუ აღი როგორ გამოეყო პატრუქს, გადიდდა და ციმციმით ჰაერში დაეკიდა. პატარა აღი, როგორც თოვლის ფიფქი, თითქოს ცეკვავდა მის გარშემო, შემდეგ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით გამოეყო, რათა ჩამქრალიყო. მამის ხელი კანკალებდა, როდესაც მან ლამფა კვლავ აანთო. ახალგაზრდა მამაკაცი კი სულ გაფითრდა და უსიტყვოდ დატოვა ოთახი. მეორე დღეს გავიგეთ, რომ მისი ცოლი ბავშვს გადაყვა, რის შემდეგ თვით ბავშვიც მაღე გარდაიცვალა».

არაცოცხალ ბუნებაზე სულის ზემოქმედების მაგალითი მოჰყავს ცნობილ ფილოსოფოსს ნიკოლაი ლოსკის თავის წერილში[X], სადაც იგი მის კომენტირებასაც ახდენს: «ჩემთვის ცნობილია შემთხვევა, რომ დესაც ერთმა პიროვნებამ დაასაფლავა თავისი საყვარელი ქალიშვილი და დასაფლავებიდან რამდენიმე თვის გასვლის შემდგომ, გაზაფხულზე, იდგა რა მის საფლავთან, ახედა ახლად ამწვანებულ არყის ხეებს ლურჯი, მზით გასხივოსნებული ცის ფონზე, და ყოველივე ამაში დაინახა ღიმილი თავისი ქალიშვილისა . თუკი მივიღებთ ფ ე ხ ნ ე რ ი ს მოძღვრებას საიქიო ცხოვრებაზე, როგორც ფსიქიკური პროცესის შენარჩუნებას და თან მის უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას ყოფიერების სხვა პროცესებთან მისი უფრო რთული და უფრო სხვადასხვაგვარი შ ე ხ ა მ ე ბ ი ს გამო, ან, თუკი მივიღებთ კ ა რ პ ე ნ ტ ე რ ი ს მოძღვრებას (მის წიგნში - «სიყვარული და სიკვდილი») იმის შესახებ, რომ ადამიანს სიკვდილის შემდეგ შეუძლია ბუნების მთლიანი რთული მონაკვეთის მიმართ ისეთსავე დამოკიდებულებაში იყოს, როგორც ადრე იგი თავისი სხეულის მიმართ იმყოფებოდა, მაშინ, ზემომოყვანილი შემთხვევა შეიძლება აიხსნას ობიექტივისტურად, როგორც აღქმა მატერიალურ ბუნებაში იმ მომენტ-

---

X ნ.ლოსკი, პირველყოფილი ადამიანისა და განათლებული ევროპელის ინტელექტი (თარგმნა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ), «საღვთისმეტყველო კრებული» №3, თბილისი, 1984, გვ.270-271.

ში ნამდვილად მომხდარი ფსიქიკური აქტივობის განსხეულებისა».

ლ.წერილები, სადაც ცდებიან, ან სადაც შეგნებულ ტყუილსა აქვს ადგილი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ წერილებში, სადაც «მოჩვენებაზე» შეცდომითაა ლაპარაკი, მას არასოდეს უკავშირებენ სიკვდილის ან ავადმყოფობის შემთხვევას. რაც შეეხება ტ ყ უ - ი ლ ს, იგი იმწამსვე ხდება შესამჩნევი თავისი ა რ ა ტ ი - პ ი უ რ ო ბ ი ს გამო. ასეთი ტყუილი ისტორია ვერ ჯდება იმ სტერეოტიპულ ჩარჩოებში, რასაც წერილთა უმრავლესობა გვამცნობს და თავისი ჩახლართული და გადაჭარბებული ხასიათით მკვეთრად გამოირჩევა მათგან.

ამ ტყუილი ისტორიებით მკითხველს: თავს არ მოვაწყენთ, ოღონდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც საკმაოდ გახმაურდა. საინტერესოა, რომ ა.იაფფეს წიგნში (რომელიც 1958 წელსაა გამოცემული) მოყვანილი ეს ტყუილი ისტორია თბილისში გავრცელდა ამ ორი-სამი წლის წინ მცირეოდენი სახეცვლილებით. შემდეგ, როგორც ჩანს, იგი მთელ საბჭოეთს მოედო (ან თბილისში შემდეგ შემოვიდა) ისე, რომ საკავშირო ტელევიზიით, სერიაში «очевидное, невероятное», გამოსვლა მოუხდა პროფ. კაპიცას, რომელმაც სამართლიანად უარყო იგი. აი ეს ისტორიაც. მისმა შემთხზველმა მას უწოდა: «ჩამატარეთ სასაფლაოსთან».

«ერთ წვიმიან საღამოს, - ასე იწყება ეს ისტორია - იქნებოდა დაახლოებით ცხრა საათი, როდესაც რესტორან «ჰელენდოორნში» ერთმანეთს შეხვდა სამი დამეგობრებული ოფიცერი. მათგან ცოტა მოშორებით იჯდა დაახლოებით ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა ქალიშვილი. რადგან იგი მარტოდ-მარტო იყო, ოფიცრებმა ნებართვა ითხოვეს, რათა გაეზიარებინა მას მათი საზოგადოება. ქალიშვილი დათანხმდა და ასე

გადასხდნენ ოფიცრები მის მაგიდაზე. მაგრამ საუბარი კარგად ვერ აეწყო, რადგან ქალიშვილი შესამჩნევად ნერვიულობდა და ფიქრებით სხვაგან იმყოფებოდა; აღელვებისაგან მას ჭიქა წაექცა და ღვინო დაესხა თეთრ კაბაზე[X]. როდესაც საათის ისარი თერთმეტს მიუახლოვდა, ახალგაზრდა ქალი ფეხზე წამოდგა. ორმა მამაკაცმა მას გაცილება შესთავაზა, ხოლო მესამე სახლისაკენ გაემართა. ქალიშვილმა ოფიცრებს დაუსახელა თავისი ბინის მისამართი, მაგრამ თან თხოვნა დააყოლა, რომ გზად იგი ჩაეტარებინათ სასაფლაოსთან, თუმცა ეს ნიშნავდა გრძელი გზის შემოვლას, რადგან მისი ბინა საპირისპირო მხარეს მდებარეობდა. მიუხედავად ამისა, მისი თხოვნა დაკმაყოფილდა; როდესაც ერთი ოფიცერი მანქანას მართავდა, მეორე ცდილობდა მასთან საუბრის გაბმას. სასაფლაო „Kembang Koering"-თან (რაც ყვითელ ყვავილს ნიშნავს), ქალიშვილმა ითხოვა, რომ მანქანა შეეჩერებინათ, რადგან მას კიდევ რაღაცა ჰქონდა მოსაგვარებელი. რა უცნაურადაც არ მოეჩვენათ ოფიცრებს ასეთი თხოვნა, მათ მაინც შეუსრულეს მას სურვილი, რადგან ამ ნაზ არსებას სულ მკვდრისფერი დაედო და უწინდელთან შედარებით სულ უფრო და უფრო ნერვიულობდა. მეგობრებმა დაინახეს, თუ როგორ გაუჩინარდა იგი წყვდიადში. ძებნამ შედეგი არ გამოიღო.

მეორე დღეს ორივე ოფიცერი მივიდა აღნიშნულ მისამართზე და იკითხა ქალიშვილის შესახებ. როდესაც მათი კითხვა ვერ გაიგეს, მათ დაიწყეს ახალგაზრდა ქალიშვილის ზუსტი აღწერა. ქალიშვილის მშობლებმა, რადგან სწორედ მათ ესაუბრებოდნენ ოფიცრები, ტირილი მორთეს. ტირილით შემოიტანა დედამ იმ ქალიშვილის ფოტოსურათი, რომელზედაც ოფიცრებმა უდავოდ გუშინდელი ქალიშვილი იცნეს. აღმოჩნდა, რომ ეს ქალიშვილი ერთი წლის წინ დაიღუპა და გუშინ სწორედ

X. თბილისურ ვარიანტში აქ ყავა ფიგურირებს.

მისი გარდაცვალების დღე იყო. აღწერილობა ზუსტად ემთხვეოდა გარდაცვლილს - დაწყებული სახის გამომეტყველებიდან მისი თეთრი კაბით გათავებული.

მშობლები ისე აღელდნენ, რომ მათ ხელისუფალთაგან ნებართვა გამოითხოვეს სამარის გახსნისა, რომელსაც ოფიციალური წარმომადგენლები და ექიმები ესწრებოდნენ. როდესაც კუბოს თავი ახადეს, ნახეს ქალიშვილი სრულიად გაუხრწნელი, თავისი თეთრი კაბით, რომელსაც აშკარად ემჩნეოდა იმ ღამეს დასხმული ღვინის ლაქა. თეთრი ფეხსაცმელები ტალახში იყო გასვრილი».

X X

X

ამით ჩვენ ვამთავრებთ წერილების ციტირებას და ამჯერად გვსურს მკითხველს ვაუწყოთ ზოგი რამ სულთა გამოცხადებებისა და სულთამხილაობის ისტორიიდან. სულთა გამოწვევანი და მათი გამოცხადებანი, როგორც ვთქვით, უძველესი დროიდანაა დამოწმებული სხვადასხვა ხალხში და სხვადასხვა განედზე. მაგ. ტერტულიანეს ცნობით[X], მისი დროის რომაელი ქურუმები (მე-2 საუკუნე) გარდაცვლილთა სულებს იწვევდნენ მაგიდის დახმარებით, რომლის გარშემოც იკრიბებოდნენ ისინი და წრეს კრავდნენ. ასევე ძველთაგანვე იწვევენ სულებს ჩინეთში. გარდაცვლილთა სულები იქ პატარა ჯოხით ქვიშაზე წერენ პასუხებს, რომელიც მაგიდაზეა გაბნეული[XX]. მაგრამ ჩვენი მიზნების გათვალისწინებით ჩვენ ასე ფართოდ (დროსა და სივრცეში)

X Тертулиан, Защищение христиан, пер. св. Афанасия, 1862, стр. 116.

XX С.М. Георгиевский, Принципы жизни Китая, СПБ., 1888.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ განვიხილავთ ამ მოვლენებს, არამედ შემოვიფარგლებით ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის არეალით, სადაც, როგორც ცნობილია, ყველაზე მეტად ჰპოვა სპირიტიზმმა გავრცელება.

რაც შეეხება ევროპას, აღსანიშნავია, რომ იქ მთელი შუა საუკუნეები აღსავსეა ამდაგვარი ფაქტებით, რომლებიც დამოწმებულია სხვადასხვაგვარ დოკუმენტებში, იქნება ეს ჯადოქართა გასამართლეგის ოქმები თუ სამონასტრო ქრონიკები. მაგალითად, ენგელტალის ქრონიკა გვამცნობს, რომ «დიემუტ ეგნერინს ნიურნბერგიდან ესმა საუგარი გარდაცვლილი დისა: ჩვენი უფალის მშვენიერების შესახებ კი მსურს შედარება მოგიყვანო – რასაკვირველია, იგი ისეთსავე მიმართებაშია სინამდვილესთან, როგორც თეთრი შავთან – : რომ ყოფილიყო ეკლესია წმიდა ოქროს პრიალა ზოდებით ნაგები და მასზე ამოსულიყო ასი მზე, ხოლო თითოეული შვიდჯერ უფრო მშვენიერი და კაშკაშა, ვიდრე ის, რომელიც ეხლა ცაშია, ეს იქნებოდა დიდებული ბრწყინვალება, მაგრამ ეს ოდნავადაც ვერ შეედრებოდა იმ მშვენიერებას, რაც ღმერთს გააჩნია»[X]. ვიმეორებთ სულთა გამოცხადებებისა და სულთა უწყებების ასეთი და მსგავსი მაგალითებით აღსავსეა შუა საუკუნეები, რომელთა ფართო წარმოჩენა ჩვენს მიზნებს სცილდება.

ახალ დროში ღირსაღსანიშნავია გამოჩენილი შვედი მედიკოსისა და ბუნებისმკვლევარის, ემანუელ სვედენბორგის (1688–1772) სულთამხილაობის უნარი, რომელმაც მასში თავი იჩინა, როდესაც იგი

X გერმანელი მისტიკოსები (ტექსტები), გამოცემა გუნდოლფ გიერათისა, (გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ), «საღვთისმეტყველო კრებული» №3 თბ., 1983, გვ.142

55 წლისა გახდა. მაგრამ ჩვენ არ შევუდგებით აქ სვედენბორგის ისტორიის გადმოცემას, მითუმეტეს, რომ ეს შეუძლია დაინტერესებულმა მკითხველმა თავად ჰპოვოს ვლ.სოლოვიოვის შესანიშნავ სტატიაში, რომელიც დაბეჭდილია მის თხზ ულებათა მე-9 ტომში, ან უფრო ხელმისაწვდომ ბროკჰაუზ-ეფრონის ძველ ენციკლოპედიაში. ვიტყვით მხოლოდ, რომ სვედენბორგიანელთა საზოგადოებანი დღესაც ათასობით წევრს ითვლის[X]. რაც შეეხება კანტის დამოკიდებულებას მასთან, ვფიქრობთ, რომ მან სვედენბორგი თავის კრიტიკულ ფილოსოფიას «მსხვერპლად» კი არ შესწირა, როგორც ამას ბენცი[XX] ამბობს, (მითუმეტეს, რომ როგორც ზემოთ ვთქვით, მის «ლექციებში მეტაფიზიკაზე», რომელიც კანტის სიკვდილის მერეა გამოსული, 1821 წელს, იგი სვედენბორგის მსგავს აზრებს ავითარებს სულის უკვდავებაზე), არამედ კანტის მიერ სვედენბორგის კრიტიკა გამოწვეული იყო იმით, რომ «განმანათლებლობის» ეპოქაში ფილოსოფიის დამწყებ პროფესორს არ სურდა «სულთა მორწმუნის» სახელი დარქმეოდა. გარდა ამისა, მას უარყოფითად განაწყობდა სვედენბორგის ნაწარმოებებში მოცემული დიდაქტიკური სისტემატიზირება იმ სფეროსი, რაც, მისი აზრით, ტრანსცენდენტურ სამეუფოს არ შეეფერებოდა[XXX].

სულთა გამოცხადებების კარგად დამოწმებული შემთხვევებია აღწერილი ცნობილი გერმანელი მწერლისა და ექიმის, იუსტინუს კერნერის (1786-1862) ექვსას გვერდიან წიგნში «ნათელმხილველი პრეფორსტიდან»[XXXX]. კერნერი გატაცებული იყო «ბუნების ღამეული მხარით» - შეპ-

---

X БСЭ, მე-3 გამოცემა.

XX Ernst Benz, Swedenborg in Deutschland, s.268.

XXX P. Ringger, Parapsychologie, Zürich 1957, s.23.

XXXX Justinus Kerner, Die Seherin von Prevorst, Reclam-Ausgabe, Leipzig.

ყრობილებით, სომნამბულებით, მედიუმებით. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ქ-ნი ფრიდერიკე ჰაუფი (1801-1829), ნათელმხილველი პრეფორსტიდან. მას, გარკვეული ნერვიული დაავადებით შეპყრობილს, კერნერი ჰიპნოზით მკურნალობდა. ამით ჰაუფმა გარკვეული შვება იგრძნო, მაგრამ პარალელურად მას განუვითარდა მედიუმური უნარი. ტელეპატიურ და ნათელმხილველურ მონაცემებთან ერთად ჰაუფმა შეიძინა უნარი სულთამხილაობისა. არაერთგზის მოხდა ჰაუფის მონაცემების შემოწმება ამ მხრივ. ერთხელ კერნერმა განგებ სთხოვა მას «დაკავშირებოდა» ერთი გარდაცვლილი ნაცნობის სულს, რომელიც სინამდვილეში ცოცხალი იყო. პასუხი შესაბამისი აღმოჩნდა - ჰაუფი ვერ დაუკავშირდა მას. არა მარტო კერნერი იკვლევდა ფ.ჰაუფის ფენომენებს. მის მონაცემთა სისწორეში თვით ცნობილი დავიდ ფრიდრიხ შტრაუსიც დარწმუნდა. რას ხედავდა ფ.ჰაუფი? მისი თქმით, მას ეწვეოდნენ ხოლმე «საწყალი სულები», რომლებსაც სხვადასხვა დანაშაულის გამო მოსვენება ჰქონდათ დაკარგული და ამიტომ მას მათთვის უნდა ელოცა, რათა დაეხსნა ისინი, როგორც იგი ამბობდა - «შუა სამეუფოდან». აღსანიშნავია, რომ ჰაუფისადმი სულთა ამ გამოცხადებებს მესამე პირნიც ადასტურებენ და, მათივე მოწმობით, ამ სულებს ცხოველებიც ხედავდნენ. როდესაც რამდენიმე კვირას დაჰყოფდნენ სულები ჰაუფთან, ისინი, ჰაუფის ლოცვის შედეგად, მოჩვენების მუქ ნაცრისფერს კარგავდნენ და ღებულობდნენ ნათელ, გასხივოსნებულ იერს.

მაგრამ ახლა გადავიდეთ იმ ფაქტის განხილვაზე, საიდანაც საკუთრივ ს პ ი რ ი ტ ი ზ მ ი ღებულობს სათავეს. ეს მოხდა 1846 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის შტატში, სოფ. ჰაიდესვილში. ვინმე უიკმანმა საღამოს თავისი სახლის კარებზე კაკუნი გაიგონა. როდესაც მან კარი გააღო, იქ არავინ აღმოჩნდა.

ასე განმეორდა რამდენჯერმე. ამის შემდეგ მთელ სახლში გაისმო-
და კაკუნი და მაღე თავზარდაცემულმა მაცხოვრებლებმა დაინახეს,
თუ თავისით როგორ გადაადგილდებოდა ხოლმე მაგიდა და სკამები.
იმავე წელს უიკმანი ტოვებს ამ სახლს და იქ შესახლდება ფოქსების
ოჯახი, რომელიც შედგებოდა მშობლების გარდა სამი ქალიშვილისა-
გან: კეთისა, მარგარეთისა და ლეასაგან. მაღე მათაც ესმით ეს
კაკუნი და აი, 1848 წლის მარტში, ქ-ნი ფოქსი გადაწყვეტს გასა-
უბრებას კედელთან, საიდანაც კაკუნი ისმოდა. «ვინ ხმაურობს? -
არავითარი პასუხი. - ცოცხალი არსებაა, რომელიც ხმაურობს? - სი-
ჩუმე. - იქნებ ის გარდაცვლილია? - ერთი დარტყმა. - რამდენი
წლისაა ჩემი უფროსი ქალიშვილი? - თოთხმეტი დარტყმა. - უმცროსი?
- თორმეტი დარტყმა». დარტყმების რაოდენობა შეესაბამებოდა წლებს.
მაღე, უკვე დღისით, სხვების თანდასწრებითა და აღფავიტის მეშვე-
ობით (თითოეულ ასოს როდესაც კაკუნი ადასტურებდა) ნამდვილი ურ-
თიერთობა დამყარდა გარდაცვლილის სულთან, იგი აღმოჩნდა სული
ვინმე ჩარლზ როზმასი, რომელიც სწორედ ამ სახლში 'მოუკლავთ' და
გაუძარცვავთ. როგორც ამ კაკუნისაგან ამოიკითხეს, იგი იტყობინე-
ბა, რომ მისი გვამი დამარხული იყო ამ სახლის სარდაფში. 1848
წლის 3 აპრილს ფოქსებმა და მათმა მეზობლებმა სარდაფი გათხარეს
და იპოვეს მხოლოდ ადამიანის თავის ქალა. საბოლოოდ, ეს ფაქტი
მხოლოდ 1904 წელს დადასტურდა, როდესაც იქაურობა ფოქსებს უკვე
დიდი ხანია მიტოვებული ჰქონდათ. როდესაც ამ მიტოვებულ სახლთან
ბავშვები თამაშობდნენ, იქ უეცრად ჩამოიქცა ძველი კედელი და
გამოჩნდა თავისუფალი არე, რომელშიაც იპოვეს ადამიანის ჩონჩხი
უთავოდ[X]. დები ფოქსები შემდეგ ცნობილ მედიუმებად იქცნენ, რო-
მელთაც ყველა იწვევდა გარდაცვლილების სულებთან კონტაქტის და-

X ეს შემთხვევა სპირიტიზმთან კავშირში ბევრ ცნობარშია მოყვა-

სამყარებლად. მალე ეს მოვლენა მთელ შეერთებულ შტატებში გავრცელდა და შემდეგ ევროპასაც მოედო. სულებთან კონტაქტებს ამყარებდნენ მედიუმების მეშვეობით, ხოლო რადგან მათი დაქირავება ძვირი ჯდებოდა (აქედან გასაგებია, თუ რამდენი შარლატანი ასაღებდა თავს მედიუმად), ამიტომ უფრო ხშირად მიმართავდნენ მაგიდის ტრიალსა და მისი ფეხების გაკუნს (სეანსში მონაწილენი მაგიდაზე ხელებს დააწყობდნენ და წრეს კრავდნენ, რის მერეც მაგიდა ამოძრავდებოდა. მაგიდის ფეხების დარტყმების რიცხვს ალფავიტის ასოებს უთანადებდნენ), ან მაგიდაზე თეფშის ტრიალს, რომლის დანიშნული მხარე ამა თუ იმ ასოსთან ჩერდებოდა და სხვა. ამგვარად, სულთა გამოწვევამ «დემოკრატიზაცია» განიცადა: ქურუმთა და ნეკრომანტთა ელიტის ნაცვლად მათი გამოძახება მოსახლეობის ფართო ფენებმა დაიწყო. ამან ისეთი მასშტაბი მიიღო, რომ შეუძლებელი ხდებოდა მეცნიერების მხრივ მისი უყურადღებოდ დატოვება. და აი, 1882 წელს, ლონდონში დაარსდა «ფსიქიკურ მოვლენათა შემსწავლელი საზოგადოება», საიდანაც შემდეგ აღმოცენდა დღევანდელი «პარაფსიქოლოგია». მისი მიზანი იყო გამოკვლევა «გარკვეულ ბუნდოვან ფენომენთა იმათი ჩათვლით, რომელთაც ჩვეულებისამებრ უწოდებენ ფსიქიკურს, მესმერიულს ან სპირიტისტულს». აქედან მოყოლებული პარაფსიქოლოგიურ კვლევას აწარმოებდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ფსიქოლოგი ჩეზარე ლომბროზო, ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი ფეხნერი, ფიზიკოსი ოლივერ ლოჯი, ვ.ვებერი, ასტრონომი ციოლნერი, ფლამარიონი, ნობელის პრემიის ლაურეატები ჩარლზ რიშე, ანრი ბერგსონი (1913 წლიდან ლონდონის საზოგადოების პრეზიდენტი), ცოლ-ქმარი კიური და სხვები. დღეს დასავლეთის თითქმის ყველა უნივერსიტეტშია პარაფსიქოლოგიის კათედრა.

ნიღი. იხ აგრეთვე P. Ringger დასახ.ნაშრომი, გვ.90-91

გავიცნოთ ამ გზით მოპოვებული რამდენიმე ფაქტი, რომელიც არავის არ უმხელია როგორც სიყალბე.

სულის ექსტერიორიზირების («გამოსვლის») საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მკვლევარ Ellen R. Maexie-ს ცნობას[X], რომელმაც აღწერა იშვიათი განცდები, მას რომ ჰქონოდა ნარკოზის დროს: «პირველ ყოვლისა კონსტატირება მოვახდინე ფენომენისა, რომელიც მაშინ ჩემთვის თეორიულადაც უცნობი იყო და რომელიც შემდეგ ტიპიური აღმოჩნდა, როდესაც სხვათა აღწერებს გავეცანი: მე მქონდა ისეთი შეგრძნება, რომ თითქოს ჩემი «მე» როგორც ღრუბელი იყო დაკიდებული ჩემს მკერდზე, და ასე შემეძლო დამშვიდებით ჩემი თავის გარედან დაკვირვება. რაც პირველ რიგში თვალში მომხვდა, ეს იყო სავსებით უჩვეულო გამომეტყველება ჩემი ცხვირისა, რომელსაც ბუნებრივია, ამ კუთხიდან არასოდეს დავკვირვებივარ. ..» შემდეგ მკვლევარი აღნიშნავს, რომ იგი ყველაფერს აღიქვამდა იქ «სრული ცნობიერებით», მაგრამ ეს ცნობიერება თითქოს სხეულის გარეთ იმყოფებოდა.

პარაფსიქოლოგიაში აღწერილია შემთხვევა[XX], როდესაც ექსტაზში მყოფი ტერეზა ნოიმანი ქრისტეს ვნებების განცდის დროს არამეულად ალაპარაკდა, თუმცა მანამდე ამ ენაზე მას ერთი სიტყვაც არ ჰქონდა განაგონი (თვით მაცხოვარი, როგორც ცნობილია, დასავლურ არამეულზე მეტყველებდა).

ახლა შევეხოთ სულთა გამოცხადებების იმ შემთხვევებს, რომელნიც ხორციელდებიან მედიუმების მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით შევეცდებით უფრო ახლოს დავახასიათოთ მედიუმური მოღვაწეობა. სპი-

---

X „Neue Wissenschaft", Jg. II, 63 f.

XX P. Ringger, Parapsychologie, Zürich 1957, S. 47.

რიტისტებს მიაჩნიათ, რომ გარდაცვლილთა სულები თავის გამოვლენას (გამოცხადებას) ელტვიან იქ, სადაც ყველაზე ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდებიან. ასეთ გამომვლენ საშუალებად ხდება გარკვეული ტიპი ადამიანისა, რომელსაც მედიუმს უწოდებენ. როგორც ხე ვერ ატარებს ელექტრობას და რკინა კი მისი კარგი გამტარია, ასევე მედიუმი კარგ «გამტარად» ითვლება გარდაცვლილის სულის უწყებისა. ეს უწყება მედიუმში ვლინდება ავტომატური მეტყველებითა და წერით, რომლის დროსაც თვით მედიუმი ექსტაზის, ან, უფრო სწორად, ტრანსის მდგომარეობაში იმყოფება. ამ დროს, სპირიტისტების თქმით, ხდება მედიუმის სულის «შევსება» გარდაცვლილის ფსიქიკით. «ტრანსის დროს ნორმალური ცნობიერება და ნორმალური პიროვნება სრულიად ქრება, და ყველა კითხვაზე ისინი პასუხობენ «ავტომატურად», ხან სიტყვით, და უფრო ხშირად - წერილობით. ხდება ხოლმე, რომ ისინი ერთდროულად მეტყველებენ და წერენ, რომლის დროსაც მედიუმის ხმას ერთი სული წარმართავს, ხოლო მის ხელს - მეორე სული. ამიტომ, მედიუმები, ხშირად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ორ საუბარს აწარმოებენ. იშვიათად ხდება, როდესაც ხმასაც და ორივე ხელსაც ერთდროულად სამი სული განაგებს - მაშინ ადგილი აქვს სამ სხვადასხვა უწყებას». ხშირად ჩაუტარებიათ აგრეთვე ე.წ. «ჯვარედინი მიმოწერა»: «აქ მდგომარეობა იცვლება; აქ ჩვენ საქმე აღარა გვაქვს სხვადასხვა, მეტად თუ ნაკლებად მრავალრიცხოვან სულებთან, არამედ ერთ სულთან, რომელიც თითქმის ერთდროულად ვლინდება რამდენიმე მედიუმის მეშვეობით, რომელნიც საგრძნობლად არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი და წინასწარ არ არიან შეთანხმებულნი. თითოეული ეს წერილობითი გამოცლინება, ცალკე აღებული, ძალზე ხშირად გაუგებარია. მას აზრი ენიჭება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი საგულდაგულოდაა სხვებთან კომბინირებული»[X].

[X] М. Метерлинк, Смерть, СПБ 1914, стр. 55-56; 79.

სპირიტისტები იუწყებიან[X], რომ მედიუმები ამ დროს ხშირად ლევიტაციას აღწევენ - ისინი ლახავენ დედამიწის მიზიდულობის ძალას და ყველას დასანახად ჰაერში ჩერდებიან და ოთახის ჭერზე წერენ «ავტომატურად». მაგრამ ყველაზე საინტერესოა მედიუმების მეშვეობით სულთა მატერიალიზაციის შემთხვევები. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ შემთხვევებს (რომელთაც ამოწმებენ გამოჩენილი მეცნიერები) ჩვენ აღვწერთ მხოლოდ და მხოლოდ პარაფსიქოლოგიის (და არა სპირიტიზმის) მხრიდან.

პირველი ასეთი შემთხვევა მეცნიერთა მხრიდან აღწერა გამოჩენილმა ფიზიკოსმა ვილიამ კრუკსმა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. მას განაგონი ჰქონდა მედიუმ დანიელ ჰომის (გარდაიცვალა 1886 წელს)-არაჩვეულებრივ ფენომენზე და დაინტერესებულმა იგი თავის ლაბორატორიაში მოიწვია. ამ სეანსებს კრუკსის გარდა ესწრებოდა მისი ძმა, ორი პროფესორი და ასისტენტი. ექსპერიმენტთა სიზუსტე ყველა დამსწრემ დაადასტურა. კრუკსი გვაუწყებს[XX], რომ ჰომის თანდასწრებით საგნები თავიანთ წონას კარგავდნენ. შეინიშნებოდა ლევიტაციის სხვადასხვაგვარი ფენომენი. მაგრამ ამ სეანსების მწვერვალი იყო მატერიალიზაციის მოვლენა; მაშინ, როდესაც კრუკს მსგრად ეკავა ჰომის ხელები და ფეხები, მაგიდის მცირე ჭრილიდან უეცრად აღმოცენდა უჩვეულო სილამაზის პატარა ხელი, რო-

---

X. Prof. Kapponi, Ipnotismo e Spiritismo, studio medicocritico; ციტირებულია: G.W. Surya, Moderne Rosenkreuzer, 1930, s.150.

XX. W. Crookes, Der Spiritualismus und die Wissenschaft. Experimentelle Untersuchungen über die psychische Kraft, 2 Auflage, Leipzig 1898.

ველმაც მეცნიერს ყვავილი მიაწოდა და გაქრა. ამის შემდეგ ეს ხელი კიდევ ერთხელ გამოჩნდა. «მე სრული შესაძლებლობა მქონდა»,- ამბობს კრუკსი - «რათა დავრწმუნებულიყავი, რომ იგი ისევე ნამდვილი იყო, როგორც ჩემი საკუთარი».

ასეთივე ფენომენს აკვირდებოდნენ[X] ამერიკელ მედიუმ ჰენრი სლაიდთან (გარდაიცვალა 1909 წელს) ცნობილი მეცნიერები და ფილოსოფოსები: ფრ.ციოლნერი, ვ.ვებერი, გ.ფეხნერი და სხვები. მაგიდის კიდიდან აღმოცენებული ხელის მატერიალიზაცია მთელი ორი წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. ციოლნერი გვაუწყებს: «ყველა თითი სწრაფად მოძრაობდა. ფერი ოდნავ მოლურჯო იყო, რომელიც მწვანეში გადადიოდა. უეცრად ხელი ელვის სისწრაფით ამოიწია და მაგრად მომიჭირა თითები იდაყვს ზემოთ, რაც მთელი წუთი გაგრძელდა». როდესაც ხელი ისევ გაქრა, მან შემდეგ მაგიდის ქვემოთ ისე მაგრად უჩქმიტა ციოლნერს მარჯვენა ხელზე, რომ ამ უკანასკნელმა ხმამაღლა შეჰყვირა.

ასეთივე ფენომენები ახლდა ცნობილ მედიუმს ევზაპია პალადინოს (გარდაიცვალა 1918 წელს) სეანსებს, რომელსაც ესწრებოდნენ განთქმული მეცნიერები ჩ.ლომბროზო, ა.ბერგსონი, ცოლ-ქმარი კიური, ჩ. რიშე, ო.ლოჯი, ა.შრენკ-ნოტცინგი და სხვები. მასთანაც მატერიალიზდებოდა ხელები, რომლის ანაბეჭდებიც კი გააკეთეს თაბაშირში და რომელიც სეანსზე დამსწრეთა არცერთის ხელის ანაბეჭდს არ წარმოადგენდა. გარდა ამისა, ევზაპია პალადინოს სეანსებზე შეინიშნებოდა თავისებაგვარი წარმონაქმნები (მატერიალიზაციები)[XX]. სპირიტისტულ სეანსზე, რომელსაც პროფ. ლაპონი აღწერს, ღრუბლისმაგვარი წარმონაქმნიდან მატერიალიზაცია მიიღო ადამიანის ფიგურამ წელს

X. Fr. Zöllner, Wissenschaftliche Abhandlungen, 4 Bände, Leipzig 1878-1881.

XX. P. Rinnger, დასახ. ნაშრომი, გვ. 58.

ზემოთ, რომელიც სრულიად გამჭვირვალე იყო: ჩანდა ფილტვები, გულის მუშაობა; ფიგურა ღებულობდა სხვადასხვა ფერს, სახე იღიმებოდა[X]. სხვადასხვა სპირიტისტულ სეანსზე შეინიშნება სულთა გამოცხადება მხოლოდ ხმით - საუბრით, ყოველგვარი ვიზუალური ფენომენის გარეშე.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ პარაფსიქოლოგიაში ნაკლებად ფიგურირებს სულთა (მატერიალიზაციის) გამომჭვეევი უნარის მქონე მედიუმის სახელი. ამას პარაფსიქოლოგები იმით ხსნიან[XX], რომ ხშირ შემთხვევაში სპირიტისტები მათ უფრო მეტ გასარჯელს აძლევენ, ვიდრე პარაფსიქოლოგები. გარდა ამისა, მედიუმს გაცილებით უფრო სიამოვნებს ის ფსევდო-რელიგიური ატმოსფერო, რომელსაც სპირიტისტები ქმნიან მათ გარშემო. გამორიცხული არ არის, რომ ზოგიერთი მედიუმი იქ გზას იიოლებს (განსხვავებით პარაფსიქოლოგთა წრეებში მათი მოღვაწეობისა, რომლებიც მეცნიერული სიმკაცრით ამოწმებენ მედიუმთა ფენომენებს) და ხშირად სიყალბეს მიმართავს. მაგრამ ყველაზე მთავარი მიზეზი ამისა მაინც ისაა, როგორც პარაფსიქოლოგი პ.რინგერი ფიქრობს, რომ თანამედროვე პარაფსიქოლოგებმა (სპირიტისტებისაგან განსხვავებით) ვერ ისწავლეს მედიუმთა გამოზრდა[XXX].

ეხლა გვინდა მოვიყვანოთ შემთხვევა, რომელიც საკმაოდ ტიპიურია სპირიტისტულ სეანსზე სულის იდენტიფიკაციის საილუსტრაციოდ. საქმე ეხება ისტორიულად კარგად დამოწმებულ შემთხვევას, რომელიც აღწერა ცნობილმა რუსმა მკვლევარმა ალექსანდრე აქსაკოვმა[XXXX].

X Prof. Lapponi, Ipnotismo e Spiritismo ..... 151.

XX P. Ringger, იქვე, გვ. 60

XXX იქვე, გვ. 61.

XXXX A.N. Aksakow, Animismus und Spiritismus, 5 Aufl., Leipzig 1919, s. 697 ff.

1885 წლის 22 იანვარს, ერთ-ერთ სპირიტისტულ სეანსზე, რომელსაც ატარებდა აკსაკოვის რძალი ქ-ნი ფონ ვიეზლერი და მისი ქალიშვილი სოფია (რომლებიც არ იყვნენ პროფესიონალი მედიუმები), პლანშეტის დახმარებით[X] გამოცხადდა სული ახლად გარდაცვლილი ალექსანდრა. N.N- ისა, რომელსაც ორივე მანდილოსანი მხოლოდ შორიდან იცნობდა. იგი იყო ანარქისტი, კეთილშობილი ოჯახიდან, რომელმაც ერთი კვირით ადრე (1885 წლის 15 იანვარს) თავი მოიწამლა, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა რევოლუციონერი მიხაილ X-ი რევოლუციური საქმიანობის გამო ჯერ დააპატიმრეს და შემდეგ, გაქცევის მცდელობისას, დახვრიტეს. ალექსანდრას სულმა საკმაოდ ენერგიულად მოსთხოვა სოფია ვიეზლერს, რომ იგი შეხვედროდა ნიკოლაის, მიხაილის ძმას, რათა მას ალექსანდრას სახელით გაეფრთხილებინა იგი, რომ მორიდებოდა გარკვეულ ანარქისტულ ელემენტებს. არც ქალბატონმა ვიეზლერმა და არც მისმა ქალიშვილმა არ იცოდნენ ნიკოლაის ნიჰილისტური გატაცებების შესახებ. გარდა ამისა, ორ ოჯახს შორის ნაცნობობა საკმაოდ ზედაპირული იყო, რომ ალექსანდრას დაუინებითი მოთხოვნა აესრულებინათ და ნიკოლაი მოეწვიათ სპირიტისტულ სეანსზე - ამით ირღვეოდა საზოგადოებრივი ეტიკეტი. სოფიას ამ მოთხოვნის შესრულების გაჭიანურებამ ალექსანდრას მხრიდან არაერთი უცენზურო გამოთქმა დაიმსახურა, რომელიც მისივის სიცოცხლეშიაც დამახასიათებელი ყოფილა თურმე. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. საბოლოოდ, 26 თებერვალს ჩაიწერეს ალექსანდრას უკანასკნელი სიტყვები: «უკვე დაგვიანდა; შენ ამას მწარედ ინანებ ... ელოდე მის დაპატიმრებას».

X პლანშეტი წარმოადგენს პატარა მაგიდას სპეციალურად სპირიტისტული სეანსისათვის, რომელზედაც ორი ან ოთხი ხელი ეტევა, ორ პატარა გრრგოლაჭზე მოძრაობს, და მესამე საყრდენად აქვს ფანქარი, რომელიც მედიუმური ხელის შეხებისას «ავტომატურად» იწყებს ჩაწერას.

მაღე ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ამას ალექსანდრას სული იუწყებოდა.

პარაფსიქოლოგიაში დადასტურებულია სულთა გამოცხადებები ყოველგვარი მედიუმისა და სპირიტისტული სეანსების გარეშეც. როდესაც ამ სულთა იდენტიფიკაცია დგინდება გარდაცვლილის პიროვნებასთან, ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ ამ სულის სპონტანური გამოცხადებები გამოწვეულია რაღაც წუხილით, ვალით, ან იმ პრობლემით, რომელიც სიცოცხლეში გადაუწყვეტი დარჩენია მას. ხშირად ესაა ძალდატანებითი სიკვდილი ან თვითმკვლელობა. ასეთი შემთხვევები ხემომოყვანილ წერილებშიცაა ასახული, მაგრამ ეხლა ამის ილუსტრირებას მოვახდენთ პარაფსიქოლოგიის მხრიდან, კერძოდ, მისი ერთ-ერთი დაუღალავი მკვლევარის, იოანეს ილიგის აღწერით[X]. აქ აღწერილი შემთხვევა მოგვითხრობს გარდაცვლილ ქ-ნ ფ-ზე, რომლის სიკვდილის შემდგომ მის სახლში სხვადასხვა ადგილას, გარკვეული ხნის განმავლობაში, ხმამაღალი კაკუნი ისმოდა. იმავე დროს ხშირად იმ სახლის მცხოვრებლები ხედავდნენ ანთებულ ბურთს - ბილიარდის ბურთის ოდენას, იგი კიბეზე დაეშვებოდა ხოლმე და ვესტიბიულის იატაკზე სკდებოდა. ამას ახსნა ეძებნებოდა იმით, რომ ქ-ნ ფ-ს სისხლი ჩაექცა სწორედ კიბეზე და იქვე განუტევა სული ისე, რომ გრძნობაზე აღარ მოსულა.

მეორე შემთხვევა, იმავე ილიგის ცნობით[XX], ეხება თვითმკვლელს. უკვე პირველსავე ღამეს თვითმკვლელობის შემდეგ დაიწყო იმ სახლში სულის მოვლენები. ეს გამოვლინებანი შეესაბამებოდა გარდაცვლილის ჩვევებს: ნაბიჯების იგივე ხმა, იმავე კარების ჭრაჭუნი და სხვა. პირველ ხანებში ეს მეორდებოდა ყოველ ღამე. შემდეგ - პაუზებით. ზოგ ღამეს მოჩვენება ჩნდებოდა სახლის გარეთ, მის სახურავზე;

X Johannes Illig, Ewiges Schweigen? 4 Aufl., Stuttgart, s.185

XX „Zeitschrift für Parapsychologie", 1929, s. 72

ზუსტად იმ ადგილას, სადაც თვითმკვლელობა მოხდა. მოჩვენებას ჰქონდა კაშკაშად მოელვარე ფორმა, რომელსაც ხშირად აკვირდებოდნენ მეზობლები ზოგჯერ მთელი თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პარაფსიქოლოგია ანსხვავებს[X] ადგილზე მიჯაჭვულ სულს (ე.ი. იმ სულს, რომელიც მხოლოდ გარკვეულ ადგილას ჩნდება, იქნება ეს სახლი, ბუნებაში რომელიმე გამორჩეული ადგილი თუ სხვა) იმ სულისაგან, რომელიც მხოლოდ პიროვნებასთან, ე.წ. მედიალურ პიროვნებასთანაა დაკავშირებული. ზემოაღწერილი ორი შემთხვევა სწორედ ადგილზე მიჯაჭვულ სულთა ფენომენებს წარმოადგენს. ისინი მეორეთაგან კიდევ იმით განსხვავდებიან, რომ მათი ყოფნა ამ ადგილებზე საუკუნეების მანძილზე შეიძლება გაგრძელდეს, მაშინ როდესაც მედიალური სული (სხვანაირად «მტანჯველი სული») იშვიათად გაჰყვება ხოლმე ადამიანს სიბერემდე. თუ მედიალურად «დაჯილდოებული» პიროვნება დასახლდება სახლში, სადაც მოჩვენებები არიან, მაშინ ეს უკანასკნელნი უფრო აქტიურდებიან და მათთან დაკავშირებული ფენომენები უფრო ძლიერდება[XX].

X X

X

დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის (მე-3 გამოც.) ცნობით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს სპირიტისტების რაოდენობა მარტო დიდ

X P. Ringger, დასახ.ნაშრომი, გვ.92-94

XX სწორედ ასეთი რამ უდევს საფუძვლად ამერიკელი რეჟისორის, სტენლი კუბრიკის შესანიშნავ ფილმს «Shining»-ს.

ბრიტანეთში რამდენიმე მილიონს აღწევდა, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში - 10 მილიონზე მეტს. დღესაც მრავალრიცხოვანი სპირიტისტული საზოგადოებები და ასოციაციებია გავრცელებული დასავლეთში (ამერიკის ნაც. ასოციაცია სპირიტისტულ ეკლესიათა, ინგლისის ნაც.სპირიტისტული კავშირი, საერთაშორისო სპირიტისტული ფედერაცია და სხვა). ისინი აქვეყნებენ ჟურნალებსა და გაზეთებს, ხოლო შეკრებებზე, რომელთაც «მსახურებას» (service) უწოდებენ, სპირიტისტები თავისებურად ლოცულობენ და გალობენ. მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილი სპირიტისტთა (სპირიტუალისტთა) დეკლარაციიდან, რომელიც ჯერ კიდევ 1874 წელს გამოაქვეყნა ლონდონის «სპირიტუალისტთა» საზოგადოებამ («British National Association of Spiritualists»):

«სპირიტუალიზმი აღიარებს ადამიანის შინაგანი ბუნების არსებობას. მას საქმე აქვს ფაქტებთან, რომელიც ამ შინაგან ბუნებას ეხება... იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ შინაგანი ბუნების გარკვეულ გამოვლინებებს, რომელთაც აკვირდება განსაკუთრებული ორგანიზაციის მქონე პიროვნებებზე, ამჟამად რომ «მედიუმთა» ან «სენსიტივების» სახელით არიან ცნობილნი, და რომელთაც ძველად უწოდებდნენ წინასწარმეტყველთ, ქურუმებსა და ნათელმხილველთ. სპირიტუალიზმი ამტკიცებს, რომ მან ადამიანის უკვდავების საკითხი მყარ საფუძველს დააფუძნა, რომ მან დაამტკიცა ადამიანის პიროვნების მარადიული ყოფიერება და ასევე დაამტკიცა შესაძლებლობა ურთიერთობისა, ხელშემწყობ პირობებში, ცოცხლებსა და ეგრეთ წოდებულ მკვდრებს შორის; რომ იგი, და ბოლოს, წარმოადგენს ნიადაგს უფრო სრულყოფილ სულიერ მდგომარეობათა რწმენისას - არსებობის ახალ სფეროებში».

«სპირიტუალიზმი წარმოადგენს ყველა რელიგიის, ძველისა და ახლის, უკეთ გაგების გასაღებს. იგი განმარტავს ზეშთაგონების აზრს

(the philosophy of inspiration) და სასწაულებზე ჩვეულებრივ წარმოდგენას ცვლის აქამდე არ აღიარებულ კანონთა მოქმედებით».

ქრისტიანული რელიგიის მისამართით ამ დეკლარაციაში ნათქვამია შემდეგი: «გულითადად თანაუგრძნობს რა იესო ქრისტეს მოძღვრებას, ასოციაცია, მიუხედავად ამისა, არ ცნობს არავითარ დოგმატებსა და უცილობელ (finality) ჭეშმარიტებებს, როგორც რელიგიური, ასევე ფილოსოფიური ხასიათისას. იგი კმაყოფილდება კარგად დამოწმებული ფაქტების მხოლოდ დადგენითა და ახსნებით, რომლებზედაც მხოლოდ შესაძლებელი რაიმე ჭეშმარიტი რელიგიის ან ფილოსოფიის დაფუძნება».

სხვა სიტყვებით, ქრისტიანულ რელიგიას სპირიტისტები არ მიიჩნევენ «ჭეშმარიტ» რელიგიად. ასეთივე პოზიცია იგრძნობა გასული საუკუნის ფრანგი სპირიტისტების წინამძღოლის, ალან კარდეკის «სულთა წიგნში» (არსებობს რუსული თარგმანი), სადაც ნათქვამია, რომ «პირველი ცოდვა და მონანიება არ არსებობს». ინდუიზმის, ბუდიზმისა და ზოგიერთი ეზოტერული მოძღვრების მსგავსად, კარდეკი აღიარებს სულის რეინკარნაციას (სულის კვლავ განსხეულებას), რომლის დროსაც სული მით უფრო «უკეთეს» სხეულს მოიპოვებს, რაც უფრო დამსახურებული გახდება იგი თვითსრულყოფის მეშვეობით (ე.ი. ადამიანის ხსნა მ ო ნ ა ნ ი ე ბ ი ს გზით აქ უარყოფილია).

კარდეკისაგან დიდად არ განსხვავდება თანამედროვე ადეპტი სპირიტიზმისა არლანდი[X]. აღიარებს რა რეინკარნაციის თეორიას, ამავე დროს იგი ქრისტეს განიხილავს ერთი მხრივ როგორც მედიუმს, რომელიც, როგორც გარკვეული «შუამავალი», «ღვთაებრივ სიტყვებს» თავისი პიროვნული ნების გარეშე წარმოთქვამს; მეორე მხრივ, მას

X V. C. Arland, Die ewigen Geheimnisse, Bündingen (Oberhessen) 1956.

მიაჩნია, რომ ქრისტე წარმოადგენს «თავდაპირველი მონადის»[X] (ე.ი. ღმერთის) ნაწილს, რომელმაც განუმეორებელი მიწიერი ინკარნაცია მიიღო და შემდეგ კვლავ თავდაპირველ მონადას დაუბრუნდა. მაგრამ არლანდი აქედან შემდეგ იმ დასკვნას აკეთებს, რომ ქრისტეს წამება მხოლოდ «გარეგნული» იყო, რადგანაც იგი არა მის მონადას, არამედ მხოლოდ მის ადამიანურ გარსს ეხებოდა და ამვვარად, მოჩვენებითი გახლდათ.

შემდეგი, რითაც არლანდი ქრისტიანობას უპირისპირდება, ესაა ეშმაკის (სატანის, დემონის) უარყოფა[XX]. მისი აზრით, ღმერთი, ანუ ყოვლადძლიერება (Allmacht) მოიცავს ყოველივეს» და ამ დროს მისი უარმყოფელი, საპირისპირო პრინციპის არსებობის დაშვება - ყოვლად გამორიცხულია. დემონები, არლანდის მიხედვით, ესაა იგივე «უფსკრულები» ადამიანში, რომლებიც «შექმნის აქტით მის თავისუფალ ნებაში აღმოცენდნენ და ამიტომ ისინი ადამიანის გონების პროდუქტს წარმოადგენენ და არა ყოცლადძლიერების დამოუკიდებელ ქმნილებას». მსგავსად სვედენბორგისა, არლანდსაც მიაჩნია, რომ უხილავი სულიერი სამყარო შედგება მხოლოდ გარდაცვლილ ადამიანთა ბოროტი და კეთილი სულებისაგან, და რომ თავისი თავისუფალი ნების კარნახით ინვოლუციის (გადაგვარების) გზაზე მდგომი ადამიანის სული, საბოლოო ჯამში, ღვთისაგან ისპობა.

რაც შეეხება სპირიტისტულ სეანსებს, აქ, არლანდის აზრით, სეანსზე დამსწრე პიროვნებებზეა (არლანდის თქმით: «ინკარნირებულ

X საერთოდ არლანდი სიტყვა «მონადას» ხმარობს «სულის» გაგებით- იქნება ეს ცოცხალი, თუ გარდაცვლილი ადამიანის სული, და მას არავითარი საერთო არა აქვს ლაიბნიცის მონადასთან.

XX ამ მხრივ არლანდი მარტო არაა. მასთან ერთად ამ აზრს იზიარებს ზოგიერთი «ქრისტიანი» თეოლოგი თანამედროვე დასავლეთში.

მონადებზე») დამოკიდებული, თუ მედიუმი როგორი სულის გამოხმობას შეძლებს, საიქიოდან: თუ დამსწრეში სიკეთე სჭარბობს, მაშინ ასეთი სული მას მოევლინება, თუ არა და - პირიქით. ამგვარად, დეზინკარნირებულ მონადებს გამოცხადებისათვის გარკვეული გონებრივი მხარდაჭერა სჭირდებათ სეანსზე მყოფ ინკარნირებული მონადებისაგან. მეტიც: საკმარისია სპირიტ.სეანსზე დამსწრეთა შორის ურწმუნონი სჭარბობდნენ, რომ მედიუმს ეს გარემოება გარდუვალ ჯეგირად ეღობება სულთა გამოვლინებისათვის[X]. მაგრამ არა მხოლოდ სეანსზე დამსწრე პიროვნებებისაგან (მათი «მონადებისაგან») სჭირდება მედიუმს მხარდაჭერა, არამედ-საიქიოდანაც, იქ მყოფი სულისაგან («მონადისაგან»), რომელიც «შუამავლობას» კისრულობს მედიუმსა და არაამქვეყნიურ არსებებს შორის. ერთ-ერთ ასეთ «შუამავალს» განსაკუთრებით გამოჰყოფს არლანდი. ესაა მონადა «Nell», რომელიც დაბადებულა 1656 წელს და გარდაცვლილა 1713 წელს. მონადა « Nell », არლანდის თქმით, თავის თავს «ღვთის ძლიერ სულს» უწოდებს და აკავშირებს, აზრების გადაცემით, ამქვეყნიურ «მონადებს» (ადამიანებს) იმქვეყნიურ სულებთან - როგორც «ხსნილებთან», ასევე «დაუხსნელებთან» (თავად « Nell »ის გადაწყვეტილებით). რაც შეეხება სეანსზე დამსწრე პიროვნებათაგან («მონადებისაგან») სულთა გამოვლინებების მხარდაჭერას, ესეც, არლანდის თქმით, სჭირდებათ მხოლოდ დაბალ საფეხურზე მყოფ მონადებს. ზესფეროებში მყოფი სულები არ საჭიროებენ თავიანთი გამოვლინებისათვის სეანსზე მყოფთაგან დახმარებას, რომელიც ხორციელდება «აზრობრივი ასოციაციის»მეშვეობით. ასეთ სულებს თავად შეუძლიათ გამოვლინება ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა სეანსებზე აზრობრივ-

---

X როგორც ვხედავთ, სპირიტიზმის მხრიდან ასე იხსნება ზოგიერთი წარუმატებელი ცდა პარაფსიქოლოგიაში.

სულიერი ფორმით. ასეთი სულების გამოყვანა სეანსზე თვით მონადა «Nell»-საც არ შეუძლია (თუმცა, ცოტა ზემოთ, არლანდი მას ქრისტეს ადარებს!); მაგრამ მას შეუძლია მათი მდგომარეობის შესახებ გვაუწყოს. აქვეა აღსანიშნავი, რომ აღიარებს რა რეინკარნაციას, არლანდი გვამცნობს, რომ «მონადის» (გარდაცვალებულის სულის) ვიზუალური გამოვლინების ფორმა (ამ შემთხვევაში ე.წ. «ასტრალური სხეული», რომელზედაც ჩვენს «კომენტარებში» კიდევ გვექნება საუბარი), არასოდეს შეესაბამება თავად მონადას, მითუმეტეს, მის არსს. ეს აიხსნება ჯერ ერთი იმით, რომ მონადამ მრავალი განსხეულება განიცადა თავისი განვითარების მანძილზე და მისი ერთ-ერთი ამქვეყნიური ცხოვრების ფორმა მისთვის მხოლოდ ერთი ეპიზოდია. ამავე დროს, თავისი გარდასხეულებების მანძილზე მონადა არა მარტო სხეულებს იცვლის, არამედ - სქესსაც. მეორე მხრივ, მონადა თავის არსში წმინდა სულიერი იდეაა, რომელსაც ნებისმიერად ორგანიზირება ძალუძს და ამიტომ მისი თავდაპირველი გამოვლენის ფორმა ჩვენთვის მიუწვდომელი დარჩება. ამიტომ ცდილობს მონადა, რომ სპირიტულ სეანსზე დამსწრეთ გამოეცხადოს მათთვის გასაგები ფორმით (იქნება ეს სხეული, რომელიც იქ მყოფთ ახსოვთ, თუ იქნება ეს რაიმე სიმბოლური ფორმა, მაგ. «რძისფერი ბურთი», რომელიც იქ მყოფთ რაღაცაზე მიანიშნებს და სხვა). როდესაც ჩვენს სეანსებზე, ამბობს არლანდი, გამოდიან დიდი სულები (მაგალითად: ჯორდანო ბრუნო, ნოვალისი, გოეთე, ბეთჰოვენი, მოცარტი, ლეონარდო და ვინჩი და სხვები), ჩვენ მათი სახელები მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლურ აღნიშვნებად უნდა მივიღოთ და არ დავუკავშიროთ მათ ადრე განსხეულებულ პიროვნულ გარსს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათ მონადებს. მაგალითისათვის არლანდი ასახელებს ფილოსოფოს სოკრატეს მონადას. ამ მონადის ცნობით (რომელიც წერილობით ჩაიწერეს 1954 წლის I ივნისს) იგი აღარ განსხეულებულა მას შემდეგ, რაც ერთხელ იყო ინ-

კარნირებული როგორც სოკრატე. ამიტომ იგი, «უკეთ გაგების» მიზნით, გამოცხადდება ხოლმე მაშინდელი სხეულებრივი ფორმით, როგორც «ძეგლი». მაგრამ ამისაგან დამოუკიდებლად, ამ მონადის «ასტრალურ სხეულს» შეუძლია სრულიად სხვა შესახედაობის მიღება.

თვით საიქიოდან მიღებულ ცნობებს არლანდი სამ ნაწილად ჰყოფს: I. ისეთებად, რომელნიც ადამიანის შემეცნებას ემსახურებიან; 2. რომელნიც მიმართულნი არიან გრძნობადზე, ხელშესახებად აღქმადზე და 3. ისეთებზე, რომელნიც შეგნებულ ტყუილს შეიცავენ.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმ მედიუმური ჩანაწერებიდან, რომლებსაც აქვეყნებს არლანდი და სადაც ასახულია მხოლოდ და მხოლოდ «დიდი სულებიდან» მიღებული უწყებები. ეს ჩანაწერები არჩეულია I600 კარნახიდან, გვაუწყებს არლანდი, რომლებიც მიღებული იყო 200 სეანსის დროს I922-I936 წლებში მედიუმ მარია ზილბერტის მიერ, ხოლო I946-I955 წლებში მედიუმ პრისკა პოგატშნიკის მიერ. ამ სეანსებზე, როგორც ამბობს არლანდი, ადგილი ჰქონდა აგრეთვე ფიზიკურ გამოვლინებებს, მატერიალიზაციებს, ლევიტაციებს და «ბევრ სხვა რამეს», მაგრამ არლანდი მხოლოდ ამ ჩანაწერების გამოქვეყნებით იფარგლება.

«მონადა Nell, I9.I2.I932: გადალახავთ რა საათებს, დღეებს, კვირეებს, თვეებსა და წლებს, თქვენ ითვლით მხოლოდ ერთს: ერთია დაბადება, სიცოცხლე, სიკვდილი და ყოველივე - ესაა მარადიულობა.

გოეთე, 28.8.I948: უმთავრესია, რომ გქონდეს სული, რომელსაც ჭეშმარიტება უყვარს და აიღებს მას, სადაც კი ჰპოვებს.

Nell, 23.3.I949: ყოველივე წარიმართება ღვთისაგან და მისი წყალობით; თუ თქვენ იცხოვრებთ ღვთის კანონების მიხედვით, თქვენ მისი წყალობა არ მოგაკლდებათ.

გოეთე, I.I.I95I: ვინც იცნობს საბოლოო მარტოობას, მან უწ-

ყის საბოლოო საგნების შესახებ.

Nell, 25.2.1951: რაც თქვენს სულთა სიღრმეში ძევს, ჩვენთვის არაა დამალული, მაგრამ თქვენი ნების თავისუფლება რომ არ ხელვყოთ, ჩვენ დუმილს ვარჩევთ.

ქერუბიმი, 22.5.1954: სიყვარულს არა აქვს სამზღვარი უკუნითი უკუნისამდე.

სერაფიმი, 23.7.1954: ბუნება არის ღმერთი: ღმერთი არის უმაღლესი, უდიდესი მარადიული სავანე!

ნოვალისი, 7.8.1954 : რა ნეტარებაა იყო სული და წმინდა მარადიულად!

Resi, 26.2.1955: სიწყნარიდან და წმინდა სიჩუმიდან მე მომაქვს განახლებული გული და განახლებული ნება».

სურათის სრულყოფის მიზნით აღვნიშნავთ კიდევ იმ გარემოებას, რომ ინგლისსა და ამერიკაში უამრავი სექტებია, რომლებიც სპირიტიზმს ქრისტიანობას უხამებენ. მათი ღვთისმსახურების კულმინაციური მომენტია, როდესაც სასულიერო პირი ან მედიუმი ტრანსში ამეტყველდება[X]. გერმანიაში არსებობს სექტა «ე ვ ა ნ გ ე ლ უ რ - ი ო ა ნ ე ს ე უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ი ს ა », რომლის ღვთისმსახურებაში ასეთი ტრანსში ამეტყველება დიდ როლს თამაშობს. ამ სექტის დამაარსებელია იოზეფ ვაიზენბერგი (დაიბ. 1855 წ. - გარდაიცვალა ?), რომელიც მის მიმდევრებს მიაჩნიათ სული წმიდას ინკარნაციად. ამ სექტის ერთ ასეთ საკვირაო დღესასწაულს დაესწრო რელიგიათა ცნობილი მკვლევარი ჰელმუტ ფონ გლაზენაპი, რომელმაც აღწერა კიდევაც იგი[XX]. გლაზენაპი მოგვითხრობს, რომ ბრანდერბურგის პროვინციაში ტრებბინთან, ვაიზენბერგის ერთ-ერთ «მშვიდობის ქა-

---

X Helmuth von Glasenapp, Die fünf Grossen Religionen, Teil II, Düsseldorf 1957, S. 372.

XX იქვე, გვ. 372-373

ლაქში», იგი მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ აჰიპნოზებდა იოზეფ ვაიზენბერგი მედიუმს, რომლის პირითაც შემდეგ ისტორიულ პიროვნეგათა სულები მეტყველებდნენ. მედიუმი უმეტეს შემთხვევებში იყო და ვრეტა მიულერი, რომელიც ვაიზენბერგმა ორი შვილით დაასაჩუქრა. სულები ღაღადებდნენ მედიუმის პირით: «თავადი ოტტო ფონ ბისმარკი, ოდესღაც კანცლერი გერმანული რაიხისა, ამჟამად კანცლერი სულთა სამეუფოში». ასევე ღაღადებდნენ ნაბუქოდონოსორი, სოლომონ გრძენი, წმ.პეტრე, ფრიდრიხ დიდი, დედოფალი ლუიზა, ნაპოლეონი და სხვები. ეს მეტყველება ძალზე ჰგავდა იმავე ვაიზენბერგის მუზეუმში (სადაც ამ სულთა სურათებია გამოფენილი) ექსკურსიამძღოლის მეტყველებას, როდესაც იგი ამ სურათებს განმარტავდა. მედიუმის ეს ტრანსში უწყებული ტექსტი შემდეგ ჟურნალ « Der Weiße Berg » - ში ქვეყნდებოდა. თვით ამ სეანსის დროს ზოგიერთი მსმენელი უცნაურ ხმებს გამოსცემდა. მათთან მივიდოდა ხოლმე ვაიზენბერგი, ზურგზე ხელს დაარტყამდა და დაიძახებდა: «განვედ, სატანა!» - რის შერეც შეპყრობილი თავისუფლდებოდა. ვიაზენბერგმა დააარსა აგრეთვე სამხედრო გაერთიანება «მარადიული სიცოცხლე», რომლის წევრები ჰუსარებისა და ულანების ფორმაში იკრიბებოდნენ და რომელთაც ერთხელ ვაიზენბერგს, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად, ნამდვილი ქვემეხი აჩუქეს. ვაიზენბერგმა «მარადიული მშვიდობის» წევრებს აღუთქვა ამ ქვემეხის ზარებად ჩამოსხმა «მშვიდობის» ეკლესიისათვის.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

კომენტარები

საყუარელნო, ნუ ყოველი სული
გრწამნ, არამედ გამოიცადენით სულნი,
უკუეთუ ღმრთისაგან იყვნენ ...

I ი ო ა ნ ე 4,I

მართლმადიდებლური ეკლესიის წევრებს და საერთოდ, ქრისტიანებს, პრინციპულად არავითარი საფუძველი არა გვაქვს ეჭვი შევიტანოთ სპირიტიზმისა და, მითუმეტეს, პარაფსიქოლოგიის მონაცემებში. ჩვენს პოზიციას ამ საკითხში განსაზღვრავს ის, რომ წმ. წერილში ფართოდაა დამოწმებული ამდაგვარი მოვლენები. ის,რითაც წმ.მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრება შეიძლება დაუპირისპირდეს სპირიტიზმსა და პარაფსიქოლოგიას, არის არა ეჭვის შეტანა მათ ფენომენებში, არამედ ამ მოვლენათა განსხვავებული შეფასება, იქნება ეს სულების გამოწვევის ფაქტი, თუ თავად სულები.

პირველ ყოვლისა მივმართოთ წმ. წერილს: ძველი აღთქმა გვამცნობს აენდორელ ჯადოქარზე, რომელსაც მიმართა მეფე საულმა, რათა მას გამოეწვია ს უ ლ ი სამოველისა (I მეფეთა 28,7-I4): «მაშინღა ჰრქუა საულ მონათა მათ თჳსთა: მიძიეთ მე დედაკაცი ერთი ულუკი, მივიდე და ვიკითხო მისგან სიტყუაჲ. და ჰრქუეს მონათა მისთა: აჰა, ესერა, არს დედაკაცი ერთი ულუკი აენდორსა შინა.

და შეიმოსა საულ სხუაჲ სამოსელი და ვერღარა საცნაურ იყო იგი მეფედ; და დაიბურა თავი თჳსი და თანაწარიყვანა ორნი მონანი. და მივიდა იგი დედაკაცისა მის ღამე და ჰრქუა დედაკაცსა

მას: მიმისნე მე ულუკებითა შენითა და აღმოიყვანე ჩემს წინაშე, რომელსა ვეძიებ მე.

და ჰრქუა დედაკაცმან მან: შენ თჳთ უწყი, რაჲ ყო საულ, რამეთუ მოსრნა მან ყოველნი მეცნიერნი და მისანნი და ულუკნი და ქუეყანით მეტყუელნი. აწ შენ რად მოინადირებ სულსა ჩემსა, რა თამცა მომაკუდინა მე?

ეფუცა მას საულ ღმრთისა მიმართ და ჰრქუა: «ცხოველ არს უფალი ჩემი! არა შეგემთხჳოს შენ ბოროტი სიტყუასა ამას ზედა.

და ჰრქუა დედაკაცმან მან: ვინ აღმოვიყვანო შენდა? და ჰრქუა მას საულ: სამოველ აღმომგვარე მე!

და იხილა დედაკაცმან სიკრულასა მას შინა თჳსსა პირველად საულ, ჰმა-ყო ჰმითა დიდითა დედაკაცმან და ჰრქუა საულს: რაჲსათჳს შემიტყუე მე, რამეთუ შენ თავადი თვით საულ ხარ?

მიუგო მეფემან დედაკაცსა მას და ჰრქუა: გარქვი შენ პირველვე, ვითარმედ, ნუ გეშინინ შენ, არამედ რა იხილო, მითხარ მე! რქვა დედაკაცმან საულს: ვხედავ მე კერპთა მრავალთა აღმომავალთა ქუეყანით.

და ჰრქვა საულ: რა გულისხმა-ყავ ? რქვა დედაკაცმან: ვხედავ მე კაცსა ერთსა მაღალსა აღმომავალსა ქუეყანით და ჩუდკეცი სამოსელი მოუბღარდნიეს მას! და გულისხმა-ყო საულ, ვითარმედ სამოველ იყო იგი, დადრკა ქუეყანასა ზედა და თაყუანი-სცა მას».

როგორც ამ ციტატიდან (და ასევე წმ.წერილის სხვა ადგილებიდანაც) ჩანს, სულთა გამოწვევა (ნეკრომანტია) მიიჩნევა დანაშაულად, რადგან : I. სულებისაგან სურთ იმის გაგება, რაც ღვთის გადაწყვეტილებით დაფარული უნდა ყოფილიყო; ანდა - 2. ღვთის სიტყვას უფრო ნაკლები მნიშვნელობისად მიიჩნევენ, ვიდრე პასუხს სულთა სამეუფოდან (იხ.ესაია 8,I9-20). ყოველივე ამის გამო წმ.წერილის მიხედვით იკრძალება სულთა ყოველგვარი გამოწვევა (იხ.ღე-

ვიტელთა 19,31,20,7. წიგნი მეორე სჯულისა 18,11. II მეფეთა 21,6; 23,24). ამისათვის დაისაჯა თვით საული (I ნეშტთა,10;იხ. აგრეთვე: II ნეშტთა 33,6; ესაია 19,3; 29,4; 65,4).

ბიბლიაში არა მარტო სულთა გამოცხადებებია დადასტურებული, არამედ ხელთა მატერიალიზაციებიც, როგორც ამას ადგილი აქვს ჩვენთვის უკვე ცნობილ სპირიტისტულ-პარაფსიქოლოგიურ სეანსებზე.მეფე ბალთასარმა ნადიმის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი,რომელმაც კედელზე სამი საბედისწერო სიტყვის წარწერით მას ამცნო მისი და მისი სამეფოს ახლო აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, თავი 5): «ბალთასარ მეფემან უქმნა სერი დიდი დიდებულთა მისთა მამრთა ათასთა ... სუმიდეს ღვინოსა და აქებდეს ღმერთთა ოქროსათა და ვერცხლისათა, და რვალისა და რკინისათა, და ძელისათა და ქვისათა. მას ჟამსა შინა გამოვიდეს თითნი ხელისა კაცისაჲსანი, და წერდეს პირის პირ ლამპრისა, საგოზელსა ზედა კედლისასა სახლისა მეფისაჲსა და მეფე ხედვიდა თითთა მათ ხელისა მწერლისასა. მაშინ შესახედავი მეფისა შეიცვალა, და გულის ზრახვანი მისნი აღშფოთებულ იქმნეს, და სამწევრონი წელთა მისთანი ყოველითურთ დაიხსნებოდეს და მუხლნი მისი ერეკებოდეს».

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბევრი ბიბლიური სასწაული (იქნება ეს ლევიტაცია, ნეკრომანტია, მატერიალიზაციები, ნათელხილვა თუ სხვა) დადასტურებულია არა მარტო თანამედროვე სპირიტიზმსა და პარაფსიქოლოგიაში, არამედ კარგად დამოწმებულ ისტორიულ დოკუმენტებშიც. ბევრ ასეთ დოკუმენტში შესაბამისი ახსნებიცაა მოცემული სასწაულის აღწერისას. მაგ., წმ.თომა აქვინელის მე-13 საუკუნის ბიოგრაფი როდესაც მოგვითხრობს, რომ სალერნოს მონასტერში ბერებმა თავად იხილეს, თუ საკურთხევლის წინ მლოცველი წმ.თომა აქვინელი როგორ ასცდა მიწას და ლოცვის დროს ჰაერში გაჩერდა, არ კმაყოფილდება მხოლოდ ამ ფაქტის აღწერით და მას ურთავს სათანა-

დო ახსნას: «შესაბამისი იყო სწორედ, რომ სხეული მის სულს, რომელიც არ იყო დაზიანებული არავითარ ვნებათაგან, მორჩილად მიჰყვებოდა, რადგან მან მისი მიდრეკილებანი აღკვეთა».[X] მსგავსი ფენომენები შეინიშნებოდა მთელ შუა საუკუნეებში (და ამჟამადაც) მისტიკოსებთან. მაგ., გერმანული მისტიკის მკვლევარი, გუნდოლფ გიერათი წერს: «ექსტაზების გათვალისწინება შეიძლება არა როგორც წინაპირობისა, არამედ როგორც გვერდითი მოვლენებისა ან როგორც შედეგებისა, რადგან სული მისტიური მიმადლებისას იმდენად არის უმაღლესი ჭეშმარიტებით დაკავებული, რომ გრძნობანი წყვეტენ ყოველგვარ ქმედებას და ხშირად სხეული მიწაზეა განრთხმული როგორც უსიცოცხლო; ასევე არ შეიძლება წინაპირობად მივიჩნიოთ ხილვა, რითაც ახალი ჭეშმარიტებანი უმეტესად განსაკუთრებული შემეცნებისეული ხატების მეშვეობით მიენიჭებათ. ამისი მონათესავეა მომავლის ჭვრეტა, გულის საიდუმლოთა წვდომა, ჭეშმარიტ და ყალბ რელიქვიათა განსხვავების უნარი და ცოდნა გარდაცვლილთა ვითარების შესახებ. შესაძლოა აგრეთვე სასწაულებრივ მომენტთა დადგომა, როგორიცაა ჰაერში გაჩერება ანდა ბუნებრივად შეუძლებელ პოზაში გახევება. რადგან ამ მოვლენებს ადგილი აქვთ უმრავლეს მისტიკოსებთან, ისინი ჩვეულებრივ მისტიურად აღინიშნებიან. მაგრამ არც წინაპირობებში, არც ამ გვერდით მოვლენებში და არც შედეგებში არა ძევს არსი მისტიური გამოცდილებისა. ისინი უფრო მოჩუქურთმებულ ორნამენტს განეკუთვნებიან».[XX] რაც შეეხება ამ ცნობების-ჭეშმარიტებას, იგივე მკვლევარი ამის თაობაზე, მაგ., შემდეგნაირად

X Das Leben des heiligen Thomas von Aquino erzählt von Wilhelm von Tocco und andere Zeugnisse zu seinem Leben, St. Benno-Verl., Leipzig 1967, S. 130.

XX გერმანელი მისტიკოსები, გამოცემა და შესავალი გუნდოლფ გიერათისა (გერმ. თარგმნა, წინასიტყვ. და შენიშვნ. დაურთო ვ. რცხილაძემ) «საღვთ. კრებული» №13, თბ. 1983 წ. გვ. 93.

დასძენს: «წინასწარგანზრახულ ტყუილზე ან შეგნებულ გადაჭარბებაზე მონაზვნებთან არ შეიძლება ლაპარაკი. აქამდე არ დაეშვებოდნენ ელზბეტ შტაგელი, კატარინა გებვაილერი ან ქრისტინა ებნერი. რომ ღმერთს ამდაგვარი ნუგეშისცემათა მინიჭება ძალუძს, რომ იგი მათ დროდადრო ანიჭებს კიდეც, ეს ყველა კათოლიკესათვის ეჭვგარეშეა»[X].

ყოველივე ამის ვერგაგებასა და უარყოფას წარმოადგენს სახარების ე.წ. «დემითოლოგიზირების» სავალალო მოძღვრება, რომლის ავტორია მარბურგელი ეკზეგეტი რუდოლფ ბულტმანი (გარდაიცვ.1976წ.). მისი აზრით, ახალი აღთქმის სამყაროს სურათი, ისევე, როგორც წაწარმოდგენები დემონებზე და ზებუნებრივ ჩარევებზე, სასწაულებზე, იესო ქრისტეს არსებობაზე მის განსხეულებამდე, ქვეყნის აღსასრულზე და სხვა - შეუთავსებადნი არიან თანამედროვე აღამიანის სინამდვილის გაგებასთან. ამიტომ ბულტმანი ცდილობს «გაწმინდოს» ახ.აღთქმა მითოლოგიისაგან, მოახდინოს მისი «დემითოლოგიზირება» და ახსნას ამ «მითოლოგიურ გამოთქმათა» ნამდვილი აზრი, გამოავლინოს მათში დამარხული ეგზისტენციალური შინაარსი.

ცხადია, ამ ავტორისათვის უცხო უნდა ყოფილიყო არა მარტო უმარტივესი მისტიური ფენომენები, არამედ ლოცვის დროს განცდილი ნეტარების ზე ბუნებრივი მადლიც. ამიტომ მისი «ეკზეგეზა» არათუ მცდარია, არამედ იგი ვერ უახლოვდება თვით რელიგიის ზოგადი არსის გაგებასაც.

X X

X

სანამ შემდეგ საკითხზე გადავიდოდეთ, შევეხოთ სულთა მოვლი-

X იქვე, გვ. 93.

ნებების იმ ახსნას, რომელსაც უხსოვარი დროიდან გვთავაზობს ოკ-
კულტურ-ეზოტერული მოძღვრებები და რომელნიც, განსაკუთრებით
ადამიანის აგებულების საკითხში, გარკვეულ თანხმობაში იმყოფები-
ან წმ.მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრებასთან (აქ შეგნებულად
აღარ შევეხებით ზემოხსენებულ მოვლენათა გაშუქებას ფიზიკის მეც-
ნიერების მხრიდან, რომელიც მარტოოდენ ჰიპოთეზების რკალში ტრი-
ალებს).

ადამიანის აგებულება ძველ ეგვიპტელთა მოძღვრების
მიხედვით[X] (XVIII დინასტია, 1500 წ.
ქ.შ.წ.):

1. ხ ა ტ ანუ სხეული
2. კ ა - ორმაგი
   ხ უ - გონიერი სუბსტანცია
3. ბა-ბაი - ნათელმოსილი არსი

ადამიანის აგებულება ზოროასტრის მიხედვით:

1. ფ ი ზ ი კ უ რ ი ს ხ ე უ ლ ი

2. ჯან { ინარჩუნებს სხეულის ფორმას და ასევე წესრიგს და ჰარ-
   { მონიას ყველა ნაწილში

   სამშ- { ადამიანის პიროვნება, რომელიც შეიცავს:
   ვინველი { გონებას (ბ ო კ), განსჯასა და წარმოდგენას (რუან)
   { და სამშვინველის წმინდა სუბსტანციას (ფ ე რ უ ე რ)

3. აკკო { უცვლელი ღვთაებრივი საწყისი, რომელიც აღძრავს კეთი-
   { ლის ქმნისაკენ და არიდებს ბოროტს და რომელიც ამც-

[X] Marius Fontane – „Les Egyptes"; Папюс, Оккультизм, 3 изд., стр. 211-212.

ნობს მომავალ უკეთეს ცხოვრებაზე.

ადამიანის აგებულება კაბალაში:

I. ფ ი ზ ი კ უ რ ი ს ხ ე უ ლ ი

2. ნეფეში - მაფორმირებელი საწყისი, გამოსახულება

   რუაჰ - სამშვინველი

3. ნეშმა - წმიდა სული

ადამიანის აგებულება ო ვ ი დ ი უ ს ი ს მიხედვით

I. სხეული - მიწაში გარდამავალი

2. მოჩვენება - დაძრწის საფლავთან ახლოს

   აჩრდილი - ეშვება ქვესკნელში

3. ს უ ლ ი - ზეცად მაღლდება

ადამიანის აგებულება პარაცელსის მიხედვით

I. სხეული - მატერიალური ნაწილი

2. ერვესტრუმ - ასტრალური ადამიანი

   არქეი ანუ მუმია - ცხოველური სული

3. სულიერი სამშვინველი

როგორც ვხედავთ, მოყვანილი მაგალითები ძალზე ახლოს დგანან იმ სქემასთან, რომელსაც გვასწავლის წმ.მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრება ადამიანის აგებულების შესახებ (იხ.ზემოთ)*. დაახლოებით ამასვე გვთავაზობს თანამედროვე ანთროპოსოფია. მისი დამაარსებელი გვაუწყებს: «მხედველისათვის» სხეულებრივი ადამი-

* აქ ჩვენ შეგნებულად აღარ დავამძიმებთ ტექსტს პლატონის,ტერ-

ანი წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს მ თ ლ ი ა ნ ი ა დ ა მ ი - ა ნ ი ს ა ს. სხეული, როგორც ყველაზე უხეში წარმონაქმნი, ძევს სხვა წარმონაქმნთა შორის, რომელნიც მას და თავიანთ თავს ურთიერთ განმსჭვალავენ. ეთერული სხეული, როგორც სიცოცხლისეული ფორმა, ფიზიკურ სხეულს აღავსებს; მას ყოველი მხრიდან სცილდება და შესამჩნევი ხდება მშვინვიერი სხეული (Seelenleib). [ასტრალური გარეგნობა - Astralgestalt]. და კვლავ ამას სცილდება შემგრძნები სამშვინველი (die Empfindungsseele), შემდეგ - განსჯის სამშვინველი (die Verstandesseele), რომელიც მით უფრო დიდი ხდება, რაც უფრო მეტად მიიღებს იგი თავის თავში ჭეშმარიტებასა და სიკეთეს, რადგან ეს ჭეშმარიტება და სიკეთეა ის, რაც იწვევს განსჯის სამშვინველის გაფართოებას. ადამიანი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ თავისი მიდრეკილებებით, თავისი სიამოვნებებითა და უსიამოვნებებით იცხოვრებდა, იქნებოდა ისეთი განსჯის სამშვინველის მფლობელი, რომელიც სავსებით დაემთხვეოდა მისი შემგრძნები სამშვინველის ზღვრებს. ამ წარმონაქმნებს, რომელთა შორისაც ფიზიკური სხეული ისე მოსჩანს, როგორც ღრუბელში, შესაძლოა ვუწოდოთ ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი აურა»[X]. საბოლოოდ, დოქტორი შტაინერი ადამიანის აგებულების შემდეგ სქემას გვთავაზობს:

I. ფ ი ზ ი კ უ რ ი ს ხ ე უ ლ ი
2. სიცოცხლისეული სხეული (იგივე ეთერული სხეული)
3. ასტრალური სხეული (იგივე შემგრძნები მშვინვიერი სხეული)
4. მე, როგორც სამშვინველის ბირთვი
5. თვით-სული (Geistselbst), როგორც გარდაქმნილი ასტრალური სხეული.

ტულიანეს, ავგუსტინესა და სხვათა შეხედულებებით ადამიანის აგებულებაზე, რომელთა აღწერასაც დაინტერესებული მკითხველი ყველა სოლიდურ «ფილოსოფიის ისტორიის» კურსში ჰპოვებს.

X Dr. Rudolf Steiner, Theosophie, Stuttgart 1922, s. 32.

6. სიცოცხლისეული სული (Lebensgeist), როგორც გარდაქმნილი სიცოცხლისეული სხეული.

7. სული-ადამიანი (Geistesmensch), როგორც გარდაქმნილი ფიზიკური სხეული[X].

«სიკვდილის შემდეგ» - დასძ ენს დ-რი შტაინერი სხვა ადგილას- «ადამიანის ასტრალური სხეული რამდენიმე ხანს ჯერ კიდევ შეერთებული რჩება ეთერულ სხეულთან»[XX]. როგორც ჩანს, სულთა მოვლინების დროს სწორედ ამ ეთერულ-ასტრალური სხეულის (წმ.მართლმადიდებლური მოძღვრების მიხედვით: სამშვინველ-სიცოცხლისეული საწყისის) გამკვრივება ხდება, რის შედეგადაც ისინი ფიზიკური თვალისთვისაც შესამჩნევი ხდებიან. ეს ეთერულ-ასტრალური სხეულია აგრეთვე, რომელიც სულის ექსტერიორიზაციის დროს (ორეულების შემთხვევები) ტოვებს ადამიანის სხეულს. «გარდაცვლილი არსების გამოძახებისას ძალზე ფრთხილად უნდა ვიყოთ და ვიცოდეთ - აცხადებს ოკკულტისტი პაპიუსი - თუ ვისთანა გვაქვს საქმე - ასტრალურ გამოსახულებასთან, თუ მის ნამდვილ «მესთან». პირველ შემთხვევაში გამოწვეული არსება მოგვეჩვენება თითქოს სარკეში არეკლილად, იგი იქნება ხილული, გააკეთებს ჟესტებს და შესაძლებელი იქნება მისი ფოტოგრაფირებაც კი, მაგრამ იგი ა რ ი ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ს. ასეთია ბანკოს მოჩვენება «მაკბეტში», რომელსაც მხოლოდ მეფე ხედავს, მაგრამ რომელიც ხმას არ იღებს. მეორე შემთხვევაში გამოწვეული სული ი ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ს, და მისი დანახვა ერთდროულად

X იქვე, გვ.45

XX Rudolf Steiner, Die Geheimwissenschaft im Umriss, Dornach/Schweiz 1962, S.422.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გევრს შეეძლება. ესაა ჰამლეტის მამის მოჩვენება შექსპირთან[X]».

ახლა განვიხილოთ ზემოხსენებული ფენომენი ტერეზა ნოიმანისა, რომელიც ექსტაზის დროს (ქრისტეს ვნებების განცდისას) მისთვის სრულიად უცხო არამეულ ენაზე ალაპარაკდა. აქ რამდენიმე ახსნაა შესაძლებელი. პირველი ასეთი «ახსნა» იქნება, თუკი ზოგიერთ მოაზროვნესთან ერთად დავუშვებთ სამყაროს ცნობიერების, სამყაროს სუბიექტის ან სამყაროს მეხსიერების არსებობას. მაშინ შეიძლება დავუშვათ, რომ ტერეზა ნოიმანი ამ მეხსიერებით «სარგებლობდა» ექსტაზის დროს. პარაფსიქოლოგიაში არაერთი ამდაგვარი შემთხვევაა აღწერილი. მაგ., საკმაოდ გახმაურებულია ის ფათერაკი, რომელიც თავს ვადახდა ორ ინგლისელ მასწავლებელ ქალს 1901 წელს ვერსალის სიახლოვეს[XX]. მათ აქ განიცადეს სცენები დედოფალ მარიამ ანტუანეტას დროისა, რომელიც მის დაპატიმრებას უძღოდა წინ. ასეთივე რამ განიცადა ასევე ორმა ინგლისელმა 1951 წლის 4 ავგისტოს საფრანგეთის კურორტ დიეპთან[XXX]. მათ იქ ესმოდათ (დილის 4 საათიდან 7 საათამდე) ჯარისკაცთა ყვირილი, თვითმფრინავების გუგუნი, ბომბების გასკდომის ხმა, ქვემეხების სროლა და მთელი ბრძოლის ხმაური. მეორე დღის გამოკითხვამ დაადგინა, რომ მთელი ეს ხმაური მხოლოდ მათ გაიგონეს; არავითარი სამხედრო მანევრები იქ არ ყოფილა; ახლო-მახლო არც კინოთეატრი მდებარეობდა, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა ასეთი რამის მოსმენა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ზუსტად 9 წლის წინ, 1942 წლის 19 აგვისტოს დიეპთან მომხდარა ბრძოლა, რომელიც სწორედ დილის 4 საათიდან 7 საათამდე გრძელდებოდა.

X Папюс, Оккультизм, 3 изд., стр. 245.

XX L. Tremonger, The Ghosts of Versailles, London 1957.

XXX A. Jaffe, Geistererscheinungen ..., S. 150-151.

ამრიგად, ამ პირველი «ახსნით» შეიძლება იმის თქმა, რომ ადამიანურ ურთიერთობათა მძაფრი დრამები სამყაროს ამ «მეხსიერებით» ინახება. მეორე ახსნა ტერეზა ნოიმანის ფენომენისა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელია მას თავისი ცოდნა არამეული ენისა მიელოს იმ გარდაცვლილის სულისაგან, რომელიც ქრისტეს წამების მოწმე იყო. მესამე ახსნას გვთავაზობს რეინკარნაციის თეორია, რომელიც აღიარებს სულის კვლავგანსხეულების იდეას და ამ სახით სულის მოგზაურობას დროში. ვინაიდან ამ მოძღვრებას თანამედროვე სპირიტიზმიც იზიარებს, აქ საჭიროდ მიგვაჩნია ამ მისამართით გამოვთქვათ შეხედულება წმ.მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრებისა. ქრისტიანულ სამყაროში «სულის არსებობის იდეას მის განსხეულებამდე» აღიარებდა გამოჩენილი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ორიგენე (185-254). პლატონიდან აღებულ ამ მოძღვრებაში იგი უარყოფდა სულის გადასახლებებს (მეტემფსიქოზს) და განსაკუთრებით გონიერი სულის გადასახლებებს ცხოველთა სხეულებში. მიუხედავად ამისა, თვით ასეთი სახით «მოძღვრება სულის არსებობისა მის განსხეულებამდე» დაგმო მეხუთე მსოფლიო საეკლესიო კრებამ 553 წელს. მის ნაცვლად აღიარეს სულის გაჩენის კრეაციონული იდეა, რომელიც უშვებს, რომ ყოველი სხეულის დაბადებისას ღმერთი მასში ახალ სულს ქმნის. განსხეულებამდე სულის არსებობის იდეას მართლმადიდებლური მოძღვრება უშვებს დიდი კაბადოკიელი მამის, გრიგოლ ნოსელის (გარდაიცვ.394) გაგებით. გრიგოლი ფილონ ალექსანდრიელზე და ადრეულ ბერძენ მამებზე დაყრდნობით ასწავლიდა ადამიანის გარკვეულ არსებობას მის დაბადებამდე იმ აზრით, რომ ამქვეყნად პირველი ადამიანის შექმნამდე ღვთაებრივ სულში ჯერ იდეალური ადამიანი იყო შექმნილი[X].

X ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით იხ. Фаррар, Жизнь и

ახლა გადავიდეთ სპირიტიზმის იმ დებულებათა განხილვაზე, რომელთაც უარყოფს წმ.მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრება. პირველ ყოვლისა თვალშისაცემია ის გარემოება, რომ სპირიტიზმი იგივეობის ნიშანს სვამს სპირიტ.სპეანსების მედიუმთა და ბიბლიურ წინასწარმეტყველთა შორის. წმ.მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრების თანახმად ასეთი აზრი მკრეხელობაა. როგორ შეიძლება იგივეობის ნიშანი დაისვას ფულით დაქირავებულ (ან თუნდაც უანგარო) მედიუმსა და იმ წინასწარმეტყველებს შორის,რომლებიც, წმ.წერილის მიხედვით, თავად უმაღლეს ზნეობრივ საფეხურზე მდგომნი, უშუალოდ ღვთისაგან ღებულობდნენ ინსპირაციას და რომლებიც ხშირად მთელი ერის (და ერების) ბედ-იღბალს წყვეტდნენ!? ქვემოთ დავინახავთ,რომ მედიუმები ხშირ შემთხვევებში უარყოფითი ძალის (სატანის) სათამაშო თოჯინებად გვევლინებიან, რაც გამორიცხულია წმ.წინასწარმეტყველთა მხრივ. ამას გრძნობს ფილოსოფიური ინტუიციაც,როდესაც ისეთი ფილოსოფოსი, როგორიც ოტტო ვაინინგერია, სპირიტიზმის მისამართით აცხადებს; «სპირიტიზმი და მატერიალიზმი ერთი და იგივეა. ისინი მხოლოდ განსხვავებულ ფაზებს წარმოადგენენ, რომლებშიაც თანმიმდევრულად იმყოფება ერთი და იგივე ადამიანი. სულიერი დაკარგავდა მთელ თავის ღირსებას, მას რომ მატერიალიზაცია მიეღო»[X]. ერთი მართლმადიდებელი მწერლის სწორი განცხადებით «ქრისტიანობის სასწაულები - მხოლოდ და მხოლოდ სიკეთეა; სპირიტიზმის სასწაულები კი - ზებუნებრივი მოვლენებია, რომლებიც მხოლოდ გაოცებას იწ-

---

Труды свв.отцов и учителей Церкви, СПБ.,1890; А.Гарнак, История догматов, СПБ., Вл.Соловьев, Ориген (собр.соч.Т.IX, СПБ., 1900); H.Meyer, Abendländische Weltanschauung, II Bd. (Vom Urchristentum bis zu Augustin), Padeborn 1952; B. Hägglund, Geschichte der Theologie, Berlin 1983.

X O.Weininger, Über die letzten Dinge, Wien 1930, S.89.

ცევენ»[X]. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ღამაზი ძველინდური ლეგენდა «სიდჰასა და სპილოზე»[XX], სადაც აღრთხიღებენ ყველა «სულთა გამომწვევსა» და «მაგიური ძალების» შეძენის მსურველთ.

«იყო ერთი სიდჰა, რომელიც ძალზე ამაყობდა თავისი მაგიური ძალებით. იგი კარგი ადამიანი და ასკეტი იყო. ერთხელ მასთან მივიდა თვით უფალი წმინდანის სახით და უთხრა: «პატივცემულო ბატონო, მე გავიგე, რომ შენ გაგაჩნია საოცარი ძალები». სიდჰამ იგი კარგად მიიღო და მასთან მოსვენება შესთავაზა. ამ დროს იქვე სპილო მიდიოდა. წმინდანმა იკითხა: «ბატონო, შენ თუ მოისურვებ, შეგიძლია ამ სპილოს მოკვლა? «დიახ, შემიძლია» - უპასუხა სიდჰამ, აიღო მტვერი მიწიდან, წარსთქვა მასზე მანტრამი და შეაყარა იგი სპილოს. ცხოველმა დაიღრიალა, მიწაზე დაეცა და სული განუტევა. ამის მნახველმა წმინდანმა შეჰყვირა: «რა გასაოცარ ძალასა ჰფლობ! შენ წამში მოჰკალი ასეთი დიდი ცხოველი! მაშინ შენ უნდა გაგაჩნდეს იმისი ძალაც, რომ მას სიცოცხლე დაუბრუნო». სიდჰამ უპასუხა: «დიახ, ესეც შესაძლებელია». მან ხელახლა აიღო მტვერი ხელში, წაიმღერა მანტრამი და შეაყარა სპილოს. სპილოს სიცოცხლე დაუბრუნდა. ამის შემყურე წმინდანი კვლავ გაოცდა და ხელახლა შეჰყვირა სიდჰას: «საოცარია ძალნი შენნი! მაგრამ ნება მომეცი ერთი რამ შეგეკითხო. შენ მოჰკალი სპილო და დაუბრუნე მას სიცოცხლე, მაგრამ შენ ამით რა მოიგე? განიცადე შენ ღმერთი?»

X Н.Астафьев, О духе времени, СПБ., 1900, стр.77.

XX «სიდჰა» ნიშნავს ადამიანს, რომელსაც გააჩნია აბსოლუტური მბრძანებლობა მაგიურ მოვლენებზე. თვით ლეგენდა აღებული მაქვს: Провозвестие Рамакришны, СПБ.,1914, стр.219.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა თუ არა ეს, წმინდანი გაქრა».

როგორც ვხედავთ, ინდურ სიბრძნესაც შეგნებული აქვს ის, რომ ვინც მაგიური ძალების შეძენას ელტვის, მას უძნელდება ღვთის განცდა, ღმერთთან მიახლება. მაგიური ძალების მქონეს სიამაყე იპყრობს, რომელიც გარდუვალ ჯებირად აღიმართება ხოლმე ამის მისაღწევად.

შემდეგი დებულება სპირიტიზმისა, რომელსაც მართლმადიდებლური მოძღვრება ვერაფრით ვერ გაიზიარებს, არის არღანდის ზემონახსენები აზრი, რომ ქრისტეს ნამება მხოლოდ «გარეგნული» იყო, რადგანაც იგი არა მის მონადას, არამედ მხოლოდ მის ადამიანურ გარსს ეხებოდა და ამგვარად, მოჩვენებითი გახლდათ. ესაა აშკარა ერესი, მწვალებლობა, რომელსაც ავრცელებდნენ გნოსტიკოსები ჯერ კიდევ მე-2 საუკუნეში და რომელიც ცნობილია დ ო კ ე ტ ი ზ მ ი ს (ბერძ. «მოჩვენებითი») სახელწოდებით. ამ შეხედულების მიხედვით ქრისტემ «მოჩვენებითად» მიიღო ადამიანის გარეგნობა, მხოლოდ «მოჩვენებითად» ეწამა და თავისი აღდგომის შემდეგ დაუბრუნდა თავის უსხეულო, სულიერი არსის მდგომარეობას. დოკეტიზმი გნოსტიკოსებთან სხვადასხვა ფორმებს ღებულობს, მაგრამ უმთავრესი მაინც ისაა, რომ ისინი ქრისტეს უყურებდნენ როგორც ერთ-ერთ უმაღლეს სულიერ არსებას, ოცდაათ ეონს შორის უმაღლესი ეონიდან აღმოცენებულს, რომელსაც ადამიანთათვის ხსნა მოაქვს მხოლოდ და მხოლოდ იმისი მეშვეობით, რომ იგი ხელშემწყობია შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს ა (გნოზისი), რომელიც ადამიანს სჭიროდება სინათლის სამეუფოში ანუ სულიერ სამყაროში (პლერომაში) დასაბრუნებლად. ამგვარად, გნოსტიკოსების აზრით, ადამიანის ხსნისათვის ქრისტეს მიერ აღსრულებულ საქმეებს, მათ შორის თვით ქრისტეს ნამებასა და სიკვდილს არავითარი მნიშვნელობა, აღარ ენიჭება. ამიტომაა მათი

ქრისტოლოგია «დოკეტური» ხასიათის. ამიტომ მიაჩნიათ გნოსტიკოსებს (მაგ.,კერინთს), რომ ერთ-ერთი უმაღლესი სული «ქრისტე» მიწიერ «იესოში» ჩასახლდა, რომელიც მან დასტოვა ჯვარზე წამების წინ.

გნოსტიკოსთა შეხედულება, რომ ზეციური სულიერი არსება ქრისტე მკაცრად განსხვავდება ადამიანი იესოსაგან, რომელშიაც მან მხოლოდ დროებით დაიდო ბინა, ენერგიულად იქნა უარყოფილი ჯერ კიდევ საეკლესიო მამათაგან. მე-2 საუკუნეში წმ.ირენეოსი აღნიშნავდა (და ასეთია მართლმადიდებლობის აზრიც ამ საკითხზე), რომ სწორედ იოანეს სახარება უარყოფს გნოსტიკოსებს, როდესაც იგი პირდაპირ აცხადებს: «სიტყუა იგი ხორციელ იქმნა» (I,14); «ვინმე არს მტყუარი იგი? ანუ არა, რომელმან უარ-ყოს, ვითარმედ იესო არა არს ქრისტე?»(I იოანე 2,22); «ამით უწყოდით სული ღმრთისაჲ: ყოველმან სულმან აღიაროს იესო ქრისტე ხორციელად მოსრული, იგი ღმრთისაგან არს; და ყოველმან სულმან რომელმან არა აღიაროს იესო ქრისტე ხორციელად მოსრული, იგი არა ღმრთისაგან არს» (I იოანე 4,2-3).

აქედან კი ის გამომდინარეობს, რომ მაცხოვარი ეწამა არა მოჩვენებითად, მოჩვენებითად კი არ დაითმინა წამება და სიკვდილი, როგორც ამას გნოსტიკოსები და სპირიტისტები ამტკიცებენ, არამედ ჭეშმარიტად, რითაც პირველი ცოდვა ადამისა გამოისყიდა ღვთის წინაშე.

შემდეგი პუნქტი, რითაც სპირიტიზმი მართლმადიდებლობას უპირისპირდება, ესაა ეშმაკის (სატანის, დემონების) არსებობის უარყოფა. მაგალითად, ზემონახსენებ არლანდს, მსგავსად სვედენბორგისა, მიაჩნია, რომ უხილავი სულიერი სამყარო შედგება მხოლოდ ბოროტ და კეთილ გარდაცვლილ ადამიანთა სულებისაგან. მაშასადამე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორტი სული, ამ მოსაზრებით, უნდა გაჩენილიყო, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ადამიანის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი რწმენის თანახმად მან უკვე აცდუნა პირველი წყვილი ადამიანებისა, ჩვენი წინაპრები(დაბადება 3,I-5). აგრეთვე იგია კაცისმკვლელი დასაბამიდან, რომელიც კაცის პირველი მკვლელობის (აბელისა კაინის მიერ) ინსპირატორი იყო. ამიტომ ბრძანებს მაცხოვარი: «თქუენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულის თქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკვლელი იყო და დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტებაჲ არა არს მის თანა» (იოანე 8,44). ასევე: «არა ვითარცა-იგი კაინ, რომელი-იგი უკეთურისაგან იყო და მოკლა ძმაჲ თჳსი» (I იოანე 3,I2).

სპირიტისტების მხრიდან ეშმაკის არსებობის უარყოფა მით უფრო გასაკვირია (რბილად თუ ვიტყვით), რომ მათ სეანსებზე «ამა ქვეყნის თავადს» არა ერთგზის გამოუმჟღავნებია თავი. ამასთან დაკავშირებით ისტორიკოსი ნ.ასტაფიევი გვაუწყებს შემდეგ შემთხვევებს.[X] მეცნიერმა სტურდზამ, რომელიც სპირიტიზმის ფენომენებს იკვლევდა, ერთ-ერთ სეანსზე სულს შეჰთავაზა სამი კითხვა, დაწერილი ქაღალდზე, რომლებზედაც პასუხის გაცემა მან მოითხოვა «ქრისტეს სახელით». აი ეს კითხვები: I) გწამს შენ იესო ქრისტე?, 2) გეშინია მისი? 3)გიყვარს იგი? - პასუხები შემდეგნაირები გახლდათ: პირველ კითხვაზე: «მწამს», მეორეზე -«ვძრწი»,[XX] და მესამეზე: «არ მიყვარს». -«ვინა ხარ შენ? - «სატანა», იყო პასუხი. ეს წერილი წაიკითხა დ.ვ. პ-მაც, რომელიც მაშინ კიდევ სპირიტიზმით იყო დაკავებული

X Н. Астафьев, О духе времени, СПБ 1900, стр. 81-83.

XX შდრ. იაკობ 2,I9: «შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი, ეთიოლად იქმ, და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან».

და მოისურვა თვით გაემეორებინა სტურდზას ცდა. ერთ-ერთ უახლოეს სეანსზე მან მედიუმის წინ მაგიდაზე დადო დაგორგლილი ქაღალდი იმავე სამი კითხვით. მედიუმის ხელი რაღაცა ძალამ დაღრიცა - იგი თითქოს ცდილობდა სამდურავი ქაღალდის გადაგდებას. «მაგრად გეჭიროთ ხელი!» - წამოიძახა პ-მ. მაშინ სულმა დაიწყო ჩივილების გამოთქმა ქაღალდზე, რომელიც მედიუმის წინ იდო: «რა სასტიკი ხარ! რატომ მაწვალებ? მოაშორე ქაღალდი». როდესაც ქაღალდი მოაშორეს, სულმა თავისი კმაყოფილების გამოხატვა დაიწყო: «რა თავისუფლადა ვარ, რა კარგია!» შემდეგ ქაღალდი ისევ დადეს და ისევ განახლდა ძველი ჩივილებიც. პ-მ ეხლა პასუხი მოითხოვა თავის კითხვებზე. პასუხი იგივე იყო, როგორც სტურდზასთან: «მწამს», «ვძრწი», «არ მიყვარს». ეკითხებიან: «ვინა ხარ შენ?» პასუხი: «სატანა». შემდეგ დაუმატა: «მე თქვენთან ყოველთვის ახლოს ვარ, მე ვისურვებდი თქვენზე გამარჯვებას, მაგრამ არის ვინმე, რომელიც თქვენ გიცავთ.[X]

«მეორე დღეს პ-მ, - აგრძელებს ნ.ასტაფიევი, - რომელიც მანამდე თავის კაბინეტში ატარებდა სპირიტისტულ სეანსებს, გადაწყვიტა ხელი აეღო სპირიტიზმზე; მოიწვია თავის სახლში მღვდელი; გადახდილ იქნა პარაკლისი წყალკურთხევით; ოთახებს, მათ შორის კაბინეტს, მოასხურეს ნაკურთხი წყალი. რამდენიმე საათის შემდეგ, როდესაც პ. თავის კაბინეტში შევიდა, მან დაინახა მრგვალი მაგიდა (რომელზედაც ჩვეულებისამებრ ატარებდნენ სპირიტისტულ სეანსებს) სულ დაგრეხილი, დაჭმუჭნული, დამახინჯებული (შეიძლება ვიგულისხ-

---

X შდრ. I პეტრე 5,8: « განიფრთხვეთ, მღვიძარე იყვენით, რამეთუ წინა - მოსაჯული თქუენი ეშმაკი ვითარცა ლომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა».

მოთ, რომ ამ მაგიდასაც დაეცა რამდენიმე წვეთი ნაკურთხი წყლისა)».
იგივე ნ.ასტაფიევი მოგვითხრობს სხვა შემთხვევაზე, რომელიც ასე-
ცე მის ნაცნობს გადახდა თავს. მანდილოსანი, რომელიც პარიზში
ცხოვრობდა, «სამი თვის მანძილზე ყოველ საღამოს, ჩვეულებრივი
ხერხით ურთიერთობას ამყარებდა სულთან, რომელიც თავს ასაღებდა
მისი ერთი გარდაცვლილი ნაცნობის სულად. როდესაც ამ მანდილოსან-
მა იგრძნო, რომ ამისაგან მას ნერვები სულ უფრო და უფრო მოეშალა,
მან რჩევისათვის მიმართა რუსული ეკლესიის მაშინდელ წინამძღვარს
პარიზში მ.ვასილიევს. მ.ვასილიევმა ამ ქალბატონს ურჩია, რომ
ქრისტეს სახელით შეკითხვოდა თავის იდუმალ მოსაუბრეს, თუ ვინ
იყო იგი. ორი-სამი საღამოს განმავლობაში მან ვერ გადაწყვიტა
შეკითხვოდა სულს ამის შესახებ, მითუმეტეს, რომ ეს უკანასკნელი
ჩიოდა, ჩვენი საუბრები, ალბათ, მალე დამთავრდებაო. საბოლოოდ,
მანდილოსანმა გადაწყვიტა და შეეკითხა სულს ისე, როგორც ეს მას
ურჩია მ.ვასილიევმა. სულმა პასუხად დაწერა, რომ იგი ბოროტი სუ-
ლია და დაასახელა თავისი სახელი».

როდესაც სულთა გამოცხადებებზე ვლაპარაკობთ, იქნება ეს სპი-
რიტისტულ სეანსებზე თუ ისეთ ვითარებებში, როგორც ეს ზემომოყვა-
ნილ წერილებშია აღწერილი, მათი სიავკარგე კიდევ იმითი დგინდება,
რომ ნათლად უნდა განვსაზღვროთ, თუ რა მიზანს ემსახურებიან ისი-
ნი ან რა შედეგები ახლავს თან მათ გამოცხადებას. ამასთან დაკავ-
შირებით მარად უნდა გვახსოვდეს მაცხოვრის სიტყვები: «რამე თუ
ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს» (მათე 12,33)[X].

X ესაა ბოროტის შეცნობის უტყუარი ხერხი, რომელიც ყველას შეუძ-
ლია გამოიყენოს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ სატანამ სხვა
მხრივაც გასცეს თავისი თავი. ბონვესინის (1240-1315) ერთ ლექ-
სში აღწერილია შემთხვევა, თუ როგორ გამოაცლენს ერთი ღვთისმო-
სავი ეპისკოპოსი სატანას რაინდის სახლში, რომელთანაც იგი
სტუმრობს. დასაძინებლად გასცლის წინ იგი ეკითხება მსახურს,

მაგალითად, ხელი, რომელიც კედლიდან გამოდის და ცოდვებში ჩაძირულ მეფე ბალთაზარს მის აღსასრულს ამცნობს (დანიელის წინასწარმეტყველება), ესაა განგების მიერ მოვლენილი სასწაული; ხოლო ის ხელი, რომელიც სპირიტისტულ სეანსზე მატერიალიზაციას განიცდის და შემდეგ პროფ.ციოლნერს ჩქმეტისაგან დააყვირებს - ესაა ბოროტის «ხუმრობა», მეფისტოფელის ოინები. ასევე სულ სხვაა, როდესაც მონასტერში მყოფ მონაზონს ესმის გარდაცვლილი მონაზვნის ხმა, რომელიც მხოლოდ ღვთის სადიდებლად მეტყველებს და სულ სხვაა, როდესაც ასეთი ხმები ან ჩვენებები მათ მსმენელს ან მნახველს მხოლოდ შიშის **ზარსა** სცემს ან რაიმე უხამსობას მიანიშნებს. სპირიტისტულ სეანსზე **მყოფთ** ხშირად უკვირთ ხოლმე, თუ იქ მოვლენილი სული მათ აზრებს გამოიცნობს, ან ისეთ რაიმეს ამცნობს მათ, რაც მხოლოდ სეანსზე მყოფმა და მისმა გარდაცვლილმა ნათესავმა იცოდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სეანსზე გამოცხადებული სული აუცილებლად გარდაცვლილი ნათესავია იქ მყოფისა. უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ამდაგვარები სატანასაც ძალუძს, «ტყუილის თავადს». ასევე არ უჭირს მას ზოგიერთი მოსწრებული თუ ლამაზი ფრაზის დაწერა. ავიღოთ, მაგალითად, არლანდის მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე ჩანაწერი იმ სულთა («მონადების») უწყებებისა, რომლებსაც იგი «დიდ სულთა» უწყებებს უწოდებს და ამით მათ, როგორც ჩანს, მიიჩნევს სიბრძნისა და სილამაზის ეტალონად. (ამავე დროს თვითონ არლანდიც აღიარებს, რომ «მონადების» უწყებები ხშირად შეგნებულ ტყუილსაც შეიცავენ. ჩვენი აზრით, ზოგიერთ ასეთ უწყებას შეიძლება მართლაც ეწოდოს ლამაზი ან მახვილგონივრული, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში მათი სახით ჩვენს წინაა ტრი-

---

რომელიც მთვარეს გაჰყურებს, თუ რომელ ფაზაში იმყოფება მთვარე. მსახური გაუფრთხილებლად პასუხობს: «ისეთში, როგორადაც იგი იყო სამყაროს შექმნის დღეს»- «საიდან იცი შენ ეს? -ეკითხება ეპის-

ვიალური «სიბრძნე» ან საეჭვო ხასიათის «სიღამაზე». ასევე ძალზე საეჭვოა, რომ უმაღლესი ანგელოზი სერაფიმი, როგორც არლანდი გვარწმუნებს ამაში, სპინოზასავით ასკვნის: «ბუნება არის ღმერთი» (deus sive natura). სპირიტისტების მიერ ეშმაკის არარსებობის მტკიცებას უარყოფს არა მარტო ეკლესია და თეოლოგია, არამედ უშუალოდ სტატისტიკური მონაცემებიც. ამ სიტყვების ავტორი პირადად იცნობდა ერთ სათნოებით აღსავსე მორწმუნეს, რომელიც უმალ ამჩნევდა უკეთური ძალის გამოჩენას.

მოვიყვანთ მაგალითს სულიერი სამყაროს ხილვისას (ამჯერად ანგელოზის ხილვისას) წერილების ზემოხსენებული სერიიდან. ერთი მანდილოსანი იწერება: «მშვენიერი ღამე იყო, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, როდესაც მე ფანჯრიდან გავიხედე. სოფლის ბოლომდე ყველაფერი კარგად მოჩანდა. უეცრად, ჩვენი მეზობლების სახლთან, დავინახე დიდი ანგელოზი. იგი თითქმის იმ პატარა სახლის სიმაღლისა იყო. დილას გავიგეთ, რომ იმ სახლში ბავშვი დაბადებულა, მაგრამ ღამის სამ საათზე გარდაცვლილა. ამ ბავშვის დედა ჯერ ძალზე იყო დანაღვლიანებული. როდესაც შემდეგ მას მოვუყევი, რომ ის და მისი ბავშვი იმ ღამეს ანგელოზის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, იგი დამშვიდდა».

ეხლა ორიოდ სიტყვა ე.წ. «ქრისტიანულ სპირიტიზმზე». თავი რომ დავანებოთ ჰელმუტ ფონ გლაზენაპის მიერ ზემოხსენებული ბუფფონადის აღწერას, რომელსაც ჩადიან ე.წ. «ევანგელურ-იოანესეულ» სექტაში და რომელიც აშკარად მეფისტოფელური ოინბაზობის კვალს ატარებს, თვით პრინციპი ქრისტიანული წირვის დროს მღვდლის ტრანსში ამეტყველებისა - მკრეხელობაა ჭეშმარიტი ქრისტიანობის გაგე-

---

კოპოსი. «იქიდან», - პასუხობს მსახური - «რომ მე მაშინ იქ ვიყავი». აქ უკვე ეპისკოპოსი აშკარად ხვდება, თუ ვისთანა აქვს მას საქმე.

ბით. წმ.მართლმადიდებლურ რწმენას მიაჩნია, რომ ეკლესია იმყოფება სული წმიდას განუწყვეტელი ზეგავლენის ქვეშ და ამიტომ მას არ სჭირდება მღვდლის დაჭიპნოზება და შემდეგ მისი ტრანსში ღულ-ლული.

დასასრულ აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ არის შემთხვევები, როდესაც პროფანები აწარმოებენ სულთა გამოწვევებს, რომ მათ,სპირიტული სეანსის შემდეგ, აედევნებათ ხოლმე ე.წ. «მტანჯველი სული», რომელსაც ხშირად ახლავს შეღეგად შეპყრობილობა, სიგიჟე, თვითმკვლელობა და სხვა. ჩვენს ათეისტურ საზოგადოებაში ამ დროს ბევრმა არ უწყის ეგზორციზმის (დემონთა განდევნა ადამიანიდან) პრაქტიკის შესახებ, რასაც ხშირად მიმართავს ხოლმე ჩვენი დედა ეკლესია, «რამეთუ არა არს ბრძოლაჲ ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთროჲსათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე»(ეფესელთა მიმართ,6,12).

შეიძლება სპირიტულმა სეანსმა, ნ.ასტაფიევისა არ იყოს, ზოგიერთ მატერიალისტს მართლაც უბიძგოს ქრისტიანობისაკენ (როდესაც იგი დარწმუნდება სულთა გამოცხადების რეალობაში); მაგრამ ასეთ სეანსებზე მორწმუნე ქრისტიანის დასწრება ყოვლად დაუშვებელია, რადგანაც , როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, ამას თვით წმ.წერილი კრძალავს (იხ.ლევიტელთა 19,31;20,7; წიგნი მეორე სჯულისა 18, 11; II მეფეთა 21,6; 23,24; I ნეშტთა, 10; II ნეშტთა 33,6; ესაია 19,3; 29,4; 65,4).

X X

X

ეხლა ორიოდე სიტყვა ზემომოყვანილ წერილებზე. პირველ ყოვლი-

სა თვალში საცემია ის გარემოება, რომ წერილების ავტორთა უმეტესობას გარდაცვლილთა სულები ევლინება მაშინ, როდესაც საუბარია ახლად გარდაცვლილებზე. ამ გარემოებას მთლიანად ითვალისწინებს წმ.მართლმადიდებლური რწმენა: „სულს გარდაცვალების შემდეგ ორი დღის განმავლობაში ეძლევა საშუალება თავის მფარველ ანგელოზთან ერთად იაროს დედამიწაზე სადაც მას სურს. მაგრამ სული, როგორც დროებითი ტყვე თავისი სხეულისა ტრიალებს ისევ თავისი სხეულის ირგვლივ, როგორიცაა სახლი, სადაც განეშორა სხეულს, კუბოსთან, რომელშიაც ჩასვენებულია მისი სხეული და ამ ორ დღეს სული ფრინველს წააგავს, რომელიც თავის ბუდეს დაეძებს. მესამე დღეს, მსგავსად მკვდრეთით აღდგომილი ქრისტესი, სული ყოველი ქრისტიანისა აღიყვანება ზეცად, რათა თაყვანი სცეს ყოვლისშემძლე ღმერთს,რის შემდეგ სულს ექვსი დღის განმავლობაში ეძლევა საშუალება იხილოს ყოველივე ნეტარება სამოთხისა, სადაც განისვენებენ წმინდანნი.

სამოთხის მხილველ სულს ავიწყდება მწუხარება, რომელიც განიცადა სხეულთან განშორებისას, მაგრამ თუ სული გრძნობს თავის თავს ცოდვილად, წმინდანების ნეტარი ცხოვრების ხილვით იწყებს სინანულს იმის გამო, რომ ცუდუბრალოდ გაატარა თავისი ცხოვრების წლები და ჭეშმარიტად არ ემსახურა ღმერთს. მეათე დღეს გარდაცვალებულის სული ხელმეორედ აღიყვანება ზეცად, რათა თაყვანი სცეს ღმერთს, ყოვლისგამჩენის ბრძანებით სული ეშვება ჯოჯოხეთში, რათა იხილოს ყოველი ადგილი ცოდვილთა სატანჯველისა. სული ეცნობა ჯოჯოხეთის ვაებასა და ტანჯვა-წამებას, ოცდაათი დღის განმავლობაში თრთის, რათა იგიც არ იყოს განკუთვნილი ამ სატანჯველისათვის. მეორმოცე დღეს სული კვლავ აღემართება ღმერთთან და მაშინ მსაჯული უწესებს მას განკუთვნილ ადგილს.

ყოველი ზემოთ ნათქვამი გასაგებს ხდის იმას, რომ წმინდა ეკ-

ღესია ორმოცი დღის განმავლობაში იხსენიებს მიცვალებულთ, რასაც ეწოდება ორმოცდღიანი ლოცვა».[X]

შემდეგი გარემოება, რომელიც ამ წერილების კითხვისას აშკარად შეიმჩნევა, ესაა მათი მსგავსება ზოგიერთი ზღაპრის სიუჟეტთან. აქედან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება მხოლოდ, რომ ზღაპარსაც ხშირად ჭეშმარიტი განცდა უდევს საფუძვლად.

როდესაც წერილები გვამცნობენ «სინათლის სულებზე», «თეთრ სულებზე» და სხვა ფენომენებზე, აქ ზოგადად ვიტყვით მხოლოდ, რომ ყოველივე ეს უკავშირდება ადამიანის იმ აგებულებასა და იმ წარმოდგენებს, რასაც უხსოვარი დროიდან გვთავაზობენ რელიგიები (დაწყებული ძველეგვიპტური და ტიბეტური «მკვდართა წიგნიდან» და გათავებული ქრისტიანული მოძღვრებით). აქაც, ამ სულთა ჭეშმარიტებისა და სიავკარგის დადგენის ეტალონად უნდა იყოს მათი «ნაყოფთაგან» შეცნობა: თუ ისინი ავის მომტანნი არიან და შიშის მომგვრელნი - აქ ბოროტების გამოვლინებასთან გვაქვს საქმე. ხშირად სულთა გამოვლინების შესაზარი ფორმა (უთავო, უფეხო და ა.შ.) შეიძლება განხილულ იქნას ამ სულთა ერთგვარ კანონზომიერ დასჯად, რომელსაც ისინი საამქვეყნო ცოდვების გამო ღებულობენ (მსგავსად ოსკარ უაილდის «დორიან გრეისა», სადაც ადამიანი ამქვეყნიური ცოდვებით თავის «შინაგან ხატებას« აზიანებს, რომელიც შესაზარ ფორმებს ღებულობს ცოდვების პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ა დ). ასეთ სულთა სპონტანური გამოცხადებების საფუძველი ხშირად მსგავსია ღედი მაკბეტის ღამეული ხეტიალისა - როგორც მას, ისე ამდაგვარ სულებს არ ასვენებთ მათი «ავადმყოფი სინდისი». აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ «ლამაზი» სახითა და სხივმფენი ფიგურით გამოცხადე-

---

X «საქართველოს ეკლესიის კალენდარი» 1979», გვ.181-182.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა ეშმაკეულსაც ძალუძს - ამიტომ მათი შეცნობა კვლავ «ნაყოფთა მათთაგან» შეიძლება. ხშირად ახლობელი გარდაცვალებულის სახით (ან «საიქიოს გამცილებლად») შეიძლება კეთილი ანგელოზი წარმოგვიდგეს, რომლის შედეგი ასევე სიკეთე იქნება.

X X

X

ეხლა მკითხველს გვსურს წარმოვუდგინოთ წმ.მართლმადიდებლური რწმენის შეხედულება ადამიანის საიქიო ცხოვრებაზე[X]. მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების მიხედვით «სიკვდილი წარმოადგენს სულის დაშორებას სხეულისაგან», რის მერეც სული აგრძელებს სიცოცხლეს, ხოლო სხეული იშლება და იხრწნება. ამქვეყნად ადამიანის ბოლო სიკვდილია და ბიბლიის თანახმად - «მიიქცეს მიწა ქუეყანასა შინა ვითარცა იყო და სული მიიქცეს ღუთისა მიმართ, რომელმან მისცა იგი» (ეკლესიასტე, 12,7). უფრო ზუსტი გაგებით, სხეულისაგან სულის დაშორება სიკვდილს არ წარმოადგენს - ეს მხოლოდ სიკვდილის შედეგია. ნამდვილ სიკვდილად მართლმადიდებლური რწმენა მიიჩნევს სულის დაშორებას ღვთისაგან. ასე, რომ ამქვეყნიურ სიცოცხლეშივე ღვთისაგან დაშორებული ადამიანი მკვდრად შეიძლება ჩაითვალოს. ამას გულისხმობს მაცხოვრის სიტყვები მოწაფისადმი: «აცადენ მკუდარნი დაფლვად თვისთა მკუდართა» (ლუკა 9,60). ასევე: «ჩუენ უწყით, რამეთუ მივიცვალენით სიკუდილისაგან ცხორებად, რამეთუ გვიყუარან ძმანი. რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ, სიკუდილსა შინა დადგრომილ არს» (I იოანე 3,14).

X შდრ.«საღვთისმეტყველო კრებული» №4. თბ.,1984, -ვ.რცხილაძე, ღმერთი, ადამიანი და ს უ ლ ი ე რ ი სამყარო წმ.მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრების მიხედვით.

მაშასადამე, მართლმადიდებლური რწმენით სიკვდილის მერე მკვდრად შეიძლება ჩაითვალოს მომსახურე ნაწილი ადამიანისა - მისი სხეული. რაც შეეხება სულს - იგი ცოცხალია და აგრძელებს სიცოცხლეს ი მ ქ ვ ე ყ ნ ა დ . ამასადასტურებს თვით იესო ქრისტე, როდესაც ამბობს, რომ იგი არ არის ღმერთი მკვდართა, არამედ - ცოცხალთა. ძველი აღთქმიდანვე ღმერთი თვით უცხადებს ადამიანებს, რომ იგი არის «ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა», ხოლო ასეთი განცხადება უაზრობა იქნებოდა, თუ იგი იგულისხმებდა აბრაამის, ისააკისა და იაკობის მხოლოდ ფერფლსა და ნეშტს. «არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ღმერთი ცხოველთაჲ. ხოლო თქუენ ფრიად სცდებით» (მარკოზ I2,27). იმქვეყნიური სიცოცხლე წარმოადგენს ამქვეყნიურის გაგრძელებას, მაგრამ ახალ პირობებში. იმქვეყნიური ცხოვრება არის შემდგომი განგრძობა ადამიანის ზნეობრივი განვითარებისა, რომელიც ამქვეყნად იწყება. თუ უკვე ამქვეყნად დაშორდა ადამიანი ღმერთს, იგი იმქვეყნად ამის გამო მარადიულ ჯოჯოხეთურ სატანჯველს განიცდის, ხოლო გაწმენდილი სული, პირიქით- მარადიულ სამოთხისეულ ნეტარებას. ამგვარად, სული უკვდავია, იგი ინარჩუნებს თავის ცნობიერებასა და პიროვნულობას. რაც შეეხება მარადისობას, ეს დროის სივრცეა, რომელსაც არ გააჩნია არც დასაბამი და არც დასასრული, მას არა აქვს არც წარსული და არც მომავალი, არამედ, იგია მარტოოდენ აწმყო უცვლელი ახლანდელი დრო.

იესო ქრისტეს სიკვდილმა სიკვდილს დააკარგვინა ძველი ძალა: მან ადამიანებს გარდაცვალების შემდეგ მოუპოვა მარადიული ნეტარი სიცოცხლე - ღმერთთან შერიგების გზით. მაგრამ სიკვდილი მაინც საშინელია, რადგან იგი დასჯაა. ამიტომ თვით მაცხოვარი ასე ევედრებოდა მამა ღმერთს: «მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს,

არამედ ვითარცა შენ» (მათე 26,39).

როდესაც სული შორდება სხეულს, ამ დროს მომაკვდავთან ყოველთვის მოგროვდებიან ერთი მხრივ კეთილი ანგელოზები, მეორე მხრივ-დემონები. იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა სული გაწმენდილი ცოდვათაგან, ან კეთილი ანგელოზები წარიტაცებენ მას ზე სფეროთაკენ, ან ბოროტი ანგელოზები დაეუფლებიან მას. სიკვდილის ჟამს სული გებულობს ახლობელთა მოთქმასა და ქვითინს, მაგრამ თვით მას რაიცეს გამოხატვა არ ძალუძს. იგი იმავე დროს შეძრულია ბოროტი სულების ხილვით და ჯერ არ უწყის, თუ როგორ გადაწყდა მისი საიქიო სამსჯავრო. თუკი სული ამქვეყნად ყოველნაირად მიდრეკილი იყო ქვენა გრძნობებისაკენ და მათით ხელმძღვანელობდა თავის მიწიერ ცხოვრებაში, იგი, გარდაცვალების შემდეგაც, ამავე გრძნობათა მონა ხდება და ამგვარად, საკუთარი სინდისი თვითვე ხდება მსაჯული სულისა, სანამ საშინელ სამსჯავროში თვით მაცხოვარი იტყოდეს მასზე საბოლოო სიტყვას. ამასთანავე, საიქიოს სული გამჭვირვალე ხდება ზნეობრივ პლანში სხვა სულთათვის და ყოველი ცოდვა (ან ამქვეყნიური დამალული აზრი) მასზე ნათლად მოჩანს. ამგვარად, ხდება ერთგვარი სირცხვილისეული წვა სულისა სხვა სულთა წინაშე. ამიტომ, უკვე ამქვეყნად, სიკვდილზე ფიქრი და მისდამი მზადება ცოდვათა გაწმენდითუდიდესი სიბრძნეა. «ყოველთა შინა სიტყვათა შენთა მოიხსენებდი უკანასკნელსა შენსა და უკუნისამდე არა სცოდო» (წიგნი ისო ზირაქისა, 7,39). ღმერთს სიკვდილი არ შეუქმნია (წიგნი სიბრძნისა სოლომონისა I,I3), ადამიანმა თვით განუმზადა თავის თავს იგი და ამიტომ ვალდებულია თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით მისი კვალი წაშალოს. სხეულის სიკვდილი, როგორც ვთქვით, არ წარმოადგენს ყოფიერების არც მოსპობას და არც დროებით შეწყვეტას. სულმა გამოიცვალა (გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა) მხოლოდ თავისი მდგომარეობა და აღგილსამყოფელი, მან შეინარჩუნა თავისი თვისებები და ცნობიერე-

ბა. განსხვავება აქ ისაა, რომ გარდაცვალების მერე სული კარგავს თავის თვითნებურ და დამოუკიდებელ არსობას. იგი იქ იმკის იმას, რაც დათესა სააქაო ცხოვრებაში. «ნუ სცთებით, ღმერთი არა შეურაცხ იქმნების. რამეთუ რაიცა-იგი თესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს. რამეთუ რომელმან თესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწნილებაჲ; ხოლო რომელმან თესოს სულსა თჳსსა, სულისაგან თჳსისა მოიმკოს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ» (გალატელთა მიმართ, 6,7-8).

სული, როდესაც მოშორდება სხეულს, დასახლდება იმ არსებათა სამეუფოში, რომელნიც მისი მსგავსნი არიან. ასე რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში თუ სული იძენდა კეთილ თვისებებს, იგი კეთილ არსებათა სამეუფოში დასახლდება, ხოლო თუ მასში ბოროტი თვისებები სჭარბობს - ბოროტ არსებათა სამეუფოში. ამქვეყნიურ ცხოვრებაში სულს ძალუძდა საკუთარ ქმედებათა ხასიათის შეცვლა: ბოროტისა - კეთილზე და პირიქით. გარდაცვალების შემდგომ სულს აღარ ექნება ამის შესაძლებლობა: იქ მოხდება მხოლოდ განვითარება და გაღვივება იმ თვისებებისა, რომელნიც სულმა შეიძინა ამქვეყნად. კეთილი თვისებები თავის მაქსიმუმს მიაღწევენ, ხოლო ბოროტი - სულ უფრო და უფრო გაღვივდება და გაფართოვდება და მონანიებაც აღარ იქნება, რომელიც ამქვეყნად სულს ათავისუფლებს ცოდვათაგან.

როგორც ვთქვით, გარდაცვალების მერე სულს ეცხადება კეთილ და ბოროტ არსებათა გუნდები. კეთილი ანგელოზები სულის ხსნას ცდილობენ და მის ამაღლებას თავიანთ სამეუფოში. მაგრამ ამ სულში თუ სჭარბობენ ბოროტი თვისებანი, მაშინ ეს უკანასკნელნი დამაბრკოლებელ ჯებირებად აღიმართებიან და ამდაგვარი სულის სამოთხისაკენ ზეაღსვლას აბრკოლებენ. თითოეული ცოდვა სულისა თავის მტანჯველს პოულობს ბოროტი დემონის სახით. სულის ეს ტანჯვანი სხვა არაფე-

რია, თუ არა კერძო სამსჯავრო სულზე, მეორედ მოსვლის უდიდესი სამსჯავროს წინ. როდესაც საბოლოოდ დადგინდება, რომ [illegible] გარდაცვალებულის სულში სიბოროტე სჭარბობს, მაშინ ასეთ სულს მოესმის საშინელი ხმა: «მოისპენ უღმრთო, რათა არა იხილონ დიდება უფლისა» (წინასწამეტყველება ესაიასი 26,10).

ამქვეყნად ყოფნისას ადამიანის სული განიცდის როგორც კეთილ (მფარველი ანგელოზის), ასევე ბოროტ სულთა ზემოქმედებას. ამ უკანასკნელთ ადამიანის სულზე არავითარი ძალა არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ მათ შეუძლიათ შთააგონონ მას ბოროტი აზრები. მაგრამ აქ ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, აჰყვება იგი მათ თუ არა. მთელი ძალა ბოროტ სულთა ადამიანზე ზემოქმედებისა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პოულობენ ადამიანის სულში მსგავს იდეებსა და აზრებს და ყოველნაირად აღვივებენ მათ და ხარობენ ადამიანის დაცემით. თვით ბოროტ სულთა ქმედება ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. მათი ქმედება აღსავსეა ღვთისა და ყოველი ადამიანისადმი სიძულვილითა და ღვარძლით. მათი უდიდესი სურვილია, რომ დაცემული ადამიანი თავიანთ განწირულ ბედს აზიარონ; მაგრამ, როგორც ვთქვით, ისინი ამას ახერხებენ მხოლოდ მაშინ, თუ თვით ადამიანი ისურვებს და განეწყობა ცოდვის მისაღებად. ამიტომ, «ნუვინ განცდილთაგანი იტყვინ, ვითარმედ ღმრთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი. არამედ კაცად-კაცადი განიცდების თვისისაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და სცთების» (იაკობ, 1,13-14). ბოროტ ადამიანს ბოროტი სულები დასტრიალებს თავს - «სადაცა ხორცი, მუნცა ორბები შეკრბეს» (ლუკა 17,37).

რაც შეეხება თვით ბოროტ სულთა ბუნებას, ისინი მოციქულის თქმით, «უხორცონი» არიან (ეფესელთა მიმართ, 6,12), მაგრამ გააჩნიათ ყველა ის გრძნობა, რაც ადამიანს აქვს (ხოლო თვით ადამიან-

ში ეს გრძნობები ბუდობენ მის სულში და არა სხეულში. ამიტომაა, რომ სიკვდილის მერე ადამიანის სულს თან გადააქვს ეს გრძნობანი საიქიოს). ბოროტ სულთა ადგილსამყოფელი, ჩვეულებისამებრ, ჰაერია - «მთავრისა მისებრ ხელმწიფებისა ჰაერისა» (ეფესელთა მიმართ 2,2). ბოროტ სულთა ძალა ღვთის მიერ რომ არ იზღუდებოდეს, იგი ყველაფერს წაღეკავდა. მაგრამ, ამავე დროს, ღვთის ნებადართვის გარეშე ისინი არათუ ადამიანს, არამედ ცხოველსაც ვერას ავნებენ. ამას ამტკიცებს მათი ვედრება იესო ქრისტესადმი, როდესაც ისინი ითხოვდნენ შეპყრობილთაგან ღორის ჯოგში გადასვლას და რაც მათ მხოლოდ ღვთის ნებადართვის შემდეგ შესძლეს (მათე 6,31-32). ასევე, ბოროტ სულთა ბედი ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, ისინი ჯერ კიდევ ელოდებიან თავიანთ სამსჯავროს. ამას მოწმობს რიგი ადგილები სახარებიდან. ასე შეჰყვირეს ეშმაკებმა იესო ქრისტეს: «მოხუედ აქა უ წ ი ნ ა რ ე ს ჟ ა მ ი ს ა ტანჯვად ჩუენდა» (მათე 8,29). სხვა ადგილას ნათქვამია, რომ ეშმაკთა ლეგიონი »ევედრებოდეს მას, რაჲთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასვლაჲ» (ლუკა 8,31).

ღმერთზე ყოველი გაფიქრებისას ეშმაკნი შიშისაგან ძრწიან მომავალი სასჯელის გამო (იაკობ 2,19). მეორე მხრივ, ღვთის უსასრულო სიკეთე გულისხმობს იმას, რომ ღმერთი ამ ბოროტ სულებსაც აძლევს გამოსწორების შესაძლებლობას. მაგრამ მათში იმდენადაა გამჯდარი ეს მარად ჯიუტი ბოროტება, რომ ისინი არ ისურვებენ გამოსწორებას და არ მოინანიებენ.

იესო ქრისტეს ჯვარცმამდე და მისი მკვდრეთით აღდგომამდე ყოველი ადამიანის სული, ადამის შეცოდების გამო, გარდაცვალების შემდეგ ჯოჯოხეთში ისადგურებდა. ეს ეხებოდა როგორც ცოდვილ, ასევე მ ა რ თ ა ლ ადამიანთა სულებს. «დაიპო იაკობ სამოსელი

თჳსი და შეიმოსა ძაძა წელთა მისთა და ეგლოვდა ძესა თვისსა დღეთა მრავალთა. შეკრბეს ყოველნი ძენი მისნი და ასულნი და მოვიდეს ნუგეშინისცემად მისა. და არა უნდა ნუგეშინისცემისა და თქუა, ვითარმედ: «თავიდე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯოხეთად» (დაბადება, 37,34-35). მაგრამ მაცხოვარმა იესო ქრისტემ შეარიგა ღმერთი ადამიანებთან, ზეცა - მიწასთან და თავისი სიკვდილის შემდეგ შთავიდა ჯოჯოხეთში და იხსნა იქიდან ძველი აღთქმის წმინდანები. ზეცად ამაღლების მერე კი მაცხოვარმა ყველა ადამიანს მისცა შესაძლებლობა ზეციურ სასუფეველში დამკვიდრებისა. «მე წარვიდე - თქვა მან - განგიმზადო თქუენ ადგილი. და უკუეთუ წარვიდე და განგიმზადო თქუენ ადგილი, კუალად მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ თავისა ჩემისა თანა, რაჲთა, სადაცა მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ. და ვიდრე - იგი მე მივალ, უწყით და გზაჲცა იგი იცით» (იოანე,14,2-4). სხვა ადგილას: «არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყვი თქუენ: უმჯობეს არს თქუენ-და, რაითა მე წარვიდე; უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი იგი არა მოვიდეს თქუენდა; უკუეთუ მე წარვიდე, მოვავლინო იგი თქუენდა. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათჳს და სიმართლისათვის და სასჯელისათვის. ცოდვისათჳს ესრეთ, რამეთუ არა ჰრწმენა ჩემდა მომართ; ხოლო სიმართლისათჳს, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო სასჯელისათჳს, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაჲ დასჯილ არს» (იოანე 16,7-11).

რაც შეეხება ახალი აღთქმის დროინდელ ცოდვილთა სულებს, მათი სიკვდილის შემდეგდროინდელი სიცოცხლე ორ, არსებითად სხვადასხვა პერიოდად იყოფა. პირველი პერიოდი მოიცავს დროს იესო ქრისტეს აღდგომიდან მის მეორედ მოსვლამდე. ეს სწორედ ის პერიოდია, რომელშიაც ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ. მეორე პერიოდი სულთა იმქვეყნად ცხოვრებისა დაიწყება ქრისტეს მეორედ მოსვლის, საქმინელი

სამსჯავროს შემდეგ. პირველი პერიოდი სულთა იმქვეყნად ყოფნისა ჯერ კიდევ არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, ჯერ კიდევ ძალუძთ მათ მოქცევა ტანჯვათა გავლის შემდგომ. ხოლო საშინელი სამსჯავროს შემდეგ ჯოჯოხეთში მყოფ სულებს ი მ ე დ ი ც დაეკარგებათ თავიანთი ხსნისა. ეკლესიის მოძღვრების თანახმად, საშინელი სამსჯავროს დადგომამდე, ჯოჯოხეთში მყოფ სულებს შვებას ნიანიჭებს თვით ეკლესიისა და გარდაცვლილთა ახლობლების ლოცვა, რადგან ყოველი თხოვნა ღვთისადმი, რომელიც რწმენით იქნება მისდამი აღვლენილი, დაკმაყოფილდება: «უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა» (მარკოზ 9,23). ხოლო თვით მორწმუნენი ყოველგვარ სასჯელს ასცდებიან და ხსნას მოიპოვებენ. «ამინ, ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმუნეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხოვრებაჲ საუკუნოჲ, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხოვრებად» (იოანე 5,24). ამავე დროს, თვით სასჯელი ცოდვათა სიმძიმის მიხედვით ნაწილდება. «ხოლო მონამან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თვისისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რაიმე ღირსი ტანჯვისაჲ, იგუემოს მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიეღოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰხადონ მას» (ლუკა 12,47-48).

ჯოჯოხეთში ორგვარი სასჯელია განკუთვნილი ცოდვილ სულთათვის— გარეგანი და შინაგანი ტანჯვა. გარეგან ტანჯვას გამოხატავს ცოდვილი სულის მოთქმა ჯოჯოხეთში: «ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისაჲთა» (ლუკა 16,24). შინაგან ტანჯვას ის სატანჯველი განეკუთვნება, რომელიც სულის ვნებებთანაა დაკავშირებული: ის, რაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანს გააჩნდა ამ ვნებების დასაკმაყო-

ფილებლად – ადამიანის სხეული – იმ ცხოვრებაში მას უკვე აღარა აქვს და რჩება შიშველი ნდომა-ვნებანი, რომელთა დაუკმაყოფილებლობა სულს სასოწარკვეთილებაში აგდებს. ამ ქვეყნად ამ ვნებათა ჩამოშორება შეიძლება ნათლისღებით, ზიარებით, ლოცვით, მარხვით, თავშეკავებით და სხვა. მაგრამ იქ, იმქვეყნად, ეს უკვე აღარ შეიძლება და რადგან იქ ყველაფერი ვითარდება, როგორც სულის კეთილი, ზნეობრივი თვისებანი, ასევე – მისი ვნებანი, მაშინ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სულის ტანჯვა სულ უფრო და უფრო იზრდება, ისე, რომ მას უკვე თავისი არსო"ის მოსპობა სურს და რადგან მას ეს უკვე აღარ შეუძლია, ეს აბოროტებს და აახლოვებს მას ბოროტ სულებთან. ამიტომ ადამიანი ყოველნაირად უნდა ცდილობდეს, რომ უკვე აქ, ამქვეყნად აღხოცოს თავისი ცოდვები პირისაგან მიწისა. «ნეტარ არიან, რომელთა მიეტევენ უსჯულოებანი და რომელთა დაეფარენ ცოდვანი» (რომაელთა მიმართ, 4,7).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველივე ამის შემდგომ უნდა მოხდეს ქრისტეს მეორედ მოსვლა, საშინელი სამსჯავრო, სადაც ს ა ბ ო ლ ო ო დ იქნებიან განსჯილნი ზნეობრივი უნარის მქონე არსებანი. მაგრამ როდის მოხდება ეს, არავინ უწყის. «ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან ჩემმან მხოლომან» (მათე,24,36). ამიტომ «იხილეთ და მღვიძარენი იყვენით, და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს ჟამი იგი. ნუუკუე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქუენ მძინარენი» (მარკოზ,13,33-36).

ადამიანის დაცემის შემდეგ დაირღვა აგრეთვე ის ჰარმონია, რომელიც სუფევდა მანამდე ადამიანსა და ბუნებას შორის. ამიტომ ეს ხილული ბუნებაც განწირულია. «ღასაგამსა შენ, უფალო, ქუეყანა დააფუძნე, და ქმნილნი ხელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰგიე» (დავითი,101,26-27). იგი შეიცვლება ახალ

ბუნებად. «და ვიხილე ცაჲ ახალი და ქუეყანაჲ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაჲ და პირველი ქუეყანაჲ წარხდეს, და ზღუაჲ არღარა არს» (გამოცხ.იოანესი,21,1).

ამის შემდეგ განწმენდილი სულები სამარადისო სამოთხეს მოიპოვებენ, ხოლო ცოდვილნი - ს ა მ უ დ ა მ ო სატანჯველს. დოგმატი მუდმივი სატანჯველის შესახებ ყველა საეკლესიო კრებაზე ერთხმად იყო მიღებული და ამას ადასტურებს მრავალი ადგილი ბიბლიიდან((მარკოზ 16,16; ლუკა 16,26; იოანე 3,36; დავითი 8,17; გამოსვლ. 33,14).

«მაშინღა აღსასრული, რაჟამს მოსცეს სუფევაჲ ღმერთსა და მამასა, რაჟამს განაქარვნეს ყოველნი მთავრობანი და ყოველნი ხელმწიფებანი და ძალნი. რამეთუ ჯერ-არს მისა სუფევაჲ, ვიდრემდის დაისხნეს ყოველი მტერნი მისნი ქეშმე ფერხთა მისთა. უკუნაისკნელი მტერი იგი განქაოდეს - სიკუდილი» (I კორინთელთა 15,24-26)6

ეხლა ორიოდე სიტყვა მფარველ ანგელოზთა შესახებ. ყველა ადამიანს ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი უხილავ სამყაროში. «არა ყოველნივე ანგელოზნი მოსარკე სულებ, მსახურად მოვლინებულ მათთვის რომელთა-იგი დამკვიდრებად არს ცხოვრებაჲ?» (ებრაელთა მიმართ, 1,14). ისინი ერთ წამს არ ტოვებენ ადამიანს უმეთვალყუროდ და ესწრებიან მის სიკვდილს და მისი სულის გადასვლას საიქიო ცხოვრებაში. მფარველი ანგელოზი ყოველნაირად მონაწილეობს ადამიანის კეთილ განვითარებაში და ნიადაგ შთააგონებს მას კეთილ აზრებს. და თუკი ადამიანი მაინც ბოროტი სულის შთაგონებას მიუგდებს ყურს და მისი გავლენის ქვეშ ექცევა, ეს მფარველი ანგელოზის ბრალი არაა, რადგან ადამიანი იშვა თავისუფლად და მისი ნება და არჩევანი არაა შეზღუდული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მფარველი ანგელოზი არა მარტო ადამიანებსა ჰყავს, არამედ სახელმწიფოებსაც, ოლქებს, ქალაქებს,

მონასტრებს, ეკლესიებს. ისინი განაგებენ დედამიწის ოთხივე მხარეს (2 სჯული 32,8; გამოცხ.იოანესი 7,I). კეთილ ანგელოზთა გამოცხადების შესახებ მრავლადაა მოთხრობილი ბიბლიაში. როგორც წესი, ადამიანებს ისინი ეცხადებიან ადამიანის სახით. ამიტომ, მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წმ.მამებმა დაადგინეს, რომ მათი გამოსახვა ხატებზე შეიძლება. ისინი იქ წარმოგვიდგებიან ულამაზეს, კეთილშობილ არსებებად.

მაგრამ ყველა ადამიანს ერთნაირად არ ეკიდებიან ანგელოზები. ეს უკანასკნელნი ხშირად ღვთაებრივი მართლმსაჯულების იარაღად გვევლინებიან ცოდვილთა დასასჯელად. ამ დროს ისინი არა მარტო ცალკეულ ცოდვილს სჯიან (საქმე I2,23), არამედ მთელ ქალაქებსა და ერებს (II მეფეთა I4,I5-I7).

განწმენდილ სულთა სამოთხეში ყოფნას, სამოთხისა და სამოთხისეული ნეტარების აღწერას - ამას, ჩვენი, მიწიერი ენით, ვერ გადმოვცემთ. ამის გაგება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ამქვეყნად უკვე მიაღწია წმინდანობის გარკვეულ საფეხურს, სიკეთის გზით სულიერ სამყაროსთან ვინც დაამყარა ურთიერთობა და ვინც გამოსცადა იგი. «სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს» (ლუკა I7,2I). ამიტომ, სამოთხისეული ყოფნის ყოველ გარეგნულ წარმოდგენას უნდა ვერიდოთ, რადგან ამას ხშირად იყენებენ დაცემული სულები ადამიანის საცდუნებლად. წმ.მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების თანახმად სამოთხეში ნეტართა სულები ორგვარ ნეტარებას განიცდიან: შინაგანსა და გარეგანს. შინაგანი ნეტარება შედგება: ა) სულის ღმერთთან დამოკიდებულებისა და ბ) თავის თავთან ურთიერთობისაგან. გარეგანი ნეტარებაა: ა(სულის დამოკიდებულება სხვა სულიერ-ზნეობრივ არსებებთან, მის ირგვლივ მყოფ წმინდა და ნეტარ სსულებთან, და ბ) მისი დამოკიდებულება ყოველივე ღვთის მიერ შექმნილთან. ამასთანავე, არსებობს ნეტარების სხვადასხვა ხარისხი, ხოლო ის

სიხარული და სიკეთე, რომელიც სულს ეუფლება სამოთხეში ყოფნისას, განვითარდება და გაგრძელდება უსასრულოდ.

წმ.მართლმადიდებლური რწმენის თანახმად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცოცხალთა ზრუნვას გარდაცვლილთა სულებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიცვალებულთათვის უსისხლო მსხვერპლის შეწირვას წმინდა წირვის დროს. წმ.სვიმონ საღუნელი გვაუწყებს:მსხვერპლის შეწირვის დროს მიცვალებულის სახელის მოხსენიება შეაერთებს სულს ღმერთთან და აძლევს საშუალებას უხილავად გახდეს ღმერთის ზიარი და იყოს კავშირში მასთან. ამასთანავეა მჭიდროდ დაკავშირებული მოწყალება და სიკეთე მიცვალებულთა მოსახსენებლად. წმ. წერილი მიგვითითებს, რომ მოწყალების გაღება იხსნის სულს სიკვდილისაგან და განწმენდს ყოველი ცოდვისაგან. მოწყალების გაღების დროს ჩვენ სიკეთეს ჩადგივართ მათი სახელით და მათთვის.

გარდა წირვისა, არსებობს მიცვალებულთა მოსახსენებლად პანაშვიდი, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს - მთელი ღამე ვმღერი. ასეთი წესის შესრულებას თავისი ისტორია აქვს: ჯერ კიდევ პირველი ქრისტიანები, რომლებიც განიცდიდნენ დევნას, მიცვალებულებს ღამით მარხავდნენ და მთელი ღამე მღეროდნენ. პანაშვიდის შესრულება წლის ყოველ დროს შეიძლება. გაძლიერებული ლოცვა მიცვალებულთათვის უნდა სრულდებოდეს გარდაცვალებიდან მესამე, მეცხრე და მეორმოცე დღეს. აგრეთვე, მისი დაბადების, ანგელოზის და გარდაცვალების დღეებში(წლისთავი).

მიცვალებულთა ხსენებას წმინდა ეკლესია უთმობს წლის განსაკუთრებით დღეებს, რომელთაც ეწოდება მსოფლიო მიცვალებულთა შაბათები, ასეთებია:

I) ხორციელი შაბათი (ყველიერის წინა შაბათი)

2) სამების შაბათი (სულიწმიდის შაბათი)

3) დიდი მარხვის მეორე, მესამე და მეოთხე შაბათი.

4) მიცვალებულთა საადგომო მოხსენიება (თომა მოციქულის კვირის ორშაბათი ან სამშაბათი)

5) იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე (II სექტემბერი ახალი სტილით)[X].

ვიქტორ რცხილაძე

X «საქართველოს ეკლესიის კალენდარი» 1979 წლისა, გვ.181-182.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი ე ს ო ი ს ტ ო რ ი უ ლ ი თ უ

ქ რ ი ს ტ ე ა წ მ ყ ო ს ი ?

ამჟამად თითქმის საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ ქრისტიანული რელიგიის დამაარსებელი ებრაელი ხალხის წიაღიდან გამოსული რეალური, ისტორიული ადამიანი იყო. მაგრამ იყო დრო, როდესაც იესო ქრისტეს პიროვნება საერთოდ არარსებულად და მითად ცხადდებოდა. «ივან, ივან – ასე არიგებს რედაქტორი ბერლიოზი პოეტ ბეზდომნის მ.ბულგაკოვის ცნობილი რომანიდან «ოსტატი და მარგარიტა» – შენს პოემაში შენ ამტკიცებ, რომ იესო ცუდი კაცი იყო, ხოლო შენ კი უნდა დაგემტკიცებინა, რომ იგი საერთოდ არ არსებობდა, რომ ყველა მოთხრობა მასზე – უბრალო გამონაგონია, ნამდვილი მითი».

ისმის კითხვა, რამდენად სწორია თვით ათეისტთა შორისაც კი დამკვიდრებული აზრი, რომ იესო რეალურად, ისტორიულად არსებობდა, ოღონდ ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო?

ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასაწყისში დიდმა გერმანელმა თეოლოგმა და ისტორიკოსმა, ადოლფ ფონ ჰარნაკმა, სწორედ ისტორიულ მეცნიერებაზე დაყრდნობით (მის ლექციებში – «ქრისტიანობის არსი», 1900წ.), დაამტკიცა

ქრისტეს პიროვნების რეალური, ისტორიული არსებობა, და შეეცადა ჩაწვდომოდა მისი ქადაგების ნამდვილ ა რ ს ს, რომელიც, მისი დასკვნით, წარმოადგენდა ზედროულ ჭეშმარიტებასა და იდეალურ რელიგიას. ჰარნაკის აზრით, მაცხოვრის ქადაგება შეიძლება დაყვანილ იქნას სამ ასეთ ზედროულ ჭეშმარიტებაზე:

I. სასუფეველი ღვთისა როგორც ადამიანის გულში ამჟამად უკვე გამოცხადებული სინამდვილე;

2. ღმერთი როგორც მამა და როგორც აბსოლუტური ფასეულობა ადამიანისა;

3. უმაღლესი სამართლიანობა, რომელსაც იესო ქადაგებდა, ე.ი. სიყვარულის მცნება.

ჰარნაკის წიგნი იმ ხანად რუსეთში გააკრიტიკა ცნობილმა ფილოსოფოსმა ვლადიმირ ერნმა, რადგან ჰარნაკს ორჭოფული პოზიცია ეკავა ს ა ს წ ა ულ ი ს საკითხში.* ერნის აზრით ისტორიულ კვლევა-ძიებას საზღვარი გააჩნია და სიტყვა „არსი" მეტაფიზიკური ბუნების ცნებას წარმოადგენს. ამიტომ „არსი", როგორც ასეთი, არცერთი მეცნიერების კომპეტენცია არაა; რაიმე საგნის არსი რომ გავარკვიოთ, ამ საგანზე უნდა გამოვთქვათ რამდენადმე აბსოლუტური მსჯელობა. ხოლო ასეთი მსჯელობა, ისტორიას, როგორც მეცნიერებას, თავისი სპეციფიკის წყალობით, ყველაზე ნაკლებად ძალუძს. ქრისტიანებს, რომელთაც გააჩნიათ ცოცხალი რელიგიური გამოცდილება, უფრო უკეთ ძალუძთ იმ ისტორიაში გარკვევა, რომელსაც ქრისტიანობის ისტორიას უწოდებენ, ვიდრე ისტორიკოსს, რომელსაც ამდაგვარი გამოცდილება არა აქვს. ჰარნაკის წიგნის წარმატების საწინდარია, ვლ. ერნის აზრით, ის გარემოება, რომ თვითონ ჰარნაკი დიდი რელიგიური

---

* Методы исторического изследования и книга Гарнака „Сущность христианства", Вл. Эрн: Владимир Эрн, Борьба за Логос, СПБ.

ინდივიდუალობაა და ამიტომ, სადაც კი იგი ავითარებს რამდენიმე აბსოლუტურ მსჯელობას, რომლებიც დიდი სიღრმითა და მოქნილობით გამოირჩევიან, ამას იგი ახერხებს თავისი რელიგიური განცდის, და არა მშრალი მეცნიერების საფუძველზე.

ჰარნაკის ლექციებამდე ცოტა ხნით ადრე, 1892 წელს, გერმანიაში გამოვიდა პატარა წიგნი პროფესორ მარტინ კელერისა (M. Kähler) სათაურით: „ეგრეწოდებული ისტორიული იესო და გადმოცემის ბიბლიური ქრისტე" („Der sogenannte historische Jesus und der geschichtliche biblische Christus"). კელერი ამ წიგნში ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი ცდა ისტორიული იესოს სურათის კონსტრუირებისა იმთავითვეა განწირული; ასეთი სურათი სინამდვილის გაყალბება იქნებოდა, რადგან არსებული წყაროები, და ეს პირველრიგში სახარებას ეხება, არ წარმოადგენენ იესოს ბიოგრაფიას თანამედროვე გაგებით: მათი მიზანი პიროვნების ცხოვრების მეცნიერული აღწერა კი არაა, არამედ ეკლესიის დამაფუძნებელი და რწმენის შემქმნელი ქადაგება. ქრისტე, რომელსაც რწმენა მოიცავს, იდენტურია „გადმოცემის" („geschichtliche") ქრისტესი, რომელსაც მთელი ბიბლია ადასტურებს. „ისტორიული", კელერის აზრით ისაა, რაც მოპოვებულ იქნა ისტორიული კვლევის საშუალებებით, უბრალო ფაქტები, რომლებიც შეიძლება დავურთოთ „გადმოცემის" ქრისტეს სურათს. ხოლო რწმენა აქ ეხება არა ისტორიულ ქრისტეს, არამედ „ზეისტორიულს", მარადიულს, რომელიც მაინც, ისტორიულ ეამთასვლაში იქნა გამოცხადებული. მაშასადამე, ცნება „ზეისტორიული" არ უარყოფს ქრისტეს ისტორიულობას.

რაც შეეხება „ისტორიული" იესოს სურათს, იგი, კელერის აზრით, წარმოადგენს ბოლოდროინდელ კონსტრუქციას, რომელიც გაყალბებაა ევანგელეთა. ნამდვილი, ბიბლიური ქრისტე არის ნაქადაგები, ცოცხალი მეუფე, რომელიც ყოველწამს იმყოფება ქრისტიანულ საზოგადოება-

ში. ეს ერთი და იგივე ქრისტეა, რომელსაც ადასტურებს სახარება და რომელიც სწამთ ქრისტიანებს. ტექსტთა ისტორიული კრიტიკით, კელერის აზრით, ჩვენ მაქსიმალურად მხოლოდ იმას მივაღწევთ, რომ შევეხებით თავდაპირველი რწმენის მოწმობებს, ნაწილს იმ ქადაგებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უძველეს ქრისტიანულ საზოგადოებებში. რაც შეეხება სახარების ე.წ. „წინააღმდეგობებს", ისინი მხოლოდ მოჩვენებითია. სინამდვილეში ეს სხვადასხვანაირი გადმოცემა ჰქმნის იესოს ერთიან სურათს, ხოლო ეს ერთიანობა, თავის მხრივ, მეტყველებს მის გამოუგონარ ხასიათზე. აი როგორ მსჯელობს ამაზე თვით მ.კელერი (დასახ. ნაშრომი, გვ.88): „ამ ფრაგმენტალური გადმოცემებიდან, ამ გაუგებარი გახსენებებიდან, ამ აღწერილობებიდან, რომლებიც შეჟერადებულია ავტორის თავისებურებისდა მიხედვით, ამ გულიდან ამოფრქვეული აღსარებებიდან და ამ ქადაგებებიდან, რომლებიც ქადაგებენ მის მაცხოვრისეულ მნიშვნელობაზე, შემოგვყურებს ჩვენ სიცოცხლით აღსავსე, თავის თავში ჰარმონიული, მარად საცნობი ადამიანის სურათი. ასე, რომ შესაძლებელი ხდება დასკვნის გაკეთება: აქ ადამიანმა თავისი შეუდარებელი და მძლავრი პიროვნებით, თავისი მოქმედებითა და უმაგალითო განცდით, თავისი მკვდრეთით აღდგომის დადასტურებით, თავისი სურათი ისეთი მკვეთრი, ისეთი ღრმად შთამბეჭდავი ნიშნებით შთაბეჭდა ახლობლების გრძნობასა და მეხსიერებაში, რომ იგი არ ქრება და არც სახეს იცვლის".

მარტინ კელერის მიერ გამოთქმული აზრები უაღრესად აქტუალური არიან XX საუკუნეშიც. ე.წ. „კერიგმატული" (Kerygma - ბერძ., განქვეყნება, ქადაგება) თეოლოგია, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებია კარლ ბართი, ოსკარ გულმანი და სხვები, აქედან ღებულობს სათავეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ერთი რამ უდავოა, კერძოდ ის, რომ იესო ქრისტეს კაცთა შორის გამოცხადების ისტორია ბურუსი-

თაა მოცული. რიგი თეოლოგის აზრით ეს არცაა გასაკვირი, რადგან ღვთის განკაცება მოხდა სივრცისა და დროის ერთ, განუმეორებელ წერტილში, იგი იმოსება გურუსით, და ეს განგებ ხდება: ადამიანებმა უნდა „იწამონ" ეს, რის შემდეგ ხდება ღვთის „გულში" დამკვიდრება. მეორე მხრივ, თუკი სახარება „წარმოადგენდა უჩვეულო, უმაგალითო ენერგიისა და დაძაბულობის ისტორიულ ძალას, ეს იმიტომ, რომ იგი გამოვიდა ისტორიიდან, დაიბადა ცოცხალი ხალხის წიაღში, იყო ცოცხალი მომენტი ცოცხალი შემოქმედებისა, იგი იყო არა გამოგონილი აზრი, არამედ ორგანიული განცდა, იგი იყო ხალხური რელიგიური ცნობიერების გარდაქმნა პირად-რელიგიურ თვითშემეცნებაში."* ამგვარად, ჩვენ იმ ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, რომ ერთი მხრივ ქრისტიანული რელიგიის დამაარსებლის პიროვნების ი ს ტ ო რ ი ა გურუსითაა მოცული, ხოლო მეორე მხრივ, მისი გამოვლენა ისტორიაში დღევანდელობის ჩათვლით საოცარ რეალურ ძალას ინარჩუნებს მილიონობით მორწმუნეში. რით აიხსნება ეს?

საქმე ისაა, რომ საუკუნეთა მანძილზე ღვთის შემეცნების ფილოსოფიური, მეტაფიზიკურ-რაციონალური (გამოთქმა მაქს შელერისაა)** გზის გარდა, რომელიც იფარგლებოდა მცირერიცხოვან მოაზროვნეთა წრით, არსებობდა კიდევ ღვთის შემეცნების უშუალო, ინტუიციური წვდომის გზა, ე.წ. რელიგიური გამოცდილება, რომელიც მილიონობით მორწმუნეში ხორციელდებოდა, მართალია, სხვადასხვა ხარისხით.*** ადამიანის სულის

---

* Проф. М. Тареев, Основы Христианства, СПБ., стр. 39.

** Max Scheller, Vom Ewigen im Menschen, München 1954.

*** უფრო ფართოდ რელიგიურ გამოცდილებაზე და ისტორიული კვლევისა და რელიგიის ურთიერთმიმართებაზე იხ. ჩვენი წერილი „რელიგია და ისტორიული კვლევა", „საღვთ. კრებული" №4, თბ., 1984 წ.

ეს მდგომარეობა ფსიქოლოგიური მეცნიერების მხრიდან პირველად კა-
მოიკვლია და აღწერა დიდმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა
უილიამ ჯემსმა თავის კლასიკურ ნაშრომში „მრავალსახეობა რელიგიუ-
რი გამოცდილებისა" („The Varieties of Religious
Experience" 1902). აქ, რელიგიის ფსიქოლოგიის ემპი-
რიულ მასალაზე დაყრდნობით, ხაზგასმით იქნა დადასტურებული ის ფაქ-
ტი, რომ „ბევრ ადამიანს საკუთარი რწმენის საგანი ევლინება არა
განყენებული ცნების ფორმით, რომელსაც გონება თვლის ჭეშმარიტად,
არამედ რეალობის ფორმით, რომელსაც წვდებიან უშუალოდ, თითქმის
გრძნობად აღქმაში... უშუალო, ინტუიტური დარწმუნებულობა იმალება
ჩვენი სულის სიღრმეში, ხოლო ლოგიკური არგუმენტები მის მხოლოდ
ზედაპირულ გამოვლინებებს წარმოადგენენ. ინსტინქტი გრძანებლობს
და წარმართავს, - გონება მორჩილად მიჰყვება მას. თუ ვინმე ამდა-
გვარად შეიგრძნობს ცოცხალი ღმერთის მყოფობას, მაშინ ვერავითარი
კრიტიკული განაზრებანი ვერ შესძლებენ მისი რწმენის შერყევას...
ადამიანი, რომელიც ამ გრძნობის (რელიგიურის) მიღმა დგას, ვერა-
სოდეს ვერ შესძლებს იმ ღვთაებრივი მდგომარეობის გაგებას, რომე-
ლიც მყარდება სულში ამ იდუმალი მადლის მყოფობით. ყველაფერი, რაც
გვერდიდან მოჩანს ასე გაუგებრად და ბნელით მოცულად, ხდება უბრა-
ლო და ნათელი იმ შუქში, რომელიც სულში დანთებული ცეცხლიდან იფრ-
ქვევა." (დასახ. ნაშრომი, გვ. 56, 66, 317).

უ. ჯემსის მერე ამ პრობლემამ საფუძვლიანი დამუშავება განი-
ცადა იმავე რელიგიის ფსიქოლოგიის, რელიგიათა შედარებითი კვლევის
და რელიგიის ფილოსოფიის მხრიდან. მოვიყვანთ რამდენიმე, თანამედრო-
ვე ავტორიტეტული მეცნიერის გამონათქვამს ამ საკითხზე.

<u>იოაჰიმ ვახი:</u> „თავდაპირველად სიტყვა „გამოცდილება" თით-
ქოს მიანიშნებს ადამიანურ და არა ღვთაებრივ აქტიობაზე. მისი მი-
ზანია ყურადღების კონცენტრირება თავად გამოცდილებაზე, და არა

გამოცდილების ობიექტზე, და მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიანიშნებს გამოცდილების საგნის დამოუკიდებელ არსებობაზე და ამგვარად სუბიექტივიზმი თავიდანაა აცილებული. პირველი კრიტერიუმი რელიგიური გამოცდილებისა მდგომარეობს ამთვისებლობაში იმისადმი, რაც განიცდება როგორც „საბოლოო რეალობა." რელიგიურ გამოცდილებას ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც პასუხს და ამიტომ არ არის იგი მარტოდენ სუბიექტური: ჩვენ ვპასუხობთ ა რ ს ე ბ უ ლ ს (wir antworten auf e t w a s). პასუხი აღიქმება როგორც ნაწილი შეხვედრისა. რელიგიური გამოცდილება ყოველთვის გვაძლევს ჩვენ სუბიექტსა და ობიექტს, ორივეს ერთად ან არცერთ მათგანს. ნამდვილი რელიგიური გამოცდილება წილად ერგო ყველა ასაკისა და მსოფლიოს ყველა ნაწილის h o m i n e s r e l i g i o s i -ს (რელიგიურ ადამიანს. ვ.რ.) და როგორც ასეთი აღწერა კიერკეგორმა, ებნერმა, შელერმა, გუბერმა, ბრუნერმა, გაილმა, მარსელმა (თავისი კატეგორიებით „დაძახება" და „პასუხი") და სხვა მრავალმა."*

ფრიდრიხ ჰაილერი: „ეს ურთიერთობა არ წარმოადგენს რელიგიური ადამიანისათვის ადამიანურ გამონაგონს, იქნება ეს გონებისა თუ გულის კარნახი; იგი ეფუძნება არა ადამიანურ, არამედ ღვთაებრივ ინიციატივას. რელიგიაში ადამიანი კი არ მიდის ღმერთთან, არამედ პირიქით, ღმერთი მოდის ადამიანთან... თუმცა რელიგია ქმედობაა, იგი საბოლოო ჯამში არის არა მიღწევა, არამედ მადლი... ამგვარად, რელიგიის არსი წარმოადგენს ღვთაებრივი მადლის გამოცდილებიდან მომდინარე ადამიანის ერთობას ტრანსცენდენტულ სინამდვილესთან."**

---

* J. Wach, Vergleichende Religionsforschung, Stuttgart 1962, §. 54-56. ციტატები შემოკლებულია.

** Fr. Heiler, Erscheinungsformen und Wesen der Religion, Stuttgart 1961, §. 563-564.

ეროვნული ბიბლიოთეკა

<u>მირცეა ელიადე</u>: „ყოველი რიტუალი, ყოველი მითოსი, რწმენის ყოველი წარმოდგენა ან ღვთაებრივი ფორმა, ასახავს სიწმინდის გამოცდილებას (die Erfahrung des Heiligen) და ამრიგად თავის თავში შეიცავს აგრეთვე ცნებებს ყ ო ფ ი ე რ ე - გ ი ს ა ს , მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი ს ა ს , ჭ ე შ მ ა რ ი ტ - ე ბ ი ს ა ს. შემეცნება ნამდვილი და აზრიანი სამყაროსი მჭიდროდაა დაკავშირებული სიწმინდის აღმოჩენასთან. რადგან სიწმინდის გამოცდილების მეშვეობით შეიცნო ადამიანურმა გონებამ განსხვავება იმისი, რაც თავის თავს ამჟღავნებს როგორც ნამდვილი, ძლიერი, მნიშვნელოვანი და აზრიანი და მისი საპირისპიროსი - საგანთა ქაოსური და საშიშროებით აღსავსე დენისა, ამ დინების შემთხვევითი, უაზრო აღმოცენება და მოსპობა.“*

<u>ვერნერ გრუენი</u>: „რასაკვირველია, მარტო ფუნქციონალური მხარე, რელიგიის პიროვნული მხარე არ ახასიათებს რელიგიურ განცდას. იგი როგორღაც ღ მ ე რ თ ზ ე მოცემული ა ზ რ ი დ ა ნ აღიძვრება. სხვა სიტყვებით, რელიგიური განცდა ყოველთვის გვიჩვენებს პიროვნულ და აზრობრივ მხარეს, იგი წარმოადგენს იდუმალებით აღსავსე შეკავშირებას „მეს“ ფუნქციისას და აზრისას: რელიგიური განცდის ორივე მხარე (კომპონენტები) არსებითია, რათა ცოცხალი ღვთისმოსაობა (Frömmigkeit) იყოს მოცემული. ღმერთზე აზრის გარეშე „მეს“ განცდა შინაარსისაგანაა დაცლილი ან სულაც არ ხორციელდება. „მეს“ ფუნქციის გარეშე კი არ იქნებოდა რელიგიური განცდა, არავითარი ცოცხალი ღვთისმოსაობა. შესაძლოა თუმცა რელიგიური აზრების ქონა მეს მონაწილეობის გარეშე, შესაძლებელია თეოლოგიზირება, ქადაგება, მაგრამ ამ პროცესებს აკლიათ ცოცხალი ნაპერწკა-

---

* Mircea Eliade; Geschichte der Religiösen Ideen, Bd. I, Freiburg 1978, §.7.

ლი, სინამდვილე ჭეშმარიტი ღვთისმოსაობისა".*

სანამ უშუალოდ ქრისტიანულ რელიგიურ გამოცდილებას შევეხებოდეთ (კიერკეგორის გამოთქმით რელიგიურობა B -ს რელიგიურობა A -სგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის ზოგად რელიგიურობას ახასიათებს), საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ განვიხილოთ რამდენიმე კრიტიკული მოსაზრება, გამოთქმული ზემომოყვანილ მსჯელობათა საწინააღმდეგოდ. აქ პირველ რიგში დავასახელებთ გერმანელ ფილოსოფოს ლუდვიგ ფოიერბახს (1804 - 1872), რომელსაც მიაჩნდა, რომ ადამიანის რწმენის ღმერთი ეს იგივე ადამიანის არსია, განთავისუფლებული პიროვნული საზღვრებიდან, რომელსაც გაიდეალებული ფორმით წარმოისახავს იგი. „ღვთაებრივი არსება სხვა არაფერია, თუ არა თვით ადამიანური არსება;" „თეოლოგიის საიდუმლოება ანთროპოლოგიაა." მაგრამ აქ თავისთავად გასაგებად იგულისხმება ის, რაც ადამიანის გამოცანასა და სასწაულს წარმოადგენს: რომ იგი თავისი ემპირიული ყოფიერებიდან საერთოდ ანსხვავებს თავის იდეალურ არსებას და მათ ურთიერთდამოკიდებულებათა კონფლიქტებს განიცდის. სინამდვილეში, როდესაც ადამიანი თავის გაიდეალებულ „არსს" მიმართავს, სწორედ მაშინ ხდება მისი ღვთისაგან მოწოდება, ღვთისაკენ სვლა. მის ამ სულიერ აქტში შემდეგ უკვე თავად ღვთაება ახდენს მანიფესტირებას, თვითგამოცხადებას. ამიტომ იყო, რომ ისეთი რელიგიური ფილოსოფოსი, როგორიც კიერკეგორია, ეთანხმებოდა ფოიერბახს იმ თეზაში, რომ „თეოლოგიის საიდუმლოება ანთროპოლოგიაა."**

---

* W. Gruehn, Die Frömmigkeit der Gegenwart, (Grundtatsachen der empirischen Psychologie), Münst. 1956, §.37.

** K. Löwith, Von Hegel zu Nietzsche (Marx und Kierkegaard), Stuttgart 1958, §.383.

ასევე ამიტომაა, რომ ჩვენი დროის თეოლოგი პ.ალტჰაუსი პირუკუ ატრიალებს ამ თეზას და ამტკიცებს: „ანთროპოლოგიის საიდუმლოება თეოლოგიაა.“*

საკითხის ასევე თავდაყირა დაყენებაა, როდესაც ღვთის რწმენას ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზი ხსნის „იდეალიზირებული მამობის კომპლექსით.“** რადგან აქაც, რაც თითქოს თავისთავად გასაგებია – „მამობის იდეალი“ და ის, რაზედაც სურთ დაიყვანონ ღვთის ცნება, როგორც წმინდა იმანენტურზე, თვითონ მოითხოვს ახსნას. მართლაც, როდესაც ყოველ მიწიერ მამობაზე მაღლა ჩვენ ვქმნით მამის იდეალს, ამით ჩვენ ვადასტურებთ რაღაც კანონს, რომელიც განმსჭვალავს ყოველ მიწიერ მამობას, უდგენს მას ნორმას და განსჯის. მაგრამ ეს ნორმა უკვე აღარაა რაღაც იმანენტური, არამედ ტრანსცენდენტის შემოსვლაა ჩვენს ცხოვრებაში.***

ჩვენთან, საქართველოში, ზემომოყვანილ მსჯელობებს რელიგიურ გამოცდილებაზე ხშირად დ.უზნაძის „განწყობის“ კონცეფციას უპირისპირებენ. მოკლედ შევახსენებთ მკითხველს, თუ რაში მდგომარეობს იგი. „უზნაძისეული კონცეფციის თანახმად, სუბიექტის მთლიანი მდგომარეობა – განწყობა – იქმნება ორი ფაქტორის ერთდროული მოცემულობის პირობებში: სუბიექტის მოთხოვნილებისა და მისი შესატყვისი გარემოს (სიტუაციის) მოცემულობის პირობებში. თუ ერთ-ერთი ამ ფაქტორთაგანი არ არის მოცემული, განწყობაც არ აღმოცენდება. სუბიექტი განეწყობა გარკვეული სიტუაციის შესატყვისი მოქმედების შესასრულებლად მხოლოდ სათანადო მოთხოვნილების საფუძველზე, მაგრამ, მეორეს მხრივ, იგივე მოთხოვნილება ვერ განაწყობს მას შესა-

---

* Paul Althaus, Grundriss der Dogmatik, Berlin 1952, §.25.

** S. Freud, Die Zukunft einer Illusion, Wien 1928.

*** P. Althaus, Grundriss der Dogmatik, Berlin 1952, §.26.

ტყვისი სიტუაციის გარეშე.,. გარკვეულ პირობებში ხდება განწყობის ისეთი განმტკიცება, ისეთი ფიქსაცია, რომ ახალ სიტუაციაშიც მოქმედებს ისევ ეს წინათ შექმნილი ფიქსირებული განწყობა, რის გამოც ადამიანის ქცევა ამ ახალი (შეცვლილი) სიტუაციის შესატყვისი აღარ არის. ამ სახის განწყობის, ე.ი. ფიქსირებული განწყობის გამოვლენას წარმოადგენს აღქმის განწყობისეული ილუზიები... ტყეში ბუჩქს ადამიანი იმიტომ კი არ აღიქვამს მგლად, რომ მგლის წარმოდგენა თავისთავად დაუკავშირდება აღქმას, არამედ იმიტომ, რომ მგლის შეხვედრის შიშის გამო თვითონ ადამიანია განწყობილი მგლის დასანახად და ამ განწყობის საფუძველზე, კერძოდ, მისი ფანტაზიაც, სათანადო მიმართულებით ამოქმედებული, აღქმის პროცესში ამ განწყობის შესატყვისი ხატის შექმნაში მონაწილეობს."*

აი, ამ კონცეფციას უპირისპირებენ, როგორც ვთქვით, რელიგიურ გამოცდილებას. კერძოდ: სუბიექტის მოთხოვნილება (ღმერთთან ურთიერთობის დამყარება) + შესატყვისი გარემო (ვთქვათ, ეკლესიის გარემოცვა) ჰქმნის განწყობას რელიგიური განცდისას, რომელიც შემდეგ იწვევს აღქმის ილუზიას (ღვთის ან ანგელოზის ხილვასა და სხვ.).

გონების დიდი დაძაბვა არაა საჭირო, რომ უკუვაგდოთ ეს კონცეფცია და მისი არასწორი გამოყენება რელიგიურ გამოცდილებასთან კავშირში. როდესაც ადამიანი შიშის გამო განწყობილია ტყეში ბუჩქის ნაცვლად მგელი დაინახოს, მას მგელზე უკვე აქვს გარკვეული წარმოდგენა. რელიგიურ გამოცდილებაში კი ჩვენ საქმე გვაქვს თვისობრივად სრულიად ახალ შინაარსთან, რომელსაც ვერ ეძებნება ვერავითარი ანალოგია ხილულ ბუნებაში. იგი არც მგელია და არც ექსპე-

---

* რევაზ ნათაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი 1956 წ., გვ.176, 533, 534. ციტატები შეკვეცილია.

რიმენტატორის ბურთი ფსიქოლოგიის კაბინეტში. როგორადაც არ უნდა გ ა ნ ე წ ყ ო ს დაბადებით ბრმა, იგი ვერ აღწერს ვერც ერთ ფერს, რადგან მას მათზე წარმოდგენა არ გააჩნია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ფერები არ არსებობენ მხილველთათვის. მართალია, რელიგიური განცდა არ არის დაზღვეული ილუზიისაგან, მაგრამ აქ, მ.შელერისა არ იყოს, რაც უფრო მაღალია სულიერი აქტის სახეობა, მ.ით უფრო მეტია შეცდომის საშიშროება (თეოლოგის ენით თუ ვიტყვით, რელიგიურ გამოცდილებაში ხშირად უარყოფითი ძალაც იჭრება, რომელიც შეგნებულად წარმართავს მას შეცდომისაკენ). რომელ განწყობისეულ აღქმის ილუზიაზე შეიძლება იქ ლაპარაკი, როდესაც ფაქტიურად უსწავლელი წმინდანის ხილვებიდან იგება მთელი სისტემა მისტიკური ღვთისმეტყველებისა? ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, მოვუსმინოთ ცნობილ ისტორიკოსსა და ფილოსოფოსს ლევ კარსავინს. ახასიათებს რა ნეტარი ანჯელას გამოცხადებებს, იგი ამბობს: „ბევრი ბოლომდე ართქმულია, შეუცნობელია ანჯელას ამ გამოცხადებებში. და მისი სიტყვები გვამცნობენ ნაკლებს, ვიდრე ის გრძნობდა, არ ვადმოსცემენ მთელ უჩვეულო სიმდიდრეს მისი მისტიკური ცდისას. ბევრი რამ მხოლოდ მინიშნებულია მის მიერ და შემდეგ გახსნილია გვიანდელ მისტიკოსთაგან, ბევრი რამ. მხოლოდ წინასწარ გვაგრძნობინებს გონებაჭვრეტით ფილოსოფიას მაისტერ ეკჰარტისას და იაკობ ბიომესას. მაგრამ მისი მისტიკის საფუძვლების გამეორებას ჩვენ ვპოვებთ გვიან, როდესაც იგი სხვებსაც გამოეცხადა, და ძალზე მცირედნი მიაღწევენ ყველაფრის ერთიანობისა და შეკავშირების ესოდენ ცოცხალ შეგრძნებას, მოგვცემენ ასეთ „ცოცხალ“ სისტემას მისტიკური ღვთისმეტყველებისას, როგორც ამას იძლევა მორჩილი და უსწავლელი დედა ანჯელა.“*

---

* Откровения бл. Анджелы (Библиотека Мистиков), пер. Л. Карсавина, СПБ., стр. 53-54.

მეორე მხრივ, თუკი პიროვნება ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტს ჩაატარებს რელიგიური გამოცდილების მისაღებად და ამ მიზნით იგი შეეცდება მიაღწიოს შეგნებულ გ ა ნ წ ყ ო ბ ა ს, რომლის აღმძვრელი ფაქტორი იქნება მარტოდენ მეცნიერული ცნობისმოყვარეობა (სუბიექტის მოთხოვნილება) + შესატყვისი გარემოს მოძებნა (ვთქვათ, ეკლესია), მას არაფერი გამოუვა. მაშასადამე, აქ მთავარია ისეთი განწყობა, როდესაც სუბიექტს ჭეშმარიტი რელიგიური მოთხოვნილება გააჩნია და არა მეცნიერული ცნობისწადილი. ამიტომ, თავისთავად გ ა ნ წ ყ ო ბ ა რელიგიური გამოცდილებისათვის უცხო არ არის. მაგალითად, იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი იგნაციუს ლოიოლა თავისი ორდენის წევრებს სთავაზობს მის მიერ შედგენილ სულიერ ვარჯიშებს (Exerzitien), რომლის დროსაც ის ძალზე ზუსტ მითითებებს იძლევა, თუ ლოცვის დროს როგორი წესით უნდა ჩაისუნთქონ და ამოისუნთქონ, სხეულის როგორი პოზაა ამ დროს მიზანშეწონილი, როდის უნდა დააბნელონ სენაკი, როდის უნდა დააკვირდნენ ადამიანის ჩონჩხის ნაწილებს და ახალი ყვავილების ცქერით კვლავ როდის უნდა შეიქმნან წარმოდგენა „სულიერი ცხოვრების გაფურჩქვნაზე.* დიახ, ყველაფერი ეს, თუ გნებავთ შეგნებული განწყობაა, მაგრამ ყველაფერი ეს ნაკარნახევია ჭეშმარიტი რელიგიური მოთხოვნილებით, და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ის, რაც ამით მიიღწევა, ილუზიას არ წარმოადგენს, არამედ თვისობრივად სრულიად სხვა რეალობას, რ ე ლ ი გ ი უ რ ი გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ი ს შ ი ნ ა ა რ ს.

ხშირად ასეთი გ ა ნ წ ყ ო ბ ა, რომელსაც აღწევდნენ გარკვეული წესების დაცვით, შესაძლებელს ხდიდა რელიგიური გამოცდილების შინაარსის დანახვას სხეულებრივი თვალებით. ამას ადგილი ჰქო-

---

* Ignatius v. Loyola, Geistliche Briefe und Unterweisungen, München 1922.

ნდა ისიხაზმის (ბერძნ. hēsychia - დუმილი) აღორძინებისას ათონის მთის ბერთა და დაყუდებულთა შორის XIV საუკუნეში. ისინი გულში განუწყვეტლივ იმეორებდნენ ერთ ლოცვას: „იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე“ და ეღირსებოდნენ იმ გრწყინვალეების ხილვას, რომელმაც განანათლა მაცხოვარი თაბორის მთაზე. ისიხაზმის ამ ტექნიკას ასე აღწერს კონსტანტინოპოლის ქსეროკერსკის მონასტრის ბერი სვიმეონი XI საუკუნეში: „ჩარაზე კარი შენი სენაკისა, დაჯექ კუთხეში და განაშორე აზრი შენნი ყოველივე მიწიერს, სხეულებრივსა და სწრაფწარმავალს. შემდეგ დახარე შენი ნიკაპი მკერდზე და მიაპყარ გრძნობადი და სულიერი თვალი შენს ჭიპს; შემდეგ მოკუმე ნესტოები ისე, რომ ოდნავ შეიძლებოდეს სუნთქვა, და თვალებით მოძებნე დაახლოებით ის ადგილი გულისა, სადაც თავმოყრილია სულის ყველა უნარნი. თავდაპირველად შენ ვერაფერს დაინახავ შენი სხეულის გამჭოლ; მაგრამ როდესაც გაატარებ ამ მდგომარეობაში დღესა და ღამეს, მაშინ, ჰოი სასწაულო, დაინახავ იმას, რაც შენ არასოდეს გიხილავს, დაინახავ ძალზე მკაფიოდ, რომ შენი გულის ირგვლივ ვრცელდება ღვთაებრივი სინათლე.“ კალაბრიის ბერმა ვარლაამმა სწორედ ეს აიგდო სასაცილოდ, უწოდა რა ამ მეთოდს „ჭიპგონებითობა ან ჭიპსულიერება“ - ομφαλοψυχία. 1341 წლის საეკლესიო კრებამ, რომელზედაც გამოვიდა წმ. გრიგოლ პალამა, დაგმო ვარლაამი. ეს შეხედულება შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად. ღმერთი თავისი არსით არის ერთი, მაგრამ მასში არის მრავალი ენერგია. ამ ენერგიათა რიცხვს განეკუთვნება მადლი ღვთისა და ღვთაებრივი გაბრწყინება - ἔλλαμψις. ეს გაბრწყინება იყო ადამში მის დაცემამდე, მაგრამ ადამის დანაშაულის შედეგად დაიკარგა. იგი კვლავ გამოვლინდა თაბორზე, რათა ვიცოდეთ, თუ რანი ვიყავით და რანი კავხდებით. მხოლოდ ეს გაბრწყინება აძლევს ადამიანს შესაძლებლობას გახდეს სრულყოფილი ღვ-

თის მსგავსად. ღირსეულთ ღმერთი ანიჭებს გამღმრთობ მადლს, რომელიც არის თვითმყოფი სინათლე. ეს სინათლე, ეს ჭამადი ანგელოზთა, არის დიდება ღვთაებრივი ბუნებისა და მშვენიერება მომავლის ჟამისა. მისი დანახვა შეიძლება სხეულებრივი თვალით.*

რელიგიური გამოცდილება გულისხმობს ს ა ს წ ა ულ ი ს ცნებასაც, იგი გადადის სასწაულში, როგორც ეს ხდება ზემოთ აღწერილ შემთხვევაში, ხოლო ეს კი უკვე გამორიცხავს ყოველგვარ იმანენტურობას და აქ გ ა ნ წ ყ ო ბ ა ზ ე და მითუმეტეს მის ი ღ უ ზ ი ე ბ ზ ე აღარ შეიძლება ლაპარაკი, რაზედაც ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

*

* *

იესო ქრისტე არსებობდა არა მარტო გამოცხადებამდე, არამედ დროთა შექმნამდე. იოანეს სახარებაში იგი ამბობს: „უწინარეს აბრაამისა მე ვიყავი;" „მე და მამა ვართ ერთი." იგი იყო და არის სამპიროვნული ღმერთის ერთი ჰიპოსტასი. ესაა წმ.სამების დიდი საიდუმლო (mysterium trinitatis). ქრისტე წარმართთათვის ემსგავსებოდა მზეს, რომელიც ათბობს ბრმას, მაგრამ მისი თვალისათვის იგი უჩინარი რჩება.** ამიტომ იყო, რომ ისინი, როგორც ბრმები, გრძნობდნენ ჭეშმარიტი ღმერთის არსებობას, მაგრამ ვერ ხედავდნენ და ვერ იმეცნებდნენ მას. სხვაგვარად იყო საქმე

---

* Нов. Энц. Сл., СПБ., т. XIX, стр. 683

** გამოთქმა შეღინგისაა.

ღვთის რჩეულ ხალხთან - ებრაელებთან: „მთელი ძველი აღთქმა წარმოადგენს პირადი ურთიერთობების ისტორიას გამოცხადების ღმერთისას (ლოგოსისა ან იეჰოვასი) იუდეველი ხალხის წარმომადგენლებთან, - მათ პატრიარქებთან, გელადებთან და წინასწარმეტყველებთან. ამ პირად ურთიერთობებში, რომელიც შეადგენს ძველი აღთქმის რელიგიას, შეინიშნება სამი ხარისხის თანმიმდევრობა. პირველ შუამავლებს ებრაელ ხალხსა და მის ღმერთს შორის, ძველ პატრიარქებს - აბრაამს, ისააკს და იაკობს, ს წ ა მ თ პიროვნული ღმერთი და ამ რწმენით ცოცხლობენ; მათი მომდევნო წარმომადგენლები იუდეველობისა - მოსე ღვთისმხილველი, დავით წინასწარმეტყველი და სოლომონი, აღმაშენებელი დიადი ტაძრისა, ღებულობენ პიროვნული ღმერთის აშკარა გამოცხადებებს და ცდილობენ ეს გამოცხადებანი გაატარონ თავისი ხალხის საზოგადო ცხოვრებასა და რელიგიურ კულტში; მათი სახით იეჰოვა დებს რაღაც გარეგან აღთქმასა თუ ხელშეკრულებას ისრაელთან, როგორც პიროვნება პიროვნებასთან. უკანასკნელი რიგი იუდეველობისა, წინასწარმეტყველნი, რომელთაც შეგნებული ჰქონდათ არასაკმარისობა ამ გარეგანი კავშირისა, წინათგრძნობენ და აცხადებენ სხვა, შინაგან შეერთებას ღვთაებისას ადამიანის სულთან მესიის სახით, რომელიც არის ძე ღვთისა და ძე დავითისა, და ამ მესიას ისინი წინათგრძნობენ და აცხადებენ არა მხოლოდ როგორც იუდეველობის უმაღლეს წარმომადგენლად, არამედ როგორც მთელი აღორძინებული კაცობრიობის წარმომადგენლად და თავად.“*

ქრისტეს გამოცხადების, მისი განკაცებისა და მკვდრეთით აღდგომის შემდეგ კაცობრიობის ისტორიაში ყველას, როგორც ებრაელებს, ასევე წარმართებს, შეეძლოთ თავიანთ სულში შეერთებოდნენ ღვთაებას, ძეს ღვთისას და ძეს დავითისას. ამის მაგალითია მთელი

---

* Вл. Соловьев, Чтения о Богочеловечестве, собр. соч., Т. III, СПБ., стр. 149.

ქრისტიანობის ისტორია, როგორც სხიზმამდე, ასევე მას შემდეგ. მაგრამ, როგორც ეს თავიდან აღვნიშნეთ, ჩვენს სულში ღვთის ეს შემოსვლა (ფსიქოლოგთა ენით „რელიგიური გამოცდილება") სხვადასხვა ხარისხისაა. სულ სხვაა ჩვეულებრივი მორწმუნის მიერ ლოცვით განცდილი სიხარული და სულ სხვაა ნეტართა და წმინდანთა მისტიური ზეაღსვლის მწვერვალები. მაგრამ მიზანი ისტორიისა არის სრული დამკვიდრება ქრისტესი ყოველი ადამიანის ცნობიერებაში.* ეს მოხდება მაშინ, როდესაც „დაიხსნეს ყოველნი მტერნი მისნი ქუეშე ფერხთა მისთა" (I კორინთელთა I5, 25).

ადამიანის წრფელი მიმართვა ქრისტესადმი უპასუხოდ არ რჩება. რელიგიური ცდა ქრისტეს განცდისა, მისი სუფევა სულში, უნივერსალური სიყვარულია, რომელსაც თან მოაქვს უნივერსალური შემეცნებითი მნიშვნელობა - ერთი მხრივ ქვეყნისა და ადამიანთა, მეორე მხრივ კი თვით ღვთის შემეცნება, უსასრულო მისტიური ზეაღსვლა, Θεογνωσια (თეოგნოსია)... ცდა ამისა ყველა ქრისტიანის ვალია, თორემ წარმართნი მაინც გრძნობენ ქრისტეს, როგორც ბრმა გრძნობს მზეს, და ალბათ ამით აიხსნება, რომ მათშიც არის ბევრი კეთილი ადამიანი...

ამგვარად, ისტორიული ქრისტე მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ხდება ზ ე დ რ ო უ ლ ი ქ რ ი ს ტ ე, რომელიც ა წ მ ყ ო შ ი გვეცხადება. ასე შეიძლება მივუსადაგოთ ქრისტეს გერმანელი ფილოსოფოსის თეოდორ ლიტის სიტყვები: „ისტორიულად გაიგება არა მხოლოდ აწმყო წარსულისაგან, არამედ აგრეთვე წარსული აწმყოსაგან: რაც გასაგები უნდა გახდეს, პრინციპში არც ერთია და არც მეორე,

---

* შელინგი, XXIV ლექცია, გვ. I2-I7. იხ. Куно Фишер, Шеллинг, СПБ 1905, стр. 856.

არამედ ის შ ი ნ ა გ ა ნ ი , რაც ორივე მოვლენაში ხდება.“*

ეხლა ისმის ყველა მორწმუნეთათვის ძალზე საგულისხმო კითხვა: თუკი ღმერთი ყველგან და ყველაფერშია, თუკი იესო ქრისტე წრფელი ლოცვის დროს სულში ისადგურებს, მაშინ რაღა საჭიროა მ ი ს ი პურის სახით მიღება ზიარების დროს?

ამაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მივმართოთ რწმენის დიდ ავტორიტეტს. ამჯერად ეს იქნება ზემოხსენებული ნეტარი ანჯელა. „ერთი მეორეს არ გამორიცხავს“ – უპასუხა მას უფალმა ამ შეკითხვაზე, და გაიგო მან, რომ სხვაგვარადაა ღმერთი სულში და სხვაგვარადაა იგი საკურთხეველზე. საკურთხეველზე ძე ღვთისა არა მარტო ღვთაებრივად, არამედ თავისი კაცობრივობითაცაა, „გარშემორტყმული ანგელოზთა გუნდით.“ ამავე კაცობრივობით ღმერთში ყველას აერთიანებს ერთიანი ევქარისტია, რომელიც სრულდება მრავალ საკურთხეველზე და თვით ანგელოზთა საკურთხეველზე. იგია დაკავშირებული ღვთის განსხეულების საიდუმლოსთან.“**

ჩვენი საუკუნის დასაწყისში რუსული სიტყვის ორ მეტრს – ვასილი როზანოვსა და ნიკოლაი ბერდიაევს შორის პოლემიკა გაიმართა. როზანოვმა, ამ „გენიალურმა ობივატელმა“, წამოაყენა დილემა: „ქრისტე ან ქვეყანა“: ქრისტე დაუნდობელია ამ ქვეყნის მიმართ, იგი უარყოფს ყოველივე ამქვეყნიურს, მაშინ როცა როზანოვს სურს ოჯახური ბედნიერება, წყნარი, ბედნიერი ცხოვრება, „მურაბის ჭამა თავის ოჯახში“, და ეს მაშინ, როცა ქრისტე ითხოვს ყოველივე ამის უარყოფას. როზანოვი მზადაა მიიღოს ქრისტიანობა, როგორც ისტორიული სინამდვილე, მისი დაშორებებით ცოდ-ქმრისა, თეატრებით, მუ-

---

* Th. Litt, Geschichte und Leben, Leipzig 1918, S. 9.

** Откровения бл. Анджелы, СПБ, стр. 34.

რაბით, მაგრამ ქრისტეს გარეშე. ვისთვისაც ქრისტე ტკბილია, მისთვის ეს ქვეყანა ხდება მწარე, რადგან ქრისტეს რელიგიის მიხედვით მხოლოდ ერთი რამაა მშვენიერი – გარდაცვალება და სიკვდილი, მწუხარება და ტანჯვა.

ბერდიაევი ამბობს, რომ როზანოვი მაშინ იქნებოდა მართალი, თუ „ქვეყანა" არის მხოლოდ ის, რადაც როზანოვი მას სახავს: ყოფიერების დადებითი სისავსე და უცილობელი სიკეთე. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არაა. „ქვეყანა" არის შენარევი სიკეთისა ბოროტებასთან, სინამდვილისა მოჩვენებითობასთან, ყოფიერებისა არყოფნასთან, მარადიულობისა ხრწნასთან. საიდან შემოვიდა სიკვდილი ამ ქვეყნად? არა ქრისტესგან! ქრისტე მოვიდა სწორედ იმიტომ, რომ „ქვეყანა" იხსნას სიკვდილისაგან და არა მის წარსაწყმედად. ეს ქვეყანა ბოროტებაში ძევს, მაგრამ მას მაინც დარჩა კავშირი ღმერთთან და ეს კავშირი არის ძე ღვთისა, ღმერთკაცი, ისტორიაში განსხეულებული ქრისტეს პიროვნება.*

ქრისტიანული ღვთისმეტყველება მატერია – სულის დუალიზმთან ერთად აღიარებს სხვაგვარ დუალიზმს: ესაა გარჩევა, რომელიც უპირისპირებს შეუქმნელ ყოფიერებას, ღმერთს, ქმნილ ყოფიერებას. ნუთუ ღმერთი მხოლოდ სულთა ღმერთია და იგი ასევე არაა „ღმერთი ყოველთა სხეულთა?"** ამიტომაც გვპირდება უფალი თავის მეორედ მოსვლას, ადამიანთა სხეულებრივ აღდგომას და მათ საბოლოო განსჯას.

ამგვარად, ქრისტე იყო წარსულში, არის აწმყოში და იქნება მომავალში: „იესო ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუ-

---

* Ник. Бердяев, Христос и мир, წიგნში: Духовный кризис интеллигенции, СПБ 1910.

** ვლ. ლოსკის გამოთქმაა.

ნისამდე“ (ებრაელთა I3,8). იგი დროთა მიღმა დგას. მასთან კავშირის დამყარებით ჩვენ მარადიულობას ვეზიარებით. მხოლოდ იგია ხიდი ჩვენსა და ღმერთს შორის.

პლოტინეს ენეადების ბოლო სიტყვით რელიგია არის „გაქცევა მარტოხელასი მარტოდმარტოსთან“ (φυγὴ μόνου πρὸς μόνον). საბოლოოდ ჩვენ ქრისტეს წინაშე მარტოდმარტო ვრჩებით. იგია ჩვენი მხსნელი – იესო უტკბილესი, ქრისტე მაცხოვარი.

უფალო იესო ქრისტე, შეგვიწყალე და დაგვიფარე ჩვენ!

ვ ი ქ ტ ო რ რ ც ხ ი ლ ა ძ ე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვ.რ ც ხ ი ლ ა ძ ე , სულთა გამოცხადებანი და სპირიტიზმი წმ. მართლმადიდებლური რწმენის შუქზე 3

წინასიტყვაობა 3

თავი პირველი. რამდენიმე მოსაზრება სულთა უკვდავებასთან დაკავშირებით..... 4

თავი მეორე. პარაფსიქოლოგია, სპირიტიზმი და თანამედროვე სტატისტიკა სულთა გამოცხადებების შესახებ 55

თავი მესამე. კომენტარები 120

ვ.რ ც ხ ი ლ ა ძ ე , იესო ისტორიული თუ ქრისტე აწმყოსი? 156

F 8·34
1986